

მასწავლებლის თანამშრომელი

აკაკი შანიძე

სელიტერატურის
ქართულის
საჭირობოთო
საკითხები

ბანათლეა

**სალიტერატურო
ქართულის
საჭირბოროტო საქითხევი**

წიგნში დაბეჭდილია წერილები ქართული
სალატერატურო ენისა და დამწერლობის სა-
კარბორიტო საკითხების თაობაზე. ამ წერი-
ლების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია
პრესაში.

წიგნის ოტქვეპის

დღევანდელი ჩვენი სალიტერატურო ენა ქართული სამწერლობო ენის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. უძველესი ნიმუშები ქართული სალიტერატურო ენისა, ჩვენდა საბედნიეროდ, მე-5 საუკუნიდან მოგვეპოვება წარწერებისა და ხელნაწერების სახით. ამ ენაზე დაიწერა მრავალი შესანიშნავი ძეგლი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ცისკრის ვარსკვლავით ბრწყინავს ქართულ სალიტერატურო ცაზე და რომელიც მთელი კაცობრიობის საგანძურშია შესული, როგორც პირველხარისხოვანი ქმნილება გენიოსისა.

ქართული ენა არაჩვეულებრივად გამდიდრდა და დაიხვეწა ბოლო ხანებში. საბჭოთა წყობილების პირობებში შეიქმნა დიდძალი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, გაიფურჩქნა და გამშვენდა სალიტერატურო და სასაუბრო ენა, რაც საამაყო ყველა ჩვენგანისათვის.

მიუხედავად დიდისა და უდაოდ თვალსაჩინო მიღწევებისა, დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენას ახლავს ზოგი ნაკლი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია. ამ კრებულში თავმოყრილია ჩემი ნაწერები სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხების შესახებ, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს. დამატებულია რამდენიმე ახალი საკითხი. აქ არის წერილები მთავრულების ხმარების აღდგენის შესახებ, ათობით თვლახე გადასვლისა და სინტაქსური წესების დარღვევათა შესახებ.

მრავალი წლის დაკვირვება ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე მიყარნახებს, ჩემი აზრი გამოვთქვა და

მკითხველს გავუზიარო საქმის ვითარება და ვუჩვენო გამრუდებული ხაზის გასწორების გზები.

რა დასამალავია, რომ დღევანდელ მკითხველს დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურის კითხვის წყალობით ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ბევრი შეუფერებელი ფორმა და გამოთქმა, რომლებიც აუცილებელია გასწორდეს, რომ კიდევ უფრო მოქნილი და დროის შესაფერისი გახდეს ჩვენი საყვარელი დედაენა.

ძნელი კია, რომ შეჩვეულისა და ძვალ-რბილში გამჯდარი მკვლარი ფორმების ნაცვლად სწორზე გადავიდეს კაცი, მაგრამ აუცილებელია შევიგნოთ, რა არის მრუდი და რა არის სწორი, შევეცადოთ მრუდი უარყოთ და სწორზე გადავიდეთ.

საკითხები, რომლებიც განხილულია ამ წიგნში, ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ ავტორს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ოცობითი თვლის სისტემიდან ათობითი თვლის სისტემაზე გადასვლა. ეს დიდი სახელმწიფო საქმეა და მისი მოგვარება და სწორად წარმართვა ერთბაშად წასწევს წინ ქართული კულტურის საქმეს. ამით ქართულ ენასა და ქართველ ერს სიკეთის მეტი არა მოუვა რა.

წლების მანძილზე საგონებელში მაგდებდა საკითხები, რომლებზედაც ამ წიგნშია საუბარი. და თუ ეს წიგნი ხელს შეუწყობს სალიტერატურო ქართულში აქა-იქ გამრუდებული ხაზის გასწორებას, ჩემი კმაყოფილება უსაზღვრო იქნება.

1. 3 ღ ა ს

პრევიქსების ხმარება ზმნებში¹

(პროექტი ნიმუშებითურთ)

1. პრეფიქსები (ანუ თავსართები) **ჰ** და **ს** ზმნის ფორმებში ერთმანეთის ბადალი ბგერებია და ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონე. დღევანდელ ქართულში ისინი იხმარებიან მარტო თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებში. ამათგან **ჰ** პირვანდელი სახეა პრეფიქსისა, **ს** კი მისგან არის მერმე წარმომდგარი ზოგიერთი თანხმოვნის წინ.

ს ითქმის და იწერება ცხრა თანხმოვნის წინ; ესენია: **ტ ღ თ; წ ძ ც; ჰ ჯ ჩ;** დანარჩენი თანხმოვნების წინ კი ითქმის და იწერება პირვანდელი სახე პრეფიქსისა, ე. ი. **ჰ**.

შენიშვნა. როდესაც ზმნის დაწყებაზე გვაქვს საუბარი, აღნიშნულ პრეფიქსთა ხმარების შემთხვევებისათვის მხედველობაში არვიღებთ არც წინ მდგომ პირის ნიშნებს (ვ, მ, გ, გვ) და არც ზმნისწინებს, თუ ისინი ზმნას მიუძღვიან. ზმნისწინი (ანუ პრევერბი) ქართულში შეიძლება იყოს: **მი, მო; და; ა, ამო; შე, შემო; გა, გამო; წა, წამო; გაღა, გაღმო; ჩა, ჩამო.**

2. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში პრეფიქსი **ჰ** ან **ს** აღნიშნავს ან მეორე სუბიექტურ პირს, ან მესამე ობიექტურს. მეორე სუბიექტური პირის გამომხატველ ზმნებს

¹ დაიბეჭდა 1950 წელს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ გამოცემულ „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხების“ I წიგნაკად.

მხოლოდით რიცხვში ეწყობათ **შენ**, მრავლობითში — **თქვენ**.
მაგალიტები: ვკლავ, **ჰკლავ**, კლავს; ვკლავთ, **ჰკლავთ**, კლავენ.
მოვკალი, **მოჰკალი**, მოკლავ; მოვკალით, **მოჰკალით**, მოკლენს.
ვწერ, **სწერ**, წერს; ვწერთ, **სწერთ**, წერენ. დავწერე, **დასწერე**,
დაწერა; დავწერეთ, **დასწერეთ**, დაწერეს.

3. **მესამე პირის** აღსანიშნავად პრეფიქსი **ჰ** ან **ს** იხმარება მა-
შინ, როცა ეს მესამე პირი ობიექტური და ეწყობა
მას ან **მათ**. ამ შემთხვევაში იმავე ზმნის პირველი პირი იწყება
მ-თი, მეორე კი — გ-თი.

| | |
|-----------------------|----------------------|
| მხ. 1. მ-კითხა | მო-მ-ყიდა |
| 2. გ-კითხა | მო-გ-ყიდა |
| 3. ჰ-კითხა მას | მი-ჰ-ყიდა მას |

| | |
|-----------------------|----------------------|
| მრ. 1. გვ-კითხა | მო-გვ-ყიდა |
| 2. გ-კითხა(თ) | მო-გ-ყიდა(თ) |
| 3. ჰ-კითხა მათ | მი-ჰ-ყიდა მათ |

| | |
|-----------------------|----------------------|
| მხ. 1. მ-თხოვა | მო-მ-წერა |
| 2. გ-თხოვა | მო-გ-წერა |
| 3. ს-თხოვა მას | მი-ს-წერა მას |

| | |
|-----------------------|----------------------|
| მრ. 1. გვ-თხოვა | მო-გვ-წერა |
| 2. გ-თხოვა(თ) | მო-გ-წერა(თ) |
| 3. ს-თხოვა მათ | მი-ს-წერა მათ |

4. თუ ასეთ ზმნებს სუბიექტური წყობით ვაუღლებთ და
ფორმას **მას** ან **მათ** ეწყობა, ყველგან უნდა იყოს პრეფიქსი
ჰ ან **ს**; მაგ.:

| | |
|--|---|
| მხ. 1. ვ-ჰ-კითხე მას (ან მათ) | მი-ვ-ჰ-ყიდე მას (ან მათ) |
| 2. ჰ-კითხე მას (ან მათ) | მი-ჰ-ყიდე მას (ან მათ) |
| 3. ჰ-კითხა მას (ან მათ) | მი-ჰ-ყიდა მას (ან მათ) |

| | |
|---|--|
| მრ. 1. ვ-ჰ-კითხეთ მას (ან მათ) | მი-ვ-ჰ-ყიდეთ მას (ან მათ) |
| 2. ჰ-კითხეთ მას (ან მათ) | მი-ჰ-ყიდეთ მას (ან მათ) |
| 3. ჰ-კითხეს მას (ან მათ) | მი-ჰ-ყიდეს მას (ან მათ) |

- მხ. 1. ვ-ს-თხოვე მას (ან მათ) მი-ვ-ს-წერე მას (ან მათ)
 2. ს-თხოვე მას (ან მათ) მი-ს-წერე მას (ან მათ)
 3. ს-თხოვა მას (ან მათ) მი-ს-წერა მას (ან მათ)

- მრ. 1. ვ-ს-თხოვეთ მას (ან მათ) მი-ვ-ს-წერეთ მას (ან მათ)
 2. ს-თხოვეთ მას (ან მათ) მი-ს-წერეთ მას (ან მათ)
 3. ს-თხოვეს მას (ან მათ) მი-ს-წერეს მას (ან მათ)

5. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენს ორი შემთხვევა:

ა) ზმნას არ უნდა პრეფიქსი **ჰ** ან **ს**, თუ ეწყობა ისეთი **მას** (ან **მათ**), რომელიც პირდაპირ ობიექტად იგულისხმება და მარტო I სერიის მწკრივებში მოულის (მაგ., აწმყოში), ხოლო II სერიის მწკრივებში გადაყვანისას (მაგ. წყვეტილში გადაყვანისას) მის ნაცვლად გამოჩნდება **იგი (ის)** ან **იგინი (ისინი)**. მაგალითები:

რას ვშვრები?

რა გქენი?

ვ-კლავ **მას (მათ)**, მაგრამ: მო-ვ-კალი **იგი (ის)** ან **იგინი (ისინი)**.

ვ-ტეხ **მას (მათ)**, მაგრამ: გა-ვ-ტეხე **იგი (ის)** ან **იგინი (ისინი)**.

ბ) ზმნას არ უნდა პრეფიქსი **ჰ** ან **ს**, თუ ეწყობა ისეთი **მათ**, რომელიც მოქმედად (ქვემდებარედ) იგულისხმება და სხვა **მათ** ან **მას** არ ეწყობა ობიექტად: დაწერეს **მათ**, თქვეს **მათ**, მოკლეს **მათ**, გატეხს **მათ** და მისთ.

6. ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ პრეფიქსი **ჰ** ან **ს** გარკვეული მნიშვნელობის მქონეა და იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა მეორე პირი სუბიექტურია (შენ **ჰკვივი**, შენ **სცხოვრობ**, თქვენ **ჰკვივით**, თქვენ **სცხოვრობთ**), ან მაშინ, როცა ზმნაში მესამე ირიბ-ობიექტური პირია გამოხატული. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ზმნას არ ეწყობა **შენ** ან **თქვენ**, ან **მას** ან **მათ**, არ შეიძლება ზმარებულ იქნეს პრეფიქსი **ჰ** და **ს**; მაგ.; ცხოვრობს, ჩანს, გატეხე, გატეხა, ვთქვით, თქვა, მოკლა და მისთ. მაგრამ თუ ზმნას ეწყობა **მას** ან **მათ**, ეს კიდევ არ ნიშნავს,

რომ მასთან უთუოდ უნდა იხმარებოდეს პრეფიქსი **ჰ** ან **ს**. საჭიროა შემოწმებულ იქნეს, ხომ არ არის ეს **მას** ან **მათ** პირდაპირი ობიექტი (რაც შეიძლება მხოლოდ I სერიის მწკრივებში იყოს), ან ხომ არ არის **მათ** მოქმედი პირი (სუბიექტი). ეს კი შეიძლება მეორე სერიის მწკრივებში იყოს.

საზოგადოდ, როცა პირველ ობიექტურ პირს ნიშნად **მ** აქვს და მეორე ობიექტურს **გ**, მესამე ობიექტურ პირში პრეფიქსი **ჰ** ან **ს** მაშინ იხმარება, თუ ზმნას მიცემითში დასმული დამატება მეორე სერიის ფორმებშიც გადაჰყვება (მაგ., წყვეტილში): **ჰკითხავს მას — ჰკითხა მას, წაჰყვება მას — წაჰყვა მას, სთხოვს მას — სთხოვა მას, მოსწყდება მას — მოსწყდა მას და სხვა**; ხოლო თუ ზმნას **მას** (ან **მათ**) მეორე სერიის მწკრივებში (მაგ. წყვეტილში) არ გადაჰყვება, მაშინ პრეფიქსი **ჰ** ან **ს** არ იწერება.

7. ზმნის პირთა რაოდენობის თვალსაზრისით აღნიშნული წესის მიღება და გატარება იმას ნიშნავს, რომ

ა) **ერთპირიან ზმნებში ჰ** და **ს** პრეფიქსი დაიწერება მხოლოდ მეორე პირში; მაგალითად:

კვივი, ჰკვივი, კვივის, კვივით, ჰკვივით, კვივიან;

ვჩანვარ, სჩანხარ, ჩანს, ვჩანვართ, სჩანხართ, ჩანან.

ასეთივე ზმნებია: კკედები, ვქრები, ვბერდები, ვმდიდრდები, დავრბივარ, ვხტი, ვგორავ, ვზივარ, ვდგავარ, ვტირი, ვყვავი, ვცელქობ, ვთამაშობ, ვწევარ, ვღუმ(ვარ), ვცხრები, ვტყენები და მრავალი სხვა. „ატმის ზე ყვავის“.

ბ) **ორპირიან ზმნებში ჰ** და **ს** პრეფიქსი შეიძლება დაიწეროს და შეიძლება არა.

და ი წ ე რ ე ბ ა, თუ ზმნას ეწყობა **შენ** და **თქვენ** ან ისეთი **მას** (**მათ**), რომელიც ირიბი ობიექტია. ზმნას ეს **მას** (**მათ**) I სერიის მწკრივებშიც ექნება და II სერიის მწკრივებშიც. ასეთი ზმნა გარდაუვალია. მაგალითად: წავჰყვები (მე მას); წაჰყვები, წაჰყვება; წავჰყვებით, წაჰყვებით, წაჰყვებიან; წავჰყევი (მე მას), წაჰყევი, წაჰყვა; წავჰყევით, წაჰყევით, წაჰყვენენ.

სხვა მაგალითი: მივსწვდები (მე მას), მისწვდები, მისწვდება. და შემდგომი, მივსწვდი (მე მას). მისწვდი, მისწვდა და შემდგომი.

ა რ და ი წ ე რ ე ბ ა, თუ ზმნას ეწყობა ისეთი **მას** (**მათ**),

რომელიც პირდაპირი ობიექტია. ასეთი ზმნა გარდამავალია და **მას (მათ)** მართო I სერიის მწკრივებში ექნება, II სერიისაში კი — არა; მაგალითი:

ვკრებ (მე **მას**), მაგრამ: შევკრიბე (მე **იგი**)

ვჭამ (მე **მას**), მაგრამ ვჭამე (მე **იგი**)

ამგვარი ზმნის უღლება ასეთია: ვკრებ, ჰკრებ, კრებს, ვკრებთ, ჰკრებთ, კრებენ; ვჭამ, სჭამ, ჭამს, ვჭამთ, სჭამთ, ჭამენ. ასეთ ზმნებში **ჰ** ან **ს** მხოლოდ მეორე პირის ფორმებში იჩენს თავს.

გ) **სამპირიან ზმნებში** **ჰ** და **ს** პრეფიქსი ყოველთვის დაიწერება, თუ კი ეწყობა **მას** ან **მათ**. ასეთი ზმნები გარდამავალია და მათ ირიბი ობიექტი **მას (მათ)** I სერიის მწკრივებშიც აქვს და II სერიისაშიც. მაგ.: **ჰ**-კითხავს **მას** — **ჰ**-კითხა **მას**, მი-ს-ცემს **მას** — მი-ს-ცა **მას** და სხვ.

მ. აღნიშნული წესის გატარებით **ჰ** და **ს** პრეფიქსის ხმაურება სხვადასხვა ზმნის გასარჩევი საშუალება ხდება:

ერთპირიანი

რჩება (იგი) — ღარჩა (იგი)

ტყდება (იგი) — გატყდა (იგი)

წყდება (იგი) — გაწყდა (იგი)

ცოვა — აცივდა

ორპირიანი

ჰრჩება (იგი მას) — ღაჰრჩა (იგი მას)

სტყდება (იგი მას) — მოსტყდა (იგი მას)

სწყდება (იგი მას) — მოსწყდა (იგი მას)

სცივა (მას) — შესცივდა (მას)

ორპირიანი

გლევს (იგი მას) — დაგლოვა (მან იგი)

წერს (იგი მას) — დაწერა (მან იგი)

ტებს (იგი მას) — გატეხა (მან იგი)

სამპირიანი

ჰგლევს (იგი მას მას) — მოჰგლოვა (მან მას იგი)

სწერს (იგი მას მას) — მოსწერა (მან მას იგი)

სტებს (იგი მას მას) — მოსტეხა (მან მას იგი) და სხვ.

თუ როგორ სახეს მიიღებს აღნიშნული წესების გატარება ახალ სალიტერატურო ქართულში, ამას გვიჩვენებს აქვე დარ-

თული ნიმუშები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან.

ნიმუშები გადმობეჭდილია უცვლელად (ზოგიერთი შემოკლებით) ავტორთა სიცოცხლეშივე გამოცემული წიგნებიდან. საქმის ვითარება რომ უფრო ნათელი იყოს, ზმნის ფორმები დამარცვლით არის აწყობილი. მარჯვენა სვეტში ნაჩვენებია მხოლოდ ის ზმნები, რომლებიც გასწორდება და როგორ გასწორდება **ჰ** და **ხ** პრეფიქსის ხმარების თვალსაზრისით, დანარჩენი ზმნები კი უცვლელად დარჩება.

სხვა ორთოგრაფიული საკითხები აქ უყურადღებოდაა დატოვებული.

წარმოდგენილი პროექტი გვიჩვენებს, რომ **ჰ** და **ხ** პრეფიქსების ხმარება საერთოდ შემცირდება, მაგრამ ზოგ მწერალთან ნაკლები რაოდენობით, ზოგთან კი მეტი რაოდენობით. აქ დართული ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ხმარება ოდნავ შემცირდება ვაჟა-ფშაველას ნაწერებში, უფრო მეტად — აკაკი წერეთლისაში და კიდევ უფრო მეტად — ილია ჭავჭავაძისაში.

ოთარაანთ ქვრივი

ნაწყვეტები 1892 წლის გამოცემის
მიხედვით

I

რას მიქვიათ ტბილი სიტყვა?

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი.

ნაცვალი, თუ იასაული, — რაც გინდა დიდი საქმე ჰქონოდათ, — ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ერთი ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, — დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაი-ვაგლაზი დააწია, რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიღვეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო. თუმცა თვითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისგლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

გაბედავდნენ
ატეხდა

— ფული რა არის?! ხელის ჭყ-
ყია, ერთი თუმანი რა სათქმელია!
ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რა-
და ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ
რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა! დეე
ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთა-
რაანთ ქვრივს მეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდევ. ჯგუ-
ფად რომ გლეს-კაცობა სადმე მდგა-
რიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია
სოფლის მოხელე ვინმე, — ნაცვალი,
თუ მამასახლისი, — და ოთარაანთ
ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გა-
იფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო
ალალმა დაჰქროლა წიწილებ-
საო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ,
თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი
სოფელში. შიშით კი ყველას ეში-
ნოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გა-
ჭირვეულებულს და გაკაპასებულს
ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის
სახელით აშინებდნენ გულზედ მო-
სული დედები.

— და ჩუმდი, შე არ გასაწყ-
ვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ
ქვრივი მოდისო.

ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად
იცოდა და ბევრს არას ჰნაღვ-
ლობდა. რომ ასე ეკრძალებიან,
ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

— ქალაქნები რომ არიან, იმი-
ტომაო, იტყოდა ხოლმე თავის თა-
ვად: ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა
ბაყბაყ დევი მე მნახესო! მე მარტო
ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შე-

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

ღირს

ნაღვლობდა

ვარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დაეგიაგვრინები. თუ გ ა ჯ ი რ დ ა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემ-ღი ვივლიო.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბარა-ქალა დედაკაცია, იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ: არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახ-ლა შინა ჰ ნ ა ხ ე, — რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ჰ ტ რ ი ა ლ ე ბ ს ოჯახში. იმის ხე-ლი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფ-რო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივი-სა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოას-წრობდა ხოლმე: ძირიანად ამო-იღებდა, ძირიანად მ ო ს თ ხ რ ი დ ა.

— აი მოგიკვდეს ეგ უგულო გუ-ლი! მამა-შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გ ა ს ძ ა რ ი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზედ დაადგება, აი! მეტი მოუვა განა! აი და მ ი წ დ ი, და მ ი წ დ ი, კარგი რამ შენა ხარ!

— ტყბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე: ტყბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მ ო ჰ ფ ხ ა ნ ს.

სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მ ო ს წ ი ო ს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს ჰუროს. გული ადგილიდამ უნდა მ ი ს-ძ რ ა ს-მ ო ს ძ რ ა ს კაცმა, თუ კაცს

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

ტრიალებს

მოთხრიდა

მიძრას-მოძრას

კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა
რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა.
თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს
ასმევენებენ, რომ ძილი მოიგვარონ,
გულის ფხანაც ის არის: ძილს მოკ-
გვრის.

VIII

„გატეხს ქვასაცა მაგარსა...“

მზემ აღგომა მაინც ვერ დაასწრო,
ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და
ტანთჩაცმულიც იყო, რომ მზემ მა-
შინ ძლივს ამოჰყო თავი მთის
წვერიდამ და გადმოხედა ქვე-
ყანას თავის ერთად-ერთის ოქრო-
სავით ბრწყყვიალა თვალითა. მთე-
ბის ნაშს მოახვედრა მზემ თავისი
სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშ-
ვა, თითქო საქმელს უკმევს ამ
უზარმაზარს ცეცხლის ბურთსაო.

— რა დამემართა წუხელის?
ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი:
რამ წამიღო? რამ დამძლია და
ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო,
მითხრა ცხონებულმა. მოდი და
ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი
ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ
როგორც იქნება შეეჭიდება კაცი...
ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი.
გული ამან შემეშინა... ბნელმა თა-
ვის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის
ამბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა
ბედი მისცეს და თუ სხვა რამ

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

გატეხს

ამოყო თავი
გადმოჰხედა

კვირობდა

არის!.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე
თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე...
გულზედ ლოდსავით დააწვება და
თავის დღეში აღარ აეხსნება.. აღარ,
აღარ!

კიდევ აჰყვა წუხანდელს ფიქ-
რსა. სულ ის სამის დღით წასვლა
შვილისა აგონდებოდა და აფრთხობ-
და.

ფიქრი რაკი ერთხელ ასე თუ ისე
გამოიკვანდა, თოვლის გუნდასა
ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანე-
ბულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰ-
გორავს, უფრო ძლიერდება,
უფრო ჰმატულობს, უფრო
ჰდიდდება. თუ კაცმა არ და-
აყენა, ზევაად იქცევა და სხვა ყვე-
ლაფერს თან გაიტანს, ოთარაანთ
ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნ-
დავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა
ხელი ჰკრა და დააგორა იმ მა-
ღალ მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარი-
ტი დედა-შვილური სიყვარული
ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!

დედას შვილი ისევ ლოგინში
მწოლარე ეგონა, როცა — აქაო-და
შვილი არ გამოვალდიოო — ბნელ
სახლიდამ ფეხ-აკრებით გარედ გა-
მოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის
დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა,
რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკ-
ლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს. გი-
ორგის თავისებურად ამოედო თავ-
ქვეშ ორივე ხელები, პირ-აღმა იწვა
ფეხებგაშოტილი და კაკლის მაღალ
შტოებს შესცქეროდა. ყუი-

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

მიგორავს

მატულობს
დიდდება

სადგურობს

საკით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი
ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდა-მო-
დიოდა წყნარად და აუჩქარებ-
ლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო
ტოლ-ამხანაგებს ეძებნო ხელი-
ხელს გადასაბმელად.

— შვილო, ამდგარხარ კიდევ!
მე კი ისევ ქვეშაგებში მეგულეობ-
დი. ვერც კი დაფხედე შენს
ქვეშაგებს, არ გავალვიძო-მეთქი.

— ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩე-
მი ექენ, ძილმა თავისი. არ იქნა,
არ დამეძინა. გამიხარდა, რომ გა-
თენდა და გარედ გამოვედი.

დედა მივიდა, თავთ დაუჯდა
შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა.

— რაღაც ნაღველი გაქვს, შვი-
ლო, რაღაც ნაღველი... წუხელის
შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

— მართლა-და, ძილში ჰლაპა-
რაკობდი, — შორს გადუგდო სი-
ტყვა გიორგიმ.

გიორგის უხაროდა, რომ დედა
ფიქრით შორს წაუვიდა და ჰცდი-
ლობდა უკან აღარ დაბრუნებუ-
ლიყო, კიდევ მე არ ჩამაცვიდესო.
ის კი არ იცოდა, რომ ცოდოს ხსე-
ნებაზედ დედას ელდა ეცა. ოთარა-
ნთ ქვრივმა ყურები აცქვიტა,
ცოდო რად ახსენაო. ჩვეულება და
ჭირვეულება ფიქრმა ხელ-ახლად
დაჰქროლა და მოუშუშა გული.

გიორგი მაშინვე წამოჯდა,
თითქო ცეცხლი შეუცეთესო. პირ-
ველი მაგალითი იყო, რომ მისმა
გულ-გაუტეხელმა დედამ თავი შე-

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

დავპხედე

ცდილობდა

თაკილობდა

აბრაღა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთა-მძლეთა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა! ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა. გიორგის ეოცა, გაუკვირდა.

ტიროდა

შეწუხდა გიორგი. ჩაუფიქრდა თავის თავს — დროა თქმისა, თუ არაო.

— დედი, წამოიძახა ბოლოს შვილმა: — მოჯამაგირედ მინდა დავდგე. გული შინ აღარ მიდგება.

— ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა? საიღამ საღაო? ხომ საუღავში გადატრიალდა მამაშენი სირცხვილისაგან.

— ამას ვშიშობდი, დედიჩან, რომ გაწყენდი... მეც შემებრაღე, ადამიანი ვარ.

— მერე რა წაგეკიდა სამაგისო? შვილმა თავი ჩაღუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვა-სავით გაუბრინა რაღაცა ფიქრმა.

— მერე ვისთან აპირებ დგომას? — ჰკითხა ხელახლად დედამ.

— ერთად-ერთი სახლია. ან იმ ან არსად არ.



უცნაური ნასკვი

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდან. სწავლა იქ შეესრულებინა. ველარც დედას მოუსწრო, ველარც მამას. ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-და ჰყვანდა და დაძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავ სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ზალზიას, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თვითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ზოლმე მოწონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგებდნენ.

— პატივ-საცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არა ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეციოთხნათ, როცა კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს სამურად ჰქონდა ეს თავაზიანი

პროექტის მიხედვით
იყოს;

ცხოვრობდნენ

დაპრჩათ

მოკითხვა, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ, როცა ამათხედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

— ჭკუა აქვთ და იმიტომია.

გიორგის ამბებიც არა-ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, — გლეხ-კაცობაში საიღამ და როგორ უნდა დაწულყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

— „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“, ეტყოდა ხოლმე დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცენელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ბოლოს.

— გიორგი ვიანლათ, მოახსენა ერთს საღამოს მოსამსახურემ არჩილსა.

ვინ გიორგი? — ჰკითხა არჩილმა.

— ოთარაანთ ქვრივის შვილი.

— მობრძანდეს.

შემოვიდა გიორგი და, ქუდ-მოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

— აი ვაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! უთხრა მხიარულად არჩილმა.

ჰროექტის მიხედვით უნდა იყოს:

მიჰსვლიათ

თქვა

— ნუ მიოცებთ კი და თქვენთან
ყოფნა მწადიან.

— რას ამბობ, კაცო!— ჰკითხა
მართლა გაოცებულმა არჩილმა: შე-
ნის ოჯახის პატრონი და მოჯამაგი-
რედ დგომა, — ვის გაუგონია.

— მერე დედაშენი? — იკითხა არ-
ჩილის დამა.

— დედაჩემი... დედაჩემსა
სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ვე-
ლარ გაუტეხივარ.

— მამყოფებთო!.. ორისავე ხე-
ლით, სიხარულით. შენისთანას სად
ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დე-
დაშენი მალონებს.

— მადლობელი ვარ. მაშ მშვი-
დობით ბრძანდებოდეთ. ამ
დღეებში გიახლებით.

— ჯამაგირი? სთქვი, რა მოგ-
ცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

— რაცა ვლირდე, ის მომე-
ცი.

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაი კა-
ცობას არ გასწყდეს?!

— არა უშავს-რა! რაც დამაკ-
ლოთ, ალალი იყოს თქვენზედ,
გულს არ დამაკლდება. მშვიდობით
ბრძანდებოდეთ.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი
და მაშინვე გავიდა.

დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰ-
ხედეს.

— ეს რა ამბავია? ჰკითხა
დას არჩილმა.

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

თქვი

— არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

— უთუოდ ფული რამ დასჭირებიათ.

— რომ არა კთხოულობს!

— ეგეც კი. ჩვენ კი ბედი გვეწია, რომ მაგისტანა კაცი ვიშოვეთ და ოთარაანთ ქვრივს როგორ-ღა გადუქრჩებით, არ ვიცი.

დამადა ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურ ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

XVI

აღბად!

გავიდნენ კიდევ დღენი და თთვენი. დადგა მაძლარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაჭრებად, — მალეო, თორემ ვ დ უ ღ ვ ა რ თ და გა დ მ ო ვ დ უ ღ ვ ა რ თ ო. დაიკრება ვენახებიც, დაიწურა ყურძნები, და ჰ დ უ ღ და მაჭრები. მის წყ და სოფელში ხმამალალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელიხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მი-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

თხოულობს

დადულდა მიწყდა

ჩ უ მ დ ა, თითქო მოიღალა და მო-
ჩქანცაო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შე-
ება, თივას აზიდვინებდა და შინ
ეზოში, გომურის შორიასლო, ბოძებ-
ზედ შემდგარს მაღალ სათივეზედ
ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი
არ მისწვდეს და არ გააფუ-
ქოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცი-
ლებოდა ჩასასვლელად, იქ, მთის
წვერზედ შემდგარიყო, თითქო
ჰნანობს, — რას ვეშურები და
ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად
ვეთხოვებო.

არჩილი და კესოც გამოსულიყვ-
ნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათი-
ვესთან, იქ ერთს უშველებელ კუნ-
ძზედ ჩამომსხდარიყვნენ და უცქე-
როდნენ მუშებს, რომელნიც თივასა
ს დ გ ა მ ე დ ნ ე ნ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყ-
ვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან
ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც.
კესოსათვის არა ერთხელ უთქვამს,
რომ მე იმათგან ზოგჯერ ჰკუთასა და
ხშირად ენასა ვ ს წ ა ვ ლ ო ბ ო.

ოთხი ურემი ოთხ-კუთხივ მოს-
დ გ ო მ ო დ ა სათივეს. სამი დაც-
ლილი იყო და ერთი დამ-ლა აწვდიდ-
ნენ თივასა. შუა-სარი სათივისა ორ
ადღზე-ლა ჰჩ ა ნ დ ა და სათივე
ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმე-
ლად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზედ
გაედო და მოდიოდა.

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

ნანობს

დგამდნენ

ჩანდა

— პეტრე, აი პეტრე! დაუძახა შორილამ თივის მდგმელს: ბალისა-კენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორე.

— გიორგია. საილამ იძახის? იკითხა არჩილმა, რადგანაც იმ მხრივ, საილამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

— საილამ მოსდის არ თობით მხარზე? ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მოვიდა და საღაშო-მშვიდობისა უთხრა დამასა. — რას იძახოდი?

— არაფერს. ცოტა თანაბრად ვერ აღის ვიწროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

— აბა მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრილამ შეახედა.

— მართალი ხარ, უთხრა გიორგის არჩილმა: პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა-სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელ-მომავრებულმა გარშემო შემოუთარა და ჩახედ-ჩამოხედა და სიმრგვლივ სათივეს.

— აკი ღმერთი არ გამწყრომი!

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

ჩაჰხედ-ჩამოჰხედა

დაიძახა პეტრემ: გასწორება უნდა. მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ველარ მოვასწორობ და საქმის სახვეალი-ოდ დაგდება კი მეზარება.

— კაცო-და, ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? ას ძახა გიორგიმ.

— მაშ ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

— იცი კი დადგმა თივისა? ჰკითხა კესომ ამ უამად აქ მოსულმა: ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

— ხელობა რა არის, ქალბატონო! შეჰკლიმა გიორგიმ: განა სად გავიზარდე!

— მაშ აბა! უთხრა არჩილმა: ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის ჰალეზამდე ფეხის მოსაკიდებლად. როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზედ ხელი დაჰკრა და ტყბილის გულით უთხრა:

— ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეყარება. სხვა არა იყოს-რა, მამიშენის ხნის კაცი ვარ. ეჰ, შვილო და ძმაო, კაცი რომ

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

იყოს:

დაბერდება
დადოს

დაპბერდება, შვილდი უნდა
ძირს დასდოს.

— რაღაო? ჰკითხა გიორგიმ.

— მაღაო, ჩემო კარგო, რომ ბერ-
კაცს თვალიც ატყუებს და ხელიც
ჰლაღატობს, ის ქარი აღარა
აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში
ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი
მომსვლოდა!

— ახალსა ნამუდრაგალსა ბერის
სჯობია ჩანჩალიო, გულს ნუ გა-
იტეხ.

— გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც
იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვე-
ბი ველარ გაიგონა, მაშინვე ავარ-
და ურემზედ, ორ-თითით მოიწე-
დინა თივაზე სარტყელსავით ჩამო-
კიდებული წნელი და თვალის და-
ხამხამების უმალ სათივეს ზედ თავ-
ზედ მოექცა. მიშალ-მოშალა,
ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადა-
ბლა სათივე და რაკი ჰნახა, —
აქედამ ეხლა სწორედ ავაო, და-
იწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოე-
ფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავი-
სი საქმე გაათავა.

— ცეცხლია, სწორედ ცეცხლი,
ე დალოცვილისშვილი! ეუბნებოდა
არჩილს გულ-მართალი პეტრე, რო-
ცა ქვევიდამ შესცქეროდა გა-
მალებულს მუშაობას გიორგისას.

— მართლა კარგი რამ არის, კვე-
რი დაუკრა არჩილმა.

— კარგიო! ბადალი არა ჰყავს,
ბადალი ამ სოფელში!

ჩამოყარა
ნახა

გიორგიმ რომ გაათავა, გაღ-
მოსძახა პეტრეს:

— აბა, პეტრე, ერთი შენებუ-
რად დაუარე სიმრგვლივ, კარგად
შემოკვერცხილია, თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და
ასძახა:

— კარგია, კარგი. ჩამოდი, მა-
გას სხვა აღარა უნდა-რა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს,
ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა
წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სა-
თივედამ. შუამდე მოვიდა თუ არა,
უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი,
პირაღმა გადმოქცეული, წამოვი-
და მაღლიდამ და ურმის ჭალს
ზედ დაეგო ზურგითა. ჭალმა ვერ
გაუძლო. გადატყდა, მაგრამ
ზურგის ძვალი კი შეუზგრია...

არჩილი, კესო, ხალხი მის-
ცვივდნენ და გიორგი ცოცხალ-
მკვდარი ჰნახეს დედამიწაზედ
პირ-ქვე დამხობილი, სისხლი შად-
რევანსავით სცემდა.

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებ-
ზედ დაეცა გიორგის წინ და სცდი-
ლობდა წყლული შეეხვია. ზოგი
არჩილმა, ზოგი სხეებმა, როგორც
იყო, წყლული შეუხვიეს, — ცოტა
არ იყო, სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალ-მკვდარი გიორგი და
გულ-შემოყრილი კესო ცალ-ცალკე
შეიტანეს ხელით სახლში.

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

დაქიმა

ნახეს

ცდილობდა

ბაზი-აჩუკი

(ნაწყვეტი 1900 წლის გამოცემის მიხედვით)

თავი მეხუთე

მრისხანებით აღტაცებული შაჰ-აბაზი ცეცხლითა და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო: ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა. ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა — დაიღუპა. სიბრალული აღარსად იყო და მდინარეებს სისხლის ღვარი ერთოდა. ამ უბედურებამ ლანგ-თემურის დროებსაც კი გადააჭარბა... მძვინვარე შაჰიმ, რაც გასწყვიტა, გასწყვიტა და, რაც არა, ათასობით და ათიათასობით სპარსეთში გადაასახლა! ამით მოადგილედ ულუსები გადმოასახლა და გაღმა-გამოღმა ალაზნის პირები დაიჭირა. მაჰმადიანები ყოველის მხრით ულოცავდნენ გამარჯვებას ირანის ლომს, მაგრამ თვითონ ლომს კი გული უკუნესოდა: „ეს გამარჯვება დამარცხებაზედაც უარესია — ამბობდა გუნებაში — აი სად ვიგრძენ ჩემი უძლურება! ერთზე ათი მომყავს, ათზე — ასი და მაინც ვერასა ვხდები! ჩემი მთავარი ძალ-ღონე შემოვალზე მარტო ამ კა-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

გაწყვიტა, გაწყვიტა

ხეთს და ეს ხომ მცირედი ნაწილია საქართველოსი! მაშ მთელი საქრისტიანო როგორღა ჩაეიგდო ხელში?

ჰმ! თქმა ადვილია! რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია დასულს ხორცზე მალა აყენებს? საარაკო ლანგ-თემურმა მზოლოდ აქ იგრძნო თავისი კოჭლობა, როცა ამ პატარა „ქვეყნის ქვაკუთხედს“ წამოჰკრა ფეხი. ვაი თუ ირანის ლომმაც აქ ამოიჭუს კუდი?!

სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე! იქ, სადაც ლომის ტოტი ვეღარას სთესავს, შელიის კუდმა უნდა მოიმკოსო!“ ასე გადასწყვიტა ძლიერმა და კიდევ შესცვალა თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საქვეშქვეშო-სავერაგოზე.

ყენის უხვმა წყალობამ დააბრმავა კახეთი. კუჭმა გულს სძლია, სულმა ხორცს დაუთმო და ნელ-ნელა, „დღეს-ხვალეობით“ ქვეყანამ შეტოპა საფრთხეში... არც ნიჭი, არც ცოდნა და არც სხვა რამ კაცური ღირსება არა სჭრიდა... ამას ხედავდა შაჰ-აბაზი და გულში იცინოდა. სიკვდილის შემდეგაც ანდერძად დაუგდო მემკვიდრეებს ირანის ლომმა იგივე პოლიტიკა და მიტომაც ერთ საუკუნესაც არ გაეგლო ჯერ, რომ აღმოსავლეთი საქართველო ნახევრად გათათრდა:

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

თესავს

გადაწყვიტა შეცვალა

ჭრიდა

შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი! ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა! ენა შეიბღალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდევ ერცხვინებოდათ... სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის და ვალობის კილო შეიცვალა, მღვდელმთავრების მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძღვრებად — მოლა-ყადები. ამან ყოველივემ გარყვნა ხალხი.

საკენკით მიტყუებული და ალერსით თვალახვეული კახეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ თანვე იგრძნო თავისი უძლურებაც და გაკმიდა ხმა. — „სულ არაობას ცალუღელი ხარი სჯობიაო“ — სთქვა თავის სანუგეშებლად და წაუშვირა კისერი უღელს! ვინც ადრე ამილახვრობას, ამირეჯიბობას, ეშიკალაბაშობას და ამირბარობას არად აგდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა. სიღარიბე უფრო მაღალ წოდებას და ეტყო და სიმშობლით გამწარებული თავად-აზნაურობა დაბალ წოდებას დააწვა თავზე... ერთმანეთშიაც ისე აირ-დაირიენ, რომ სისხლ-ხორცობა აღარასა ჰნიშნავდა და ნათესავი ნათესავს აღარ ჰზოგავდა, ოღონდ-კი ჩამორჩენოდა რასმე! — თავის წმინდანები რომ აღარ აგონდებოდათ, „ყუენის თავის მზეს“ ფიცულოზდნენ! და, თუ აქაიქ სადმე თავად-აზნაურობაში რი-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

თქვა

ნიშნავდა
ზოგავდა
ჩამოჰრჩენოდა

გიანი ვინმე გამოერეოდა, ჯერ კიდევ გადაურჯულებელი და სამშობლოს მოჭირისუფლე, თავისიანებსავე არ მოსწონდათ და უკიცივნებდნენ. — გლეხობას-კი, იმ მუშა ხალხს, რომელიც ყოველ დღე მამაპაპების მოწამურ სისხლს, სამშობლოს შთა-ბარზე მსხვერპლად დათხეულს, პატიოსან შრომის ოფლს აღვრიდა, არ ჰქონდა. ჯერ კიდევ საერო კავშირი გაწყვეტილი... მზად იყო, რომ კვარციით ანთებულყო, და უცდიდა მხოლოდ ნაპერწყლებს, საიდანმე მონაკვესს! ამ დროს, სწორედ ამ დროს, სცხოვრობდა კახეთში ახმეტის მემატონე, ბიძინა ჩოლაყაშვილი, ბუნებისაგან უნაკლულად შემკული, რომლის გულიც ვერაფრით ვერ მოიგეს თათრებმა, ვერც რისხვითა და წყალობით. კახელებს უკვირდათ მისი ახირებულობა და ათვალწუნებული ჰყავდათ...

„გაგონილაო“ — ამბობდნენ თავადები — „ბედი კარზე მისდგომია და ეგ-კი ჭირვეულობს... შინ არ უშვებსო! ყუენის თავის მზემ, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგის ადგილას, რომ ქვეყანა გავაკვირვოთ და მტრებს თვალეზი დავუყენოთ“. ამისთანაები რამ ბევრი ესმოდა ბიძინას, მაგრამ ხმას არ იღებდა... მხოლოდ ნაღვლიანად აქნევდა თავს.

ერთ დღეს ბიძამისი ჯანდიერი ესტუმრა. ეს ჯანდიერი ისეთ კაცთაგანი იყო, რომელიც აქეთაც არის

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

ცხოვრობდა

იყოს:
ხნავს
ფარცხავს

და იქეთაც: დროს შეჰყურებს!
ხან წალმა ჰხნავს და ხან უკულ-
მა ჰფარცხავს! თათრების წყა-
ლობით გადიდკაცებულს დიდი გავ-
ლენა ჰქონდა კახეთზე... თით-
ქმის პირველი ვეზირი იყო მთავარ-
მართებლის! მის უკითხავად ფე-
იქარ-ხანი წყალსაც არ დააქცევდა
და ახლაც თურმე იმას გამოეგზავნა
მოციქულად ჩოლაყაშვილთან. სა-
დიღზე ნელ-ნელა სიტყვა შეაპარა
მასპინძელს და გამოიწვია სალაპა-
რაკოდ: „ჩემო დისწულო, — უთხრა
სხვათა შორის — მე მხოლოდ შენი
ახირებულობა მაკვირვებს!

— კაცია და გუნება, ბიძაჩემო! მე
აქაც კმაყოფილი ვარ! ცოტა წმინდა
მირჩვენია ბევრ უწმინდურს!

— შემცდარი ხარ! შეხედე
სხვებს, როგო ჰხმართ ბენ დროს
და რა რიგადა ცხოვრობენ!..
ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ყვენის
თავის მზე!.. დღეს, მისის წყალო-
ბით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურ-
სა სჭამს.

— ჰმ! შინ ლუკმას გვაცლიან პი-
რიდან და გარედან კი ნასუფრალს
გვიყრიან ძალღებსავით.

— რომ ეგეც აღარ გვექნეს, ხომ
სიმშობლით ამოვწყდებით?!

— უწმინდურ სიტოცხლეს მე
წმინდა სიკვდილი მირჩვენია და, სა-
ნამ მოვკვდებოდე, მანამდე
მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი
ლუკმა როგორმე დავიბრუნო.

შეჰხედე
ხმარობენ

ჰამს

— გვიანლა არის, ჩემო დისწულ-
ლო! ძალა აღმართსა ჰხნავსო,
არ გაგიგონია? ეგრე აღარ ჰფიქ-
რობს ქვეყანა და შენ ერთი, მარ-
ტო, რას გააწყობ? ნათქვამია: „ერ-
თი მერცხლის ქიკვიკი გაზაფხულს
ვერ მოიყვანსო“.

— გაზაფხულს ვერც ერთი მო-
იყვანს და ვერც ათასი! მაგრამ თვი-
თონ გაზაფხულს-კი ერთიც მოჰ-
ყავს და ათასიც. ეგებ ჩვენი გა-
ზაფხულიც მოდიოდეს! დღეს
მე ვარ ერთი, ხვალ ათი იქნება და
ათასი!

— კეთილი, მაგრამ ხშირად ადრე
მოფრენილ მერცხალს სუსხი
სცემს და სიცივე ჰკლავს.

— მესმის, ბიძაჩემო, მაგრამ მა-
ინც ჩემდათავად გაზაფხულის მახა-
რობლობის დროს სიკვდილი მირ-
ჩვენია ზამთრის წინასწარმეტყვე-
ლობაში მედიდურად სიცოცხლეს!
ვიცი! განა არ ვიცი, რომ დიდკაცო-
ბა ტკბილია? სად თეირანი და სად
ახმეტა?! იქ ყოველიფერი თვალს
იტაცებს, გრძნობა-გონებას ჰხიბ-
ლავს და კუჭს ატყობს... მაგრამ
კიდევ მაგისი მეშინია! არ მინდა,
რომ ის გადამივარდეს გულიდან,
რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს
და ვეტრფოდე... ვგრძნობ რა-
ღაც ერთ სისხლსორცობას მათთან!
ვგრძნობ და ჭირს ადვილად ვი-
ტან! ამის სამაგიეროს რას მომცემს
უცხოეთი?!. ტკბილია თქვენი შარ-
ბათები, მაგრამ ვერ გავცვლი

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

ხნავსო)
ფიქრობს

კლავს

ხიბლავს

იმ ჩემ ღვინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი! და ჩემს სამშობლოს რომ გავშორდე, სადღა მივიღო?! არა, ბიძაჩემო, არა! ისინი ჩვენთვის უცხო არიან და ჩვენც იმათთვის!

ეს რომ სთქვა, წამოვარდა ზეზე, გავარდა აივანზე და დაიწყო გიჟივით სიარული... ჯანდიერმა გადააქნია თავი, „ვაიმე, ჩემო დისწულო, რა კაცი იღუპებიო?!“ სთქვა მწუხარებით, გამოვიდა კარში, შეჭდა ცხენზე და გაუდგა გზას.

დიღხანს იბორგა გაბოროტებულმა ბიძინამ და რომ დაიღალა, დღე და ღამის გაყრის დროს, ჩამოჯდა ტახტზე და გადახედა ალაზნის პირებს. ბნელი თანდათან იჭერდა არემარეს... თვალი სინათლესა ჰკარგავდა, მაგრამ სამაგიეროდ ყური ძალას იჩენდა... ალაზნის უხუილი ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეჰხვნიეშის მის გარეშემოს! ცაზე ვარსკვლავები აკიაფდენ! მთვარე ჯერ კიდევ ისევ მთას ეფარა... მაგრამ ცოტაოდნად კი შემოსცინა ცის კიდეს. ეტყობოდა, რომ შორს აღარც ის იყო... აქვე ახლოს გაისმა შოლტის ტკაცუნი და ზედ „ოროველას“ დიღინი მოჰყვა. „მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ერთი მშობლიური ხმა მესმის! — სთქვა ამოოხვრით ბიძინამ — დიდი ხანია,

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

გავშორდე

თქვა

თქვა

გადაჰხედა

კარგავდა

თქვა

რაც ახალმა ცხოვრებამ გადა-
 ფხიკა კახელის გულისფიცარზე
 დღემდე ღრმად დაბეჭდილი მისი
 ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქ-
 რები! ტყბილი ჩანგური და სალა-
 მური ზურნა-ჭიანურმა ჩაყლა-
 პა! მხოლოდ ეს ორი სავალალო
 ხმა, „ორველა“ და „მუმლი მუხა-
 სა“, კიდევ შეჰრჩენია მუშა
 ხალხს... ამ დროს თავი ამოჰყო
 გადაღმიდან მთვარემ... ნელ-ნელა
 გადმოეშვა მთის წვერზე, სამკურნა-
 ლოდ მიჰფინ-მოჰფინა სხი-
 ვები ცა და ქვეყანას, გამოაღვიძა
 სიბნელეში სულგანაბული არემარე,
 დაჰქროლა ნიავმა, აბიბინდა
 მდელო, აშრი აღდენ ფოთ-
 ლები, შეიჩხენ ბუჩქები და ერთ-
 ხმად შეუჭიკჭიკეს ბულბულეზმაც!
 გზაზე გამოჩნდა ურემი...
 ნელ-ნელა მოდენიდა მეხრე
 კამეჩებს და „ლილინს“ სათვალავს
 უხშირებდა: „ნუ ეძალები წყალ-
 დიდსა, უნდა იძებდე ფონებსო!
 ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი
 მოიგონებსო!“ შემოსძახა მა-
 ლალის ხმით და თან „ხიოც“ მიაყო-
 ლა შოლტის გატლაშუნებით. — ბი-
 ძინა შეკრთა, უცბად წამოდ-
 გა ზეზე და ზეცას დაუწყო ყურე-
 ბა... დიდხანს ხმას არ იღებდა, ბო-
 ლოს — თითქო გამოერკვაო — წაი-
 ლაპარაკა: ეს რა გავიგონე?! მიწამ
 შემომტყორცნა, თუ ცამ ჩამომბერა
 ეს საგულისხმო სიტყვები? „ხერხი
 სჯობია ღონესო!“ საიდანაც უნ-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

ამოყო

და იყოს, სულ ერთია... უგანგებოდ
ცაცა და მიწაც, ორივე მუნჯია! ჩე-
მი დიდი ხნის გრძნობა-გონების ჭი-
დილი ამ ორმა სიტყვამ უნდა გა-
დასწყვიტოს? დიახ! დიახ!
„ხერხი სჯობია ღონესაო!“ ხერ-
ხი! ხერხი! მაგრამ ხერხი საქვეყნო
და არა საპირადო! ციურნო მნათნო!
თქვენ იყავით მოწამე ჩემი განზრახ-
ვის და თავმდები ჩემი მოქმედების!
თქვენ კიდევ ჩასული არ იქნებით,
რომ მე მორჩილებით მივმარ-
თავ ალი-ყული-ხანს.

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

გადაწყვიტოს

მივჰმართავ

შვლის ნუკრის ნაამბობი

(ნაწყვეტი 1899 წლის გამოცემის მიხედვით)

III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდამ ადგა და მი-
თხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით,
დავყევეთ წვრილიანს სერს, ჩა-
ვიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში.
ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ
ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნა-
პირებზე ხეები ერთმანეთზე გადა-
კვანძულიყო წვერებით. ხის ძირებ-
ზე, იქვე ხევის პირად, ყოლის ფეს-
ვები იყო ამოსული, წითლად თავი
დაეხარათ და გადმოჰყურებ-
დნენ წყლის დენას. ცივი ანკარა
ხევი მოჩუხჩუხებდა გალი-
პულს ქვებზე, ერთის კლდიდამ შე-
ორეზე გადადიოდა, გუბდებ-
ოდა.. დედაჩემი მივიდა და ჩად-
გა შიგ გუბეში. მე ძლივს დაე-
დიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკი-
ოდა.

— მოდი, შვილო, ჩადექ წყალ-
ში, საამურია სიცხეში წყალში დგო-
მა.

მე მივედი და კრძალვით ჩავს-
დგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი სა-
შინლად ცივი იყო და გადმოვ-
ხტი ისევ უკან.

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

დავპყევით

ჩავდგი

— ცივია, არ შემოდლიან დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო! ცოტახანი დავდექი წყალში, და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

— ეგ საშიში ხალხი არ არის, მითხრა დედამ: ერთი დედა-კაცი და პატარა ბაღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წერილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ დავენახვებით. დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომიტმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვეიდან ხმა მომესმა: „ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“

— ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო? ჰკითხავდა დედა. — აგე, ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდან! — თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

— უი, შენ-კი გენაცვალოს დედა, მგელი-კი არ არის, შვლის ნუცრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!

— დავიჭიროთ, შენი ჭირიმეო, — ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

— არა, გენაცვალოს დედა, ცოლოა, შვილო, როგორ იქნება, განამაგას არა ჰყავს დედა! ხომ

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

უნდა იტიროს იმან თავისს შვილ-ზედ!

მე სულ-განაბული ყურს ვუგდებ-დი და მიამა, რომ გავიგონე ერთად ერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მიხდოდა ყური მეგლო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავ-ლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ სი-ცოცხლეს. საბრალო დედაჩემი წი-ნაღვე ჰგრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

IV

შეკუთნტრუშდა დედაჩემი, შეკუთნტრუშდი მეც და გავ-სწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ლა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყო-ლიაო!“

შეუდექით შამბიანს, ბუერბიანს გვერდობს. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვსწუხდით. დავ-წექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარეშემო შე-მორტყმული მთების წვერებიდამ ამოცვივდნენ ღრუბლები, შე-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

გრძნობდა

ვწუხდით

იყარნენ ერთად. ცამ დაიგრილა, იჭექა, ელვა გაიკლაცნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოვდა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარემომოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტყლაშატყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ველარ ჰბედავდნენ ჰიკჰიკს, ცელქობას. საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მამინებდა წინათ, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჭდა გულ-წითელი ჩიტი, „წიფლის ჩიტა“, უწყინარი, უვნებელი, ლაბუა. მშვენივრად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიბრანა“ და „წრიბ, წრიბ“ შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზედ ლონიერი ის მეგონა, ეხლა-კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შეუდე-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

ბედავდნენ

ქით ველის პირებს, გავსწიეთ
მთისკენ. ტყბილი ხმა ისმოდა სალა-
მურისა. მთის ძირზე გაშლილიყო
ცხვარი და ტყბილად სძოვდა
ახლად დანამულს ბალახს. მზე გო-
რის პირას იყო ჩამალული ნახევ-
რამდე. იმისი მკრთალი სხივები
მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს
ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჭდა
ნაბადწამოხვეული მეცხვარე და შე-
ექცეოდა სალამურს. იმის გვერდით
წამოყუნტებულყო ბანჯღვლიანი,
საზარელი შესახედავი ძაღლი; ცო-
ცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის
ფარას და ხანდახან აჩერდებოდა
აღერსიანად თავის პატრონს.

— ცუდს ადგილას მოვედითო, —
მითხრა დედაჩემმა: — მეცხვარე უი-
არალოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგ-
რამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს
და იქნება გამოგვეკიდოსო. მობ-
რუნდი უკან. თვალი გეჭიროს:
თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახ-
ვები და შენ ბალახებში ჩაიმალო.
ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრ-
თხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება.
მე ხშირისა და დაბერებულის არჯა-
კელის გროვაში ჩავიმალე და არ
ვამორებდი თვალს იმ კუდ-ბუთქვა
ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და
ძაღლის წყმუტუნე ერთი იყო.
სცქვიტა ყურები და გამოექანა
ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კვილი. მე
ავკანკალდი. დედაჩემს შეას-

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

ძოვდა

ცქვიტა

წრო თვალი და გაეჭანა იმისკენ. დედაჩემი გასრილდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულ-მა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუ-გი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის აღმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისა-კენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიართყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხანს შემდეგ, ცის ტატანზე* დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელ-ენა გადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

— მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემი დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშპირი. ! დქაზნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაი-დამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ველარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედაჩემის ხმასა გვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორია-ქებული მოიჭრა ჩემთან.

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

წეწს

ჰგვანდა

* ჰორიზონტს ეძახის ხალხი.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინი-
ან, შენი დედა ცოცხალია. ძალი
და მგელი ვერაფერს დააკლებენ...
ცოცხალი ხარო? — მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, ვუბასუხე მე.
მიაღერსა დედამ... ნეტა ვის
შევეტირო, ვის შევეხვეწო, ვინ
არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩე-
მის თვალეებში ჩამახედოს, დამატკ-
ბოს იმისის აღერსით!

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავ-
რი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს
მეც მოვეკალი! რისთვის და ვ რ ჩ ი
მე ცოცხალი!?

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით
სავსეს ჩემს ნუგეშს შევესტრ-
ფოდი, და რა მომაგონებდა, თუ
მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუ-
დამოდ!

V

მთელი ღამე დავდიოდით
ველზე. აღარ გვეშინოდა; გავედით
სვილში და ტკბილად შევექცეოდით.
თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში.
წყეული იყოს იმ დღის გათენება!
ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში
იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჭგუფ-
ჭგუფად ეხვეოდენ ჩიტები, შაშვე-
ბი; ქვილ-ხვილი ისმოდა; ზოგნი
მოდოდნენ და ზოგნი მი-
დიოდნენ, მიეზიდებოდნენ შვი-
ლებისთვის საზრდოს. დედამ გამა-
ფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ
დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწ-

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

შევესტრო

ვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გვეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისაგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგერძნობდა. მოჰკვნიტდა ერთს ფოთოლს და გაყუჩდებოდა.

უცებ, როგორც ცის ჰექამ, იგრილა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წყრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯა-

პროექტის მიხედვით უნდა იყოს:

წუხდა
გრძნობდა.

ტოვებდა

ლი და გამომეშახა. შეიღო
კისერზედ და გასწია. მე დავი-
წყე ტირილი. გული შემიწუნდა.

მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ;
ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში;
დავდივარ და შეფსტირი
ხეებს, მთასა, კდეებს, დავსტირი
წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის
დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვე-
ლარა ვხედავ, ვარ ობოლი და,
ვინ იცის, ვინ დამებატონება, ვინ
შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

პროექტის მიხედვით უნდა
იყოს:

2. ერთი სინტაქსური საკითხის ვაშლი¹

დიდი საქმეა სალიტერატურო ენის შექმნა, მისი მოვლა და სწორი გზით წარმართვა. დღევანდელი სალიტერატურო ქართული მრავალი საუკუნის ზმარებისა და დამუშავების შედეგია და უნდა ითქვას, რიგიანიც. მაგრამ მას ახლავს ზოგი ნაკლი, რაც უდაოდ გამოსასწორებელია.

მახსოვს, ათი წლის წინათ გავბედე და დაგებედე, რომ საჭიროა მამის მამას ან დედის მამას ახალ სალიტერატურო ქართულში პაპას ვუწოდებდეთ, და არა ბაბუას-მეთქი („თბილისი“, 28, 12, 1958)². მოწმედ „ვეფხისტყაოსნის“ ენა მოვიყვანე და აღმოსავლური კილოები. ატყდა ერთი ამბავი. როგორ თუ პაპა? ბაბუა უნდა იყოსო, ბრძანეს, დაწერეს და დაბეჭდეს კიდევ. და მერმე კაი ხნის შემდეგ, როცა თბილისის ერთ სკოლაში ბავშვებმა „ბაბუა აკაკი“ დამიძახეს, კინალამ მუხლები მომიყვეთა.

ამისთანა მარტივი საკითხი რომ საკამათოდ გადაიქცევა, სხვა უფრო რთული საკითხი როგორღა უნდა გადაწყდეს!

ნინდა ამ წერილში ერთ სინტაქსურ საკითხზე ჩამოვაგდო საუბარი. მაგრამ ღირს კი? თითქო არა, იმიტომ რომ თვალი შეეჩვია კითხვას, ხოლო ყური მოსმენას ისეთი გამოთქმებისას, რომლებიც სრულიად უხამსია და არაბუნებრივი ქართულისათვის, მაგრამ ჩვეულებრივი კი გახდა. გახდა იმის წყალობით, რომ მომვლელი არ ჩანს, არ ჩანს ძალა, რომ რაც მიუღებელია, შეაკავოს და უკუაგდოს, და რაც სავარგისია

¹ „ლიტერატ. საქართველო“, 1968, 15 ნომბ. № 46.

² ეს წერილი ამ კრებულშიც არის გადმობეჭდილი (გვ. 95).

და მისაღები, ის გვიჩვენოს და გვასწავლოს. ენა მიგდებულია თავის დინებას. მიდის და მიდის და აივსო, გაიჭედა უცხო ენების შემოტანილი ფორმებით და გამოთქმებით. რაღა გამოასწორებს!

ქართული სალიტერატურო ენის უახლესი პერიოდის განვითარებას რომ თვალყურს ვადევნებ, ვხედავ, რომ, ვისაც ევალებათ სადაო საკითხები სამზეოზე გამოიტანონ და საჯარო განხილვის საგნად გახადონ, ამას გაუბიან და, რაკი სალიტერატურო ქართული წლების მანძილზე თავის დინებაზეა მიგდებული, რა გასაკვირველია, რომ იგი აივსოს შეუფერებელი ფორმებით და გამოთქმებით, რომლებიც უცხოა ქართულისათვის, მაგრამ ჩვეულებრივი გახდა და ჩვენდა უნებურად „დაკანონდა“. არც ის იქნება გასაკვირველი, რომ ამგვარად „დაკანონებული“ ფაქტები „ობიექტურად“ შეაფასონ, ნორმად გამოაცხადონ და მათი მოხმარება თავს მოგვახვიონ.

ერთი ასეთი საყოველთაოდ გავრცელებული და თითქმის სავესებით „დაკანონებული“ მოვლენაა მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა, ან თანდებულის გათიშვა სახელისაგან, რაც გაუგონარი ამბავი იყო ძველად, როცა სალიტერატურო ქართული ბუნებრივად, თავისი საკუთარი გზით ვითარდებოდა. მსაზღვრელ-საზღვრულის არაბუნებრივი გათიშვა — ეს ქართული ენის ერთი სინტაქსური წყობის გამრუდებაა, რომელსაც დღეს, მგონი, სულხან ორბელიანიც კი ვერ გამოასწორებს, რომ საფლავიდან წამოდგეს და ქართული ენის ნორმათა მოწესრიგების საქმეს მოჰკიდოს ხელი.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ამოღებულია დაბეჭდილი წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან. არც ერთი არ არის ჩემი მოგონილი. ოღონდ ავტორებს არ ვასახელებ, არც წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, რომ არავის ეწყინოს, რატომ სხვა მოიხსენა და არა მეო, რომელსაც არანაკლები დეაწლი მიმიძღვის ასეთი ფორმების ხმარება-დამკვიდრებაში.

მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს უმეტესად ისეთი საზღვრული, რომელიც საკუთარი სახელია და მსაზღვრელად ახლავს საზოგადო სახელი. ავიღოთ მარტივი მაგალითი: „თამარ მეფე“. ამ წყვილში

პირველი საზღვრულია („თამარ“), მეორე კი — მსაზღვრელი („მეფე“), მამასადამე, რიგი ასეთია: საზღვრულ-მსაზღვრელი. შეიძლება სიტყვები გადავსვათ და ვთქვათ: მეფე თამარ, ან უახლესი ქართულით: მეფე თამარი. თვითეული მათგანის ბრუნება ასეთი იქნება:

| | |
|------------|------------------------------------|
| თამარ მეფე | მეფე თამარ(ი) |
| „ მეფემ | „ თამარმა |
| „ მეფეს | „ თამარს |
| „ მეფის | „ მეფე თამარის (ან: მეფის თამარის; |
| „ მეფით | „ თამარით (ან: მეფით თამარით) |
| „ მეფედ | „ (თამარად?) |
| „ მეფევ | „ თამარ (მეფევ თამარ) |

ამ ორი შესაძლებელი ტიპის ბრუნებისაგან პირველი უფრო მარტივია და უფრო ბუნებრივი, ყველა ბრუნვა მისგან უფრო ადვილად კეთდება. საკუთარი სახელი (საზღვრული) უბრუნველია, იბრუნვის საზოგადო, მისი მსაზღვრელი. მეორე შემთხვევაში კი შექცეული ვითარებაა: თითქმის უბრუნველია საზოგადო სახელი, იბრუნვის კი საკუთარი. მაგრამ ეს უფრო ძნელი და მოუხერხებელია, ვიდრე პირველი.

ამის კვალობაზე ითქმის: „კავკაზ“ გაზეთი, „კავკაზ“ გაზეთს, „კავკაზ“ გაზეთმა, „კავკაზ“ გაზეთში, „კავკაზ“ გაზეთის და მისთ. იმიტომ რომ „კავკაზ“ საკუთარი სახელია, „გაზეთი“ კი საზოგადო და ასეთ შემთხვევაში სჯობს, საკუთარი წინ დაისვას და საზოგადო — შემდეგ.

განსაკუთრებით საჭიროა ასეთი რიგის დაცვა თხზულებათა სათაურების მოყვანისას. ერთ წიგნში წამიკითხავს: „ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შეყვარებულში“ მონადირე არწივის მინართავს შემდეგი სიტყვებით“, ან კიდევ: „მოთხრობაში „მთის წყარო“ ვაჟა-ფშაველა მიგვიითიუბს“. აქაც პირველადგილზეა საზოგადო სახელი („მოთხრობა“), საკუთარი სახელი კი („შეყვარებული“, „მთის წყარო“) — მეორეზე. თანაც პირველ შემთხვევაში იგი უბრუნველია, მეორეში — ნაბრუნ-

ნები. ერთგვარად რომ ყოფილიყო გაკეთებული, გვექნებოდა ან ასე: მოთხრობაში „შეყვარებული“, მოთხრობაში „მთის წყარო“, ან ასე: მოთხრობა „შეყვარებულში“, მოთხრობა „მთის წყაროში“. მაგრამ არსებითად არც ერთია მოსაწონი და არც მეორე. საკუთარი სახელი (მოთხრობის სათაური) უნდა დაისვას პირველ ადგილზე¹ და იგივე წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: ა) ვაჟა-ფშაველას „შეყვარებულ“ მოთხრობაში მონადირე არწივს მიმართავს შემდეგი სიტყვებით; ბ) „მთის წყარო“ მოთხრობაში ვაჟა-ფშაველა მიგვითითებს.

წყობა აქ ისეთივეა, როგორც „თამარ მეფე“, „დავით აღმაშენებელი“, „თორნიკე ერისთავი“, „დიმიტრი თავდადებული“ და მისთ. და თუ სიტყვების ასეთი შეწყობა მისაღებია და მოსაწონი, უნდა მოვიწონოთ და მისაღებად მივიჩნეოთ „მთის წყარო“ მოთხრობაში ვაჟა-ფშაველა მიგვითითებს და მისთ., რადგანაც ამგვარად დაწყობილი სიტყვების მოხმარება სხვადასხვა წინადადებაში, ვიმეორებ, უფრო ბუნებრივია და უფრო ადვილი; მაგ., „მთის წყარო“ მოთხრობის შინაარსი; ვაჟა რომ თავის „მთის წყარო“ მოთხრობას წერდა; „მთის წყარო“ მოთხრობამ; „მთის წყარო“ მოთხრობით და სხვ. თუ ამგვარ რიგს დავიცავთ, თავიდან ავიშორებთ ისეთ უმსგავს ნათქვამს, როგორიცაა: „ია ეკალაძე, სახალხო სახლში წარმოდგენილი პიესის „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“-ის ავტორი“. როგორ შეიძლება გასწორდეს, რომ ასეთმა უხამსმა წინადადებამ ყური არ შელახოს? შეიძლება, მაგალითად, ასე: „ია ეკალაძე, სახალხო სახლში წარმოდგენილი „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“ პიესის ავტორი“, სადაც საკუთარი სახელი („ნომერი ოცდაერთი ჯვრით“) პირველ ადგილზეა, ხოლო საზოგადო სახელი („პიესა“, რომელიც საკუთარს განსაზღვრებაა) — მეორეზე.

საკუთარი სახელი (საზღვრული) შეიძლება ძალიან დიდი იყოს და შედგებოდეს მთელი გავრცობილი წინადადებისაგან, ან მისი ნაწილისაგან და მას ახლდეს მსაზღვრელი, ვთქვათ ასეთი: „ამ გამოგონების შექმნაში საბედისწერო როლი შე-

¹ ასეთ შემთხვევაში თანხმობაზე ფუძე-გათავებული სახელი მოიკვეცს სახელობითის დაბოლოებას (ი-ს).

ასრულა რუსთველის ტაეპის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (9,1) ცალმხრივმა გაგებამ“. აქ უთუოდ პოემის მეცხრე შაირის პირველი ტაეპის გაგებაზეა საუბარი. თუ ფრჩხილებში ჩასმულ რიცხვსაც წავიკითხავთ, გვექნება: „რუსთველის ტაეპის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (ცხრა, ერთი) ცალმხრივმა გაგებამ“. ერთი მიბრძანებით, რა აზრია ამ სიტყვებში? რასთან არის შეწყობილი სიტყვები „ცალმხრივმა გაგებამ“? რა თქმა უნდა, „ტაეპის“ სიტყვასთან: რუსთველის ტაეპის ცალმხრივმა გაგებამ. მაგრამ შუაზე რომ ამოღენა სიტყვებია უმსგავსოდ ჩაჩხირული, იმას რა ვუყოთ? ხომ არ უშველის საქმეს, რომ მოყვანილი ტაეპი და აგრეთვე ფრჩხილებში ციფრებით ნაგულისხმევი სიტყვები ნათესაობით ბრუნვაში დავსვათ, ვთქვათ ასე: „რუსთველის ტაეპის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (ცხრა ერთის) ცალმხრივმა გაგებამ“? ვერა, ვერ უშველის, რადგანაც სიტყვების წყობა მაინც მრუდვე გამოვიდა და გაუმართავი. როგორ გავმართოთ? შეიძლება სხვადასხვაგვარად. ერთი მათგანი ასეთი იქნება: „ამ გამოგონების შექმნაში საბედისწერო როლი შეასრულა რუსთველის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (9,1) ტაეპის ცალმხრივმა გაგებამ“. შეიძლება ასეთი გასწორება არ მოეწონოს ბევრ ვინმეს, მაგრამ სალიტერატურო ენის ფორმების მოწონება-დაწუნება არა მარტო გემოს ამბავია, არამედ ცოდნისაც.

ზოგჯერ ფრჩხილებშია ჩასმული მსაზღვრელ-მსაზღვრულის გამთიშველი სიტყვები, რომლებიც სიტყვების ბუნებრივ წყობას არღვევს და აზრს აბნელებს. მაგალითი: „ამის უეჭველ დადასტურებად მას მიაჩნია წამების მეორე (მიქაელის პორტრეტი) და მესამე (აბდ-ალ-მალიქ ამირ-მუმლის ამოსვლა ბაღდადიდან იერუსალიმში მთელი თავისი მეფური ბრწყინვალეებით) თავები“. აქედან ჩანს, რომ მეორე თავში მიქაელის პორტრეტზე ყოფილა საუბარი, ხოლო მესამე თავში აბდ-ალ-მალიქ ამირ-მუმლის ამოსვლაზე ბაღდადიდან იერუსალიმში მთელი მისი მეფური ბრწყინვალეებით. ავტორს თავების შინაარსი ფრჩხილებში ჩაუსვამს. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, როგორ არის გათიშული სიტყვები „მეორე“ და განსაკუთრე-

ბით „მესამე“ მათთან აზრობლივად დაკავშირებული სიტყვებ-
ბისაგან: მეორე (...) და მესამე (...) თავები. განა შეიძლება
ასე დამახინჯდეს ენა? არა, არ უნდა დამახინჯდეს, მას შევე-
ლა უნდა, რომელიც თითქო არსაიდან ჩანს. მაგრამ მაინც შე-
ვეცადოთ გასწორებას. მე მგონია, რომ ფრჩხილებში ჩასმუ-
ლი სიტყვები შეიძლება დამოკიდებულ წინადადებად ვაქცი-
ოთ: „ამის უეჭველ დადასტურებად მას მიჩანია წამების მე-
ორე თავი, სადაც მიქაელის პორტრეტზეა საუბარი, და მე-
სამე თავი, სადაც მოთხრობილია აბდ-ალ-მალიქ ამირ-მუმლის
ამოსვლა ბაღდადიდან იერუსალიმში მთელი მისი მეფური
ბრწყინვალებით“. ამით თავიდან აცილებული იქნება მსაზღ-
ვრელ-საზღვრულის არაბუნებრივი გათიშვა (მსაზღვრელი ამ
შემთხვევაში რიგობითი რიცხვითი სახელით არის წარმოდ-
გენილი).

ფრჩხილებით არ უნდა გაითიშოს მსაზღვრელ-საზღვრუ-
ლი, როგორც, მაგ., ამ შემთხვევაში: „აბუსერიძეთა გვარში
ხუაშა ერქვა გრიგოლ II-ის (1130—1180) ცოლს“. ეს წინა-
დადება, სადაც მსაზღვრელ-საზღვრული გრიგოლ II-ის წლე-
ბით არის გათიშული, შეიძლება ასე გასწორდეს: აბუსერიძე-
თა გვარში ხუაშა ერქვა ცოლს გრიგოლ II-ისას (1130—
1180)¹.

ფრჩხილების ნაცვლად ზოგჯერ ტირებს მიმართავენ,
რომლებშიც ჩასმულია სათაური რომელიმე თხზულებისა,
ვთქვათ, ასეთი: „თემის — რუსეთის რევოლუციური მოძრა-
ობის დასაწყისი. დეკაბრისტების აჯანყება — სწავლება“.
მკითხველს გაუჭირდება, მაგრამ შეიძლება მაინც მიხვდეს,
რომ აქ საუბარია, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს თემა:
„რუსეთის რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი. დეკაბრის-
ტების აჯანყება“, მაგრამ როგორ უცნაურად გაუთიშავს ავ-
ტორს სიტყვები, რომლებიც ერთად უნდა იყოს, ე. ი. თემის
სწავლება! რას ჰგავს ეს? რად მიჩლუნგდა ბუნებრივი ალლო,
რომ ასეთი ქართულით არ წარვდგეთ საზოგადოების წინაშე?
შეიძლება განა, რომ ამ ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავ-

¹ მხოლოდ ეს ერთი წინადადება მაქვს ამოღებული დაუბეჭდავი
თხზულებიდან.

შირებულ სიტყვას შორის მოთავსდეს ორი წინადადება, რომლებიც წერტილით არის გაყოფილი? რა თქმა უნდა, არა!

ან ავიღოთ კიდევ ასეთი წინადადება, სადაც ისევ ტირე-ებია მოხმობილი გაჭირვების ტალკვესად: „წიგნების სერიის — „ქართველები დიდ სამამულო ომში“ — გამოშვებით გამომცემლობა „ნაკადულმა“ დიდი საშვილიშვილო საქმე წამოიწყო“. ეს წინადადება პირდაპირი თარგმანია რუსული ფრაზისა: „Выпустив в свет серию книг „Грузины в Великой Отечественной войне“, издательство „Накадули“ предприняло дело, имеющее большое значение для будущих поколений“.

ჯერ ერთი, გამომცემლობა „ნაკადულმა“, თუ „ნაკადულ“ გამომცემლობამ? რა თქმა უნდა, ეს მეორე („ნაკადულ“ გამომცემლობამ) უფრო შეეფერება ქართული ენის ბუნებას და მის სინტაქსურ წყობას. ესლა მეორე: საუბარია წიგნების სერიის გამოშვებაზე. ამ სერიას ჰრქმევიან „ქართველები დიდ სამამულო ომში“. ნუთუ არ შეიძლება ეს წინადადება ისე გაკეთდეს, რომ ქართული ენა არ „წაზდეს“? შეიძლება და კარგადაც შეიძლება. ერთი გადაკეთება, მაგ., ასეთი იქნება: „ნაკადულ“ გამომცემლობამ დიდი საშვილიშვილო საქმე წამოიწყო იმით, რომ გამოუშვა წიგნების სერია „ქართველები დიდ სამამულო ომში“ (აქ საზოგადო სახელი „სერია“ უსწრებს საკუთარს, მაგრამ სახელობით ბრუნვაშია და არა უშავს, თუმცა, რომ გადაისვას, აჯობებს:... რომ გამოუშვა „ქართველები დიდ სამამულო ომში“ წიგნების სერია).

ეხლა ეს ვნახოთ: „რესპუბლიკის გამომცემლობის მიერ გამოშვებულმა წიგნმა „არსენას ლექსი“, რომელიც შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ბანძელაძემ, ლაიფციგის კონკურსზე — „მსოფლიოში უმშვენიერესი წიგნი“ (1967 წელი) — მიიღო საერთაშორისო დიპლომი“. ჯერ ერთი: „წიგნმა „არსენას ლექსი“ ქართული არ არის. ახლა მეორეც: არც შემოკლებით მოცემული სიტყვებია გამართული ქართულად: „საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა“. „სსრ“ რომ დაეწერთ სრულად, ე. ი. ის, რაც ამ ასოებით იგულისხმება, გვექნება: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. ჩავსვათ იგი წინადადებაში: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამსახურებულმა

მხატვარმა“; ცხადია, შეცდომაა; უნდა: საქართველოს საბჭო-
თა სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებულ-
მა მხატვარმა. მაშასადამე, თუ სრულად დავწერთ, გვექნება
ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სიტყვა. რა ბევრი მტკი-
ცება უნდა, რომ იგივეა საჭირო შემოკლებით დაწერისასაც:
საქართველოს სსრ-ის დამსახურებულმა მხატვარმა. ახლა მე-
სამე: ტირეებში ჩასმული სიტყვები — „მსოფლიოში უმშვე-
ნიერესი წიგნი“ — სახელი ყოფილა კონკურსისა, მაშასადამე,
ეს ყოფილა „მსოფლიოში უმშვენიერესი წიგნის კონკურსი“,
რომელიც ლაიფციგში 1967 წელს გამართულა. თუ გავითვა-
ლისწინებთ ზემოთ ნათქვამს, ეს უცხო ენის კვალობაზე ქარ-
თული სიტყვებით შედგენილი წინადადება შეიძლება ასე
გაღმოქართულდეს: „რესპუბლიკის გამომცემლობის მიერ
გამოშვებულმა „არსენას ლექსმა“ (ან: „არსენას ლექსის“
წიგნმა), რომელიც შეასრულა საქართველოს სსრ-ის დამსახუ-
რებულმა მხატვარმა ა. ბანძელაძემ, მიიღო საერთაშორისო
დიპლომი ლაიფციგის „მსოფლიოში უმშვენიერესი წიგნის“
კონკურსზე (1967 წ.)“. შეიძლებოდა სხვაგვარადაც გაღმო-
გვექართულებინა, მაგრამ ამჟამად ეს ვიკმაროთ.

ეხლა ეს: „ზოგიერთი ცნობა ამის შესახებ მოიპოვება
კ. დონდუას („ადილური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვა-
ნურში“, გვ. 185). და მ. ქალდანის („სვანური ენის ლახამუ-
ლური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი“, გვ. 167)
შრომებში“. ზემოთ მოყვანილი წინადადება შეიძლება სულ
უბრალოდ შევასწოროთ, რომ აზრიანი ქართული გამოვიდეს:
„ზოგიერთი ცნობა ამის შესახებ მოიპოვება კ. დონდუას
შრომასში („ადილური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“,
გვ. 185) და მ. ქალდანისაში („ლახამულური კილოკავის გრა-
მატიკული თავისებურებანი“, გვ. 167).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რომ გათიშული იყოს სა-
ხელის ფორმა თანდებულისაგან ან თანდებულად გამოყენე-
ბული სიტყვისაგან. მაგალითი: „ლ-ს დაკარგვისა და სპირან-
ტიზაციის ფაქტი ამჟამადაც მოქმედი პროცესია ამ სიტყვაში
ზოგი დიალექტის (კერძოდ, ჯავახურში, ასეა თურქულშიც)
მიხედვით“. მიაქციეთ ყურადღება: სიტყვები „დიალექტის
მიხედვით“ გათიშულია შუაზე ჩასმული სიტყვებით. მე ვერ

ვახერხებ გასწორებას. ეგების თქვენ დამეხმაროთ, მკითხველო!

ასეთი მაგალითებით არის ავსებული, ძვირფასო მკითხველო, ქართული წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი. რაღა თავი შეგაწყინოთ! მოვკრი მოკლედ: ძალიან გამრუდდა ქართული სინტაქსი, ქართული ენა უფრო მეტად „წახდა“, ვიდრე მე-12 საუკუნის ბერძნული ენის ფორმებით გონება-დაბრმობილი ზოგი ლიტერატორის ნაშრომში, სადაც ასეთ ფრაზებს გვთავაზობდნენ: „თქუა ჩემდა მომართ“, „თქუა მათდა მიმართ“, „თქუეს მისდამი“ და მისთ., ნაცვლად იმისა, რომ არა ბერძნული სიტყვები ეთარგმნათ, არამედ ბუნებრივი ქართულით ეწერათ: მრქუა მე, ჰრქუა მას, ჰრქუეს მათ და მისთ., ან ასე: მითხრა მე, უთხრა მას, უთხრეს მათ და მისთ.

მკითხველი დამეთანხმება, რომ უთუოდ გადამჭრელი და სასწრაფო ზომებია მისაღები აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

3. პეიმი „დალანდი“¹

გალაკტიონ ტაბიძის ერთ ადრინდელ ლექსში იკითხება:
გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ.

არა მგონია, რომ ვინმეს ყურს ეხამუშოს ასეთი წინადადება, რადგანაც „გემით დალანდი“ და მსგავსი შეწყობა სიტყვებისა ჩვეულებრივია დღევანდელ ქართულ წიგნში, ყურნალსა და გაზეთში, თეატრის სცენაზე, მოხსენებათა და ლექციების დროს, მეგობრულ საუბარსა და სხვა შემთხვევაშიც.

რაკი ჩვეულებრივია, ბევრი იფიქრებს, იგი წესიერი და კანონიერიცაა და ფიქრადაც არავის მოსდის, რომ, პირიქით, ასეთი წყობა სრულიად არ შეეფერება ბუნებრივ ქართულს. მეტიც შეიძლება ითქვას: ასეთი წყობა სრულიად არღვევს ქართული სინტაქსის წესებს და საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება გამრუდებული ხაზის გამოსასწორებლად. მართლაც, დავუკვირდეთ საქმეს. გალაკტიონის ლექსიდან მოყვანილ მაგალითში გემზეა საუბარი. გემი ქვეყანაზე ბევრია, მრავალნაირი და სხვადასხვა დანიშნულებისა (სამგზავრო, სატვირთო, საკვლევადიებო, თევზთსაჭერი, სამხედრო და სხვ.), მაგრამ „დალანდი“ ერთი მათგანის სახელია, იმ გემისა, რომლითაც გალაკტიონს უმოგზაურია. ეს „დალანდი“ საკუთარი სახელია. სხვა გემებს თავ-თავისი სახელი აქვთ, ვთქვათ „საქართველო“, „სომხეთი“, „აფხაზეთი“ და სხვ. მაგრამ ეს სახელები შეიძლება სხვა რამესაც ერქვას, მაგ., გაზეთს, სას-

¹ „დროშა“ 1969, № 3.

ტუმროს, ანხანაგობას, საზოგადოებას, გამომცემლობას, სამეცნიერო წრეს და სხვას. ამ სახელებს ხშირად ცალკე ვხმარობთ და წინადადებაში ვიყენებთ სხვადასხვა ბრუნვის ფორმით; ვთქვით, გაზეთზეა საუბარი, რომელსაც „კავკაზი“ ჰქვია: „კავკაზი“, „კავკაზმა“, „კავკაზს“, „კავკაზით“, „კავკაზად“, „კავკაზო“. მაგრამ, თუ გვინდა განვსაზღვროთ და ვთქვათ, რომ საუბარია გაზეთზე და არა სხვა რამეზე, მაშინ საკუთარი და საზოგადო სახელი, რომელიც საკუთარს საზღვრავს, ორგვარად შეიძლება შევუწყოთ ერთმანეთს: ჯერ საკუთარი ვთქვათ და შემდეგ საზოგადო; გვექნება: „კავკაზ“ გაზეთი (უსწრებს საკუთარი სახელი, მოსდევს საზოგადო); ან პირუტყვ: ჯერ საზოგადო, შემდეგ კი საკუთარი: გაზეთი „კავკაზი“. თუ პირველ წყობას ავიღებთ, მათი ერთად ბრუნება ასეთ სურათს მოგვცემს: „კავკაზ“ გაზეთი, „კავკაზ“ გაზეთმა, „კავკაზ“ გაზეთს, „კავკაზ“ გაზეთის, „კავკაზ“ გაზეთით, „კავკაზ“ გაზეთად, „კავკაზ“ გაზეთო. როგორც ვხედავთ, ასეთი რიგით ხმარებისას საკუთარი სახელი უტველელი რჩება, იბრუნვის საზოგადო.

ესლა შებრუნებული რიგით ვაბრუნოთ იგივე სიტყვები: გაზეთი „კავკაზი“, გაზეთმა „კავკაზმა“, გაზეთ „კავკაზს“, გაზეთ „კავკაზის“, გაზეთ „კავკაზით“, გაზეთ „კავკაზად“, გაზეთო „კავკაზო“. ასეთი რიგით საკუთარმა სახელმა ყველა ბრუნვის ფორმა გვიჩვენა, წინამავალმა საზოგადომ კი — რამდენიმე: სახელობითისა (გაზეთ-ი „კავკაზი“), მოთხოვითისა (გაზეთ-მა „კავკაზმა“), წოდებითისა (გაზეთ-ო „კავკაზ-ო“).

აქედან ცხადია, რომ პირველი რიგი (როცა საკუთარი სახელი პირველ ადგილზეა) უფრო ადვილია საბრუნებლად: უბრუნველია საკუთარი სახელი, ბრუნვის ნიშნებს კი საზოგადო სახელი მიიღებს. ამიტომ ამ ორი შესაძლებელი კონსტრუქციიდან უფრო მისაღებია პირველი და მას უნდა მიეცეს უპირატესობა და ფართოდ გაეხსნას გზა სახმარებლად. ამ რიგს (ჯერ საკუთარსა და მერე საზოგადოს) ჩვეულებრივ ყველანი ვიცავთ სახელისა და გვარის ერთად ბრუნების დრის: ცალკე აღებული პირის სახელი, „დიმიტრი“ იქნება იგი „ილია“, „ნინო“ თუ სხვა, იბრუნვის: დიმიტრი, დიმიტ-

რიმ, დიმიტრის და სხვა, ილია, ილიამ, ილიას და სხვ. ნინო, ნინომ, ნინოს და სხვ. მაგრამ გვარის დამატებისას (თუ გვარი მეორე ადგილზეა) ეს სახელები უბრუნველი იქნება: დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანმა, დიმიტრი ყიფიანს, დიმიტრი ყიფიანის, დიმიტრი ყიფიანით, დიმიტრი ყიფიანად, დიმიტრი ყიფიანო; ილია ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძემ, ილია ჭავჭავაძეს, ილია ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძით, ილია ჭავჭავაძედ, ილია ჭავჭავაძევ; ნინო ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძემ, ნინო ნაკაშიძეს, ნინო ნაკაშიძის, ნინო ნაკაშიძით, ნინო ნაკაშიძედ, ნინო ნაკაშიძევ.

საკმარისია გადავსვათ სახელი და გვარი, რომ სხვა ვითარება აღმოჩნდეს: ყიფიანი დიმიტრი, ყიფიანმა დიმიტრიმ, ყიფიანს დიმიტრის და სხვა. მაშასადამე, ორივე სიტყვას გაუჩნდა ბრუნვის ნიშანი. ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ორ ბრუნვას ადვილად ვერ ვაწარმოებთ, ან თუ ვაწარმოებთ, როგორღაც გვიჭირს მაინც მათი ხმარება: ყიფიანით დიმიტრით, ყიფიანად დიმიტრად; უფრო შესაძლებელია მათი დაყენება წოდებითში: ყიფიანო დიმიტრი. ყველაზე უფრო საქმე მაშინ ჭირს, როცა თანდებულებანი ბრუნვა სახმარებელი; ჩვეულებრივია ასეთი შეწყობა: დიმიტრი ყიფიანისაგან, მაგრამ შებრუნებით როგორღა ვთქვათ: ყიფიანისაგან დიმიტრი, ყიფიანის დიმიტრისაგან, ყიფიან დიმიტრისგან, თუ სხვაგვარად? ამიტომ ვარჩევთ, ჯერ სახელი ვთქვათ და გვარი შემდეგ მივაყოლოთ: დიმიტრი ყიფიანისგან, დიმიტრი ყიფიანთან, დიმიტრი ყიფიანის შემდეგ და მისთ.

ასეთივე ვითარება გვაქვს, თუ სახელთან ერთად, გვარის ნაცვლად, წოდების, თანამდებობისა და ხელობის აღმნიშვნელ სიტყვებს ან ეპითეტებს ვხმარობთ: ბაგრატ მეოთხე, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, ბექა ათაბაგი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი, დავით რექტორი, თევდორე მღვდელი, გოგია მეჩონგურე, ალექსი მენახშირე, ჩაღბო მჭედელი და მისთ. ჩვეულებრივია ასეთი წყობა: თამარ მეფემ, დავით აღმაშენებელმა, ბაგრატ მეოთხემ, ვახტანგ მეექვსემ და მისთ.

და იშვიათია: მეფემ თამარმა, აღმაშენებელმა დავითმა, მეოთხე ბაგრატმა, მეექვსე ვახტანგმა და მისთ.

სამაგიეროდ, ზოგიერთ შემთხვევაში ისე განმტკიცდა წოდების წინ წამოწევა, რომ მისი გადასმა აღარ შეიძლება, ასეთია საზოგადო სახელები: პროფესორი, დოცენტი, ლექტორი. დღეს ჩვეულებრივია ასეთი რიგი: პროფესორი მელიქიშვილი, დოცენტი ჭუბაბრია, ლექტორი ვარდოსანიძე. ასეთი რიგის გამტკიცებას უთუოდ იმან შეუწყო ხელი, რომ გვარებს ჩვენ სახელის შემდეგ ვხმარობთ, მეორე ადგილზე, და არა პირველზე, როგორც ეს არის ზოგიერთ ენაში (მაგ., ოსურში, უნგრულში).

ეს ელემენტარული ცნობები სასკოლო გრამატიკიდან იმიტომ მოვიყვანე, რომ უცხო ენების გავლენით ძალიან დაირღვა ქართული სინტაქსი და ზოგჯერ დიდ გასაჭირში ვცვივდებით, რადგანაც ძალიან გვიძნელდება, სწორად გამოვთქვათ ჩვენი აზრი. რომ აგრეა, დავრწმუნდებით, თუ კარგად დავაკვირდებით ამ წერილის სათაურის ფორმას.

გალაკტიონმა რომ დაწერა გემით „დალანდი“, ამით მან საზოგადო სახელი („გემით“) წინ დააყენა, საკუთარი („დალანდი“) კი — შემდეგ, ე. ი. მან პირველი სიტყვა მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მოიყვანა, მეორე — სახელობითის ფორმით. წესის თანახმად, ესეც მოქმედებითში უნდა დაეყენებინა (გემით „დალანდი“ მოვლიოდი სამშობლოსაკენ), მაგრამ სახელობითის ფორმით იხმარა, როგორც ეს არის სხვა ბრუნვიან ენებში. (მაგ, რუსულში, გერმანულში). ასეთი გაშთქმეა არც გალაკტიონის ყურს ეხამუშა. არც მის თხზულებათა რედაქტორ-კორექტორებისას და არც მკითხველისას. არ ეხამუშა იმიტომ, რომ ბევრი ჩვენგანი ქართულ სიტყვებს კი ხმარობს, მაგრამ უცხოურ წესზე. ზოგს ქართულზე უფრო რუსული ეხერხება და იქიდანვე გადმოაქვს სიტყვების წყობაც. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ გალაკტიონს ასე დაეწერა:

„დალანდ“ ხომალდით მოვლიოდი სამშობლოსაკენ“,

მაგრამ მან ამჯობინა ის წყობა, რომელიც რუსულის გავლენით არის დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულში. მსგავსი წყობისაა შემდეგი მაგალითები, რომლებიც ამო-

კრებილია გაზეთებიდან და წიგნებიდან: 1) რუბრიკით „ბიბლიოგრაფია“ დაბეჭდილია, 2) განყოფილებაში „ხელოვნება“ დაბეჭდილია, 3) ავტორმა სტატიაში „ერთი წერილის გარშემო“ დაასაბუთა, 4) რუბრიკით „თბილისის სიგნალის შემდეგ“ რედაქციამ გამოაქვეყნა, 5) მოთხრობაში „მთის წყარო“ ვაჟა-ფშაველა მიგვითითებს, 6) გამოთქმას „ულამოსა ნათელსა“ თეოლოგიური შინაარსი გამოაცალა რუსთველმა, 7) განყოფილებაში „ლიტერატურული კალენდარი“ წარმოდგენილია, 8) წერილში „დაკარგული მოედანი“ მოყვანილი ფაქტი სიმართლეს შეეფერება და მისთ. ამ მაგალითებში საკუთარი სახელი მეორე ადგილზეა და ის სხვა ბრუნვის ფორმითაა მოყვანილი, ვიდრე საზოგადო, რომელიც უსწრებს. ამას ბევრად აჯობებდა, რომ მეორე ადგილზე დასმული სახელი გვებრუნებინა, მის წინ მდგომი საზოგადო კი — არა, მაგ., ასე: 1) რუბრიკა „ბიბლიოგრაფიაში“ დაბეჭდილია; 2) განყოფილება „ხელოვნებაში“ დაბეჭდილია; 3) ავტორმა სტატია „ერთი წერილის გარშემო“-ში დაასაბუთა; 4) რუბრიკა „თბილისის სიგნალის შემდეგ“-ით რედაქციამ გამოაქვეყნა; 5) მოთხრობა „მთის წყაროში“ ვაჟა-ფშაველა მიგვითითებს; 6) გამოთქმა „ულამოსა ნათელსა“-ს თეოლოგიური მნიშვნელობა გამოაცალა რუსთველმა; 7) განყოფილება „ლიტერატურულ კალენდარში“ წარმოდგენილია; 8) წერილ „დაკარგულ მოედანში“ მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეეფერება და მისთ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ჭრის ყურს, როცა საზოგადო სახელი რომელიმე ბრუნვის ფორმითაა მოყვანილი (თუ ეს ბრუნვა არ არის სახელობითი) და მას მოსდევს საკუთარი სახელი სახელობითში, ვთქვათ ასეთი: აღნიშნული თავისებურება სიტყვისა „მონა“ გვაფიქრებინებს.

ქართული ენის სიტყვათა ბუნებრივი წყობის თანახმად სჯობს, საკუთარი სახელი გადაისვას მეორე ადგილზე, საზოგადო კი პირველ ადგილზე ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი (ხმოვანზე გათავებულ სახელებში ფუძე იგივეა, რაც მათი სახელობითი, თანხმოვანზე გათავებულებს კი უნდა ჩამოეკვეცოს სახელობითის დაბოლოება -ი). მაგრამ არსებითად არც ეს არის მისაღები. ქართული ენის ბუნებრივი სინ-

ტაქსური წესის თანახმად წინ უნდა დავსვათ საკუთარი სახელი და მომდევნო საზოგადო კი ვაბრუნოთ. მაგალითი: ი. გოგებაშვილმა თავის „იავნანამ რა ქმნა“ მოთხრობაში ის აზრი გაატარა, რომ... (და არა ასე: ი. გოგებაშვილმა თავის მოთხრობაში „იავნანამ რა ქმნა“ ის აზრი გაატარა, რომ...).

თუ დამიჯერებენ ავტორები, მთარგმნელები, რედაქტორები და სტილისტები, ზემოთ მოყვანილი მაგალითები ასე უნდა შესწორდეს: 1) „ბიბლიოგრაფია“ რუბრიკით დაბეჭდილია; 2) „ხელოვნება“ განყოფილებაში დაბეჭდილია; 3) ავტორმა „ერთი წერილის გამო“ სტატიაში დაასაბუთა; 4) „თბილისის სიგნალის შემდეგ“ რუბრიკით რედაქციამ გამოაქვეყნა; 5) „მთის წყარო“ მოთხრობაში ვაჟა-ფშაველა მიგვითითებს; 6) „ულამოსა ნათელსა“ გამოთქმას თეოლოგიური შინაარსი გამოაცალა რუსთველმა; 7) „ლიტერატურულ კალენდარ“ განყოფილებაში წარმოდგენილია; 8) „დაკარგულ მოედან“ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეეფერება და მისთ.

თუ დამიჯერებენ-მეთქი, დავწერე. არ დამიჯერებენ და რა გაეწყობა! ძალა აღმართს ხნავს და სიტყვების ქართულ წყობასაც რომ ძალა დაადგეს, ცხადია, ბუნებრივი ქართული სინტაქსის სწორი ხაზი გამრუდდება, რაც მეტად სამწუხარო ამბავი იქნება.

ზემორე თქმულის შემდეგ მივხედოთ, თუ როგორი ქართულით არის გადმოცემული უკანასკნელ დროს კოსმოსში ფრენის დიდებული ამბები, რომლებიც „სოიუზ 4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის გმირულ მოქმედებასთან არის დაკავშირებული. მაგალითები გაზეთებიდან: 1) დღეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ზომალდი „სოიუზ 4“. ამ მაგალითში „სოიუზ 4“ საკუთარი სახელია, რომელსაც საზღვრავს საზოგადო სახელი „ზომალდი“. ორივე სახელი სახელობითია დასმული, ამიტომ წუნის დადება არ შეიძლება. სიტყვები კარგად შეწყობილია ერთმანეთთან.

მაგრამ საკმარისია სხვა ბრუნვაში გადავსვათ, რომ თავი იჩინოს ერთგვარმა სიძნელემ:

2) 14 იანვარს 15 საათისათვის ზომალდმა „სოიუზ 4“-მა

სამჯერ შემოუფრინა დედამიწას. აქ ორივე საჯელი მოთხრობითშია დასმული და ურიგოდ ნათქვამი არ არის, მაგრამ აჯობებს, რომ სიტყვები გადავსვათ და ვთქვათ: „სოიუზ-4“ ხომალდმა სამჯერ შემოუფრინა დედამიწას.

3) კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის ბორტის სისტემები. აქ ნათ. ბრუნვის ფორმასთან გვაქვს საქმე და ცუდად არ არის ნათქვამი, მაგრამ ჩემი აზრით აჯობებს, რომ ასე დავაწყოთ სიტყვები: კოსმოსური „სოიუზ-4“ ხომალდის ბორტის სისტემები. („სოიუზ-4“ ასე უნდა წავიკითხოთ: „სოიუზ-ოთხ“).

4) კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-4“-თან დამყარებულია საიმედო ორმხრივი რადიოკავშირი. აქ არის „თან“-დართული მიცემითის ფორმა; თუ გადავსვამთ „ხომალდს“, წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: კოსმოსურ „სოიუზ-4“ ხომალდთან დამყარებულია საიმედო ორმხრივი რადიოკავშირი.

5) ხომალდ „სოიუზ-4“-ში მთავრდება მუშაობა ფრენის პირველი დღის მიხედვით. აქ არის ში-დართული მიცემითი. სიტყვების გადასმის შემთხვევაში წინადადება ასეთი იქნება: „სოიუზ-4“ ხომალდში მთავრდება მუშაობა ფრენის პირველი დღის მიხედვით.

6) კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-დან დედამიწაზე ტელეგადაცემის მორიგი სენსის დროს. აქ არის გამოსვლითი ბრუნვის ფორმა (ეს ბრუნვა წარმოშობით გან-დართული მოქმედებითია (ოთხით-გან—ოთხიდან). გადასმის შემთხვევაში მივიღებთ შემდეგს: კოსმოსური „სოიუზ-4“ ხომალდიდან დედამიწაზე ტელეგადაცემის მორიგი სენსის დროს.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როცა საკუთარი სახელი თანხმოვანზე თავდება, მას ი ხმოვანი, რომელიც სახელობითის ნიშანია, წაერთმევა ყოველთვის. მაგალითად ავიღოთ გამომცემლობა, რომელსაც სახელად ჰქვია „მერანი“. თუ ეს სიტყვა პირველ ადგილზეა, გვექნება: „მერან“ გამომცემლობა, „მერან“ გამომცემლობამ, „მერან“ გამომცემლობას, „მერან“ გამომცემლობისაგან და მისთ. ამის მიხედვით „სოიუზ-4“ ასე უნდა წავიკითხოთ: „სოიუზ-ოთხ“ ხომალდი, „სოიუზ-ოთხ“ ხომალდმა, „სოიუზ-ოთხ“ ხომალდს, „სოიუზ-ოთხ“ ხომალდიდან და მისთ.

ასეთი წყობით რომ ვბეჭდოთ ყურნალ-გაზეთებში მოყვანი-
ლი ტიპის კონსტრუქციები სამი-ოთხი თვის განმავლობაში,
მკითხველის ყური ისე შეეჩვევა ქართული ენის ბუნებრივ
სინტაქსურ წყობას, რომ აქამდე ხმარებული შეუფერებელი
წყობა აღარ დაუჭრდება ჭკუაში.

შეიძლება კიდევ ბევრი რამ ითქვას დღევანდელი სალი-
ტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ
ამჟამად ეს ვიკმაროთ.

21. I. 1969

4. სიტყვას მტკვარი

(კვლავ სინტაქსური წყობის გამრუდების შესახებ)¹

წერილში, რომელშიც იმავე საკითხს ვეხებოდი, რასაც ამაში², მაგალითები ისე მოვიყვანე სხვადასხვა პირთა ნაწერებიდან, რომ არავინ დამისახელებია. მისაყვედურეს: უნდა დაგესახელებიაო. ეხლა ვასწორებ შეცდომას, რომელიც მაშინ მომივიდა, მაგრამ ვაი თუ ეხლა დასახელებული პირები დამემდურნენ: რალა ჩვენი ნაწერებიდან ამოიღე მაგალითებიო! რა ვქნა! ორ ცეცხლს შუა ვარ. მაგრამ ქართული ენის სიყვარული უფრო მწვავს და უნდა დავიმოწმო რამდენიმე ადგილი ცნობილი პირების ნაწერებიდან.

ზ. ჭუმბურიძე შემდეგს წერს თავის „რა გქვია შენ“ წიგნში, რომელიც 1966 წელს გამოიცა: „ქართულ ენას ახასიათებს თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის თავში. სწორედ ასეთივე აგებულება აქვს სიტყვას „მტკვარი“, სადაც დასაწყისში ერთად თავმოყრილია ოთხი თანხმოვანი“. ეს მისი „რა გქვია შენ“ კი ასე იწყება: „ვისაც თვალისგადაუვლია სასკოლო გრამატიკისათვის, მას უთუოდ ემახსოვრება, რომ“ და სხვა. მაგრამ ცოდვა და ბრალი ის არის, რომ მოყვანილი ციტატის ავტორს თვითონ აღარ ჰხსომებია, რომ ჩემი სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაშივე (1939 წ.) და შემდგომი წლები-საშიც იმ პარაგრაფს, სადაც სახელისა და გვარის ბრუნებაა

¹ „დროშა“ 1969, № 7.

² ერთი სინტაქსური საკითხის გამო („ლიტ. საქართველო“, 1968 წ. 15 ნომბ. № 48). ნ. აგრეთვე „გემით დალანდი“ („დროშა“ 1969 წ. № 3). ორივე წერილი გადმობეჭდილია ამ კრებულში (გვ. 45, 54).

მოყვანილი (ლუარსაბთათქარიძისა და გოგია უოშვილის მაგალითზე), ასეთი შენიშვნა მოსდევს: „გვარის ადგილას შეიძლება ხელობის აღმნიშვნელი სიტყვაც იყოს: გიგო მჭედელი, მოსე მწერალი, სანდრო მენახშირე და სხვა“. თანაც შემდეგ განმარტებულია: „სახელისა და გვარის მსგავსად იხმარება მათემატიკური გამოთქმები: A კუთხე, B რაოდენობა, n ხარისხი და სხვა“. თუ რა იგულისხმება ამ „სხვაში“, ამას გვიჩვენებს უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელსაც ზ. ჭუმბურიძე უთუოდ უნდა იცნობდეს. აქ იკითხება: „ამავე წყობაში შემოდის ტექნიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ხმარებული გამოთქმები: AB ხაზი, ABC სამკუთხედი, D კუთხე, E წერტილი, a რაოდენობა, n ხარისხი, x რიცხვი, ტარ ასო, კაც სიტყვა, მოვიდა ზმნა და მისთანანი“. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება აქ „კაც სიტყვას“. ცხადია, თუ აქ მოყვანილ დებულებას მივუყენებთ, ზ. ჭუმბურიძის ნაწერიდან ამოღებულს ზემოთ დამოწმებულ ციტატას, გვექნება არა „სიტყვას მტკვარი“, არამედ „მტკვარ სიტყვას“, რომელიც შემდეგ სურათს მოგვცემს ბრუნების დროს: **მტკვარ** სიტყვა, **მტკვარ** სიტყვამ, **მტკვარ** სიტყვას, **მტკვარ** სიტყვის, **მტკვარ** სიტყვით და სხვ. ამ ბრუნვის ფორმებში **მტკვარ** არის ფუძე, სახელობითი იქნება **მტკვარი**. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ფუძის ფორმაა საჭირო: **მტკვარ**-ს ფუძე თანხმოვანზე უთავდება. ასეთებია აგრეთვე (თუ აქ მდინარეთა სახელებზე შევჩერდებით): არაგვ-ი, ალაზან-ი, იორ-ი, ლიახვ-ი, რიონ-ი, ეგრისწყალ-ი (ენგურ-ი), ჭოროხ-ი და სხვ. მაგრამ თუ სახელს ფუძე ხმოვანზე უთავდება, მაშინ ფუძე და სახელობითი ბრუნვის ფორმა ერთი და იგივე იქნება. ასეთებია (მაგალითებად ისევ მდინარეთა სახელები მოვიყვანოთ): ყვირილა, ძირულა, დალიძვა, სუფსა, წყალწითელა, ვოლგა, ფრონე, თურდო, ილტო და სხვა. თუ ასეთი სახელი სახელ-გვარულ წყობაში მოექცა, ასეთი ვითარება გვექნება: „ილტო“ სიტყვას, „ფრონე“ სიტყვის და მისთ. ასეთი წყობით ხმარება საშუალებას გვაძლევს ბუნებრივი ქართული დავიცვათ და ადვილად ვაწარმოოთ სხვადასხვა ბრუნვის ფორმა. რადგანაც, როგორც ვთქვით, საკუთარი სახელი ან მისი

ბადალი სიტყვა წინადადებაში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, ცხადია, ვერ არის გამართული ასეთი წინადადება: „ამ საკითხის შესწავლამ მოგვცა **ქვაბი** სიტყვის შინაარსის ახალი ახსნა“, რომელიც ერთი მოხსენების თეზისებში ამოვიკითხე. რატომ არ არის გამართული? — იმიტომ, რომ „**ქვაბი**“ ისეთი სახელია, რომელსაც ფუძე თანხმოვანზე უთავდება (**ქვაბ**), ი კი სახელობითის ნიშანია, რომელიც ასეთ შემთხვევაში უნდა ჩამოეკვეცოს. გვექნება: „**ქვაბ**“ სიტყვის შინაარსის ახალი ახსნა. ასეთი მოკვეცა უბრალო ამბავია, მაგრამ ზოგს ძნელად მოეჩვენება, რადგანაც ასეთი რამ პირველად ესმის და ზოგი, ალბათ, გაიკვირვებს კიდევ.

ხემოთ ნაჩვენები სიტყვების რიგი (ჯერ საკუთარი სახელი, მერმე მისი ამხსნელი საზოგადო) დიდად გამოსაყენებელია, როცა საკუთარი სახელი ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, რაც მეტად ხშირია: „**ახალი სკოლისაქენ**“ ყურნალი, „**ლენინის დროში**“ გაზეთი, ი. გოგებაშვილის მშვენიერი საყმაწვილო „**იავნანამ რა ქმნა**“ მოთხრობა, ბაჩანას ცნობილს „**რატომ აღარ გალობს ბულბული შუადღისას**“ ლექსში და მისთ.

კ. ჩუკოვსკის ერთ წერილში, რომელიც ქართულად ეთარგმნათ, ამოვიკითხე: „დავიწყე პოემის „**რად არ იბან**“ წერა“. დიდი შეცდომაა. თუ დაიჟინებდა და ამ რიგს დატოვებდა მთარგმნელი, უნდა დაეწერა მაინც: დავიწყე პოემის „**რად არ იბან**“-ის წერა. მაგრამ რა გვრჯის, რომ ასეთი ძალა არ დავატანოთ ქართულს? განა არ გვაქვს საშუალება, გამართულად ვთქვათ, რომ გასაგებიც იყოს და ყურსაც არ სჭრიდეს? ჰაი-ჰაი რომ გვაქვს, მაგრამ ქონებას გამოყენება არ უნდა? გამოყენებას კი ცოდნა? დიახ, ცოდნაა საჭირო, რომ ქართული ენის მდიდარი საშუალებანი გონივრულად გამოვიყენოთ. ცოდნა კი მოითხოვს, რომ კ. ჩუკოვსკის წერილიდან მოყვანილი წინადადება ასე გასწორდეს: დავიწყე „**რად არ იბან**“ პოემის წერა.

საერთოდ, ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა შეუფერებელი ფორმით მოყვანა ისეთი საკუთარი სახელებისა, რომლებიც აღნიშნავენ ლექსს, პოემას, პიესას, რომანს, მოთხრობას, ყურნალს, გაზეთს, გამომცემლობას, საზოგადოებას და

სხვას, რომლებსაც მსახვრეღად ახლავს აღნიშნული საზოგადო სახელები. ძნელი არ არის მაგალითების დასახელება. გ. როგავა წერს: „დ. კლდიაშვილის მოთხრობაში „ბაკულის ღორები“ გვხვდება ასეთი ფორმა“. უეჭველია, სიტყვათა ამგვარი შეწყობა ქართული არ არის. ვინც არ იცის, რომ „ბაკულის ღორები“ მოთხრობის სათაურია, მას ამ წინადადების მოსმენისას პირველ ყოვლისა ეგონება, რომ დ. კლდიაშვილის მოთხრობაში ბაკულის ღორები გვხვდება. მოყვანილი ფრაზა შეიძლება სხვადასხვანაირად შესწორდეს: 1) დ. კლდიაშვილის „ბაკულის ღორები“ მოთხრობაში გვხვდება ასეთი ფორმა. 2) დ. კლდიაშვილის ამ მოთხრობაში „ბაკულის ღორები“ გვხვდება ასეთი ფორმა. 3) დ. კლდიაშვილის მოთხრობაში, რომელ-ა „ბაკულის ღორები“, გვხვდება ასეთი ფორმა. უკანასკნელი შესწორებით მოთხრობის სათაური დამოკიდებულ წინადადებაში მოხვდა: რომელ-ა „ბაკულის ღორები“. ამისი „რომელ-ა“ არის შემოკლებული „რომელ არს“. წინადადების ამგვარად გამართვა ჩვეულებრივი იყო ძველად. მაგ., ეფრემ მცირე წერს: „თხრობაჲ წესსა და საგმარებასა წინა მდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“.

ა. გვენცაძე წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვას „მარჩბივი“ და „მარჩობლი“ არ მოუღის რიცხვითი სახელი განსაზღვრებად“. უნდა: „მარჩბივი“-სა და „მარჩობლი“ სიტყვას...

მზია ანდრონიკაშვილსაც ვერ დაესწამებთ, რომ გაურბოდეს ამის მსგავსად აგებულ წინადადებას: „ფ. იუსტი ქართულ სახელს „არჩილ“ აიგივეს სპარსულ არტაშირთან“. უნდა: ქართულ „არჩილ“ სახელს აიგივეს.

ერთი ჩვენი დროის ავტორი (ლ. ნანიტაშვილი) წერს: „იოსებ იმედაშვილი ხელმძღვანელობდა გაზეთ „ხალხის ერთიანობას“ (შემდეგ „ხალხის თავისუფლება“), და ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“. აქ გაზეთისა და ჟურნალის სათაურებია მოყვანილი, მაგრამ სხვადასხვანაირად: გაზეთისა ნაბრუნებია („ხალხის ერთიანობას“), ჟურნალისა კი არა (იგი სახელობითის ფორმითაა მოყვანილი: „თეატრი და ცხოვრება“), მაგრამ იმავე ავტორს იქვე მოჰყავს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ფილიპე მახარაძისადმი, სადაც იკითხება: „ი. იმედა-

შვილი... უკანასკნელ 15 წელიწადში (აჯობებდა: უკანასკნელ 15 წელიწადს. ა. შ.) უძღვებოდა სათეატრო ჟურნალს „თეატრსა და ცხოვრებას“. მამასადამე, ძველი თაობის ავტორი (ზ. ჭიჭინაძე) აბრუნებდა „ჟურნალ“ სიტყვასაც და მის სახელწოდებასაც (ჟურნალს „თეატრსა და ცხოვრებას“), ჩვენი დროის ავტორი კი მართო „ჟურნალ“ სიტყვას აბრუნებს (ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“). საერთოდ, ძველი თაობის მწერლებს კიდევ ესმოდათ, რომ სახელ-გვარულ სინტაგმებს თუ შებრუნებულად ვიხმართ, ორივე წევრი უნდა ვაბრუნოთ. მაგ., ილია ჭავჭავაძე წერდა „ივერიის“ 1890 წლის საახალწლო ნომერში: დღეს დაურიგდა ხელის მომწერლებს პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“. („ჟურნალიც“ ნათესაობითშია და „ჯეჯილიც“). თ. დადიშკელიანი წერდა: „შენიშვნა შესახებ სიტყვისა დასტაგისა“. („სიტყვაც“ ნათესაობითშია და „დასტაგიც“). ზემოთ დასახელებული ავტორები კი ამჟამად ამას ასე დაგვიწერდნენ: პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალისა „ჯეჯილი“, შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგი“. ძველ თაობას კიდევ ჰქონდა შემორჩენილი იმის გაგება, რომ ასეთი ფორმით მოყვანა შეუძლებელია, მაგრამ ამჟამად, დიდძალი თარგმნილი ლიტერატურის წყალობით, სად არ შეჰხვდებით ასეთ გამრუდებულ ქართულს! საკითხავია: რა გქნათ? მივუშვათ თავის დინებაზე სალიტერატურო ენა? არაფერი ვიღონოთ? მე მგონია, ამის უფლება არა გვაქვს. უნდა გამოვასწოროთ საქმე, რადგანაც მდგომარეობა მეტად მძიმეა. ჯერ კიდევ შეიძლება შეველა და თუ კიდევ დაგვიანდა, მერმე შეუძლებელი იქნება, როგორც გურიამი იტყვიან, „წაი და უყარე კაკალი“.

აი რა უნდა გქნათ: უნდა ვისწავლოთ სწორი ქართული, მართებულად უნდა შევუწყოთ სიტყვები ერთმანეთს და არა ისე, როგორც აქამომდე იყო: მივსდევდით უცხოურ სიტყვათა წყობას და იმის დარდი არ გვქონდა, შეეფერება ეს ქართული ენის ბუნებას, თუ არა.

პირველ ადგილზე უნდა დავსვათ საკუთარი სახელი, რომელიც აღნიშნავს თხზულებას, გაზეთს, ჟურნალს, გამომცემლობას, საზოგადოებას, ფირმას, ტერმინს და სხვას, და ვაბრუნოთ მისი მომდევნო საზოგადო სახელი. მაგალითი: „ცოდნა“

საზოგადოება, „ცოდნა“ საზოგადოებამ, „ცოდნა“ საზოგადოებას და მისთ. „ლენინის დროშით“ გაზეთი, „ლენინის დროშით“ გაზეთმა, „ლენინის დროშით“ გაზეთს, „ლენინის დროშით“ გაზეთში, „ლენინის დროშით“ გაზეთის რედაქციისაგან; „ხმა კახეთისა“ გაზეთის ფურცლებზე (და არა: გაზეთ „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე); „დრუჟბა ნაროდოვ“ ჟურნალში; „ზარუბეჟომი“ ჟურნალმა; „ისან“ კინოთეატრთან; ინგლისელ რეჟისორ ლინდსეი ანდერსენს საბჭოთა მაყურებლები იცნობენ „ასეთია სპორტული ცხოვრება“ ფილმიდან; „განათლება“ განმომცემლობის თანამშრომლები; მაუდ-კამეოლის „საბჭოთა საქართველო“ კომბინატის კოლექტივი; მისი „ლომები იცავენ ქალაქს“ წიგნი გამოსაცემად მოამზადა „ხუდოჟნიკ რსფსრ“ გამომცემლობამ; როცა იგი მსჯელობს „მეხურ“ ტერმინის შესახებ, ავტორი „თავად“ ტერმინს განიხილავს; იქ, სადაც „მკვიდრ“ და „თავად“ ტერმინების შინაარსს განმარტავს; ბარათაშვილის „რად ჰყვედრი კაცსა“ ლექსის ესთეტიკური ანალიზი და მისთანა.

მე მესმის, რომ ბევრს გაუკვირდება სიტყვების ასეთი წყობა, ბევრს გაუჭირდება მასზე გადასვლა, რადგანაც შეჩვეულია სხვანაირ წყობას, მაგრამ, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ ბევრი შეუსაბამობა, თუ გვინდა გამართული ქართულით ვწეროთ და ვილაპარაკოთ, ასე უნდა მოვიქცეთ. ამას გვავალებს ქართული ენის პატივისცემა და მისი სიყვარული.

5. დანართიანი სახელის სწორად ხმარებისათვის

(მთარგმნელების, რედაქტორებისა და სტილისტების საყურადღებოდ)¹

განსაზღვრების ერთი სახეა დანართი, ე. ი. არსებითი სახელი, რომელიც მეორე არსებითს განსაზღვრავს, უმეტესად საკუთარს. საკუთარი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს ადამიანს (ალექსი), სოფელს (დიღომი), ქალაქს (თბილისი), მდინარეს (რიონი), გაზეთს („სოფლის ცხოვრება“), ჟურნალს („ცისკარი“), საზოგადოებას („ცოდნა“), გამომცემლობას („მერანი“), მოთხრობას („ივენანამ რა ქნა“), პოემას („თორნიკე ერისთავი“), პიესას („ლეკის ქალი გულჯავარ“), კინოფილმს („უკანასკნელი ჯვაროსნები“), პროფესიას (მენახშირე), თანამდებობას (რექტორი) და სხვა.

დანართიანი სახელების ბრუნება მრავალ შემთხვევაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. დღეს ჩვეულებრივია, რომ „სოფელი“, „ქალაქი“ და „მდინარე“, როგორც დანართი, წინ დაისვას და შემდეგ მოჰყვეს საკუთარი სახელი, რომელსაც ის განსაზღვრავს: სოფელ დიღმისკენ, ქალაქ თბილისიდან, მდინარე მტკვარში და მისთ. (თუმცა შებრუნებული რიგიც გვხვდება; ასეთია მაგ. იეთიმ გურჯის „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“!). ასეთია აგრეთვე სახელები „გაზეთი“, „ჟურნალი“ და ბევრი სხვა არსებითი, ნახმარი დანართად: გაზეთ „კავკასში“, ჟურნალ „მნათობიდან“ და მისთ.

მაგრამ როცა ასეთ სახელებში პირიანი ზმნის ფორმაა გარეული („ყბაჩამ დაიგვიანა“, „ჯერ დაიხოცნენ, მერმე იქორ-

¹ „ლიტერატ. საქ.“, 1971, 18 ივნისი.

წინეს“, „შემომეყარა ყივჩაღი“), ან როდესაც პირობითად დარქმეული საკუთარი სახელი თანდებულისანი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (ყურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“), ან არა სახელობითის, არამედ სხვა ბრუნვის ფორმით (გაზეთი „ლენინის დროში“), მაშინ ჭირს მათი ერთად ბრუნება. ვამბობთ: ყურნალ „მნათობში“, მაგრამ გვიჭირს ვთქვათ: ყურნალ „ახალ სკოლისაყენში“. ყურს აღარ ეხამუშება, რომ გავიგონოთ: ყურნალ „მნათობიდან“ „ცისკარში“ გადაბეჭდესო, მაგრამ, რომ იმავე წესით ვინმემ თქვას „ყურნალ „ახალ სკოლისაყენიდან“ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაშიში“ გადაბეჭდესო, აღარ მოგვეწონება. რა არის საჭირო ასეთ შემთხვევაში, რომ წინადადება გაიმართოს? საჭიროა, რომ გადაისვას ეს სიტყვები და დანართი მეორე ადგილზე დადგეს, ბრუნვის ნიშნებს დანართი მიიღებს და საკუთარი სახელი უცვლელი დარჩება: „ახალ სკოლისაყენ“ ყურნალიდან გადაბეჭდეს „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ ყურნალში და მისთ. საზოგადოდ, დანართის მეორე ადგილზე დაყენება მრავალ შემთხვევაში დიდად შეამსუბუქებს მძიმე მდგომარეობას. „შეამსუბუქებს“ რომელია? შეამსუბუქებს კი არა, გამოასწორებს.

როგორღა მოვიქცეთ, თუ თვით დანართს თავისი განსაზღვრება ახლავს, ერთი ან მეტი? ვთქვათ, საუბარია „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობაზე და გვინდა აღვნიშნოთ, რომ მისი ავტორია ი. გოგებაშვილი, თანაც რომ ეს მოთხრობა მშვენიერია და საყმაწვილო. მაშინ ყველა განსაზღვრება წინ დადგება: ი. გოგებაშვილის მშვენიერი საყმაწვილო „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობა. ასეთი წყობით მოცემული სიტყვების ბრუნება ადვილია: ბავშვები მეტად გაახარა ი. გოგებაშვილის მშვენიერმა საყმაწვილო „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობამ, ი. გოგებაშვილის მშვენიერი საყმაწვილო „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობის შინაარსი საუცხოოა, ი. გოგებაშვილის მშვენიერ საყმაწვილო „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობას ვინ არ იცნობს და სხვა.

ახლა ეს ვნახოთ: საქართველოს ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაერთიანებას „სოფლტექნიკა“ ჰქვია. გაზეთში სწერია: რესპუბლიკური გაერთიანების „სოფლტექნიკის“ აქტივის კრება.

როგორც ვხედავთ, „გაერთიანება“ ნათესაობითშია დასმული და „სოფლტექნიკა“. თუ შევებრუნებთ რიგს, გვექნება: რესპუბლიკური „სოფლტექნიკა“ გაერთიანების აქტივის კრება. „სოფლტექნიკა“ უცვლელი დარჩა, ბრუნვის ნიშანი დანართმა მიიღო. ქართული ენის ბუნებისათვის ეს უფრო შესაფერისია, რადგანაც ისეთივე წყობა მივიღეთ, როგორც არის სახელი და გვარი: ვენერა ფარადაშვილის მშობლების სახლი. ამიტომ უფრო სწორია და მისაღები ასეთი წინადადება: საბჭოთა ავტომატურმა „ლუნოხოდ-1“ აპარატმა მუშაობა დაიწყო მთვარის ზედაპირზე, სადაც საკუთარი სახელი („ლუნოხოდ-1“) და დანართი („აპარატმა“) ერთად არის, და ნაკლებ მისაღებია „ლუნოხოდ-1“ ავტომატურ აპარატთან მოეწყო სეანსი, სადაც საკუთარი სახელი და მისი დანართი გათიშულია ზედსართავით (**„ლუნოხოდ-1“ ავტომატურ აპარატთან**).

შემორე თქმულის მიხედვით შემდეგი წინადადება: ფოტოგამოფენა მოაწყო რესპუბლიკურმა ფოტოკლუბმა „საქართველომ“ ასე უნდა შესწორდეს: ფოტოგამოფენა მოაწყო რესპუბლიკურმა „საქართველო“ ფოტოკლუბმა, ხოლო „რესპუბლიკური ფოტოკლუბ „საქართველოს“ ხელმძღვანელი“ სჯობს ასე შესწორდეს: რესპუბლიკური „საქართველო“ ფოტოკლუბის ხელმძღვანელი.

წინადადების ამგვარად გამართვა ბევრს ეუცხოვება, მაგრამ ეს იმის გამო, რომ მივეჩვიებით სხვა ენების გავლენით შემოღებულ კონსტრუქციებს, ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ასეთი წინადადება: პირველ ქართულ მხატვრულ ფილმ „ქრისტიანეს“ სამ წელიწადს იღებდნენ, მაგრამ დანართი რომ გადავსვათ, უფრო ბუნებრივი იქნება: პირველ ქართულ მხატვრულ „ქრისტიანე“ ფილმს სამ წელიწადს იღებდნენ.

ზოგ შემთხვევაში არც აბრუნებენ დანართიან სახელს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია, ვთქვათ ასე: აღენიშნავ ზ. ფალიაშვილის ცნობილი რომანსის „რისთვის მიყვარხარ“ შექმნის ეპიზოდს. მიაქციეთ ყურადღება: სიტყვები „რომანსის შექმნის ეპიზოდს“ გაითიშა შიგ ჩასმული სათაურით, რაც არ შეიძლება. რუსულად რომ ვთარგმნოთ, იგი ასე იქნება:

Отмечу эпизод создания известного романа З. Палиашвили „Почему тебя люблю“. რუსულისათვის ეს წინადადება სრულიად ბუნებრივია. ქართული იმ მხრივ მისდევს მას, რომ რომანსა ნათესაობითშია, ნათესაობითშია აგრეთვე „რომანსის“, მაგრამ უცვლელია (არ იბრუნვის) „Почему тебя люблю“, უცვლელია აგრეთვე მისი ქართული შესატყვისი („რისთვის მიყვარხარ“). რა ექნათ? აი რა: დავტოვოთ, როგორც არის, მაგრამ გადავსვათ დანართი; მივიღებთ შემდეგს: აღვნიშნავ ზ. ფალიაშვილის ცნობილი „რისთვის მიყვარხარ“ რომანსის ეპიზოდს. აი ეს ბუნებრივი ქართული იქნება. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში მივხედოთ რუსულს, მაგრამ მივხედოთ გონივრულად და იმგვარადვე გავაკეთოთ, როგორც რუსულშია, მაგრამ ერთი პირობით: გადავსვათ დანართი.

სხვა მაგალითი: ზემორე მოყვანილის მსგავსია: გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიასთან „ზაფხული და დამსვენებელი“ დაკავშირებით. ვარგა? მე მგონია არა, რადგანაც არ შეიძლება გავთიშოთ სიტყვები „სტატიასთან დაკავშირებით“. ცხადია, უნდა გადაისცას დანართი: გაზეთში გამოქვეყნებულ „ზაფხული და დამსვენებელი“ სტატიასთან დაკავშირებით, ან სხვაგვარად უნდა ავაგოთ წინადადება: ... სტატიასთან დაკავშირებით, რომლის სათაურია „ზაფხული და დამსვენებელი“; ან ასე: ... სტატიასთან დაკავშირებით, რომელ-ა „ზაფხული და დამსვენებელი“. აქ „რომელ-ა“ ნიშნავს „რომელ არს, რომელიც არის“. ამგვარად ამბობდნენ ძველად და ახლაც რომ ვთქვათ, არაფერი დაშავდება. პირიქით, კაი ქართული იქნება.

მე ასე მოთქვამს და სხვა თქვენ იცით.

10. II. 1971

6. ორმაგი გვარის ბრუნებისათვის¹

ორმაგს ვეძახით გვარს, რომელიც ორი გვარის შეერთებისგან წარმოდგება და ერთ პირს აღნიშნავს. მაგალითად: გოლენიშჩიევ-კუტუხოვი, კვეზერელი-კოპაძე და სხვა. ამისგან უნდა გავარჩიოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც უკავშიროდ შეერთებული ორი გვარი ორ სხვადასხვა პირს აღნიშნავს. მაგალითად, მარქს-ენგელსის თხზულებანი, თევზაძე-ჯიქიას სახელმძღვანელო და სხვა.

ორმაგი გვარის ტარება ქართველებში ძველად იშვიათი იყო. ასეთი გვარი შეიძლებოდა წარმომდგარიყო სხვადასხვა გზით, სხვათა შორის, გვარისა და ფსევდონიმის შეერთებითაც: არადელ-იშხნელი, სუმბათაშვილ-იუჟინი და სხვა. ამჟამად ორმაგი გვარი ხშირია და იგი უფრო გათხოვილ ქალთა აღსანიშნავად იხმარება. პირველად დასახელებული გვარი ქალის მამისაა, მეორე — ქალის ქმრისა. მაგალითად, თუ აბაშიძის ქალი ცოლად გაჰყვა წერეთელს, ეს ქალი შეიძლება იყოს აბაშიძე-წერეთელი. „შეიძლება“-მეთქი, რადგანაც, თუ მან თავისი გვარი არ გამოიცვალა, აბაშიძედვე დარჩება, ხოლო თუ ქმრის გვარზე გადავიდა, წერეთელი გახდება. ორსავე შემთხვევაში მას ერთი გვარი ექნება. აქ კი გვაინტერესებს ორმაგი გვარი, რაც ხშირად გვხვდება გაზეთების სამგლოვიარო განცხადებებში: ლორია-გოგიტიძე, ელენტი-ჯინორია, ვაბუნია-კალატოზიშვილი, ჭურჭელაურ-ყურაშვილი და სხვა. მე-19 საუკუნეში ასეთ შემთხვევაში მეორე გვარი ნათესაობით

¹ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგ. I, 1972, გვ. 38—40.

ბრუნვაში დაისმოდა, მაგალითად, გაბუნია-ცაგარლისა, რაც ამჟამად არ არის მიღებულ.

როგორ ვაბრუნოთ ორმაგი გვარი? გვარი გრამატიკაში სახელად ითვლება და ისევე იბრუნვის, როგორც სხვა სახელები. ორმაგ გვარს ქართული ენა ისე ეპყრობა, როგორც უ-და-კავშიროდ შეერთებულ ორ საზოგადოს ან საკუთარ სახელს, როგორც არის ამ ტიპის კომპოზიტები: სახლ-კარი, თავ-ფეხი, ტყე-ველი, ფშავ-ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლ-კახეთი და სხვა. ასეთ კომპოზიტებში პირველი ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი და უბრუნველია, იბრუნვის მხოლოდ მეორე ნაწილი. თუ პირველი სახელის ფუძე ხმოვანზე თავდება, იგი გარეგნულად იგივეა, რაც სახელობითი: მიწა-წყალი, რაჭა-ლეჩხუმი, ციხე-ქალაქი, ერწო-თიანეთი, ბროსე-ჩუბინაშვილი და მისთანანი. როცა მათ ვაბრუნებთ, პირველი უცვლელია, მეორე კი იცვლება და, რადგან ხმოვანზე გათავებული ფუძე სახელობითი ბრუნვის ფორმას ჰგავს, შეიძლება ვისმე იგი სახელობითის ფორმად ეჩვენოს და თქვას: რაკი ასე ვაბრუნებთ: ერწო-თიანეთი, ერწო-თიანეთმა, ერწო-თიანეთს, ერწო-თიანეთისა და სხვა, „ერწო“ სახელობითში დგასო. არა, იგი ამ შემთხვევაში ფუძეა, როგორც ამას გვიჩვენებს თანხმოვანზე გათავებული სახელი, თუ იგი კომპოზიტის პირველ ნაწილშია; თავი, მაგრამ თავ-ფეხი; ფშავი, მაგრამ ფშავ-ხევსურეთი და სხვა.

ორმაგი გვარიც ბრუნებისას იმავე წესს ემორჩილება. ხმოვანზე უთავდება ფუძე თუ თანხმოვანზე, სულ ერთია, პირველი გვარი ყოველთვის ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი: აბაშიძე-წერეთელი, აბაშიძე-წერეთელმა, აბაშიძე-წერეთელს, აბაშიძე-წერეთლისა და სხვა; არადელ-იშხნელი, არადელ-იშხნელმა, არადელ-იშხნელს, არადელ-იშხნელისა და სხვა. ქართული წარმოშობის ორმაგი გვარი რუსულში უბრუნველია, ოღონდ როგორღაც დამკვიდრდა, რომ პირველი გვარი არა ფუძის სახით იყოს, არამედ ქართული სახელობითისა: Ардели-Ишхнели. აჯობებდა, რა თქმა უნდა, Ардел-Ишхнели, მაგრამ ეს ქართულ ენას არ ეხება. ქართულში კი ქართული ენის წესი უნდა იყოს დაცული: კვეზერელ-კობაძე, კვეზერელ-კობაძემ, კვეზერელ-კობაძეს, კვეზერელ-კო-

პაძის და სხვა. თუ ვიტყვით და დავწერთ ასე: არადელი-
იშხნელი, კვეზერელი-კობაძე, ეს ნიშნავს, რომ უნებურად
არაქართულ ფორმას ვიხმართ.

რომ შევებრუნოთ ზემორე მოყვანილი ორმაგი გვარები,
გვექნება იშხნელ-არადელი, კობაძე-კვეზერელი. ბრუნებისას
აქაც პირველი უცვლელი დარჩება, მეორე კი ბრუნვის ნიშ-
ნებს მიიღებს.

რუსული გვარი Голеннищев ქართულად იქნება გოლენ-
ნიშივეი, ე. ი. სახელობითში მას დაერთვის ი, მაგრამ, თუ იგი
ორმაგი გვარის პირველ ნაწილად გახდა, ი საჭირო აღარ იქ-
ნება: გოლენნიშივე-კუტუხოვი (და არა გოლენნიშივეი-კუტუ-
ხოვი). ამგვარივეა აგრეთვე დონდუკოვ-კორსაკოვი, ვორონ-
ცოვ-დაშკოვი და სხვა. ზოგი ვერ არჩევს და რევს ერთმა-
ნეთში ამ ორი ენის თავისებურებებს და გაუგებრობა ორმაგი
გვარის ბრუნების საკითხში სწორედ აქედან მოდის. გაუგებ-
რობა ნაწილობრივ შეიძლება ხმოვანზე გათავებულ ქართუ-
ლი გვარების ზეგავლენის ბრალიც იყოს.

მსგავსი ვითარებაა, სხვათა შორის, ორი გეოგრაფიული
სახელის უ-და-კავშიროდ შეერთების შემთხვევაშიც. ვამბობთ:
ანანურ-ფასანაურის გზაზე, ხაშურ-სურამის ლიანდაგზე, ცივ-
-გომბორის მიმართულებით, იორ-ალაზნის შესართავთან და
მისთანანი. რკინიგზის მატარებლების დასახელებაც ამგვარად-
ვე უნდა იყოს: მატარებელი თბილის-მოსკოვი, თბილის-ბათუ-
მი, თბილის-როსტოვი, თბილის-ხაშური, თბილის-თელავი,
თბილის-ცხინვალი, თბილის-ქუთაისი და სხვა. იგივეა შებ-
რუნებითაც: მატარებელი მოსკოვ-თბილისი, ქუთაის-თბილისი,
ერევან-თბილისი და სხვა. რუსულად კი იხზე გათავებული
ქართული სახელები პირველ ნაწილშიც ყველგან შეინახავს
იხს: Поезд Тбилиси—Москва, Тбилиси—Ереван და სხვა.

7. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის¹ (მოხსენების თეზისები)

1. ვითარებით (მიმართულებით ანუ ვნებით) ბრუნვაში სადავოა: დონი იწერებოდეს ბოლოს თუ თანი? მაგ.: ამხანაგად თუ ამხანაგათ, მიწად თუ მიწათ? დიდად თუ დიდათ და სხვა.

2. სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება -დ იყო და არის დღესაც. -დ-ს მოცილედ -თ, ჩნდება სპორადულად გვიანდელ (XVII—XVIII სს.) ძეგლებში.

3. ცოცხალ კილოებში ვითარებითის დაბოლოებად დღეს ბევრგან -თ არის და კილოების გავლენით იგი სალიტერატურო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს.

4. დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა ბ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა ებ და -ობ-იან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში): ვაკეთეფ, ვამბოფ და სხვა.

5. ბოლოკიდური მჟღერის დაყრუების ფაქტიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ აუცილებლად ყრუ უნდა ვწეროთ. ამის საუკეთესო მაგალითია ზმნების -ეფ და -ოფ-იანი ფორმები, რ.ა.სლებიც დიალექტურ მოვლენად არის მიჩნეული. აქ ბანის დატოვებას გვიკარნახებს ისეთი ფორმების არსებობა, სადაც ბ უცვლელად რჩება: აკეთებს — აკე-

¹ სალიტერატურო ქართულის ნომრები, I, თბ., 1936, გვ. 11—13. გადაიბეჭდა წიგნში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, 1956, გვ. 34—35.

თებდა, კეთება, გაკეთებული; ამბობს — მბობა, ნაამბობი და სხვ.

6. ზემოხსენებული -ეფ, -ოფ-ის მსგავსად დიალექტურ მოვლენას წარმოადგენს ვითარებითის თ-ც, რომლის პირვანდელი სახე -დ მკვიდრადაა დაცული ვითარებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში, როგორცაა:

ა) რიგობითი სახელები: მესამედ—მესამედი, მეხუთედ—მეხუთედი, მეათედ—მეათედი, მეასედ—მეასედი და სხვ.

ბ) სახელები, რომელთა ფუძედ ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმებია გამოყენებული: ტანად: ტანადი — ტანადობა, თვალად: თვალადი — თვალადობა, პირად: პირადი — პირადობა და ახალი ნაწარმოები: ფულად — ფულადი, ჭედად — ჭედადი, ზრდად — ზრდადი და სხვ.

ამის მიხედვით შემდეგი დასკვნები უნდა იქნეს გამოტანილი:

1. ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშნად დარჩეს -დ და არა -თ.

მაშასადამე, სახელები ვითარებით ბრუნვაში (კითხვებზე რად, როგორ, რამდენად, სად) უნდა იწერებოდეს მხოლოდ -დ (-ად) დაბოლოებით; მაგ.: კაცად, (და არა კაცათ), ამხანაგად (და არა ამხანაგათ), ხედ, ყრუდ... დიდად, კარგად... სამად, ხუთად... სოფლად და ქალაქად და სხვა.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც ზმნისართებია და მოქმედებითი ბრუნვისაგან არიან მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავენ, დაიწერება თ-თი (და არა დ-თი); ასეთებია: გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ, წინათ... უკეთ, ალბათ (ისევე, როგორც ზევით, ქვევით, შიგნით და სხვა).

8. სიტყვათა შეკუმშვის შესახებ¹

ცნობილია, რომ ქართულში მრავალი სიტყვა იკუმშება გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში: თუ ფუძეს დაერთო ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, ფუძის ხმოვანი შეიძლება ამოღებულ იქნეს და მარცვალთა რაოდენობა შემცირდეს. მაგალითი: გუთან-ი, გუთნ-ის(ა), გუთნ-ით(ა), გუთნ-ად, გუთნ-ები, სა-გუთნ-ე, უ-გუთნ-ო, გუთნ-ობა. შეკუმშვის წესს ემორჩილება როგორც სახელები, ისე ზმნები (მოვ-ხარ-ე, ზაგრამ ვ-ხრ-ი), როგორც წმინდა ქართული წარმოშობის სიტყვები (წყალ-ი — წყლ-ის, მსხალ-ი — მსხლ-ის და სხვ.), ისე სხვა ენებიდან შემოსულებიც (ფანჯარა — ფანჯრ-ის, მუდამ — მუდმივ და სხვ.).

სიტყვის შეკუმშვა დიდ ეკონომიას იძლევა საუბარში. ყველა ქართული კილო ერთგვარად არ კუმშავს სიტყვებს. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა აღმოსავლურ კილოებსა და დასავლურ კილოებს შორის: აღმოსავლურ კილოებში სიტყვის შეკუმშვა უფრო გავრცელებულია, ვიდრე დასავლურ კილოებში. მაგალითად, „ბერძენ“ სიტყვისაგან ნაწარმოებ გვარში მეორე ე ამოღებულია ქართლ-კახურში (ბერძნ-იშვილი), მაგრამ შენახულია დასავლურ კილოებში, მაგალითად, გურულში (ბერძენ-იშვილი).

ქართულზე უფრო მეტად სევანური კუმშავს სიტყვებს, მაგ., მაშარ ფუძისაგან სევანურში გვაქვს: მაშრ-ი („ფართო“), ხო-მშარ-ა („უფრო ფართო“), მაგრამ ჭანურ-მეგრულში კუმშვა თითქმის სრულიად უცნობია. შესაძარებლად რომ ავი-

¹ „ახალგაზრდა სტალინელი“, 11 იანვარი, 1954 წ. (№ 21).

ღოთ ზოგი სიტყვა, რომლებიც ერთნაირად (ან თითქმის ერთნაირად) ჟღერენ ქართულსა და ჭანურ-მეგრულში, ვნახავთ, რომ ქართულში სიტყვის ფუძე შეიკუმშება, ჭანურ-მეგრულში კი არა. მაგალითად, ქართულად გვაქვს: გუთან-ი — გუთნ-ის(ა), ყურძენ-ი — ყურძნ-ის(ა), მტერ-ი — მტრ-ის(ა), საპონ-ი — საპნ-ის(ა) და სხვა, მაგრამ ჭანურ-მეგრულში: გუთან-ი — გუთან-იში, ყურძენ-ი — ყურძენ-იში, მტერ-ი — მტერ-იში, საპონ-ი — საპონ-იში და მისთ.

ამის გამოა, რომ დასავლეთ საქართველოდან გამოსული მწერალი ზოგჯერ თავს ვერ აღწევს თავისი კილოს გავლენას და სიტყვების ხმარებისას სალიტერატურო ენის ნორმებს არღვევს. რადგანაც სხვადასხვა დარგის მუშაკთა რიგებში ერთობ დიდია რიცხვი დასავლეთ საქართველოდან გამოსული პირებისა (რაც თავისთავად ძალიან კარგი მოვლენაა), დასავლური კილოების გავლენა სალიტერატურო ქართულზე საკმაოდ ძლიერია საზოგადოდ და კერძოდ სიტყვების შეკუმშვის საკითხში. ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული მწერალი უნებლიეთ ექცევა დასავლელთა გავლენის ქვეშ, ივიწყებს თავისი კუთხის ფორმას და იმეორებს სხვისგან გაგონილს. ამ მხრივ წიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში იმდენად ჭრელი სურათია, რომ პირდაპირ გაცოდება კაცი. მიემართოთ მაგალითებს¹:

ქართული გვარების ერთი წყება ელ-ზე თავდება: წერეთელ-ი, ცაგარელ-ი, კორინთელ-ი და სხვა. ესენი ყველა კუმშვადი სიტყვებია: წერეთლის, ცაგარლის, კორინთლის და სხვა. შეკუმშვის თვალსაზრისით ამათვე უნდა მივათვალოთ გვერდწითელი (გვერდწითლის). მაგრამ ხშირად შეგხვდებით უკუმშველ ფორმებს: „ვახტანგ კორინთელის მოგონებათა ღამე“. „სტუდ. მ. გვერდწითელის მოხსენება“, „ცაგარელის ლექცია“. ელ სუფიქსი საზოგადოდ ადამიანის სადატურობას აღნიშნავს (სოფლ-ელ-ი, ქალაქ-ელ-ი, თელავ-ელ-ი, კიეველ-ი და სხვ.), ან ვისიმე მოძღვრებისა და მეთოდის მიმდევრობას (ლენინელი, სტახანოველი), ასეთი სიტყვები ყველა იკუმშება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეკუმშვის გამოძნელად გამოსათქმელი თანხმოდანთა ჯგუფი მოიყრის ერთად

¹ მაგალითები ამოკრფილია 1951—53 წლების ჟურნალ-გაზეთებიდან, მაგრამ საიდან, აქ არ არის ნაჩვენები.

თავს: კიეველი — კიეველები, მაგრამ მაგნიტოგორსკე-
ლი — მაგნიტოგორსკელები; სტახანოველი — სტახანოველ-
ბი, სტახანოვლობა, მაგრამ: ლენინელი—ლენინელები. ერთი
სიტყვით, სადაც შეკუმშვა არ იწვევს სიძნელეს გამოთქმის
მხრივ, ასეთი სიტყვები ყველა იკუმშება. მაგრამ რას ვხე-
დავთ ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ჟურნალ-გაზეთებ-
ში? აი თორიოდე მაგალითი: „სოხუმელებს“, „თბილისელები“,
„თბილისელებს“, „ხაშურელებმა“. აღნიშნული ფორმები, რა
თქმა უნდა, მიუღებელია; უნდა: თბილისელები, სოხუმლე-
ბი, ხაშურელები და სხვა. ამგვარი უმართებულო ფორმები
ხშირად გვხვდება: „მოსკოვისაგან“ სადაურობის სახელი იქ-
ნება „მოსკოველი“, მრავლობითში: „მოსკოველები“, მაგრამ
აი რას ვკითხულობთ ერთგან: „ყაზანის ნავთსადგურს მოად-
გა თბომავალი „იოსებ სტალინი“, რომელიც ვოლგა-დონისა-
კენ მიდის. მოსახლეობა გულთბილად შეხვდა მოსკოველებს“.
სხვაგან: „კიეველები შეხვდებიან მოსკოველ დინამოელებს“.
უკანასკნელ მაგალითში ორი შეცდომაა: უნდა: „კიეველები“,
„დინამოელებს“. ამიტომ უნდა: „მინსკის დინამოელები“ (და
არა: „მინსკის დინამოელები“), „დინამოელები შეუდგნენ
წვრთნას“ (და არა: დინამოელები“). „დინამოელების“ მსგავ-
სად ითქმის „მალაროელები“ (და არა „მალაროელები“): აქ
ვ ჩნდება ო-ს შემდეგ, მაგრამ მხოლოდობითში იგი არ ჩანს,
აღდგება მრავლობითში: დინამო(ვ)ელი — დინამოელები, მა-
ლარო(ვ)ელი — მალაროელები. მაშასადამე, იქ იგივე მოვლენა
გვაქვს, რაც ზმნებში: ბოლო — აბოლო(ე)ებს — ბოლოვდება.
რაკი „მოსკოველები“ უნდა ითქვას, უნდა ითქვას აგრეთვე
„ორთაქალქესლები“ (და არა „ორთაქალქესელები“) და
„ვოლგა-დონელები“ (და არა „ვოლგა-დონელები“). ნათქვამის
შემდეგ მკითხველი თვითონ მიხვდება, თუ როგორ უნდა გას-
წორდეს შემდეგი წინადადების შეცდომა: „კიროველები ახა-
ლი დაზგების გამოსაშვებად მუშაობენ“.

კუმშვადი სახელებია: ფეხსაცმელი, ცხოველი, ფრინველი.
ამიტომ ამათგან წესიერად ნაწარმოები ფორმები იქნება: მე-
ფეხსაცმლე, მეფრინველობა, მეცხოველობა და არა ასეთები:
„მეფეხსაცმელებმა“, „მეტი ყურადღება მე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე-
ო ბ ის განვითარებას“, „სიახლე მე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა-

ში“. უეჭველია ბევრის ყურს ესამუშება შეკუმშული ფორმები, რადგანაც უკუმშველ ფორმებს უკვე საკმაოდ მიგვაჩვიეს.

„თანამშრომელს“ ვკუმშავთ: „თანამშრომლები“, „თანამშრომლობა“, მაგრამ „მშრომელს“— არა: „მშრომელები“, ამბობენ და წერენ: „მშრომელებისადმი ვულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის კანონია“. მე კი იმ აზრისა ვარ, რომ იგიც უნდა შეიკუმშოს: „მშრომელები“ (შეადარეთ: მშობელი — მშობლები, მშრომელი — მშრომლები).

ელ ყოველთვის როდია სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი ან საზოგადოდ სუფიქსი. „სიგელ-ი“ და „ლუმელ-ი“ სხვანაირი შედგენილობის სიტყვებია, მაგრამ კუმშვით ისინიც იკუმშება: „სიგლის(ა)“, „სიგლები“, „ლუმლის(ა)“, „ლუმლები“ (შეადარეთ: „ღრუბლის(ა)“, „ღრუბლები“). არაო, „სიგლები“ კი არ უნდა, არამედ „სიგელებიო“, ფიქრობს ერთი ავტორი და კვერს უკრავენ რედაქციები: „ალპინიზმის I საფეხურის ნიშნები და სიგელები“, იკითხება ერთგან. ამიტომ ცხადია, თუ როგორ უნდა გასწორდეს შემდეგი გამოთქმები: „ამ ლუმელების სიგრძე“. რომ მოვრჩეთ ელ-ზე გათავებულ სახელებს, აი კიდევ ერთი მაგალითი: „საჩეჩელი“ კუმშვადი სახელია და აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთაგან არავის მოუვა ფიქრად, უკუმშველი ფორმა ისმაროს ნათესაობით ბრუნვაში („საჩეჩელის“), ან მრავლობითში („საჩეჩელები“); „საჩეჩელის კბილები წყრიალებსო“, ამბობს ვაჟა-ფშაველა (V, 41) და მასთან ერთად ყველა აღმოსავლელი მწერალი. მაგრამ აბა ყური დაუგდეთ, როგორ იკითხება ერთი ცნობილი მწერლის მოთხრობაში: „გოდერძის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქო მთებზე გოლიათური საჩეჩელები დაუდგამთო. თოვლივით თეთრი ნისლის ფანტელები ზედ დაფოფინებენ ამ საჩეჩელებს... ჩაძენარების საჩეჩელებზე ბამბისფერი ღრუბლის ფთილები იწვნენ“.

ალ და არ-ზე გათავებულ სახელთაგან ბევრი იკუმშება. ერთი მათგანია „მედალ“-ი. „ორდენებისა და მედლების გადაცემაო“, იკითხება ერთგან. სწორია, მაგრამ თუ აქ იკუმ-

შება, უნდა შეიკუმშოს აგრეთვე **ოსან** სუფიქსის დართვის დროსაც: „მედლოსანი“ (და არა „მედალოსანი“, როგორც ეს გავრცელებულია საყოველთაოდ).

ნატახტარი ყველასათვის ცნობილი ვახდა ჩვენში მას შემდეგ, რაც იქიდან გამოყვანილ იქნა მშვენიერი სსმელი წყალი თბილისისთვის. მაგრამ შეიძლება ყველასათვის ცნობილი არ იყოს, რომ ეს სიტყვა იკუმშება: „ნატახტრის წყალი“. ამიტომ შეცდომაა და უნდა გასწორდეს: „ნატახტარის წყალსადენის სანიტარული ზონის მიდამოებში“. **ნადიკვარი** ნაკლებ ცნობილი პუნქტია, ვიდრე ნატახტარი (ამ სახელწოდებით მე ვიცნობ თელავის ერთ უბანს; სოფელიც ყოფილა თეთრიწყლების სასოფლო საბჭოში, კახეთში), მაგრამ კუმშვით ისიც იკუმშება: „ნადიკვრის“. არა, არ იკუმშებაო, ფიქრობს ერთი: „კიროვის რაიონში, ნადიკვარის ქუჩაზე, № 4 სახლში, იხსნება ბავშვთა ახალი სანატორიუმი“.

შენ-ზე გათავებული სოფლის სახელები იკუმშება ქართულში: სალოლაშენი — სალოლაშნის, ზემო ხოდაშენი — ზემო ხოდაშნელები და მისთ. ამიტომ უნდა არა „ზემო ხოდაშენის 1836 წლის წარწერა“, როგორც ერთ გამოკვლევაში ვკითხულობთ, არამედ „ზემო ხოდაშნის...“

„მარჯვენა“ და „მარცხენა“ კუმშვადი სიტყვებია, როგორც ეს ფორმები აჩენს: „მარჯენივ“, „მარცხნივ“, ამიტომ უნდა: „მემარჯენე“, „მემარცხნე“, და არა „მემარჯვენე“, „მემარცხენე“. გაზეთის ერთ ნომერში კი იკითხება: „მემარცხნე ფრონტის კანდიდატები“.

ქართლში არის რამდენიმე გეოგრაფიული სახელი **ამ-ზე** გათავებული: ოკამ-ი, ბეკამ-ი, თექამ-ი. ესენი ყველა კუმშვადი სახელებია: ოკმელი, ბეკმელი, თექმის ხეობა. ერთი ავტორი თავის წერილში იმოწმებს ვახუშტის, რომელიც ასახელებს „თეზ-ოკმის მინდორს“. ვახუშტი სწორად ხმარობს ფორმებს, მაგრამ იმ ავტორს აქედან არ გამოუყვანია სათანადო დასკვნა და თავისებურად წერს: „თეზი-ოკამის არხი“. აქ პირველ სიტყვაში **ი** არის ზედმეტი, მეორეში — **ა**; უნდა: „თეზ-ოკმის არხი („სურამი“ გამონაკლისია, ის არ იკუმშება „სურამის ციხე“).

„იორი“ მდინარის სახელია და ისევე იკუმშება, როგორც

„ნიორი“: ნიორი — ნივრის, იორი — ივრის. არც ერთს ერწო-
-თიანელსა და გარეკახელს ფიქრადაც არ მოუვა, თქვას:
„იორის პირი“, „იორის წყალი“, არამედ ასე: „ივრის პირი“,
„ივრის წყალი“. ერთი ინჟინრის წერილში კი ორივე ფორმა
გვხვდება: „იორის წყალი“, „ივრის წყალი“.

როგორც თავშივე იყო ნათქვამი, იკუმშება არა მარტო
ქართული წარმოშობის სახელი, არამედ გარედან შემოსუ-
ლიც. „შოფერი“ შედარებით ახალი სიტყვაა, მაგრამ უკვე
დაემორჩილა შეკუმშვის წესებს: „შოფრისა“, „შოფრები“,
„შოფრობა“. ამგვარადვე უნდა შეიკუმშოს „ბუნკერიც“. გა-
ზეთში იკითხება „კომბაინის ბუნკერიდან ჩამოცლილ
ხორბალს“, მაგრამ უნდა გასწორდეს: „კომბაინის ბუნ-
კერიდან“.

თუ „შოფერი“ იკუმშება, „კომბაინერი“ რად უნდა იყოს
გამონაკლისი? აი რას ვკითხულობთ გაზეთში: „ა. ტიტვინიძე
15 წელია კომბაინერად მუშაობს, სულ ცოტა 15 წელია იც-
ნობენ ჩვენი კოლმეურნეები“. რაკი იცნობენ, სიტყვასაც სა-
ერთო წესის თანახმად მოიხმარენ, ე. ი. შეკუმშავენ: „კომბა-
ინრად“. მართალია, ნრ ჯგუფის გამოთქმა ცოტა ძნელია,
მაგრამ ასეთი მაგალითები სხვაც გვაქვს (შდრ.: უჩინრად).

9. ღავეუბრუნოტ ზმნის პირიან ფორმეპას თაზისი აღბილი წინაღღაღაზი¹

ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმეებით, რომლებსაც ზოგჯერ ვერ იყენებენ ჩვენი მწერლები, განსაკუთრებით კი მთარგმნელები. აქაო და თარგმანი ზუსტი უნდა იყოსო, გადმოაქვთ რუსულიდან ქართულში ბრუნვიანი ფორმეები იმის მიუხედავად, უხდება ეს ქართულ წინადადებას თუ არა, ან კიდევ ქართულადაც ისევე ნათელია აზრი, როგორც რუსულად, თუ არა. საქმე იქამდე მიდის, რომ ნათელი და ადვილად გასაგები წინადადების ნაცვლად საგაზეთო წერილებში ფეხი მოიკიდეს ტლანქმა და ძნელად გასაგებმა წინადადებებმა. თქმული ნათელყოთ ნიმუშებით.

ავილოთ, მაგალითად, ასეთი სათაური (რომელიც წარმოადგენს სახელდებით წინადადებას): „О проведении в СССР сбора подписей под обращением Всемирного Совета мира о заключении пакта мира между пятью великими державами“. „სსრ კავშირში ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების თაობაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ“. რუსული წინადადების აზრი ნათელია, ქართულისა კი — გაუგებარი, რადგანაც მთარგმნელი ცდილა, სიზუსტე დაეცვა იმ მხრივ, რომ სიტყვა-სიტყვით გადმოეღო რუსული წინადადება და ნაზმნარი სახელები ქართულადაც სათანადო ფორმეებით ეთარგმნა. ამიტომ ის იძულებული გახდარა წამოეწია ადგილის გარემოება: „სსრ კავშირში“, ხოლო რაც ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული, ის სულ

¹ „კომუნისტი“, 15. 5. 1952 (№ 114).

ბოლოს გადაეტანა: „ხელის მოწერის შეგროვების შესახებ“. მაშასადამე, მას გაუთიშავს აზრობლივად ერთად მდგომი სიტყვები, თანაც წინ წამოუწევია მეორე ადგილის გარემოება: „ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის“. ამას გარდა, ქართულ თარგმანში ყურადღებას იქცევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა ხშირი ხმარება: „მშვიდობის პაქტის დადების თაობაზე“. ყველა ეს მეტად ამჩიმებს მთელ წინადადებას. ნუთუ არ შეიძლება, რომ აღნიშნული სათაური გასაგებად ითარგმნოს? შეიძლება და კარგადაც შეიძლება. ამისთვის საჭიროა, რომ ზმნის უპირო ფორმა („დადება“) პირიანად ვაქციოთ და აზრობლივად ერთად მდგომი სიტყვები ერთმანეთს არ დავაშოროთ.

„იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ხელის მოწერის შეგროვება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე — დადებულ იქნას მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის“.

სიტყვები დალაგდა ბუნებრივად და აზრი სათანადოდ გაიმართა.

ახლა ავიღოთ მეორე მაგალითი: „საბჭოთა ხალხი ერთსულლოვნად იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დადგენილებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების თაობაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ“. აქაც წინ არის გადმოწეული სიტყვები: „ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ“, რაც, წესით, ბოლოს უნდა ყოფილიყო და თანაც სხვა რიგით. როგორ შეიძლება იგივე ითქვას უფრო ნათლად? — უნდა მოვიშველიოთ ზმნის პირიანი ფორმები; გვექნება: „საბჭოთა ხალხი ერთსულლოვნად იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დადგენილებას — მოეწყოს ხელისმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე, რომ დაიდვას მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის“.

ავიღოთ კიდევ მსგავსი მაგალითი. იმ დოკუმენტში, რომელსაც თბილისის მშრომლებმა მოაწერეს ხელი (ყოველ შემთხვევაში იმ ცალში, რომელსაც მე მოვაწერე ხელი), ასე

ეწერა: „ჩვენ მოვითხოვთ ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს,* საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადებას“. ამ წინადადების შინაარსს კაცი ვერ გაიგებს, სანამ უკანასკნელ სიტყვებს არ წაიკითხავს, იმიტომ რომ თავში მოყვანილ სიტყვებს სულ სხვა შინაარსი აქვს: „ჩვენ მოვითხოვთ ხუთ დიდ სახელმწიფოს“. არა, ჩვენ მოვითხოვთ არა ხუთ დიდ სახელმწიფოს, არამედ პაქტის დადებას, მაგრამ ეს სიტყვები გადატანილია სულ ბოლოს. როგორ შეიძლება ფრაზა გაიმართოს ისე, რომ ადვილი გასაგები იყოს ყველასათვის? ამაზე უნდა ვუპასუხოთ: უპირო ზმნა „დადება“ პირიანად უნდა გადავაკეთოთ; გვექნება: „ჩვენ მოვითხოვთ, დაიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის — ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის“.

საზოგადოდ, საწყისის გამოყენებას პირიანი ფორმის ნაცვლად შემოაქვს ხშირი ხმარება ნათესაობითი ბრუნვის ფორმებისა, რაც ზოგჯერ აზრს აბუნდოვნებს:

„ეს განწყობილება, ნათქვამია რიჯუეის მოხსენებაში, სულ უფრო ძლიერდება, განსაკუთრებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ კესონში მოლაპარაკების დაწყებიდან“. როგორ შეიძლება შესწორდეს ეს წინადადება ისე, რომ უფრო ბუნებრივი ქართული გამოვიდეს? — აი როგორ: „ეს განწყობილება, ნათქვამია რიჯუეის მოხსენებაში, სულ უფრო ძლიერდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კესონში დაიწყო მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

აბა ახლა ყურადღება მივაქციოთ რამდენი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა ნახმარი ამ წინადადებაში: „ერთი წლის წინათ—1950 წლის 12 სექტემბერს—გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თურქმენეთის მთავარი არხის, ამუ-დარია-კრასნოვოდსკის არხის მშენებლობის, დასავლეთ თურქმენეთის კასპიის ზღვისპირა ვაკის სამხრეთ რაიონების, ამუ-დარიის ქვემოწელისა და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთი ნაწილის მიწების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის

შესახებ“. საკმარისია რამდენიმე სიტყვა („მშენებლობა“, „მორწყვა“ და „უზრუნველყოფა“) გადაკეთდეს პირიან ფორმად, რომ წინადადება ქართულად გაიმართოს და უფრო გასაგები გახდეს: „ერთი წლის წინათ — 1950 წლის 12 სექტემბერს — გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — აშენდეს თურქმენეთის მთავარი არხი, ამუ-დარია-კრასნოვოდსკის არხი, და მოირწყოს და წყლით უზრუნველყოფილ იქნას დასავლეთ თურქმენეთის კასპიის ზღვისპირა ვაკის სამხრეთი რაიონები, ამუ-დარიის ქვემო წელისა და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთი ნაწილის მიწები“.

სხვა მაგალითი: „სინხუას სააგენტო აზიის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკულ-ინგლისური გეგმების შესახებ“. აქ მთარგმნელს ადგილის გარემოება („აზიის ქვეყნებში“) წინ წამოუწვია და დაუშორებია „გეგმებისაგან“, რის გამო ბუნდოვანი გახდა მთელი წინადადება. უფრო სწორი თარგმანი იქნება: „სინხუას სააგენტო იმის შესახებ, თუ რა გეგმები აქვთ ინგლის-ამერიკელებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად აზიის ქვეყნებში“.

ერთი მაგალითი კიდევ: „სახალხო პალატა იწონებს პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმ საკითხზე, რომელიც ეხება სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის თაობაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 1951 წლის 15 სექტემბრის წინადადებისადმი ფედერალური კანცლერის ადენაუერისა და ფედერალური პარლამენტის უარყოფით დამოკიდებულებას“. აქაც წინ არის წამოწეული ის, რაც სულ ბოლოს უნდა იყოს: „სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის თაობაზე“. ეს მთარგმნელს დასჭირდა იმისთვის, რომ რუსული ტექსტის ბრუნვიანი სიტყვები ბრუნვიანი სიტყვებითვე გადმოეღო.

სჯობს მთელი ეს რთული წინადადება ასე გაიმართოს: „სახალხო პალატა იწონებს პრემიერ მინისტრის განცხადებას იმ საკითხზე, რომ ფედერალური კანცლერი ადენაუერი და ფედერალური პარლამენტი უარყოფითად შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1951 წლის 15 სექტემ-

ბრის წინადადებას სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ“.

როგორც მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, მთარგმნელები ხშირად სათანადო ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ფრაზა ქართულად ბუნებრივი იყოს.

საჭიროა ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი მიეჩინოს წინადადებაში.

10. პერიოდთ გარემოების წინ წამოწევა წინადადებაში¹

გარემოება წინადადების წევრია; ის შეიძლება იყოს ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა. წინადადებაში გარემოებას საზოგადოდ უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მისი წინ წამოწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მას ფრაზის მახვილი ჰხვდება.

ხშირად ჩვენს სინამდვილეში ენას მეტად ამძიმებს, ძნელად გასაგებს ხდის ის, რომ ზოგიერთ მწერალს და მთარგმნელს მიდრეკილება აქვს, წინ წამოსწიოს წინადადებაში გარემოება და სხვა მეორეხარისხოვანი წევრები, რომლებიც უკანა რიგებში უნდა იდგნენ. საკმარისია, ზოგჯერ კაცმა გადასვას სიტყვები, რომ აზრის მიმდინარეობა უფრო ბუნებრივი გახდეს და ურთიერთობა წინადადების წევრებს შორის — უფრო ნათელი. მთარგმნელი უნდა ცდილობდეს, მონახოს, რა სიტყვებს შორის არის გაბმული კავშირი, რომელი რომელს ხსნის, რა არის მთავარი და რა — მეორეხარისხოვანი. ჩვენს მკითხველს როდი აქვს საშუალება შეამოწმოს, თუ რა რუსული ფრაზაა ნათარგმნი ქართულად. ან რად უნდა ამოწმებდეს?! მას უნდა მიეცეს ქართული გრამატიკული წესების თანახმად აგებული წინადადება.

ზოგიერთ წერილში, განსაკუთრებით ისეთში, რომელიც ნათარგმნია, ხშირია წინ წამოწევა გარემოებისა, რაც მრავალ შემთხვევაში გაუმართლებელია და შეუწყნარებელი.

მივმართოთ მაგალითებს:

¹ „კომუნისტი“, 26. 12. 1952 (№ 304).

ერთი წერილის სათაურად ვკითხულობთ: „1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ“. წინადადება დაწყებულია იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო. მართლაც, რა არის აქ მთავარი? — მთავარია თივის აღება და საკვების დასილოსება, და არა დრო ან ადგილი; როდის და სად უნდა მოხდეს თივის აღება და საკვების დასილოსება — ეს მთავარი აზრის ამხსნელი სიტყვებია. ამიტომ, ცხადია, მთელი ფრაზა ასე უნდა გადაკეთდეს: „თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1952 წელს“.

გაზეთებში ჩვეულებრივია ასეთი სათაური: „მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ“. ვინც არ იცის საქმის ვითარება, ან ფრაზის შინაარსს ისე გაიგებს, რომ მოლაპარაკება წარმოებს კორეაში, ხოლო რაც შეეხება დაზავებას, ვერას გაიგებს, თუ რას ეხება ის. თუ ჩავხედავთ რუსულ გაზეთებს, იქ ვნახავთ, რომ ადგილის გარემოება („კორეაში“) უკავშირდება არა მოლაპარაკებას, არამედ დაზავებას. ამიტომ აჯობებს აღნიშნული ფრაზა ასე ითარგმნოს: „მოლაპარაკება დაზავების შესახებ კორეაში“.

„თქვენ მამაცურად იბრძოდით, რათა თქვენი დიდი სამშობლო, რომელიც დიდხანს იყო უცხოელი ავაზაკების სამფლობელო, აზიაში თავისუფლებისა და მშვიდობის ბურჯი გამხდარიყო“. (ი. ერენბურგის მიმართვა სტალინური პრემიის ლაურეატს სუნ ძინ ლინს). აქ „აზიაში“ წინ წამოწეული გარემოებაა, რომლის ადგილი ფრაზის ბოლოშია: „რათა თქვენი დიდი სამშობლო... თავისუფლებისა და მშვიდობის ბურჯი გამხდარიყო აზიაში“.

„სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკელთა მხეცობის ახალი ფაქტები“. არ არის ბუნებრივი წყობა. უნდა იყოს: „ახალი ფაქტები ამერიკელთა მხეცობისა სამხედრო ტყვეების მიმართ“. მართალია, ამნაირი წყობა ცოტა არქაულია, მაგრამ იგი ქართულია, და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, თამამად უნდა გამოვიყენოთ.

„ცვლილებანი კორეაში დროებითი ზავის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებაში კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ

სახალხო მოხალისეთა რაზმების დელეგაციის შემადგენლობაში“. თუ ამას გვერდით დავუყენებთ რუსულ ტექსტს, საიდანაც ნათარგმნია, ვნახავთ, რომ ქართულში ის სიტყვები, რომლებიც ერთად უნდა იდგნენ, გათიშულია. რუსულში აზრი ნათელია, ქართულში კი — არა. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ სიტყვები — „ცვლილებანი დელეგაციის შემადგენლობაში“ — გათიშულია: „ცვლილებანი“ თავშია, „დელეგაციის შემადგენლობაში“ კი — ბოლოში. ასეთი თარგმნა დაუშვებელია. არ შეიძლება ისე ითარგმნოს, რომ აზრი ქართულადაც ნათელი იყოს? — როგორ არ შეიძლება! ამისთვის საჭიროა, გამოყენებულ იქნას ქართული ენის სიმდიდრე და მისი გამოუმეტყველებითი ძალა: „ცვლილებანი კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმების დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას დროებითი ზავის შესახებ კორეაში“.

„ექვს დღეს იყო სტუმრად საქართველოში პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით სსრ კავშირში ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „პრაცეს“ მთავარი რედაქტორი... — ვკითხულობთ ერთ-ერთ მასალაში. ამ რთულ წინადადებაში წინ არის წამოწეული ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ იყო მომწვევი. საჭირო იყო ეს ცნობა ცალკე წინადადებად გამოეყო მთარგმნელს და ბოლოში მოექცია: „ექვს დღეს იყო სტუმრად საქართველოში ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „პრაცე“ გაზეთის მთავარი რედაქტორი... ეს დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით“.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რამდენად შეიძლება აეცილოთ ბუნდოვნობა, თუ სიტყვებს წინადადებაში ბუნებრივი რიგით დავალაგებთ. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ გარემოების წინ წამოწევა შეუფერებელია ქართულ წინადადებაში.

11. ალფა და ომეგა¹

„ალფა და ომეგა“ საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა, რომელიც ამას ნიშნავს: „თავი და ბოლო“. იგი წარმოშობით ბერძნულია: ალფა ბერძნულ ანბანში პირველი ასოს სახელია, ომეგა კი—უკანასკნელისა, ომეგა დიდ ო-ს ნიშნავს. ბერძნულ ანბანში არის მცირე ო-ც (ომიკრონი). ფიგურალურად „ალფა და ომეგა“-ს მნიშვნელობაა: „ყველაფერი“, „თავი და თავი“, „უმათერესი“. მაგალითი: „შესრულების შემოწმება და კონტროლი ჩვენი მუშაობის ალფა და ომეგაა“ (გაზეთიდან), რაც შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „შესრულების შემოწმება ჩვენი მუშაობის თავი და თავია“.

ეს გამოთქმა სხვა ენებშიც არის და, კერძოდ, რუსულშიც, სადაც იგივე სიტყვები იხმარება: *alpha и omega*. გერმანულში კი სიტყვების ნაცვლად შეიძლება ასოებიც იყოს: *das A und das O*.

ახალი აღთქმის წიგნებიდან ყველაზე გვიან იოვანეს „გამოცხადების“ წიგნი ითარგმნა, რადგანაც ეს წიგნი ადრე კანონიკურ წიგნად არ ითვლებოდა. როცა კანონიკურად იცნეს, მაშინ ქართულადაც თარგმნეს. თარგმნა იგი ბერძნულიდან ეფთვიმე ათონელმა, რომელიც 1028 წ. გარდაიცვალა. ამ თარგმანში რამდენიმე ადგილი ასე იკითხება: „მე ვარ ანი და შ“ (გამოცხ. 1, 8); „ვიქმენ მე ანი და შ, დასაბამი და დასასრული“ (21,6); „მე ვარ ანი და შ, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (22,13). სამსავე დამოწმებულ ადგილას ბერძნული ტექსტის ზოგ გამოცემაში ასოებია მხო-

¹ „დროშა“, 1973, № 10.

ლოდ და არა მათი სახელები. მაგრამ ეფთვიმეს ხელთ ჰქონია ისეთი ტექსტი, სადაც პირველი ასოს სახელია მოცემული, მეორისა კი არა და ეს უთარგმნია მას. ამ ასოების მნიშვნელობა ორჯერ არის განმარტებული გამოცხადების ტექსტში. ქართული თარგმანის მიხედვით ეს არის „პირველი და უკანასკნელი“, „დასაბამი (ე. ი. დასაწყისი) და დასასრული“.

„გამოცხადების“ ეფთვიმისეულ თარგმანში პირველი ასოს სახელი ქართულია (ანი), უკანასკნელის სახელი კი არც ერთხელ არ არის მოყვანილი, მოყვანილია მხოლოდ თვით ასო (ანი და მ). რა ერქვა მას ძველად და როგორ გამოთქვამდა მის სახელს თვითონ ტექსტის მთარგმნელი ეფთვიმე? ალბათ, ამ უკანასკნელი ასოს სახელი ეფთვიმეს დროს იყო **ოჰ**. ეს სახელი ჩვენთვის ცნობილია ორი წყაროს მიხედვით:

ა) აპოკრიფულ „სიყრმე უფლისა“ მოთხრობაში იკითხება: „და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოვლისა ალფათგან მიოჰამდე დიდითა გამოძიებითა. მერმე თქუა: რომელთა-ეგე ალფაა არა იცით, ბეტასა მას ვითარ-მე ასწავებთ? გან-ლა-მიმარტეთ პირველად ალფაა ესე, მაშინ-ლა მრწმენეს თქუენი ბეტაესთჳსცა, რასა-იგი იტყოდით“¹. ამ ნაწყვეტში სამი ასოა დასახელებული: ალფა, ბეტა და **ოჰ**. ეს უკანასკნელი თანდებულის ვითარებითშია დასმული, თანაც უძღვის **მი** წინდებული: მი-**ოჰ**-ა(დ)-მდე. ეს „მიოჰამდე“ ისეა ნაწარმოები, როგორც მი-საფუძვლ-ად-მდე, მი-ცხრა უამ-ად-მდე. გაშასადამე, გამოდის, რომ პირველი ასოს სახელია ალფა, მეორისა — ბეტა, უკანასკნელისა კი — **ოჰ**. პირველი ორი ასოს სახელი ბერძნულია (ალფა, ბეტა). მაგრამ ბერძნულია მესამე ასოს სახელი, თუ ქართული? ამის გამო ამ 30-ოდე წლის წინათ ვწერდი: „კონტექსტიდან ჩანს, რომ **ოჰ** ალფას უპირისპირდება: ალფათგან მიოჰამდე. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ იგია ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სა-

¹ კ. კეკელიძე, კიმენი I, 117; ა. შანიძე, თომას სახარების ქართულ-ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 18, 1941, 38—39).

ხელი, ისე როგორც ალფა — მისი პირველი ასოს სახელით. ასეთ გაგებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ძეგლში ბეტა-ც არის ნახსენები (ბერძნული ფორმით), მაგრამ უნდა მოვიგონოთ, რომ ქართული ანბანის უკანასკნელ ასოს ძველად ოპ ჰქმევია“.

ბ) ერთს მე-15 საუკუნეში გადაწერილ ძველ სომხურ სახელმძღვანელოში მოყვანილია სხვადასხვა ერის ანბანი: ბერძნული, ასურული (სირიული), ლათინური, ქართული, ალფანური (ჰერული), კოპტური და არაბული. ყველა ანბანში, მათ შორის ქართულშიც, ასოებს მათ-მათი სახელი აქვს მიწერილი სომხური ასოებით. ქართული ანბანის პირველი და მეორე ასოს სახელებია: ან, ბან, სამი უკანასკნელისა — ჯან, ჰაჲ, ოპ¹. აქედან ცხადია, რომ ამ წყაროს მიხედვით ოპ ქართული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი იყო ძველად, მაგრამ ეს სახელი შეცვლილა შემდეგ და დაჰქმევია ჰოჲ, რომელიც ასე იწერებოდა: შოჲ. გამოსარკვევია, თუ როდის მოხდა სახელის შეცვლა. უეჭველი კია, რომ მე-17 საუკუნეში უკვე შოჲ ყოფილა, რაც ჩანს რომში 1629 წ. გამოცემულ ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან და აგრეთვე მაჯკოს გრამატიკიდანაც (მეორე გამოც. 1670 წ.).

სულხან-საბა ორბელიანის ანბანში უკანასკნელ ასოს ჰქვია ში და შე, რაც ასე უნდა წავიკითხოთ: ჰოი, ჰოე. გაიოზის გრამატიკაში მისი სახელია შოე (ე. ი. ჰოე). თ. ყორღანის გრამატიკის მიხედვით შ არის ჰოი (ან ჰოჲ).

რომ დაუპირუბნდეთ ეფთვიმეს თარგმანს, მის დროს „ანი და შ“ ალბათ, „ანი და ოპი“ იყო, რომელიც შემდეგ „ანი და ჰოე“ გახდა.

თუ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ბერძნული

¹ აქ დამოწმებულია ქართული ანბანი მე-15 საუკუნეში გადაწერილი სომხური სახელმძღვანელოდან. ანბანთა კრებული, რომელიც შიგ არის მოთავსებული, ძველია, არა უგვიანეს X საუკუნისა. იხ. А. Шанидзе, Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. Известия ин-та языка, истории и матер. культуры, т. IV, 1938.

სახელების ნაცვლად ქართულს ვამჯობინებთ, გვექნება: „ანი და ოპი“, რაც ძველის-ძველი ტრადიციის აღდგენა იქნება, მაგრამ მე მგონია, უკანასკნელი ასოს სახელად აჯობებს „ჰოე“, რომელიც ბოლო ხანებამდე იხმარებოდა. ამიტომ ამ წერილის თავში მოყვანილი მაგალითი ასეც შეიძლება ითქვას: „წესრულების შემოწმება და კონტროლი ჩვენი მუშაობის ანი და ჰოე“.

12. პაპა თუ ბაბუა?

(მცირე შენიშვნა ამ სიტყვების ხმარებისათვის)¹

ამ ორ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ზოგისთვის პაპა არის მამის მამა ან დედის მამა (дед), ხოლო ბაბუა — მამის დედა ან დედის დედა (бабушка) — [ბაბუა კნინობით-ალერსობითი ფორმაა ბაბო-სი, რომელიც მამის დედას ან დედის დედას აღნიშნავს]; ზოგისთვის კი პაპა არის ერთი თაობით უფროსი ნათესაურ ჩამომავლობაში: იგია მამის მამის მამა, ან მამის დედის მამა, ან კიდევ დედის მამის მამა, ან დედის დედის მამა (прадед), ხოლო ბაბუა — მამის მამა ან დედის მამა (дед).

მამის დედის ან დედის დედის აღსანიშნავად ბევრგან ბებია ითქმის, აქა-იქ დიდედა-ც (ე. ი. დიდი-დედა). მე არ მაქვს ზედმიწევნითი ცნობა, თუ სად რა მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ თითქოს არ უნდა შეეცდეთ, თუ ვიტყვი, რომ პაპა პირველი მნიშვნელობით უფრო აღმოსავლეთ კილოებშია გავრცელებული, ხოლო მეორე მნიშვნელობით — დასავლურში. სათანადოდ განსხვავდება ბაბუა სიტყვის ხმარებაც: ლიხს აღმოსავლეთით იგი მამის დედა ან დედის დედა (ე. ი. ქალი), დასავლეთით კი — მამის მამა ან დედის მამა (ე. ი.

¹ „თბილისი“, 28. 12. 1958.

კაცი). ასეთი ნაირ-ნაირი მნიშვნელობა მწერლობაშიც იჩენს თავს: აღმოსავლელი მწერლებისათვის მამის მამა ან დედის მამა პ ა პ ა ა, დასავლელებისათვის — ბ ა ბ უ ა. უკანასკნელ ხანებში ბ ა ბ უ ა ამ მნიშვნელობით სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს მწერლობაში და ზეპირმეტყველებაშიც, მაგალითად, კინოსურათ „მანანაში“ ბ ა ბ უ ა მამის მამაა.

საჭიროა, ასეთ არევე-დარევეს სალიტერატურო ენაში (და, სასურველია, სასაუბროშიც) ბოლო მოედოს. ბოლოს მოღება კი ნიშნავს, ერთი მნიშვნელობის განმტკიცებას და მეორის უკუგდებას.

რომელი მათგანი უნდა იქნეს არჩეული სალიტერატურო ფორმად?

ისტორიულად თუ განვიხილავთ საკითხს, ვნახავთ, რომ ლიტერატურაში აღმოსავლური გაგება იყო გაბატონებული. მაგ., ვეფხის-ტყაოსანში ფრიდონი ეუბნება ტარიელს:

მამის ძმა და მამა-ჩემი პ ა პ ა - ჩ ე მ მ ა ნ გაყვნა ოდეს,
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს.
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს.
მათეე დარჩა სანადირო, — არ მივსცემდი, მომერჩოდეს.

ამ სტროფიდან ცხადია, რომ პ ა პ ა არის მამის მამა, რომელსაც ქონება გაუყვია შვილებისთვის: ფრიდონის მამისა და ფრიდონის ბიძისთვის (მამის ძმისთვის). მაშასადამე, ამ შემთხვევაში იმ გაგებასთან გვაქვს საქმე, რომელიც დღემდის შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში.

„პაპა“ სიტყვის ეგვევ მნიშვნელობა XII საუკუნეში შეგვიძლია სხვა წერილობითი ძეგლითაც დავადასტუროთ. თამარის მამას, გიორგი მეფეს, თავის მეფობის მე-14 წელს (ე. ი. 1170 წელს) სიგელი უბოძებია შიომღვიმის მონასტრისთვის, სადაც, სხვათა შორის, იკითხება:

„მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუმიისანი და მოიხვნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა პ ა პ ის ა ჩ უ ე ნ ის ა და ვ ი თ ის ნ ი და მ ა მ ის ა ჩ უ ე ნ ის ა დ ე მ ე ტ რ ე მ ე ფ ის ა ნ ი და ს ხ უ ა ნ ი ძ უ ე ლ ნ ი

მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი და გუეჰაჯნეს და მო-
გუაჯსენეს“. კარგად ცნობილია, რომ დემეტრე მეფე, რომელსაც თავის მამად ახსენებს გიორგი მეფე, იყო ძე დავით აღმაშენებლისა, რომელსაც მისი შვილიშვილი (ჩვენი სათვალავით გიორგი III) დიდს ეძახის („სიგელნი დიდისა მეფეთ-მეფისა პაპისა ჩუენისანიო“). მაშასადამე, მამის მამა ამ სიგლის მიხედვით არის პაპა. იმავე სიგელში ცოტა ქვევით იკითხება: „ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი დამოჯსენებაი და დიდთა მეფეთა პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანება-ნი, და სიგელნი ამით ჩუენითა სიგლითა გაგუიახლებიან და მათნი დაგუიმტკიცებიან“. შემდეგ კი ჩამოთვლილია ადგილ-მამულები, რომლებიც გიორგი მეფეს დაუმტკიცებია მღვიმისთვის, მათ შორის, ბორცვის ჯვარი (მანგლისის მხარეს), რომელზედაც ნათქვამია: „მანგლისს კევს ბორცუის ჯუარი, ძუელადვე მღვიმისაი, ლიპარიტეთგან წალეხული (ე. ი. ლიპარიტიანთაგან წართმეული), აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისგან შემოწირულ ი“. მაშასადამე, იმავე სიგელში იგივე დავით მეფე პაპად არის მეორედ მოხსენებული გიორგი მეფის მიერ.

საინტერესო იქნებოდა ამ სიტყვისა და ზოგი სხვა ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების თვალის გადევნება საუკუნეთა მანძილზე მე-18 საუკუნემდის. დასავლურმა გაგებამაც შესაძლოა აქა-იქ იჩინოს თავი, მაგრამ ცხადი კია, რომ აღმოსავლური გაგება ამ სიტყვისა საერთოდ უფრო მკვიდრია ისტორიულად თვით მე-19 საუკუნის II ნახევრამდის, როდესაც დასავლური ნაკადი თანდათან ძლიერდება ლიტერატურაში.

საყურადღებოა, რომ ითქმის მამა-პაპანი და არა მამა-ბაბუანი (ან მამა-ბაბუები). ერთ მთიულურ ლექსში იკითხება:

მამა-პაპათა თქვიანო,

ულელი ჯარით ვნიანო.

აგრეთვე ითქმის მამა-პაპეული, და არა მამა-ბაბუეული.

ქართულ სალიტერატურო ენას აღმოსავლეთ საქართვე-

ლოში ჩაეყარა საფუძველი, აქ გაიზარდა და გაიფურჩქნა და ამ სადაო საკითხში აღმოსავლური გაგება უნდა დამკვიდრდეს საბოლოოდ. ეს გაგება რუსთველურია. და ამ გაგებამ საყოველთაოდ უნდა გაიკაფოს გზა ყველგან, ლიტერატურაშიც და საუბარშიც: მამის მამა ან დედის მამა არის პაპა და არა ბაბუა, ხოლო მამის დედა ან დედის დედა არის დედედა ან ბებია.

13. ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები¹

სალიტერატურო ქართულმა ორჯერ განიცადა დიდი გავლენა სხვა ენებისაგან: ერთხელ XII საუკუნეში და მეორეჯერ — XIX—XX-ში, ძველად ბერძნული ენისაგან, შემდეგ სხვა ენებისაგან. ბერძნულის გავლენა უფრო ზედაპირული იყო და შეეხო გარკვეული სახის ლიტერატურას — საეკლესიოს. იგი, სხვათა შორის, იმაში გამოიხატებოდა, რომ გაუბოდნენ მიმართებითი ფორმების ხმარებას ზმნაში და ისე აგებდნენ წინადადებას, როგორც ბერძნულშია, რომელსაც მიმართებითი ფორმები (ორ-პირიანი და სამ-პირიანი) არ გააჩნდა. ამიტომ ელინოფილების ანუ ბერძნულის მოტრფიალეთა წყალობით სამწერლობო ენაში გაჩნდა ისეთი არაბუნებრივი გამონათქმეები, როგორიცაა: **თქუა ჩემდა მომართ, თქუა მისა მიმართ**, მაშინ როდესაც ბუნებრივი ქართულით იქნებოდა **მრქუა მე, ჰრქუა მას, ან მითხრა მე, უთხრა მას**.

ქართულს არ გააჩნდა და არც დღეს გააჩნია ერთი ფუძისაგან ნაწარმოები ორი ფორმა, რომელთაგანაც ერთი აღნიშნავდეს მამრს, მეორე კი — მდედრს, როგორც ეს არის მაგ., ბერძნულში, ლათინურში, არაბულში, რუსულში, ვთქვათ, რუს. **царь** და **царица**, **господин** და **госпожа** და სხვა. ჩვენთვის ვახტანგ გორგასალიც მეფე იყო და თამარიც: ვამბობდით და ვამბობთ დღესაც: ვახტანგ მეფე, თამარ მეფე. მაგრამ ელინოფილებმა სცადეს, ხელოვნურად გაერჩიათ მეფე

¹ „სახალხო განათლება“, 3. 3. 1965. გადაიბეჭდა: „თბილისის უნივერსიტეტი“. 19. 3. 1965 (№ 10).

და დედოფალი ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვებით: მე-
ფე კაციაო, მეფეა კი — ქალიო. ანის დამატებით ვითომ
ძღედრის ფორმა მიიღეს. ამგვარადვე უფალ-ი კაციაო (гос-
подин), უფალ-ა კი — ქალიო (госпожа). ასეთი ხელოვნური
ფორმების ხმარება შემდგომ ანტონი კათალიკოსმა გაიმეორა:
წინასწარმეტყველ-ი კაციაო (прирок), წინასწარმეტყველა
კი — ქალიო (прирочица).

ქართულმა არ იცის ორი რაეს ხმარება ერთ სიტყვაში; თუ
ორი რ არის მოსალოდნელი, ერთი ლასად გადაიქცევა. ამი-
ტომია, რომ ვამბობთ: კახ-ურ-ი, კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, ბიჭ-
ურ-ი და სხვ., მაგრამ ამასთანავე: რაჭ-ულ-ი, იმერ-ულ-ი,
ვირ-ულ-ი და სხვ. ამიტომია, რომ უცხო ენებიდან შემოსულ
ორი რაეს მქონე სიტყვაც ქართულ ფონეტიკურ კანონს დაე-
წორჩილება და ერთი რ ლასად გარდაიქმნება: გრიგორ-ის
ნაცვლად გრიგოლ-ს ვამბობთ, ზარარ-ის ნაცვლად ზარალ-ს,
ფარგარ-ის ნაცვლად ფარგალ-ს და სხვა და სხვა. ელინოფი-
ლები არ ერიდებოდნენ ორი რაეს ხმარებას ერთ სიტყვაში
და შემოიღეს რიტორ-ი, მეპრორე (მესაჭე) და სხვ. ამათგან
რიტორი დღევანდლამდე შემოგვრჩა. მას მიემატა ბევრი სხვა
სიტყვა ევროპული ენებიდან შემოსული: რექტორი, რედაქ-
ტორი, რეჟისორი, ტრაქტორი, ტროტუარი და სხვ. ანტონი
კათალიკოსმა კი ასეთი ფორმები შემოიღო: გრიგორი, მარგა-
რიტი, ფებერვარი და სხვა. მაგრამ უკანასკნელმა ფორმებმა
ფეხი ვერ მოიკიდა ვერც სასაუბრო ენაში და ვერც სამწერ-
ლობოში.

ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ ქართულ ენაზე ადრე
გაჩნდა დიდი მწერლობა საკუთარი და გონივრულად შემუშა-
ვებული ანბანით. უძველესი ქართული ენისა და ქართული
წერის ნიმუშები უკვე V საუკუნიდან მოგვეპოვება. ამ ეროვ-
ხული მწერლობის საშუალებით აუარებელი ქართული სიტყვა
შემოგვენახა უძველესი დროიდან. მაგრამ პოლიტიკური
უძლურებისა და უცხოელთა მოძალების ხანაში ბევრი უცხო
სიტყვა შემოგვეპარა. ასეთებია, მაგ.: ფანჯარა, ლოთი და
სხვა. რად გონდა სპარსული ფანჯარა, როდესაც გვაქვს ჩვე-
ნი საკუთარი სარკმელი? ერთმა მეცნიერმა ერთი ძველი ტა-

ძარი გამოიკვლია მისი სარკმლებითურთ. მან ყველგან „სარკმელი“ იხმარა გამოკვლევაში, მაგრამ ერთგან უნებურად „ფანჯარა“ წასცდა. მე შევუთვალე ხუმრობით: ესლავე ავალ კავთისხევში და იმ ერთ ფანჯარას ჩავლევ და სარკმლებს კი ხელს არ ვახლებ-მეთქი. რად გვინდა არაბულ-სპარსულ-თურქული ლოთი, რომლის ნაცვლად რამდენიმე გვაქვს: მსმელი, მოსმური, მემთვრალე? ამგვარი მაგალითი რამდენია! საჭიროა ჩვენი უბედობის ხანაში ჩვენდა უნებურად შემოჭრილი სიტყვები შევცვალოთ ქართული ფონდიდან ამოღებული სათანადო ეკვივალენტებით. ქართული ფონდის წყარო შეიძლება ძველი მწერლობის ძეგლები იყოს და დღევანდელი ცოცხალი კილოებიც.

ცალკეული სიტყვების წინააღმდეგ ბრძოლა შედარებით ადვილია, თუმცა, როცა სხვა ენის კვალობაზე „ქართულად“ გაკეთებულ ფორმასთან გვაქვს საქმე, სიძნელე ზოგჯერ აქაც დიდია. ცნობილი პედაგოგი სილოვან ხუნდაძე ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ჩიოდა: ეს რა ქართულია: სახლში წავიდა, სახლში დარჩა და ამგვარებიო? უნდა შინ წავიდა, შინ დარჩაო, მაგრამ ვითომ გაუგონეს? ზოგმა — კი, მაგრამ ზოგმა — არა. მიზეზი ის არის, რომ ვერ ვუვლით ქართულ ენას, როგორც საჭიროა, ვერ ვიღებთ საჭირო ზომებს, რომ ნაკლები გამოვასწოროთ. ამის გამო იმდენად დაიტვირთა ქართული ენა არაქართული სიტყვებით და გამოთქმებით, რომ უკვე ბრძოლაც ძნელი გახდა. თითქო მარტივი საქმეა იმის გადაწყვეტა, ვიხმაროთ თუ არა უარყოფითი არ ნაწილაკი გამონათქვამში: რადაც არ უნდა დამიჯდეს, მე ამ საქმეს უთუოდ შევასრულებ. რა თქმა უნდა, სწორი ქართულით ამ შემთხვევაში არ საჭირო არ არის, მაგრამ აბა წაიკითხეთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, ამოწერეთ, ვინ როგორ ხმარობს მსგავს წინადადებას: არა-თი თუ უ-არა-ოდ და დარწმუნდებით, როგორი არეგ-დარევა სუფევს.

საერთოდ, უცხო ენების გავლენა ისე მოედო ქართულ ლექსიკასა და სინტაქსს, რომ მძივე მდგომარეობა შეიქმნა. ისე შევეჩვიეთ მრავალ სიტყვას, გამონათქვამსა და წინადა-

დების აგებას, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ სხვანაირად შეიძლებოდეს იმავე აზრის გადმოცემა. მიზეზი ის არის, რომ არ ვუვლით ქართულ ენას, ვერ ვუვლით მას, როგორც საჭიროა, არ ვიღებთ სათანადო ზომებს, რომ ნაკლი გამოვასწოროთ.

ბევრია სამუშაო კაი ქართულის წარმოსაჩენად და ჩვენი სალიტერატურო ენის წელში გასამართავად.

14. ჩამო თუ ამო

(ზმნისწინის სწორად ხმარებისათვის)¹

ჩამოსვლა ჩვეულებრივი ზმნაა დღევანდელ ქართულში, სასაუბროსა და სალიტერატუროში. იგი აღნიშნავს „სვლა“ ზმნით გამოხატულ მოძრაობას სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე ორ პუნქტს შორის, მაგრამ უთუოდ ზემოდან ქვემოთ და მოსაუბრისაკენ (პირველი პირისაკენ). მარტივად რომ ვთქვათ, **ჩამოსვლა** აღნიშნავს სვლის მიმართულებას ზემოდან ქვემოთ, სადაც მოუბარი ანუ პირველი პირია, **ჩასვლა** კი — იმავე მოძრაობას, მაგრამ სადაც პირველი პირი არ არის. ჩამოდიო, ვეტყვიო, თუ ვინმე ხეზეა ასული, ან სახლის საჭურავზეა ასული და ჩვენ ძირსა ვართ. საერთოდ, თუ ორი ადგილიდან ერთი უფრო მაღლა მდებარეობს, მეორე კი დაბლა, **ჩამოსვლას** და **ჩასვლას** ვამბობთ იმის მიხედვით, თუ სად არის მოუბარი (პირველი პირი). მაგ., თბილისში **ჩამოსვლას** ვამბობთ, თუ ამ ქალაქში ვართ და მოდიან, ვთქვათ, ბაკურიანიდან, ბორჯომიდან, ახალციხიდან, ხაშურიდან, სურამიდან, გორიდან, ღუშეთიდან, თიანეთიდან, კოჯრიდან, წყნეთიდან და სხვა ადგილებიდან, რომლებიც თბილისზე მაღლა მდებარეობს. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა ქართულ ენაზე მოუბართათვის და სიტყვას აღარ განვადგობ. მაგრამ ერთი ამბავია, რომელსაც ჩემს გარდა უთუოდ სხვაც მიაქცევდა ყურადღებას.

უახლეს ქართულში ხშირად შევხვდებით წიგნსა თუ ჟურნალ-გაზეთში, ან გავიგონებთ საუბარში, სცენიდან, რადიოში,

¹ „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1969, № 4.

ტელევიზორში, რომ ზემორე თქმულის საწინააღმდეგო იყოს: შეიძლება ჩამოსვლა ზმნა იხმარონ ისეთი პუნქტის მიმართაც, რომელიც უფრო მაღლაა, ვიდრე პუნქტი, საიდანაც გამოდიან. არა ერთხელ გამიგონია სხვადასხვა დროს ზაფხულის გასატარებლად მყოფს მაღალ აგარაკებზე (კოჯორში, ბორჯომში, სურამში, ბაკურიანში, წყნეთში, წელს კი ლებარდესა და ახალქალაქშიც) ეს ჩამოსვლა ზმნა ნაცვლად ამოსვლისა, როგორც ეს მოსალოდნელია ბუნებრივი ქართულით. მართლაც, კოჯორსა და წყნეთში თბილისიდან ადიან და არა ჩადიან (სათანადოდ: ამოდიან და არა ჩამოდიან). მსგავსად ამისა, მცხეთიდან თიანეთს, დუშეთსა და ხევსურეთში ადიან. მაგრამ აბა მიმოვიხედოთ ირგვლივ და ყური დავუგდოთ საუბრებს და გავიგოთ, როგორია ამ მხრივ საქმის ვითარება.

ერთი მაგალითი. წელს (1969 წ.) საკმაოდ გრილი ზაფხული იყო ჩვენში. ამიტომ აგარაკებზე, რომლებიც საერთოდ მაღლობ ადგილებზეა, ზოგჯერ ციოდა კიდევ. ამის გამო არც არის გასაკვირველი, რომ ლექსიც კი ითქვა და დაიბეჭდა გაზეთში. აგარაკზე უამინდობისაგან შეწუხებული ქალიშვილი სწერს თავის მამას, რომელიც იგულისხმება, რომ ქალაქშია:

„რატომ არ ჩამოხვედი?
მივლინებით იყავ სადმე?

მამა, რაც აქ ჩამოვედიო,
ხან თოვს, ხან წვიმს, ხან დარია“
და სხვ.

წერილი თავდება ასე:

„მამა, უკვე ეს ორი თვე
სიცივეში გავატარეთ,
დასვენება, დროს ტარება
ქარს და წვიმას გავატანეთ.
თუ გიყვარვარ, ნუ გაგვწირავ,
მამავ, შენ კი გეთაყვანე,
დედის „მოდას“ ნუ აპყვები,
ჩამოდი და წაგვიყვანე“.

როგორც ვხედავთ, აგარაკზე მყოფი შვილი ქალაქში მყოფ მამას სწერს: რატომ არ ჩამოხვედიო: რაც აქ ჩამო-

ვედიოთ, ხან თოვს, ხან წვიმს, ხან ღარიად და ეხვეწება: „ჩამოდი და წავიყვანე“... მაგრამ დღევანდელ ენას ისე ურთოდო ჩამოსვლა ზმნის ხმარება განურჩევლად იმისა, მაღლა მდებარეობს მისასვლელი პუნქტი გამოსასვლელთან შედარებით, თუ დაბლა, რომ პირდაპირ საკვირველი ამბავია. მგონია კი, რომ ეს უფრო სკოლა-გამოვლილი ხალხის ენას უნდა ახასიათებდეს. არა მგონია, რომ სოფელმა კაცმა ასეთი შეცდომა დაუშვას. ვითომ ჰკითხავს რომელიმე მთიული თბილისიდან ფასანაურში ასულ კაცს: როდის ჩამოხვედიო? მე მგონია, არა. ის ჰკითხავს: როდის ამოხვედიო. მსგავსად ამისა, მეჭვრისხეველი, თუ იგი თავის სოფელშია, იტყვის: ჩემი ძმა თბილისიდან ამოვიდაო; სურამელიც კვერს დაუკრავს: ჩემი ძმაც გორიდან დღეს ამოვიდა სურამშიო და მისთ.

ბევრჯერ მიფიქრია, როგორ მოხდა, რომ ჩამო-მ ასე ფართოდ გაიკაფა გზა და იქაც დამკვიდრდა, სადაც ამო უნდა? ალბათ, მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მთა-გორიანია და ქალაქების უმეტესობა დაბლობშია: ბათუმი, ფოთი, ცხუმი (სოხუმი) ხომ ყველა დაბალი ადგილებია, ზღვის პირას მდებარე. ქუთაისიც დაბლა მდებარეობს მთელ ზემო იმერეთთან, ოკრიბა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთთან შედარებით. ამიტომ ქუთაისში ამ ადგილებიდან ჩადიან (და არა ადიან), რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ თბილისი უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე სხვა ადგილები, რომლებიც მას აკრავს ირგვლივ, რუსთავ-გარდაბნის გარდა. ამიტომ თბილისში უფრო მეტად ჩადიან ან ჩამოდიან. რუსთავიდან, ცხადია, თბილისში ამოდიან, მაგრამ, რაკი სხვა ქალაქები, სოფლები და კუთხეები უფრო მაღლაა, ამიტომ დედაქალაქზე რომ არის საუბარი, უფრო ჩამოსვლა ან ჩასვლა გაისმის.

აი ამ გარემოებას უნდა ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ჩამოსვლა განზოგადებულიყო და იქაც დამკვიდრებულიყო, სადაც ამოსვლა უნდა.

სალიტერატურო ენის ვალია, მრუდი ქართულის დამკვიდრებას ხელი შეუშალოს და სწორისას ხელი შეუწყოს.

15. ქართული ენის სიწმიდისათვის

(საუბარი)¹

ქართული ენა ქართველი ერის ფას-დაუდებელი განძია და მისი შევენება. ამ ენაზე დაიწერა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“, „განდეგილი“, „თორნიკე ერისთავი“, „გველის მჭამელი“ და სხვა მრავალი შესანიშნავი თხზულება, რომლებითაც თავი მოგვწონს. ამ განძს დაცვა და მოვლა უნდა, რომ იგი სათანადოდ ემსახუროდეს ჩვენს ერს.

ბოლო ხანებში ქართული სალიტერატურო ენა ძალიან გამდიდრდა, შეიქმნა სპეციალური ტერმინოლოგია მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში და საშუალება გვაქვს, ადვილად და ნათლად გამოვხატოთ ყოველგვარი აზრი ურთულესი საგნის შესახებაც კი. მაგრამ, ამასთან ერთად, სამწუხაროდ, გაჩნდა ზოგი ისეთი რამეც, რაც არ არის სასურველი და ეხლავე უნდა ამოფხვრა.

სასაუბრო ენაში კიდევ მეტია არასასურველი მოვლენები. ამ ჩვიდმეტეოდე წლის წინათ ორ ქართული ენის სპეციალისტს, რომელთაც ევალეზოდათ ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისათვის, მეგობრულად ვსთხოვდი: ჰოდი, ერთი კარგი საქმე ვქნათ: გავარიდოთ თავი თბილისს

¹ საუბარი ჩაწერილია 26. XII. 1967 წ. საქ.-ს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის მიერ კინოსურათისათვის, რომელსაც სათაურად აქვს „რა ენა წახდეს“. ფილმის რეჟისორია შერაგლ შონია, კინოოპერატორი — ენრიკო ვერმესაშვილი, რეჟისორის თანაშემწე — იური ტატულაშვილი.

და სადმე მყუდრო ადგილას წავიდეთ საგანგებო მიზნით — ენის ნორმების საკითხების დასამუშავებლად. სამი კაცი საშინოდ თვის განმავლობაში ძირითად სადაო საკითხებს კარგად დავამუშავებთ-მეთქი. ეს დაიბეჭდება პროექტის სახით, რომელიც შემდეგ საჯარო განხილვის საგანი გახდება და, სათანადო შესწორებათა შემდეგ, დამტკიცდება კიდევ ზემდგომი ორგანოს მიერ. ამით ფართო მასებს მიეცემა სახელმძღვანელო წიგნი-მეთქი. გაეხარდება ხალხს, ხელისუფლებას, ქართველ მწერლებს და ქართული ენის მეგობრებს-მეთქი. რატომღაც ეს არ მოხერხდა.

მერმე ისე წავიდა საქმე, რომ, ჩემდა უნებურად, მეც მოვსწყდი ამ საქმეს, რომელიც დღესაც მოუგვარებელია.

ამჟამად სალიტერატურო ენის მსვლელობის გზა საკმაოდ გამრუდებულია: მრავალ შემთხვევაში დარღვეულია ბუნებრივი ქართული სინტაქსი. გაჩნდა შეუფერებელი ფორმები და თავის ნებაზე მიშვებულ სალიტერატურო ენას, რომელიც თოვლივით სპეტაკი უნდა იყოს, შავი ლაქებიც დააჩნდა. ჩვენი მოვალეობაა, ამ ლაქების მორეცხა, რომ ჩვენი სასიქადულო ენა ყოველმხრივ უნაკლო გახდეს როგორც საუბარში, ისე წიგნსა და ჟურნალ-გაზეთში. ყველამ ვიზრუნოთ ქართული ენის სიწმინდისათვის.

16. საკუთარი სახელების სწორად ხმარებისათვის ისტორიული ხასიათის თხზულებაში

ხშირია, რომ ისტორიული ხასიათის თხზულებაში (მო-
თხრობაში, რომანში) ზოგიერთი საკუთარი სახელი არასწო-
რად იხმარებოდეს, რაც ამცირებს თხზულების ღირსებას.
მწერლები ცდილობენ დაიცვან წარსული საუკუნეების ფორ-
მები, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებენ და ზოგჯერ
მცდარ ფორმებს გვაწვდიან. განსაკუთრებით ხშირია ა ხმოვ-
ნიან საკუთარ სახელთა ბრუნების მცდარი ფორმები. ასეთ
სახელებს სახელობით ბრუნვაში ი აქვთ, რაც სრულიად ბუ-
ნებრივია (ნონა-ი), მაგრამ არაბუნებრივია, რომ ეს ი შენა-
ხულ იქნეს მოთხრობითისა, მიცემითისა და წოდებითის ფორ-
მებშიც. ამგვარი არასწორი ფორმები პირველად, თუ არა
ვცდები, კ. გამსახურდიას აქვს ნახმარი. მაგალითად, საყო-
ველთაოდ ცნობილ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვხვდებით სა-
კუთარ სახელებს თაყა-ს და ნონა-ს, რომელთაც მწერალი სა-
ხელობითში ი-ს დართვით ხმარობს: თაყაი, ნონაი, მაგრამ ამ
ი-ს უხორციებს ფუძეს და გადააქვს იგი სხვა ბრუნვებშიც,
თითქო ეს იყოს ისეთი სახელი, როგორიცაა გიორგი. მაგალი-
თები: ¹

მოთხრ. თაყაიმ გაშალა თავისი გოლიათური მკლავები, 62;
ჭიაბერის მოკვლა ძელისცხოველის ხატს დაუკავშირა
თაყაიმ, 56.

¹ მაგალითები დამოწმებულია 1966 წლის გამოცემის მიხედვით.

მიც. თორმეტი ვაჟი ჰყავდა თაყაის, 54; მადლი უძღვნა ნონაის, 192; ნონაის სძინავს, 194.

წოდ.: ეჰ, ჩემო ნონაი, 209; შენ რა გგონია, ნონაი, 208; ვისია ეს წიგნი, ნონაი, 193.

ცხადია, ი ზედმეტია მოთხოვითა, მიცემითა და წოდებითში, სადაც წესით ასეთი ფორმები უნდა იყოს: თაყამ (თაყამ გაშალა თავისი გოლიათური მკლავები), თაყას (თორმეტი ვაჟი ჰყავდა თაყას), ნონას (სძინავს), ნონა (ეჰ, ჩემო ნონა!).

იმავე თხზულებაში გვხვდება ძაღლის სახელად **ყურში**, რომელშიც ი შეხორცებულია და გადადის მოთხოვითა და მიცემითში: ძალიან არ ივაჟკაცა ყურშიამ; 27; სამი ბაზიერი და შვიდი მოისარი გააყოლა ბაზიერთუხუცესმა ყურშიის, 25; ყურშიის სჯობდა კუდაი კიდეცა, 27.

მცდარი ფორმები სალიტერატურო ენაში ხშირად გადამდებ სენსა ჰგავს. ზემორე მოყვანილი მცდარი ფორმების მსგავსი მაგალითები სხვაგანაც შეიძლება დავადასტუროთ. აი, მაგ., გრ. აბაშიძის მშვენიერ „ცოტნეში“ როგორ არის ნახმარი ქალის სახელი **კრავაი**.

მოთხრ. მოიწყინა კრავაიმ და თვალი გაუსწორა, 269; ამასობაში კრავაიმ ნანატრი ქალ-ვაჟი შესძინა ოდიშის მთავარს, 286; მიულერსა კრავაიმ, 308; კრავაიმ სელი დაუდგა ბიძას, 308; ფერწასულმა კრავაიმ ცოტნეს მოხედა, 307; გადაჭრით თქვა კრავაიმ, 376.

ნიც. სალამოს დერეფანში შეეჩეხა პირისპირ მარტო მიმავალ კრავაის, 269; ჩემს შვილთაგან ჩემთვის განურჩეველ კრავაის კარგი ბედი და კარგი მომავალი 267; კრავაის მოსვენება ეკარგებოდა, 315.

წოდ. ამას მგელი ჰქვია და შენნაირ კრავებსა სჭამს, კრავაი, 153; კრავაი, კრავაი! — გაისმა ეზოდან, 269; ჩემო კრავაი, 317.

ყველა ჩამოთვლილ მაგალითში „კრავა“ სიტყვაში ნახმარი ი ზედმეტია. ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ცოტნეში“ სწორი ფორმაც არის ნახმარი: თქვა კრავამ, 317; გძინავს, კრავა? 317; ვინ დაგეხსნება, კრავა, 307.

ალექსანდრა ჩხენკელის ინგილოურ „ერთგულების ციხე“

მოთხრობაში, რომელიც სკოლებში ისწავლება, გმირის სახელია **თოლა**, რომელიც მიცემით ბრუნვაში „თოლის“ ფორმით გვხვდება: ამ ციხეში ერთ დროს ცხოვრობდა კაცი, რომელსაც თოლის ეძახდნენ; თოლის ამ ციხეში ერთი ოთახი ჰქონდა; თოლის ბევრჯერ შეუჩინეს კაცი დასაჭერად; თოლის რომ რამე დაემართოს. ყველა მაგალითში „თოლის ფორმის ნაცვლად უნდა „თოლას“: ამ ციხეში ერთ დროს ცხოვრობდა კაცი, რომელსაც თოლას ეძახდნენ და მისთ. „თოლის“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა: თოლის ცხენი, თოლის ცოლი, თოლის მოკვლა და მისთ.

სასურველია, რომ შემდგომს გამოცემებში ეს ზედმეტი ი ამოღებულ იქნეს. იგი შეიძლება დარჩეს მხოლოდ სახელობითსა და ნათესაობითში: მიდიოდა კრავაი, კრავაის შვილი, მაგრამ: ჰკითხა კრავამ, მიუახლოვდა კრავას, აქ მოდი, ჩემო კრავა!

19. IV. 1976

17. შახეხი კომპოზიტიხის ღაწირისათხის

(პროექტი)

კომპოზიტი ჰქეია ორი ან მეტი ფუძისაგან წარმომღგარ სიტყვას, რომლის ნაწილები გრამატიკულად ერთ ერთეულს წარმოადგენენ და ლექსიკურადაც ერთ რამეზე მიუთითებენ.

ორი ფუძის ნაცვლად შეიძლება გვქონდეს ერთი, მაგრამ გაორკეცებული ამა თუ იმ სახით. ასეთი სიტყვაც კომპოზიტია (ხარხარი, რამე-რუმე).

ზოგ შემთხვევაში კომპოზიტის პირველი ნაწილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (ქინძისთავი, ავადმყოფი და სხვ.).

რთული სიტყვა შეიძლება იყოს კომპოზიტი ვიწრო მნიშვნელობით (საკუთრივ კომპოზიტი) და კომპოზიტი ფართო მნიშვნელობით. თუ ორი ან მეტი სიტყვა გაერთიანებულია მხოლოდ გრამატიკულად (მორფოლოგიურად, სინტაქსურად), ხოლო ლექსიკურად ორ ან მეტ სიტყვას შეიცავენ, ასეთი რთული სიტყვა კომპოზიტად შეიძლება ჩაითვალოს პირობითად. ნამდვილი კომპოზიტია ის რთული სიტყვა, რომელიც ლექსიკურად ერთ სიტყვას წარმოადგენს, ერთი ერთეულია და ლექსიკონში თავისი ადგილი უჭირავს შემადგენელი ნაწილების ანბნის რიგზე.

საკუთრივ კომპოზიტების მაგალითებია: ცისარტყელა, ცისკარი, თხუთმეტი, ცხენისწყალი (მდინარე), მამასახლისი, ხელეჩო, ქალბატონი, თავმჯდომარე, სამშაბათი, კმაყოფილი და მისთ.

შერწყმული სახელები და ზმნები წარმოადგენენ კომპოზიციურ ფართო მნიშვნელობით: ხელ-ფეხი, მშვილდ-ისარი, ცივ-გომბორი, ქართლ-კახეთ-იმერეთი, ოხერ-ტიალი და მისთ.; ტან-წვრილი, ფეხ-თეთრი, შუბლ-მაგარი, გულ-გატეხილი, უღვაშ-აშლილი, ხავს-მოკიდებული, წყალ-წაღებული, თავ-მოშონე და მისთ.; გარბი-გამორბის, ვასუქ-გალაღეთ და მისთ.

კომპოზიციების დაწერისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესებით:

I. ერთად იწერება:

1. საკუთრივ კომპოზიტის ნაწილები: რკინისგზა, ცხენისწყალი (მდინარე), დიასახლისი, ხუთშაბათი, ქვემდებარე, ავადმყოფი, პირისახე, კმაყოფილი, ახალგაზრდა, ახალციხე (ქალაქი), ახალდაბა (სოფელი) და მისთ.
2. ფუძის გაორკეცებით ხმოვან-უცვლელად ნაწარმოები კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ნაწილებს, ცალკე აღებულით, მნიშვნელობა არა აქვთ: ხარხარი, ლასლასი, ბაჯბაჯი, ფუსფუსი და სხვ.
3. სიტყვა „სხვადასხვა“ და და-თი შეერთებული ზმნიხედები: თანდათან, წინდაწინ, ხანდახან, გულდაგულ, ფეხდაფეხ, დროდადრო და მისთ.

II. დეფისით იწერება:

1. უკავშიროდ შეერთებული სახელები (შერწყმული სახელები): ცოლ-შვილი, ბედ-იღბალი, რაჭა-ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი, ალალ-მართალი და მისთ.

შენიშვნა: დეფისი რჩება ასეთი კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ სახელებშიც: დედ-მამა: უდედ-მამო ბავშვი; ცოლ-შვილი: ცოლ-შვილიანი კაცი; ქართლ-კახეთი: ქართლ-კახური სიმღერები; ფშავ-ხევსურეთი: ფშავ-ხევსურული პოეზია და მისთ.

2. ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები სიტყვები: ერთი ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები, თანაც მეორე ნაწილში ხმოვან-შენაცვლებული კომპოზიტები: გორ-გური, ახალ-უხალი, ბიჭ-ბუჭები, ძახილ-ძუხილი, ნახრაე-ნუხრაევი, ნაყარ-ნუყარი, რამე-რუმე, ბაჭი-ბუჭი, ბინდ-ბუნდი, ხილ-ხული, ჭია-ჭუა, ხევ-ხუვი, დაპა-ღუპით, სხაპა-სხუპით, კანტი-კუნტად და მისთ.
3. მსაზღვრელიანი კომპოზიტები, ე. ი. კომპოზიტები, რომლებიც ისეთებია წარმოშობით, რომ არსებითს განსაზღვრავს ზედსართავი, რიცხვითი სახელი ან მიმღეობა:
- ა) ფეხ-თეთრი (ფეხ-თეთრი ცხენი=ცხენი, რომელსაც თეთრი ფეხი აქვს), ფეხ-მრუდი, ფეხ-მარდი, ფეხ-მაღალი, შავ-ტარა, შავ-თვალა, დიდ-თავა, ბოლო-შავი (მაგ., დედალი) და მისთ.
- ბ) ცალ-თვალა, ხუთ-წვერა, ცხრა-კარა და სხვ.
- გ) ფეხ-მოტეხილი (რომელსაც ფეხი მოტეხილი აქვს), ფეხ-ნაღრძობი, ფეხ-ნატყენი, ფეხ-მოგლეჯილი, დრო-მოჭმული, სულ-განაბული და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. გამონაკლისს შეადგენს ის კომპოზიტები, რომლებიც ერთ სიტყვად ქცეულან: ფეხ-მძიმე (დედაკაცი), ბოლოშავი (ჩიტის სახელია), ორგული (ადამიანი) და მისთ. (მაგრამ დეფისით: ორ-გული თხილი, თხილი, რომელსაც ორი გული აქვს).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ზემორე თქმულის მიხედვით „ყბადაღებულში“ დეფისი სხვადასხვა ადგილას დაიწერება იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომპოზიტს:

- ა) ყბად აიღეს: ყბად-აღებული; ყბა დააღო: ყბა-დაღებული.

4. თუ ზედსართავი ან მიმღეობა უკავშირო კომპოზიტს ერთის, პირველი დეფისი თავის ადგილას რჩება: წვერ-ულ-

ვაში: წვერ-ულვაშ-აშლილი; ხელ-ფეხი: ხელ-ფეხ-მოწყვე-
ტილი და მისთ.

5. თუ მსაზღვრელ-საზღვრულისაგან ნაწარმოებია ახალი სა-
ხელი, ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელსა და საზღვრულს
შორის იწერება დეფისი: ვეფხის ტყავი: ვეფხის-ტყავოსანი;
რკინის ქახრაკი: რკინის-ქახრაკისებრი; ჩიტის რძე: უჩი-
ტის-რძეოდ: პერანგის ამხანაგი: უპერანგის-ამხანაგოდ და
მისთ.

6. თუ ზედსართავი ან მიმღეობა და-თი შეერთებულ ორ ან
მეტ არსებითს მიემართება, წინა სახელის (ან სახელების)
შემდეგ დეფისი იწერება, მაგრამ და-ს არ უერთდება:
ცხვირ- და ყურ-მოჭრილი; ახალუხ- და შალვარ-ჩაცმული
(ი. ჭავჭ.), ვერცხლ-, ტყვია- და სპილენძ-ნარევი მადანი
და მისთ.

დეფისითვე იწერება:

7. საწყისიანი გამოთქმები, როგორცაა: დღე-გამოშვებით,
გულ-ამოსკვნით, ღამე-წამორთვით (ვეფხ.-ტყ.) და მისთ.

8. გაორკეცებული ზედსართავები და რიცხვითი სახელები,
როგორცაა: ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი, წვრილ-წვრილი,
ერთ-ერთი, ხუთ-ხუთი, ას-ასი და მისთ.

9. შერწყმული ზმნები:

ა) სხვადასხვა ფუძისა: აცრემლ-ატიროს (ვაჟა), დაწყნარდ-
დადუმდა (ვაჟა), გამაცივ-გამაცხელა (თ. რაზ.) და მისთ.

ბ) ერთისა და იმავე ფუძისა, მაგრამ ზმნისწინით განსხვავე-
ბული: გარბი-გამორბიან, მიდ-მოდიოდა, მიყრილ-მოყრი-
ლან, მიკითხვ-მოკითხვა, არბენ-ჩარბენა, შეხლა-შემოხლა
და მისთ.

10. ფუძის გაორკეცებით წარმომდგარი გარემოებითი სიტყ-
ვები: ტყე-ტყე, გორ-გორ, ქედ-ქედ, ქუჩა-ქუჩა და მისთ.

III. ც ა ლ კ - ც ა ლ კ ე და ი წ ე რ ო ს :

და-თი შეერთებული რიცხვითი სახელები, მაგრამ ისე, რომ
და ოცეულებს შეუერთდეს: ოცდა ერთი, ოცდა ხუთი, ოცდა
თექვსმეტი, ორმოცდა შვიდი, ორმოცდა ცხრაშეტი, სამოცდა

ხუთი, სამოცდა ჩვიდმეტი, ოთხმოცდა ცხრა, ორ მილიონ ოთხას ათას ორას ოთხმოცდა თორმეტი და მისთ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა. ზემორე წარმოდგენილი მსაზღვრელი-ანი კომპოზიტების დეფისით დაწერა იმით არის ნაკარნახევი, რომ:

ა) რთული სიტყვის ნაწილებს თავ-თავისი მნიშვნელობა შერჩენილი აქვთ. ძველად ეს ნაწილები ცალკ-ცალკე იწერებოდა: ფარ შიმშერისა (ვეფხ.-ტყაოსანი, ვახტანგის გამოცემა 3, 1), ლაგამ აბჯარ უნაგირსა (იქვე, 85, 4) და მისთ.; ულვაშ აშლილი, წვერ გამო (იქვე, 225, 2), თუმცა მეცეც ქნილი ავ-თანდილ გულ ამოსკუნით და კუნესითა (იგივე გამოც. 193, 1).

ბ) ასეთ კომპოზიტებში შემავალ სახელს შეიძლება მოეპოვებოდეს თავისი მსაზღვრელი; მაგ., შეიძლება ითქვას ცხენი ფეხებ-წაბჯენილი, მაგრამ აგრეთვე: ცხენი წინა ფეხებ-წაბჯენილი, სადაც წინა მსაზღვრელია კომპოზიტის პირველი ნაწილისა (ფ ე ხ ე ბ ი ს ა) ამიტომ არ შეიძლება მსაზღვრელი მიიჩქმალოს კომპოზიტში. მეტიც შეიძლება ითქვას. ამგვარად შერწყმული კომპოზიტის შუაში შეიძლება ჩაისვას გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულია მიმღებობისაგან: თუ ცხენებმა წინა ფეხები ტალახში წაიბჯინეს, შეიძლება ითქვას: „ცხენები წინა ფეხებ- ტალახში წაბჯენილები“. ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვითაში“ ვკითხულობთ: „ცხენები თრთოდნენ, წინა ფეხებ- ტალახში -წაბჯენილები და ასდიოდათ ხვართქლი“. მაშასადამე, კომპოზიტი გაყოფილია გარემოების აღმნიშვნელი სიტყვით. მოყვანილ მაგალითში „წინა“ განსაზღვრავს არსებითს („ფეხებს“), „ტალახში“ კი — მიმღებობას („წაბჯენილებს“). კომპოზიტის ორივე ნაწილს, მაშასადამე, განსაზღვრება აქვს, რომელთაგანაც ნეორეს ადგილის გარემოებას ვეძახით.

მსგავსი მაგალითებია:

ა) და-თი შეერთებულ სახელებთან: „მტკაველი — ცერ-და ნეკ-გაშლილი (ხელი)“ (სულხან ორბელიანი), „ახალუხ- და შალვარ-ჩაცმული“ (ი. ჭავჭავ.), „ცხვირ- და ყურ-მოჭრილი და მისთ. მიმღეობა შეიძლება ორზე მეტ სახელსაც განეკუთვნებოდეს: ვერცხლ-, ტყვია- და სპილენძ-ნარევი მადანი.

ბ) კომპოზიტში შემავალ არსებითს რომ განსაზღვრება

ახლდეს: ორ თით-გაშლილი (ს. ორბელიანი, გაბაჯა-სთან), „წავ ყაითან-მოვლებული დოშლული“ (სუნდუკიანცი), „ცხარე ცრემლ-მთოვიარე დედა“ (ვაჟა), „ისლის სახურავ-გადაზდილი სახლი“ (დ. კლდ.), „ცალ თვალ-დავსილი“ და სხვ.

გ) მიმღეობას რომ ახლდეს გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა: ბელეშა ყოფილა „რქა-დაღმა-დადრეკილი“ (ს. ორბელიანი, A რედ.), თოფებ-მაღლა -აშვერილი (ყაზბ.), კისერწინ -წაწვდილი (ყაზბ.), თავსაფარ-უკან -წაკრული ქალი (დ. კლდ.), ხანჯალ-მკერდ-მკერდსა -გაცმულნი (ი. ევდოშვილი) და შისტ.

დ) განსაზღვრება რომ კომპოზიციის ორსავე ნაწილს ახლდეს, ამისი მაგალითია: ცხელ წყალ-თავს -გადასხმული (ი. ჭავჭავაძე). ამგვარი გამოთქმები ქართულში საკმაოდ ძველია: 864 წლის სინურ მრავალთავში იკითხება: ყოველნი ერთბაშად ძაძა-შთაცმულ და ნაცარ-თავსა -გარდასხმულ იქმნებოდეს“ (107,38).

18. სამკლავიარო განცხადების შესახებ

(წერილი „თბილის“ გაზეთის რედაქციას)

თქვენი გაზეთის ყოველ ნომერში მიცვალებულთა განცხადების განყოფილებაში გვარები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის ხოლმე მოყვანილი, რაც რუსული განცხადების თარგმანს წარმოადგენს. მაგალითი დღევანდელი რუსული და ქართული გაზეთიდან:

„Лизвета о смерти Артема Александровича Кузанова («Веч. Тбилиси», 5 окт. 1968 г.).

...იუწყებიან არტემ ალექსანდრეს ძე კუზანოვის გარდაცვალებას („თბილისი“ 5 ოქტ. 1968).

ამგვარი წესი ქართულში ზოგ უხერხულობას იწვევს. მაგალითად: „თბილისის“ იმავე ნომერში დაბეჭდილია:

...იუწყებიან დამსახურებული ექიმის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გამრეკელის გარდაცვალებას.

კითხვა ისმის: გამრეკელის თუ ვამრეკელის? ცაგარელის თუ ცაგარლის? კორინთელის თუ კორინთლის? ზანდუკელის თუ ზანდუკლის? გომართელის თუ გომართლის? წერეთელის თუ წერეთლის? მენაბდეს თუ მენაბდის და მისთ. ზოგს ასე ურჩევნია, ზოგს ისე. მე ვიცი, რომ ერთი კაცის გარდაცვალების მათუყებელს ჰსურდა ყოფილიყო ზანდუკლის, მაგრამ გაზეთში გადაუსწორეს და დაუბეჭდეს ზანდუკელის. რატომ, რა უფლებით? ვითომ ეს ფორმა სჯობს? უნდა მოგახსენოთ, რომ არაგვის ხეობაში, სადაც ამ გვარის მატარებლები ცხოვრობენ, სხვაგვარად არ იტყვიან, თუ არ ფუძის

შეკუმშვით: ზანდუკლის სახლი, ზანდუკლები იმ სოფელში ცხოვრობენ, ზანდუკლიანთ უბანი და მისთ.

ამიტომ, რომ არ იყოს არავითარი გაუგებრობა, სჯობს, მიცვალებულის გვარი სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნეს მოყვანილი:

...იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **არტემ ალექსანდრეს ძე კუზანოვი**.

...იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ექიმი **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გამრეკელი**.

...იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ნინო ვასილის ასული კასრაძე**. ასეთი განცხადება უფრო მარტივიც არის და გაუგებრობასაც არ ექნება ადგილი.

5. 10. 1968

19. ლურსმული თუ სოლისებრი?

ლურსმანი ჩვეულებრივი სიტყვაა დღეს ქართულში, მაგრამ ძველის-ძველად მის ნაცვლად **სამსხვეალი** იხმარებოდა, რომელსაც ფუძედ **სხვ(სჷუ)** აქვს. ეს ფუძე დღესაც იხმარება, მაგრამ ოდნავ შეცვლილია: რჭობა, ვარჭობ, დავარჭვე და სხვ... რ აქ ს-სგან არის მიღებული ჳ-ს წინ (სჷვ-რჭვ), ისე როგორც ძველი **სძის** ნაცვლად **რძე** გვაქვს, **სთველ** სიტყვის ნაცვლად **რთველი**, **სძლის** ნაცვლად **რძალი**, **სჯულის** ნაცვლად **რჯული** და სხვ... ხევსურულში **სხვ** ფუძის პირველი თანხმონი ნაწილობრივ მიემსგავსა მომდევნო ჳ-ს და **შხვ** მივიღეთ. აქედანაა: **ეშხვა** — ერჭო. ანდაზაა: „სხვათა ნასროლ ისარიე ყუნჳს ეშხვაჳ“ (სხვების ნასროლი ისარი ყუნჳს ერჭოო, ე. ი. მიზანს არ მოხვდაო). ძველი **სამსხვეალი** (ანუ **სამშხვალი**) რომ დღევანდელ ენაზე ვთარგმნოთ, იქნება **სარჭობი**, ხოლო **დამსხვეალა** — დალურსმა, ლურსმით დააკრა, დააჭედა.

სამსხვეალი ძველი ქართულის კუთვნილებაა. იგი ადრე გადავარდა, მაგრამ შემოგვრჩა იმავე ფუძის **მანჳალი**, რომელიც, ს. ორბელიანის ახსნის თანახმად, „ჩასაყარი ლუსმარი“ არის, ხოლო მასზე დამოკიდებული ორივე ჩუბინაშვილი, ნიკო და დავითი (ბიძა და ძმისწული), აზუსტებენ: „დიდი ლურსმანი ჩასარჭობი თაეტაბიკსავით, шворень (шкворень დ ჩუბ.).“

ვუკოლ ბერიძემ აღნიშნა, რომ რაჭულში **მანჳო** პალოს ნიშნავს. ივანე ჯავახიშვილმა დასძინა (საქ. ეკონ. ისტ. II, 322), რომ ეგ სიტყვა იგივე **მანჳალი** არის, რომელსაც ალ სუფიქსი აქვს ჩამოცილებულიო, ხოლო ქიზიყურში, სტეფანე მენთეშაშვილის ლექსიკონის მიხედვით, **მანჳა** აღნიშნავს

„გუთნის კუდისა და ფრთის შემაერთებელ ნაწილს, ხის ლურსმანს, რომლითაც ფრთა კუდზეა დამაგრებული“.

როგორც ვხედავთ, ძველი ქართული სიტყვა **სამსჭვალი**, რომელიც „ლურსმანს“ აღნიშნავდა, საერთოდ დაიკარგა, მაგრამ აქა-იქ დარჩა იმავე ფუძის სახელები სხვადასხვა ფორმით და რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში და ცოცხალ კილოთა უმრავლესობაში იხმარება **ლურსმანი**, რომლისაგან ნაწარმოები უნდა ყოფილიყო კაცის სახელი **ლურსმანა** და აქედან გვარი **ლურსმანაშვილი**.

ლურსმანი კუმშვადი სახელია: ლურსმნის, ლურსმნით, ლურსმნად, ლურსმნები, ლურსმნული, მაგრამ შეკუმშვისას ოთხი თანხმოვანი იყრის თავს და უკანასკნელი ჩვეულებრივ იკარგება ხოლმე: ლურსმის, ლურსმით, ლურსმად, ლურსმები, ლურსმული.

კილოებში ეს სიტყვა სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი; მე ვიცი შემდეგი ფორმები: უსმარი (ხევსურულში), უსმარი, ლუსმარი (თუშურში), რუსმალი (მოხეურში), ლუსპანი (გურულში, მაგ., საჯაოხურში), ლისმარი, ისმარი (მეგრულში), ლურცმანი (სვანურში). უცნაურია, მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ სიტყვა ასე ნაირ-ნაირად ჟღერს სხვადასხვა ადგილას.

ს. ორბელიანს **ლუსმარი** უწერია (სამსჭვალთან), ხოლო ერთ ძველს ძეგლში, რომელიც 943 წლამდეა გადაწერილი, **მუსმარი** იკითხება („მამათა სწ.“, 1955, 148,2). აი ეს ფორმა ყველაზე ახლოა არაბულ **მისმარ**-თან, საიდანაც ნასესხებია იგი ქართულშიც, სპარსულშიც და ბევრ სხვა ენაშიც.

ასე ვრცლად იმიტომ ჩამოვაგდე ამ სიტყვაზე საუბარი, რომ მისგან ნაწარმოებია ზედსართავი **ლურსმული**, რომელსაც ტერმინად ხმარობენ განსაკუთრებული ტიპის დაწერილობის აღსანიშნავად, რომელიც გავრცელებული იყო შუამდინარეში, მცირე აზიაში, სომხეთში და საქართველოს სამხრეთ საზღვრებსაც კი უწევდა: წინ მიძევს კ. კერამის წიგნი „ხეთების საიდუმლოება“, რომელიც უთარგმნია თ. თაქთაქიშვილს და გამოუცია „ნაკადულს“ თბილისში (მაგრამ არ არის აღნიშნული, როდის). წიგნი ძალიან საჭიროა და მისა-

სალმებელი, მაგრამ გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ შიგ ყველგან **ლურსმული** იკითხება: ლურსმულად ნაწერი ფირფიტები (60), ლურსმული დამწერლობის გაშიფრვა (64), ბაბილონ-ასურული ლურსმულით (81), ლურსმულ ნიშნებს (93), ხეთური ლურსმული დამწერლობა (213), აქადური ლურსმული დამწერლობა (214) და სხვ. ნუთუ ქართულს არ მოეპოვება უფრო შესაფერისი ტერმინი, რომ არ ვიხმართ ეგ დამახინჯებული არაბული სიტყვა, რომელიც წარმოადგენს რუსული „гвоздеобразный-ს თარგმანს? ვინლა ხმარობს დღეს რუსულში ასეთ ტერმინს? მგონი, აღარავინ. დღეს რუსეთშიც **клино-**ისაგან ნაწარმოებ ტერმინს ხმარობენ **клинообразные письма**, **клинопись** და სხვ. სხვა ენებშიც ასეა: **Keilschrift** (გერ.), **cunéiforme** (ფრანგ.), **cuneiform** (ინგ.); ხომხურად სოლს **სეპ** ჰქვია, აქედან სოლისებრი დაწერილობისთვის **სეპაგირ-**ს ხმარობენ. ქართულს კი შემოჰრჩა ძველი ტერმინი, რომელიც საქმის ვითარებას არასწორად გადმოგვცემს. ამაში დამნაშავეა, რა თქმა უნდა, რუსულ-ქართული ლექსიკონები, რომლებშიც **клинообразный-**ს ქართულ შესატყვისად სოლებრის (ან სოლებრივის) გვერდით, ლურსმულიც არის ნაჩვენები. მაგრამ დროა მხოლოდ სწორი ქართული **სოლებრი** ან **სოლისებრი** ვიხმართ და არა დამახინჯებულად შეთვისებული არაბული „ლურსმული“.

20. სცემა იგი თუ სცემა მას?

ასეთი კითხვა ახირებულად ეჩვენება ბევრს, რადგანაც, რა თქმა უნდა, კაი ქართულით იქნება: სცემს მას, სცემა მას, უცემია მისთვის, ეცემა მისთვის. დასავლურ კილოებში ამ ზმნის ნაცვლად იხმარება „გალახვა“: გალახავს მას, გალახა იგი, გაულახავს იგი, გაელახა იგი. ამ ზმნის გავლენით უნდა აიხსნებოდეს, რომ ზოგი ასეთ ფორმას ხმარობს: სცემს მას, **სცემა იგი, უცემია იგი, ეცემა იგი**. ასეთი უმართებულო ფორმა წიგნშიც შემხვედრია. აი ერთი მაგალითი: „შემთხვევამ ხელი შეუწყო ეგვიპტელებს—მათ დაიჭირეს ხეთების ორი ჯაშუში, მტრის პირველი მეომრები. **რამზესმა ბრძანა ეცემათ ისინი**, ვიდრე არ გამოტეხა და არ გაიგო, რომ მუვათალი არამც თუ არ გაქცევია ფარაონს, არამედ მთელი თავისი ჯარით ქალაქის მეორე მხარესაა განლაგებული“ (კ. კერამი. ხეთების საიდუმლოება. თარგმანი თ. თაქთაქიშვილისა. „ნაკადულის“ გამოცემა, გვ. 153). უნდა: ბრძანა **ეცემათ მათთვის** (და არა: ეცემათ ისინი). ასეთი უმართებულო ფორმის წარმოშობას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ **ცემა** ზმნას, რომელიც დარტყმას ნიშნავდა თავდაპირველად, პირდაპირი ობიექტი აღარ აქვს, იშვიათ შემთხვევებს გარდა (თავში **ქვას** იცემს, თავში **ქვა** იეც). მის ნაცვლად ძველად მოქმედებითში დასმული საჭურვლობის ობიექტი ჰქონდა: სცემს კუერთხითა, სცა კუერთხითა (ჯოხს არტყამს, ჯოხი დაარტყა). ახალ ქართულში ამ ზმნამ ოდნავ იცვალა მნიშვნელობა, მაგრამ სინტაქსური კონსტრუქცია ძველი შემორჩა: სცემა მას, უცემია მისთვის, ეცემა მისთვის.

20. XII. 1966.

21. ს ა ღ ზ უ რ ე ბ ა მ დ ე

ლენინის მოედანზე რომ მიბრძანდეთ თბილისში და ჩაეშვით მეტროში, იქ ერთ მხარეს შემდეგს წაიკითხავთ: სადგურებამდე მარჯანიშვილი, ვაგზლის მოედანი, ოქტომბერი, ელექტროდებო, დიდუბე, ხოლო მეორე მხარეს — ამას: სადგურებამდე 26 კომისარი, 300 არაგველი. სათანადო რუსული წარწერა ასეთია: პირველ შემთხვევაში: *К поездам до станций Марджанишвили, Октябрьская, Электродеповская, Дидубе.* მეორე შემთხვევაში: 26 комиссаров, 300 Арагвинцев.

ქართული და რუსული ტექსტი რომ შევადაროთ ერთმანეთს, შევნიშნავთ, რომ განსხვავება ის არის, რომ *К поездам* ქართულში არ გადმოუღლიათ, ალბათ იმიტომ, რომ მძიმე გამოვიდოდა და გამოუტოვებიათ, სხვა კი თითქო ყველაფერი წესზეა: *до станций*, რა თქმა უნდა, ქართულად **სადგურებამდე** არის, ხოლო მარჯანიშვილი *Марджанишвили* იქნება, ვაგზლის მოედანი *пл. Вокзальная*, ოქტომბერი *Октябрьская* (იგულისხმება „станция“ და იმიტომ) და სხვა. ასევე სწორად არის ნათარგმნი თვითთული სიტყვა მეორე მიმართულებითაც: სადგურებამდე 26 კომისარი, 300 არაგველი. რა გვეთქმის? თითქო არაფერი. თითქო ყველაფერი წესსა და რიგზეა ჩვენი ქალაქის ამ სატრანსპორტო არტერიაზე, რომელიც საუცხოვოც არის და საამაყოც.

მაგრამ აბა კარგად დაუუკვირდეთ ქართულ წარწერას, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს რუსული სიტყვების რიგს. თვით რუსული ჩინებულად არის შედგენილი, არავითარი წუნი არ შეიძლება დაედოს, მაგრამ ქართულისა კი რა მო-

გახსენოთ! ერთ სადგურთან რომ გვქონდეს საქმე, ადვილი იქნებოდა თარგმნა: ლენინის მოედნამდე, ან ვაგზლის მოედნამდე, ან კიდევ 26 კომისრის სადგურამდე, 300 არაგველის სადგურამდე, მარჯანიშვილის სადგურამდე და მისთ., მაგრამ, როცა რამდენიმე სადგურის ჩამოთვლა დასჭირდათ, უბრალოდ უთარგმნიათ სიტყვა-სიტყვით და მიყოლებით: სადგურებამდე ლენინის მოედანი, მარჯანიშვილი, ვაგზლის მოედანი და შემდგომი. რომ არ ვიცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში თბილისის მეტროს სადგურებზეა საუბარი და ვეცადოთ, გავიგოთ, რას ნიშნავს მოყვანილი სიტყვები, უთუოდ ასეთ დასკვნამდე მივალთ: არის სადღაც სადგურები და ამ სადგურებამდეა ლენინის მოედანი, მარჯანიშვილი, ვაგზლის მოედანი და სხვები. აი ეს მოგვცა რუსული ტექსტის პირდაპირმა თარგმნამ. ვითომ არ შეიძლება ითქვას და დაიწეროს ისე, რომ შინაარსიც სწორად იქნეს გადმოღებული და ქართული სიტყვების ბუნებრივი წყობა არ გატყდეს? შეიძლება, კარგად შეიძლება. რა დაშავდება ვითომ, რომ დაიწეროს, ვთქვათ ასე: **ამ მიმართულებით (ან: აქეთ) არის სადგურები: ლენინის მოედანი, მარჯანიშვილი, ვაგზლის მოედანი, ელექტროდეპო, ოქტომბერი, დიდუბე?** მე მგონია, არაფერი. შეიძლება ИОЕЗИ-იც შევინახოთ, თუ მოვისურვებთ: ამ მიმართულებით მატარებლები გაივლის ლენინის მოედანს, მარჯანიშვილის მოედანს, ვაგზლის მოედანს, ელექტროდეპოს და მივა დიდუბემდე. სხვა პირმა შეიძლება ამაზე უკეთესი პროექტი წარმოადგინოს. საჭიროა ოღონდ თარგმნისას არ იყოს დავიწყებული ქართული ენის ბუნება. მართალია, სწორად იქნება დაწერილი, თუ მრუდად, მატარებელი მაინც გადაიყვან-გადმოიყვანს მგზავრებს, მაგრამ თბილისში (თუნდაც არა დედამიწის ზედაპირზე, არამედ სიღრმეში) რად უნდა ეჩხირებოდეს კაცს თვალში ქართულისათვის შეუფერებელი წარწერა?

22. პადანუღებელი სანამი¹

(ათობითი თვლის სისტემაზე გადახვლის შესახებ)

როგორც კარგად ცნობილია, ქართული თვლა შერეული ტიპისაა: იგი ოცობითია ასის ფარგალში, მერმე კი ათობითია. ასის ფარგლებშიც ათობითი სისტემაა თერთმეტედან ცხრამეტამდე, რადგანაც ამ რიცხვების სახელის დარქმევისათვის საფუძველია ათი: ათ-ერთ-მეტი (თერთმეტი), ათ-ორ-მეტი (თორმეტი), ათ-სამ-მეტი (ცამეტი), ათ-ოთხ-მეტი (თოთხმეტი) და შემდგომი. მაგრამ ეს რთული სიტყვები დღეს უკვე ერთ ცნებას გამოხატავენ და ათთან კავშირი აღარ იგრძნობა უშუალოდ, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი ფონეტიკურად ისე შეცვლილია, რომ ერთეულის პირვანდელი სახე დაჩრდილულია: ცამეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი. ოცს ზემოთ ასამდის ჩვენი სათვალავი ისეთია, რომ ოცს ემატება ერთეულები, ათი და ათმეტეულები: ოც-და-ერთი (20 და 1), ოც-და-ორი (20 და 2), ოც-და-ათი (20 და 10), ოც-და-თერთმეტი (20 და 11), ოც-და-ცხრამეტი (20 და 19), ორმოცი (2×20), ორმოც-და-ერთი (2×20 და 1), ორმოც-და-ათი (2×20 და 10), ორმოც-და-თერთმეტი (2×20 და 11), სამოცი (3×20), სამოც-და-ერთი (3×20 და 1), სამოც-და-ცხრა (3×20 და 9), სამოც-და-ათი (3×20 და 10), სამოც-და-ცხრამეტი (3×20 და 19), ოთხმოცი (4×20), ოთხმოც-და-ათი (4×20 და 10), ოთხმოც-და-თერთმეტი (4×20 და 11), ოთხმოც-და-ცხრამეტი (4×20 და 19). ამგვარად, ოცზე მეტი რიცხვის საფუძველია ოცი: რიცხვი იყოფა ოცზე, ითქმის,

¹ „ცისკარი“ 1960, № 5, გვ. 123—130.

ამდენი ოციაო და ნაშთი (ერთეული იქნება იგი, ათი თუ ათ-
ბეტეული) მას ემატება.

შემდეგ კი გვაქვს არა ხუთოცი, არამედ ასი, რომელიც ათჯერ ათია. თუ ამ ასს ათზე გავამრავლებთ, ათასს მივიღებთ. ეს „ათასი“ რთული სიტყვაა, კომპოზიცია, ერთი ცნების გამომხატველია, იგი საფუძველია შემდგომი დიდი რიცხვებისათვის: ორი ათასი, ხუთი ათასი, ათი ათასი, ორმოცი ათასი, ოთხმოცი ათასი, ასი ათასი, ასოცდახუთი ათასი, ექვსას ორმოცდაათი ათასი და ასე შემდგომ.

ძველ ქართულში ათი ათასის გამოსახატავად გვქონდა „ბევრი“, მაგრამ მან განსაზღვრული რიცხვის ნაცვლად (10 000) თანდათანობით განუსაზღვრელი რიცხვის წნიშვნელობა მიიღო: კაი ხანია იგი ქართულში მრავალს წიშნავს. ამ სიტყვამ („ბევრმა“) წნიშვნელობა იცვალა, მაგრამ ხმარებაში დარჩა. სამაგიეროდ სულ გადავარდა ხმარებიდან „ერგასინი“, რომელიც ძველ ქართულში ორმოცდაათი იყო და ეტიმოლოგიურად ასის ნახევარს წიშნავდა.

ქართულისებრი თვლის სისტემა აგრეთვე კოლხურში (ქანურ-ნეგრულში) და სვანურის ორ კილოში: ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, მაგრამ სვანურის ორი კილო ათობით სისტემას მისდევს. ეს კილოებია ბალსხემოური და ლაშხური.

მოვიყვანოთ მაგალითი

10. იეშდ („ათი“).
20. იერვეშდ („ორ-ათი“).
30. ზემეშდ („სამ-ათი“).
40. ვომთხვეშდ (ოთხ-ათი“).
50. ვიხვიშდიეშდ („ხუთ-ათი“).
60. უსგვააშდ („ექვს-ათი“).
70. იშგვიდიეშდ („შვიდ-ათი“).
80. არააშდ („რვა-ათი“).
90. ჩხარააშხდ (ცხრა-ათი“).

21 სვანურად (ლაშხურად და ბალსხემოურ კილოზე) იქნება იერვეშდი-ეშხუ (ორათ და ერთი), 32—სემეშდიიერუ (სამათ და ორი), 43—ვომთხვეშდისემი (ოთხათ და სამი) და ასე შემდგომ.

მაშასადამე, სვანურის ორი კილო (ლაშხური და ბალსხე-

ნოური) თელის დროს ასის ფარგალშიც და მთლიანად ათობით სისტემას მისდევს.

მართალია, ქართულის ზოგიერთ კილოში (ფშაურში, ხევსურულში, თუშურში) ოცობით თელიან ასის შემდეგაც: ხუთოცი, ექვსოცი, შვიდოცი, რვაოცი, ცხრაოცი, ათოცი, თერთმეტოცი და შემდგომი, მაგრამ ასობით თელაც არის მიღებული: ორასი, სამასი, თერთმეტასი, თორმეტასი და სხვ. და არ შეიძლება იმისი თქმა, რომ ოცობით თელა აქ სისტემებზე იყო გატარებული.

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ასეთი ცნობა: „უ შ ტ ი — ესე არს რიცხვი ქართულისა ანგარიშისა ყოველთა რიცხვთაგან სხვარიგი, რამეთუ ათჯერ ათი არს ას ი, ათჯერ ასი არს ათას ი, ათჯერ ათასი არს ბევრი, ათჯერ ბევრი არს ბევრის ბევრი, ათჯერ ბევრის-ბევრი არს უშქარი, ათჯერ უშქარი არს უშტი, ათჯერ უშტი არს უშტის-უშტი“. „აჰა, სახეცა თანა-დამირთავსო“, დასძენს სულხანი და მოჰყავს:

10 ათი, 100 ასი, 1.000 ათასი, 10.000 ბევრი, 100.000 ბევრის-ბევრი, 1.000.000 უშქარი, 10.000.000 უშტი, 100.000.000 უშტის-უშტი.

მე არ ვიცი, რა წყაროდან ამოიღო სულხანმა აღნიშნული „ქართული ანგარიში“, მაგრამ მეტად საყურადღებო კია და, თუ შიგ შეცდომა არ არის, ცხადია, ათობითი თელის სისტემა ასს ზემოთ უფრო მკაფიოდ ყოფილა გამოხატული ძველად, ვიდრე დღეს, ვინაიდან ჩვენს ძველებს განსაკუთრებული სახელები ჰქონიათ არა მარტო ათის კვადრატისა (100 ასი) და კუბისათვის (1000 ათასი), არამედ მისი შემდგომი ხარისხებისთვისაც: მეოთხისა (10.000 ბევრი), მეხუთისა (100.000 ბევრის-ბევრი), მეექვსისა (1.000.000, უშქარი), მეშვიდისა (10.000.000, უშტი) და მერვისთვის (100.000.000, უშტის-უშტი).

მთლიანად რომ ათობითი სისტემის თელა გვექონდეს, ისეთივე ვითარება გვექნებოდა, როგორც არის სვანურის ორ კილოში (ბალსზემოურსა და ლაშხურში) და მრავალ სხვა ენაში (მაგალითად, რუსულში, ბერძნულში, სომხურში, აზერბაიჯანულში, არაბულში და სხვ.).

მეორე მხრივ, მთლიანად რომ ოცობითი სისტემა გვექონდეს, საჭიროა, რომ ოცობით ვთვლიდეთ არა მარტო ასამდე (რომელიც ათის კვადრატია), არამედ ოთხასამდე, რომელიც ოცის კვადრატია. ამ რიცხვისთვის (ოთხასისთვის) განსაკუთრებული სახელი უნდა მოგვეპოვებოდეს, ისე როგორც ოცის შემდგომი ხარისხისთვის — კუბისთვის (ე. ი. 8000-ისთვის), ოცის მეოთხე ხარისხში აყვანა 160 000-ს მოგვეცემს და იმისთვისაც ცალკე სიტყვა უნდა გვექონდეს და ასე შემდგომ.

არავინ იფიქროს, რომ ანგარიშის ასეთი სისტემა შეუძლებელი იყოს. არა, ასეთი სისტემა შესაძლებელია და ფაქტიცაა. მაგალითად: წოვა-თუშები, რომლებიც მთა-თუშეთიდან ბარად არიან ჩამოსული და ალაზნის მარცხენა პირას სახლობენ ზემო ალვანში, კახეთში, სწორედ ამგვარად ანგარიშობენ; მათ ენაზე მაგალითად,

რიცხვი 523 ასე დაიწლება $400+(6.20)+3$ (ოცჯეროც ექვსოც და სამი).

რიცხვი 777 ასე დაიწლება: $400+(18.20)+17$ (ოცჯეროც თვრამეტოც და ჩვიდმეტი).

რიცხვი 800 არის 2. (20.20) (ორ ოცჯეროცი).

რიცხვი 1453 არის 3. (20.20)+(12.20)+13 (სამ ოცჯეროც თორმეტოც და ცამეტი).

ძალიან დიდი რიცხვების თქმა წოვა-თუშებს უჭირთ, რადგანაც ამის საჭიროება პრაქტიკულად არ არსებობს. მაგრამ ოთხათას-ხუთათასის ფარგალში სულ ამგვარად თვლიან. როგორც ჩვენ არ გვეჭირს, ათობით ნათქვამი რიცხვი, მაგალითად, семьдесят четыре, ოცეულებად დავშალოთ და ვთქვათ სამოც-და-თოთხმეტი, ისე წოვა-თუშს არ უჭირს, რომელიმე რიცხვი, თუ ის ძალიან დიდი არ არის, ოთხასზე გაყოს, ნაშთი — ოცზე და იმისი ნაშთი ზედ მიათვალოს.

რა თქმა უნდა, ოცობითი თვლის სისტემას წერაც თავისი შესაფერისი უნდა ჰქონდეს, რომ სრული თანხმობა იყოს რიცხვების ზეპირ თქმასა და მათ გამოხატვას შორის წერის საშუალებით. ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა არა ათი ციფრი, რომლებიც შემუშავებულია ათობითი თვლის სისტემის მიხედვით, არამედ ოცი. ამათგან მეოცე იქნებოდა ნული.

ასეთ შემთხვევაში არ იქნებოდა სხვადასხვა წესი რიცხვების წარმოთქმასა და მათ დაწერაში.

მართალია, ერთ დროს „არაბული“ ციფრებიც ყოფილა ჩვენში გამოყენებული რიცხვების გამოსახატავად, როგორც ამას გვიჩვენებს ერთს X საუკუნის დავითნზე მიწერილი ციფრები და, განსაკუთრებით, ქრონიკონი 223, რომელიც ამოკვეთილია ბაგრატის ტაძრის ერთ კედელზე ქუთაისში და რომელიც იატაკის განმტკიცების ამბავს მოგვითხრობს XI ს.-ის დასაწყისში (780+223)=1003 წ.¹, მაგრამ „არაბული“ ციფრების წერამ, სამწუხაროდ, საზოგადოდ ვერ მოიკიდა ჩვენში ფეხი: როგორც ამაზე აღრე, ისე შემდეგშიც რიცხვების გამოსახატავად ასოები იყო გამოყენებული იმ წესით, როგორც ეს სხვა ერებსაც ჰქონდათ თავის დროს: ბერძნებს, სლავებს, სომხებს, თვით არაბებს და სხვებს.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა და მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ არაბული ციფრების ხმარება, რომელიც X—XI საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჩვენში, მიეტოვებინათ და ისევ ასოების ხმარებას დაბრუნებოდნენ. ამიტომ მან საგანგებოდ დაწერა პრინციპული ხასიათის წერილი „ნოლა და ქართული რიცხვის წერა“, რომელიც ანბანის სახელმძღვანელოს დაურთო და წაუთმღვარა თავის განთქმულ ქართულ ლექსიკონს. აქმას მოჰყავს რიცხვები ორივე სისტემით, არაბული ციფრებით (რომელსაც იგი ნოლას ეძახის) და ქართული ასოებით 1-დან 170-მდე უკლებლივ, შემდეგ კი შერჩევით და დასძენს: „ესე ნოლა ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია. ყოველნი ქრისტიანენი ანუ ჰურთანი გინა წარმართნი ამის მიერ რიცხვენ; ქართველთა მიკვირან, რად არ დასჭერიტეს ანუ წმიდათა მამათა დაუტევეს. ქართულისა ანბანისა სათვალავი თან-ჩართვით დამისხამს. ვისცა უნდა, საჭირო არ არის (ე. ი. ძნელი არ არისო) და ვისცა არ ენებოს, განსვენებით ჯდესო“. დიახ, სულხანს უკვირდა, რომ მის დროს ქართველები ისევ ასოებს იყენებდნენ რიცხვების გა-

¹ ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 303, ტაბ. 7). ამ წიგნში ნახეთ გვ. 204, 205.

მოსახატავად და ამ საკითხს მხურვალე გრძნობით დაწერილი წერილი უძღვნა.

ასოთა სისტემით რიცხვების გამოსახატავად ყველა ასო იყო გამოყენებული: პირველი ცხრა გამოხატავდა ერთეულებს, შემდგომი ცხრა — ათეულებს, შემდგომი და შემდგომი — ასეულებს და ათასეულებს შესაბამისად, სახელდობრ:

1 2 3 4 5 6 7 8 9.

ერთეულები ა ბ გ დ ე ვ ზ თ

ათეულები ი კ ლ მ ნ ძ ო პ ჟ

ასეულები რ ს ტ უ ფ ქ ლ ყ უ

ათასეულები ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჳ 3.

რჩებოდა ჟ, რომელიც ათიათასს (ბევრს) აღნიშნავდა.

ასოებით რიცხვების გამოხატვა თვლის ათობით სისტემაზე იყო დამყარებული; მაგალითად, იწერებოდა **ლა**, რაც ამას ნიშნავდა: სამ-ათ და ერთი (30 და 1), მაგრამ წარმოითქმოდა: ოც-და-თერთ-მეტი (ე. ი. 20 და 11); იწერებოდა **ნბ** (ხუთ-ათ და ორი: 50 და 2), მაგრამ წარმოითქმოდა ორმოც-და-თორმეტი (2,20 და 12); წერით გამოჰყავდათ **ოგ**, რაც ამას ნიშნავს: შეიდ-ათ და სამი (70 და 3), მაგრამ იკითხებოდა სამ-ოც და-ცამეტი (3.20 და 13); იწერებოდა **ჟდ** (ე. ი. ცხრა-ათ და ოთხი, 90 და 4), ხოლო წარმოითქმოდა, თანახმად ქართული სათვალავისა, ოთხმოც-და-თოთხმეტი (4.20 და 14) და არა ისე, როგორც დაწერილი იყო.

აი ასეთი შეუფერებლობა იყო რიცხვების წერასა და წარმოთქმას შორის ქართულში ძველად. არსებითად ასეთივე მდგომარეობა დარჩა ქართულში მას შემდეგაც, რაც ქართული ასოები საბოლოოდ ინდურმა ციფრებმა შეცვალეს, რომლებიც ჩვეულებრივ „არაბულის“ სახელით არის ცნობილი. „არაბული“ ციფრების წერისას პოზიციური ხერხია გამოყენებული, ე. ი. იმას ეძლევა მნიშვნელობა, თუ რომელ ადგილზეა ციფრი: პირველი ციფრი ბოლოდან ერთეულია, მეორე ბოლოდან — ათეული, მესამე — ასეული, მეოთხე — ათასეული და ასე შემდგომ, მაგალითად, ბაგრატის ტაძრის ქრონიკონი რომ სამი ციფრით არის გამოყვანილი (223), ციფრი „2“ ორჯერ არის ნახმარი, მაგრამ ბოლოდან მეორე ათეულს ნიშნავს (ოცს), მესამე კი — ორ ასეულს (ორასს). ინ-

დური ანუ არაბული ციფრების წერის დროს ერთსა და იმავე ნიშანს შეუძლია ერთეულიც გამოხატოს, ათეულიც, ასეულიც, ათასეულიც და შემდგომი.

სულ სხვა ვითარება იყო რიცხვების ასოებით გამოხატვისას. აქ ყოველ ერთეულს, ათეულს, ასეულს და ათასეულს თავისი ასო შეეფერებოდა. მდებარეობას კი არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ბოლოდან მეორე ადგილზე მდგომ ასოს შეეძლო ათეულიც გამოეხატა (**ლა** 31), ასეულიც (**სა** 201) და ათასეულიც (**ჭა** 5001). ამიტომ ასოებით გამოხატული რიცხვების სხვადასხვა გაანგარიშება (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა), რა თქმა უნდა, რთული იყო და გაძნელებული. ამიტომ სამწუხაროა, რომ არაბული ციფრების ხმარებამ, რომლის უძველესი ნიმუშიც მე-10 საუკუნეში გვაქვს, საბოლოოდ გვიან მოიკიდა ჩვენში ფეხი — არსებითად მე-19 საუკუნეში. მე-18 საუკუნემდე და ხშირად მე-19 საუკუნის I ნახევარშიც კი რიცხვებს ასოებით წერდნენ ჩვენში.

რიცხვების ასოებით წერა, როგორც ვნახეთ, ათობითი თვლის სისტემას ემყარება. მაგრამ, რადგანაც ასის ფარგალში დიდი განსხვავებაა რიცხვების თქმასა და მათ წერას შორის ქართულში, მომხდარა, რომ თქმის გავლენით რიცხვები არა ისე გამოუყვანიათ, როგორც ჩვეულებრივ მიეხებული იყო, არამედ ოცობით სისტემაზე გადაყვანით. მაგალითად, **ლაბეჭინის მარხვანის თარიღი** (ქრონიკონსა 254-სა) გამოუხატავთ არა **სნდ** ასოებით ($200+50+4$), როგორც ამას მოითხოვდა მაშინ მიღებული წესი რიცხვების წერისა, არამედ ასე: **სმიდ** ($200+40+14$), თანახმად ქართული თვლისა: **ორას ორმოცდა (ა)თ-ოთხ-მეტი**. მსგავსი მაგალითები საკმაოდ მოიპოვება ძველ ქართულ წიგნებში, სიგელ-გუჯარებში, წარწერებში და სხვადასხვა დოკუმენტში¹.

ზეპირი თქმის გავლენა რიცხვის ასოებით გამოხატვისას ქართულში გამონაკლისია მაინც, ძველ სლავურში კი ამგვარი

¹ სხვა მაგალითები ნახეთ ჩემს წერილში „ოცობითი თვლის გავლენა ძველ ათობითს წერაზე ქართულში“ (ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, 302—311). აქ მოთავსებული წერილის ნაწილი იქედანაა გადმოღებული.

რამ სისტემებზე იყო გატარებული 11-დან 19-მდე: პირველად ერთეული იწერებოდა და შემდეგ ათეული, ე. ი. წერა შეფარდებული იყო ზეპირ თქმასთან; მართლაც, ითქმოდა: един-на-десяте, два-на-десяте, три-на-десяте, четыре-на-десяте, пять-на-десяте და შემდგომი, და ამის შესაბამისად იწერებოდა: ai (11), vi (12), ri (13), di (14), ei (15) და შემდგომი. მერმე კი ჯერ ათეულები იწერებოდა და შემდეგ ერთეულები: ka (21), kv (22), kg (23), kd (24), ke (25) და შემდგომი.

უთუოდ უდიდესი გენიოსი იყო ის ადამიანი, რომელმაც ნული შემოიღო, ერთეულებ-ასეულებ-ათასეულებისა და შემდგომი რიცხვების წერისას ნიშნების ადგილმდებარეობა გამოიყენა და ამით საშუალება მოგვცა ათი ნიშნით გამოვხატოთ რაგინდ დიდი რიცხვი. იგი უთუოდ ისეთ ერს ეკუთვნოდა, რომელიც ათობით თვლიდა. არვინ იცის, ვინ იყო ეს კაცი, სად და როდის ცხოვრობდა იგი, მიიღო თუ არა მან რაიმე პრემია ამ მშვენიერი გამოგონებისთვის, მაგრამ იმაში დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უსიამოვნება ბევრი შეჰხვედებოდა. ეს გამოგონება შეიძლება ერთი კაცისაც არ იყო, იგი ალბათ თანდათან შემუშავდა და ბოლოს ერთმა მოიყვანა მწყობრ სისტემაში.

სასურველია, რომ რიცხვების წარმოთქმა და მათი გამოხატვა ციფრების საშუალებით ერთმანეთს შეეფერებოდეს, ე. ი. ისეთი ვითარება იყოს, რომ ადვილად შეიძლებოდეს წარმოთქმული რიცხვის დაწერა და დაწერილი რიცხვის წაკითხვა, რომ კითხვის პროცესი ან დაწერის პროცესი ისევე დაუფიქრებლად მიმდინარეობდეს, როგორც ეს ხდება სხვა სიტყვების წერისა და კითხვის დროს.

არაბული ციფრები ინდურია წარმოშობით. ეს ციფრები ევროპაში გაავრცელეს არაბებმა და ეს არის მიზეზი, რომ მათ არაბული შეერქვათ.

ერთია საყურადღებო: ციფრების წერისას ხომ ჯერ დიდი რიცხის რიცხვი იწერება, შემდეგ და შემდეგ — მომდევნოები. ჩვენი წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიდის და ამის კვალობაზე რიცხვების წერაც შეფარდებულია; მაგალითად, 1959 არის ათას ცხრაას ხუთ-ათ და ცხრა (ორმოცდაცხრამეტი). არაბუ-

ლი წერა კი მარჯვნიდან მარცხნივ მიდის, მაგრამ ციფრების წერა მათთანაც შეფარდებულია მათ წარმოთქმასთან, რადგანაც ჯერ ერთეული ითქმის, მერმე ათეული, შემდეგ ასეული და ათასეული. არაბულად იგივე რიცხვი ასე წაიკითხება: ცხრა და ხუთათი და ცხრაასი და ათასი. ამიტომ არაბულში სრულიად ემთხვევა ერთმანეთს რიცხვების წერა და წაკითხვა¹.

ქართულში ყველაფერი რიგზეა, გარდა რიცხვებისა ოციდან ასამდის. აქ ოცობით სისტემის თვლა გვაქვს გარეული და ეს ქმნის ერთგვარ დაბრკოლებას. ეს დაბრკოლება მეორდება ათასეულებში და მილიონებში იმავე წესით, როგორც ეს ათეულებშია: ოც და ათ ერთ მეტი ათასი, ორმოც და ხუთი მილიონი და მისთანა. მაშასადამე, ოციდან ასამდის (ათეულებთან გვაქვს საქმე, ათასეულებთან თუ მილიონებთან), განსხვავებაა რიცხვების წარმოთქმასა და წერას შორის: იწერება ათობით, წარმოითქმის ოცობით, ანდა პირუკუ: ვამბობთ ოცობით და ვწერთ კი ათობით. აი ეს განსხვავება უნდა მოიშალოს.

განსხვავების მოშლა შეიძლება ორი გზით: ან ქართული თვლა უნდა შევუფარდოთ რიცხვების წერას, ან არადა ქართულ თვლას შევუფარდოთ რიცხვების წერა. ეს მეორე ამბავი გამორიცხულია, რადგანაც ქართული თვლა შერეული სისტემისაა და მასზე დაყრდნობა შეუძლებელია. გვრჩება, მაშასადამე, ერთი საშუალება: წარმოთქმა შევუფარდოთ წერას, ე. ი. გადავიდეთ ათობით თვლაზე ოციდან ასამდის და ამით გამოვასწოროთ საქმე. მართლაც, რიცხვების წერა ათობითი სისტემით ისე მკვიდრად არის შესული დღევანდელი განთლებული კაცობრიობის ცხოვრებაში, რომ უმისოდ არა თუ ძნელი, შეუძლებელიცაა ფეხის წინ წადგმა მეცნიერებასა და ტექნიკაში და კულტურის სხვადასხვა დარგში, რომელთა საფუძველი წერა და ბეჭდვაა.

დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ, რომ რიცხვების წერას წარმოთქმაც შევუფარდოთ. ეს საკითხი პირველად წა-

¹ შეიძლება რიცხვი არაბულში მარცხნიდანაც იქნეს წაკითხული, მაგრამ უფრო ჩვეულებრივია მარჯვნიდან წაკითხვა, ერთეულებიდან.

მოაყენეს მათემატიკოსებმა და ტექნიკოსებმა. განსაკუთრებით თავგამოდებით იცავდნენ ათობით სისტემაზე გადასვლის იდეას პროფესორები მ. შალამბერიძე, რუსუდან და გიორგი ხიკოლაძეები, ვასილ კაკაბაძე და სხვები. ამ საკითხის სიმწვავე პირველად მათ იგრძნეს და კიდევ წამოაყენეს გარკვეული წინადადებანი.

მე ხელთ არა მაქვს ყველა მასალა, რომელიც ამ საკითხს ეხება, და არ შემიძლია სისრულით წარმოვადგინო მისი ისტორია, მაგრამ აუცილებელი კია, რომ ორიოდ სიტყვა მაინც ითქვას.

ჯერ კიდევ 1915 წ. მ. შალამბერიძემ დაბეჭდა პატარა წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ქართული რიცხვი“ (გაზ. „საქართველო“, 1915, № 125), სადაც აღნიშნულია, რომ რიცხვების თქმა და წერა ქართულში (ოციდან ასამდის) ერთმანეთს არ ეთანხმება და საჭიროა წარმოთქმის შეფარდება წერასთანაო. „ეს საკითხი ძალიან მწვავე საკითხია ქართველთათვისო, — წერდა ავტორი, — და იმეღია, მას ყურადღებას მიაქცევდნო“. პოსტ-სკრიპტუმში იგი აღნიშნავდა: „შემიძლიან საზოგადოებას თამამად ვაუწყო, რომ ამ საგნის შესახებ საკუთარს თავზედ გამოცდილებამ და ბავშვებზედ დაკვირვებამაც საუკეთესო, პირდაპირ საარაკო შედეგი მოიტანაო“.

ამ წერილმა იმდროინდელი ომის პირობებში გამოხმაურება ვერ პოვა. მხოლოდ რქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაისვა საკითხი, რომ ეს მტკივნეული საქმე მოგვარებულიყო და ცხოვრებაში გატარებულიყო.

1919 წლის 16 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში, რომელსაც სათაურად აქვს: „სასკოლო რეფორმა, ქართული მეცნიერული ენა და ქართული ზეპირი თვლა“ და რომელიც დიდი ჯიხაიშის მასწავლებელთა კავშირის მიერ იყო გამოგზავნილი თბილისში, რომ წაკითხულიყო საქართველოს მასწავლებელთა კონფერენციაზე, ეს იდეა უკვე დასაბუთებულია. მაგრამ, მოგეხსენებათ, ნათქვამია: „კაი მთქმელს გამგონეც კაი უნდაო“ და არაა გასაკვირველი, რომ ეს მოხსენება კონფერენციაზე არ მოისმინეს, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, აკრძალეს. მიუხედავად ამისა, ეს მოხსენება დაიბეჭდა „განათლება“ ჟურნალის 1920 წლის იანვრის ნომერში (გვ. 30—

35). მას ახლავს მნიშვნელოვანი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ნოე დევიძე, ნიკოლოზ სოსელია და რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა. აქ ვკითხულობთ: „ამ მოხსენების გამოგზავნის შემდეგ ზოგმა ჩვენმა ამხანაგებმა პედაგოგიური ცდები მოახდინეს თავის გაკვეთილებზე: პირველ-დაწყებითი სასწავლებლების სამივე განყოფილებაში ათობითი თვლა შემოიღეს. წარმოდგენა ძნელია, რა ნაყოფიერი გამოდგა ეს რეფორმა და რა ბრწყინვალე შედეგები მოუტანა მან თავის შემომღებლებს“. შემდეგ მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ ათობითი სისტემის უპირატესობას ზეპირ თვლაში. როგორც გადმომცეს, ცდები უწარმოებიათ ქრონომეტრის საშუალებით და ადვილი იყო დანახვა, თუ რომელი წესით სჯობს რიცხვების წერა ან მათი წარმოთქმა, აგრეთვე სხვადასხვა არითმეტიკული მოქმედება: ნიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა.

იმავე ყურნალის იმავე იანვრის ნომერში დაბეჭდილია წერილი „ჩვენი ზეპირი თვლა“, რომელსაც ხელს აწერენ რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა და გიორგი ნიკოლაძე. აქაც დასაბუთებულია, რომ საჭიროა ზეპირი თვლა ათობით სისტემაზე გადავიყვანოთ.

1920 წლის დასაწყისში დაიბეჭდა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი“, შედგენილი საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ“, რომელსაც მიუძღვის სატერმინო სექციის თავმჯდომარის ინჟ. ვ. კაკაბაძის წინასიტყვაობა. ამ ლექსიკონს შესავლად აქვს სამი წერილი: I. „ჩვენი დედააზრი“ (გვ. 1—20), II. ჩვენი სისტემა (გვ. 21—100) და III. ბოლოსიტყვაობა (101—106). ამ შესავალს ხელს აწერენ ინჟ. ვ. კაკაბაძე, ინჟ. გ. გედევანიშვილი, დ. ბერეკაშვილი, ინჟ. ირ. მჭედლიშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ინჟ. გ. ნიკოლაძე, ინჟ. ვ. ბერიძე და მ. შალამბერიძე. თარიღად უხის: „აგვისტო 1919 წ.“ ამ შესავალში სამი გვერდის მანძილზე (40—41) განხილულია ქართული თვლის სისტემა და მოცემულია წინადადება, რომ გადავიდეთ ათობით სისტემაზე: 20—ოცი, მაგრამ: 30—სამათი, 40—ოთხათი, 50—ხუთათი, 60—ექვსათი, 70—შვიდათი, 80—რვათი, 90—ცხრაათი; 31—სამათერთი (და არა სამათ და ერთი), 45—

ოთხათხუთი, 98—ცხრაათრვა და სხვ. ამის შედეგად 666 იქნება არა ექვსას სამოცდა ექვსი, არამედ ექვსას ექვსათ ექვსი, ხოლო 999 არა ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი, არამედ ცხრაას ცხრაათ ცხრა.

უფრო მტკიცედ დასაბუთებულია ათობითი თვლის უპირატესობა რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეების ვრცელ წერილში („ჩვენი ზეპირი თვლის შესახებ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით“), რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა („ახალ სკოლისაკენ“ ჟურნალში, № 2—3, მაისი, გვ. 170—180)¹.

ათობითი სისტემით არის მოყვანილი რიცხვები 30-დან 99-მდე „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონშიც“, რომელიც 1925 წ. გამოსცეს ნ. მუსხელიშვილმა, გ. ნიკოლაძემ და ა. ხარაძემ. აქ ასეთი ადგილები გვხვდება: тридцать — სამათი, тридцать один — სამათერთი, тридцатый — მესამათე, сорок — ოთხათი, сорок один — ოთხათერთი, сороковой — მეოთხათე, пятьдесят — ხუთათი, пятьдесят один — ხუთათერთი და სხვ.

შემდეგ კვლავ იყო ცდები ათობითი სისტემის შემოღებისა. მაგალითად, გ. ნიკოლაძემ წარადგინა თეზისები „ქართული ზეპირი თვლის შესახებ“ ჯერ ტერმინოლოგიურ კომიტეტში 1928 წ. და შემდეგ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში 1920 წელს. მოგვეავს ეს თეზისები სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში წარმოდგენილი რედაქციით:

1. ჩვენი ზეპირი თვლა შერეულია: საერთოდ ათობითია, ოციდან ასამდე კი ათობით-ოცობითია და არა წმინდა ოცობითი, როგორც ეს ბევრსა ჰგონია (ოცდა-ათი, ორმოც-და-ათი).

2. ამის გამო მას არ უდგება რიცხვთა ჩაწერის (ნუმერაციის) დღევანდელი ე. წ. არაბული სისტემა.

3. ამავე მიზეზით ეს თვლა შეუთავსებელია დღევანდელ არითმეტიკასთან.

¹ ამ ჩინებულ წერილში ერთი აზრია მიუღებელი: თითქო ათობითი თვლა „ადამიანის განვითარების უფრო მაღალი საფეხურის ნაყოფი“ იყოს (გვ. 171). არა, ეს აზრი უთუოდ ევროპელების მედღურობის ნაყოფია და უკრიტიკოდაა მიღებული.

4. და საერთოდ დღევანდელ კულტურასთან (ზომათა სისტემა, ფული, მთელი ჩვენი ტექნიკა).

5. ამიტომ აუცილებელია ამ თვლის სრული გაათობითება, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ ათეულების დასახელების "შეცვლა და მათი ერთათეულებიანი ნაწარმი სახელებისა". განმარტებით ბარათში, რომელიც ახლდა ამ თეზისებს, სათაურად აქვს „ქართული ზეპირი თვლის ნაკლი“, წინანდელ პროექტებთან შედარებით, რომლებიც ტექნიკურსა და მათემატიკურ ლექსიკონებშია წარმოდგენილი, ერთი ცვლილებაა შეტანილი: ათეულების შემდეგ „და“ კავშირის ხმარებაც არის რეკომენდებული: 25 არის ორათხუთი ან ორათ და ხუთი (ან ოცდახუთი), 35 — სამათხუთი (ან სამათდახუთი) და ასე შემდეგ. და-ს ჩამატება ნაგულისხმევია იმ მიზნით, რომ არ აირიოს ზოგიერთ შემთხვევაში (რადიოში, ტელეფონში), შავალითად, სამათ სამი და სამას სამი და ა. შ. სათანადოდ შედგება ამ სიტყვების ნაწარმოები სახელებიც. მაგ., 35-ე იქნება სამათმეხუთე ან სამათ-და-მეხუთე, 1/35 იქნება ერთი სამათმეხუთედი ან სამათდამეხუთედი.

ამის შემდეგ არ შეწყვეტილა მათემატიკოსებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის ფიქრი და ზრუნვა ათობით სისტემაზე გადასვლისათვის.

ძალიან საყურადღებოა, რომ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ა. მოსიაევამ ცდები მოახდინა მრავალ პირზე იმის გამოსარკვევად, თუ როგორია შედეგები მიმატება-გამოკლების წარმოებისა ორივე სისტემით (ათობითით და ოცობითით), როგორც სისწრაფის, ისე სისწორის თვალსაზრისით (საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, № № 5, 9) და დაასკვნა: „ჩვენი ცდები მიმატებაზე და გამოკლებაზე უკვე საკმარის სიციხადით უჩვენებს ქართული რიცხვითი სახელების ათობით სისტემაზე გადაყვანის მიზანშეწონილობას“¹.

გულახდილად უნდა აღვიარო, რომ პირველად, როდესაც ეს საკითხი დასვეს მათემატიკოსებმა და ინჟინრებმა, მე წინააღმდეგი ვიყავი თვლის სისტემის შეცვლისა, მაგრამ ტექ-

¹ ამავე მიმართულებით ცდები უწარმოებია განსახკომთან არსებულს პედაგოგიის საკვლევ ინსტიტუტში 1935 წელს მავრა გეგეჭკორს, მაგრამ შედეგები გამოქვეყნებული არ არის.

ნიკის მძლავრმა განვითარებამ და ჩვენი ცხოვრების ყოველ-
მხრივ გარდაქმნამ დამარწმუნა, რომ ოცობითი თვლა შემა-
ფერხებელია მრავალ შემთხვევაში, განსაკუთრებით ტელე-
ფონით სარგებლობისა და ფულის ანგარიშის დროს, და
აუცილებელია მისი შეცვლა. ამ მიზნით მე 1950 წელს მოხ-
სენებით წარვდექე ქართული ენის ნორმათა დამდგენ კომისი-
აში და წინადადება შევიტანე, რომ უკვე დროა, ათობით სის-
ტემაზე გადავიდეთ-მეთქი. მაგრამ ატყდა კამათი, კომისიის
წევრთა უჩეტესობა წინააღმდეგ წავიდა, განსაკუთრებით გა-
ილაშქრა ამის წინააღმდეგ ვასო ეგნატაშვილმა და საქმე ჩა-
იშალა. მას აქეთ საკითხი კიდევ უფრო მომწიფდა.

დღეს უკვე ბევრი მომხრე ჰყავს ათობითი სისტემის შე-
მოღობას. მაგალითად, 1959 წელს დაიბეჭდა დოცენტ ვასო
დოლიძის წერილი ამ საკითხზე „რიცხვითი სახელების წერა
და გამოთქმა ქართულ ენაში“ („ცისკარი“, № 6, 134—137),
სადაც მტკივნეული საკითხი ისევ არის დასმული. საყოველ-
თაო სწავლების პირობებში ბევრი დარწმუნდა, რომ ოცობი-
თი თვლის გარევა ქართულს თვლაში, რომელიც ძირითადად
ათობითია, უთუოდ ერთგვარ შეფერხებას წარმოადგენს მრავალ
შემთხვევაში, მის ნაკლს ყველა გრძნობს სკოლაში რი-
ცხვების ციფრებით გამოხატვის დროს (ან ციფრებით გამოხა-
ტული რიცხვების წაკითხვის დროს), ვაჭრობაში ფულის ან-
გარიშის დროს, ტელეფონის ნომრების აკრეფის დროს, სა-
ბუხჰალტრო საქმიანობაში, დიდი რიცხვების საანგარიშოდ
მანქანებით და ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა შემ-
თხვევაში. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს ნაკლი უმაღ-
ლესი სასწავლებლების ისეთ ფაკულტეტებზე, სადაც რი-
ცხვებთან აქვთ საქმე. ამიტომ არ მიკვირს, რომ, როცა ზოგ
პროფესორს თავისი ინიციატივით შემოუღია ათობითი სის-
ტემა, სტუდენტებს საქმე გაადვილებიათ და კმაყოფილნი
დარჩენილან.

დროა, უკვე დროა, რომ ეს საქმე პრაქტიკულად მოვაგვა-
როთ. მისი გადადება არ ივარგებს. ათობითი თვლის სისტე-
მაზე გადასვლა არ იქნება, რა თქმა უნდა, რაიმე რეფორმა,
არა! ამ სისტემაზე გადასვლა (ოციდან ასამდე) სრულიადაც
არ შეცვლის ქართულ ენას, ჩვენს დედა-ენას ამით ცუდი არა

მოუვა რა, იგი დარჩება ისეთივე, როგორც იყო აქამდე, ოღონდ ყოველგვარი ანგარიშის დროს მას ექნება მეტი მოქნილობა და სრული შეფარდება რიცხვების წარმოთქმისა წერასთან. ამით ქართული ენა მოიგებს, ამით მეცნიერებისა, ტექნიკისა და კულტურის მიღწევები უფრო ადვილად შესათვისებელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში ერთგვარი ცვლილება მოხდა მაინც სკოლის საშუალებით ჩვენი ცხოვრების გარკვეულ დარგში: დღეს ახალი თაობა და აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციები აბაზობით და შაურობით აღარ ანგარიშობენ. თუ ძველი თაობისათვის 30 კაპ. ექვსი შაური იყო, ხოლო 70 კაპ. სამაბაზ-ნახევარი ან 14 შაური, ახალი თაობისათვის ეს არის სამოცდაათი კაპიკი, ძველი ანგარიში მისთვის უკვე გაუგებარია. ჩემთვის 85 კაპ. ოთხი აბაზი და ერთი შაურია, რომელიც, თუ წარმოთქმას მივპყვებით, ციფრობლივ ასე უნდა გამოიხატოს 4 აბაზი და 1 შაური, მაგრამ სკოლის მოწაფეებისათვის ის ოთხმოცდახუთი კაპიკია. მსგავსად ამისა, 12 აბაზი დღევანდელი სკოლის მოწაფეებისათვის 2 მანეთი და 40 კაპიკია. ფულის ანგარიშის ასეთი შეცვლა მოხდა ისე, რომ ზოგს არც კი გაუგია. აბაზობით და შაურობით ანგარიში დღევანდელი მოსწავლისათვის გაუგებარია, მაგრამ უექველი ფაქტია, რომ წინათ ფულს სხვაგვარად არ ანგარიშობდნენ მანეთის ფარგლებში და ზოგჯერ ზევითაც. ათობით სისტემაზე გადასვლით ქართული თვლა მოიგებს, გაადვილდება რიცხვების წერა და მათი წაკითხვა, შემსუბუქდება მასწავლებლისა და მოწაფის შრომა რიცხვების დაწერის საქმეში, ან დაწერილი რიცხვების წარმოთქმაში, ერთი სიტყვით, შეიქმნება უკეთესი პირობები კულტურულ მონაპოვართა შესათვისებლად.

თუ მესტიელი ან ლაშხელი სვანი ამბობს ექვსათ და ხუთი, შვიდათ და რვა, ცხრაათ და ხუთი და სხვა, ჩვენ რა დაგვიშავდება, რომ მივბაძოთ მათ და ჩვენც აგრე ვთვალოთ? არაფერი! მეტიც შეიძლება ითქვას: ეს მოგვცემს საშუალებას, თავი დავადწიოთ ბევრ უხერხულობას და უფრო მოქნილ თვლაზე გადასვლას, რომელსაც ფესვი მაგრად აქვს გადგმული ყველგან. ეს დიდ შეღავათს მოგვცემს ცხოვრების ყოველ

დარგში და შეგვიმსუბუქებს მძიმე ტვირთს, რომელიც გვაწევს გაანგარიშების დროს.

შეუფერებლობა წერასა და წარმოთქმას შორის, რა თქმა უნდა, ბევრ სხვა ენაშიც არის. მაგალითად, გერმანულად 13-დან მოყოლებული 100-მდის დიდი შეუფერებლობაა: ჯერ ერთეულები ითქმის და შემდეგ ათეულები: dreizehn (13), vierzehn (14), fünfzehn (15) და შემდეგ, ein und zwanzig (21), zwei und dreissig (32), fünf und vierzig (45) და მისთ. ამის გამო სკოლებში დიდი გასაჭირია, სანამ ბავშვები მომწიფდებოდნენ და ორნიშნიან რიცხვებს ერთად აღიქვამდნენ, რომ ჩქარა და სწორად დაწერონ. მსგავსი ვითარებაა რამდენადმე ფრანგულშიც, სადაც ოცობითი სისტემის ნაშთი შემორჩენილია 70-დან 100-მდე. მაგრამ გერმანელები და ფრანგები დიდიერია და ანგარიშის დროს თავისი ენიდან არ გადადიან სხვა ენაზე. ამიტომ მათი მაგალითის მიხედვით რომ დავტოვოთ შეუთანხმებლობა წერასა და თქმას შორის, ჩვენ არ გამოგვადგება.

ცოტა უხერხულობა რუსულშიც გვაქვს მიუხედავად იმისა, რომ რუსული თვლა საერთოდ ათობით სისტემაზეა აგებული, იმიტომ რომ მეორე ათეულის ფარგალში (11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19) რუსულად ჯერ ერთეული ითქმის და არა ათეული: მაგ., იწერება 18 და ითქმის „რვა ათზე“ (8 на 10, восемь - на-десять, восемнадцать), ე. ი. ჯერ იწერება 1 და მერმე 8. მაგრამ ჯერ ითქმის 8 (восемнадцать). ეს უხერხულობა მარტო მეორე ათეულშია და სხვაგან კი არა. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგივე გამეორდება ათასეულებშიც და მილიონებშიც: 18573 რუსისთვის არის восемнадцать тысяч пятьсот семьдесят три). ეს უხერხულობა მცირეა და ათობით სისტემას, რომელიც რუსულ სათვალავშია გატარებული, არ არღვევს¹. ქართულში კი წარმოთქმისა და წერის შეუთანხმებლობა (ოციდან ასამდის) შვიდ

¹ დღევანდელ ქართულში მსგავსი ვითარება მეორე ათეულში მხოლოდ 19-ისთვის გვაქვს, სადაც ჯერ ცხრა ითქმის, რომელიც მეორე ადგილზე იწერება. წინ რომ ათ-ის ნაშთი თ მიუძღოდა (თ-ერთ-მეტი, თ-ორ-მეტი, თ-ცხრა-მეტი), იგი დაიკარგა.

ათეულს ეხება, იგი, რა თქმა უნდა, ოცი ათასიდანაც გამეორდება: ოცდაერთი ათასი (21000), ორმოცდაორი ათასი (42000), სამოცდა ხუთი ათასი (65000), ოთხმოცდათერთმეტი ათასი (91000) და სხვ. იგივე ითქმის მილიონებზე. ამიტომ შედარება არ შეიძლება რუსულთან, სადაც განსხვავება მხოლოდ ერთი ათეულის ფარგალშია.

ათობითი სისტემის შემოღება სკოლების საშუალებით უნდა მოხდეს. ბავშვები პატარაობიდანვე შეეჩვევიან ათობით თვლას და, საშუალო სკოლას რომ გაათავებენ, ახალი თვლა უკვე მკვიდრად ექნებათ შეთვისებული. რადგანაც ჩვენში საყოველთაო სწავლებაა, ეს ისე სწრაფად მოხდება და უმტკივნეულოდ, რომ დღევანდელ მის მოწინააღმდეგეებსაც კი გაუკვირდებთ.

ოცობითი თვლა, რა თქმა უნდა, დარჩება, მაგრამ უფროსი თაობის ენაში; სკოლები, ტექნიკური საქმიანობა და ყოველგვარი ანგარიში ცხოვრების სხვადასხვა დარგში ათობით სისტემაზე გადავა. ერთი ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ ოცობითი სისტემისაგან მოგონებალა თუ დარჩება, თორემ ასეთი სისტემით წარმოთქმულ რიცხვს პრაქტიკული გამოყენება აღარ ექნება. იგი მხოლოდ გადმონაშთი იქნება და მიჩნეული იქნება მოძველებულ ფორმად, არქაიზმად და შეიძლება პოეზიაში გამოდგეს.

ზოგიერთის რჩევით ოცი შეიძლება დარჩეს. მთლიანი სისტემისათვის, ჩემი ფიქრით, აჯობებდა ო რ ა თ ი, მაგრამ, თუ ოცი არ უშლის, როგორც არ უშლის რუსული ცифра, მე რა მეთქმის! ოც და ათის ნაცვლად კი უთუოდ სამათი უნდა იყოს და შემდეგ და-თი შეერთება სჯობს: სამათდაერთი, სამათდაორი, სამათდასამი და შემდგომი.

ამ ორმოცი წლის წინათ (მაპატიეთ, წამომცდა!), ამ ოთხათი წლის წინათ უცილობელი ჭეშმარიტება იყო გამოთქმული მათემატიკოს-ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფის მიერ რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონის წინასიტყვაობაში (გვ. 11). „მეცნიერების ერთ-ერთ მიზანს აზროვნების პროცესის შემოკლება და გაადვილება შეადგენს“. ჩვენ ამ შემოკლებასა და გაადვილებას ყოველ მხრივ უნდა შევეუწყოთ ხელი. რაც ოთხათი წლის წინათ ვერ მოხერხდა, უნდა მოხერხდეს

დღეს. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ინტერესები აწმყოშიც და მომავალშიც.

ოცობითი სისტემის მინარევის ამოღება ქართული ზეპირი თვლიდან და მისი მთლიანად გაათობითება გადაუდებელი საქმეა.

ათობით სისტემაზე გადასვლით **რაოდენობითი რიცხვები** ასეთი იქნება: 20 ოცი (ორათი), 30 სამათი, 40 ოთხათი, 50 ხუთათი, 60 ექვსათი, 70 შვიდათი, 80 რვაათი, 90 ცხრაათი.

| | |
|---------------------------|-------------------|
| 19 ცხრამეტი | 45 ოთხათდა ხუთი |
| 20 ოცი (ორათი) | 46 ოთხათდა ექვსი |
| 21 ოცდაერთი (ორათდა ერთი) | 47 ოთხათდა შვიდი |
| 22 ოცდაორი | 48 ოთხათდა რვა |
| 23 ოცდასამი | 49 ოთხათდა ცხრა |
| 24 ოცდაოთხი | 50 ხუთათი |
| 25 ოცდახუთი | 51 ხუთათდა ერთი |
| 26 ოცდაექვსი | 52 ხუთათდა ორი |
| 27 ოცდაშვიდი | 53 ხუთათდა სამი |
| 28 ოცდარვა | 54 ხუთათდა ოთხი |
| 29 ოცდაცხრა | 55 ხუთათდა ხუთი |
| 30 სამათი | 56 ხუთათდა ექვსი |
| 31 სამათდა ერთი | 57 ხუთათდა შვიდი |
| 32 სამათდა ორი | 58 ხუთათდა რვა |
| 33 სამათდა სამი | 59 ხუთათდა ცხრა |
| 34 სამათდა ოთხი | 60 ექვსათი |
| 35 სამათდა ხუთი | 61 ექვსათდა ერთი |
| 36 სამათდა ექვსი | 62 ექვსათდა ორი |
| 37 სამათდა შვიდი | 63 ექვსათდა სამი |
| 38 სამათდა რვა | 64 ექვსათდა ოთხი |
| 39 სამათდა ცხრა | 65 ექვსათდა ხუთი |
| 40 ოთხათი | 66 ექვსათდა ექვსი |
| 41 ოთხათდა ერთი | 67 ექვსათდა შვიდი |
| 42 ოთხათდა ორი | 68 ექვსათდა რვა |
| 43 ოთხათდა სამი | 69 ექვსათდა ცხრა |
| 44 ოთხათდა ოთხი | 70 შვიდათი |

| | | | |
|----|----------------|-----|----------------|
| 71 | შვიდათდა ერთი | 86 | რვაათდა ექვსი |
| 72 | შვიდათდა ორი | 87 | რვაათდა შვიდი |
| 73 | შვიდათდა სამი | 88 | რვაათდა რვა |
| 74 | შვიდათდა ოთხი | 89 | რვაათდა ცხრა |
| 75 | შვიდათდა ხუთი | 90 | ცხრაათი |
| 76 | შვიდათდა ექვსი | 91 | ცხრაათდა ერთი |
| 77 | შვიდათდა შვიდი | 92 | ცხრაათდა ორი |
| 78 | შვიდათდა რვა | 93 | ცხრაათდა სამი |
| 79 | შვიდათდა ცხრა | 94 | ცხრაათდა ოთხი |
| 80 | რვაათი | 95 | ცხრაათდა ხუთი |
| 81 | რვაათდა ერთი | 96 | ცხრაათდა ექვსი |
| 82 | რვაათდა ორი | 97 | ცხრაათდა შვიდი |
| 83 | რვაათდა სამი | 98 | ცხრაათდა რვა |
| 84 | რვაათდა ოთხი | 99 | ცხრაათდა ცხრა |
| 85 | რვაათდა ხუთი | 100 | ასი |

შემდეგ კი ასე: ას ერთი, ას ორი, ას სამი, ას ოთხი და შემდგომი

| | | | |
|-----|---------------------|-----|------------------------|
| 123 | ასოცდასამი | 585 | ხუთას რვაათდა ხუთი |
| 134 | ას სამათდა ოთხი | 696 | ექვსას ცხრაათ და ექვსი |
| 245 | ორას ოთხათდა ხუთი | 799 | შვიდას ცხრაათდა ცხრა |
| 256 | ორას ხუთათდა ექვსი | 800 | რვაასი |
| 363 | სამას ექვსათდა სამი | | |
| 474 | ოთხას შვიდათდა ოთხი | | |

რიგობითი რიცხვითი სახელები: მეოცე, მესამათე, მეოთხათე, მეხუთათე, მეექვსათე, მეშვიდათე, მერვაათე, მეცხრაათე.

| | | | |
|-------|---------------|-------|---------------|
| მე-20 | მეოცე | 39-ე | სამათდამეცხრე |
| 21-ე | ოცდამეერთე | მე-40 | მეოთხათე |
| 22-ე | ოცდამეორე | 41-ე | ოთხათდამეერთე |
| | და შემდგომი | 42-ე | ოთხათდამეორე |
| 29-ე | ოცდამეცხრე | | და შემდგომი |
| მე-30 | მესამათე | 49-ე | ოთხათდამეცხრე |
| 31-ე | სამათდამეერთე | მე-50 | მეხუთათე |
| 32-ე | სამათდამეორე | 51-ე | ხუთათდამეერთე |
| | (და შემდგომი) | 52-ე | ხუთათდამეორე |

და შემდგომი
 59-ე ხუთათდა მეცხრე
 მე-60 მეექვსათე
 61-ე ექვსათდამეერთე
 62-ე ექვსათდა მეორე
 და შემდგომი
 69-ე ექვსათდა მეცხრე
 70-ე მეშვიდათე
 71-ე შვიდათდამეერთე
 72-ე შვიდათდამეორე
 და შემდგომი

79-ე შვიდათდა მეცხრე
 მე-80 მერვაათე
 81-ე რვაათდამეერთე
 82-ე რვაათდა მეორე
 და შემდგომი
 89-ე რვაათდამეცხრე
 მე-90 მეცხრაათე
 91-ე ცხრაათდა მეერთე
 92-ე ცხრაათდა მეორე
 და შემდგომი
 99-ე ცხრაათდა მეცხრე

წილობითი რიცხვითი სახელები: 1/20 ერთი მეოცედი, 1/30 ერთი მესამათედი, 1/40 ერთი მეოთხათედი, 1/50 ერთი მეხუთათედი, 1/60 ერთი მეექვსათედი, 1/80 ერთი მერვაათედი, 1/90 ერთი მეცხრაათედი. 1/20 ერთი მეოცედი, 1/21 ერთი ოცდამეერთედი, 1/22 ერთი ოცდამეორედი (და შემდგომი), 1/29 ერთი ოცდაშვიცხრედი, 1/30 ერთი მესამათედი, 1/31 ერთი სამათდამეერთედი, 1/32 ერთი სამათდა მეორედი (და შემდგომი), 1/39 ერთი სამათდა მეცხრედი, 1/40 ერთი მეოთხათედი, 1/41 ერთი ოთხათდამეერთედი, 1/42 ერთი ოთხათდამეორედი (და შემდგომი), 1/49 ერთი ოთხათდა მეცხრედი. 1/50 ერთი მეხუთათედი, 1/51 ერთი ხუთათდამეერთედი, 1/52 ერთი ხუთათდამეორედი (და შემდგომი), 1/59 ერთი ხუთათდამეცხრედი. 1/60 ერთი მეექვსათედი, 1/61 ერთი ექვსათდამეერთედი, 1/62 ერთი ექვსათდამეორედი (და შემდგომი), 1/69 ერთი ექვსათდამეცხრედი. 1/70 ერთი მეშვიდათედი, 1/71 ერთი შვიდათდამეერთედი, 1/72 ერთი შვიდათდამეორედი (და შემდგომი), 1/79 ერთი შვიდათდამეცხრედი, 1/80 ერთი მერვაათედი, 1/81 ერთი რვაათდამეერთედი, 1/82 ერთი რვაათდა მეორედი (და შემდგომი), 1/89 ერთი რვაათდა მეცხრედი. 1/90 ერთი მეცხრაათედი, 1/91 ერთი ცხრაათდა მეერთედი, 1/92, ერთი ცხრაათდა მეორედი (და შემდგომი), 1/99 ერთი ცხრაათდა მეცხრედი.


23. დავარული საუნჯე

(მთავრული ასოების ხმარების აღდგენის გამო)¹

არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი
საუნჯესა დაფარულსა?

შ. რუსთველი.

ქართულ წერას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული წერისა და ქართული ენის უძველესი ნიმუშები შემოგვენახა მეხუთე საუკუნიდან. სულ ბოლო ხანებამდე უძველესად ითვლებოდა ბოლნისის წარწერები, რომელთაგანაც




სურ. 1. ბეთლემის წარწერა (VI ს.)

იკითხება:

შეწევნითა ქმსითა (=ქრისტემსითა) და
მ-ეთხებითა წმიდისა თემსითა (=თევდორემ-
სითა) შნ(=შეიწყალენ) ანტონი აბაჲ და იო-
სია მომსხმელი ამის ხეფისაჲ და მამა-დედაჲ
იოსიაჲსი ამენ

¹ საბჭოთა ხელოვნება, 1962, № 9, გვ. 49—62.

ერთი თბილისშია მოტანილი და დაცულია მუზეუმში. იგი 493/4 წელს განეკუთვნება. მაგრამ ცხრა წლის წინათ (1953 წ.) აღმოჩნდა ამაზე ადრინდელი ქართული წარწერა: იტალიელებმა პალესტინაში, ბეთლემის ახლოს (იერუსალიმიდან 7-ოდე კილომეტრის დაშორებით), გათხარეს ერთი ბორცვი, სადაც აღმოჩნდა უძველესი ქართული ტაძრის ნანგრევები. ამ ნანგრევებს შემოენახათ სამი წარწერა, რომელთაგანაც ერთი მშვენივრად არის მოღწეული და შესრულებულია მეექვსე საუკუნის შუა ხანებში, ზოლო ორი დანარჩენი დაზიანებულია, მაგრამ უფრო ძველია და თითქო უსწრებს ბოლნისისას. ამ ქართული წარწერების მიხედვით დამტკიცდა ისტორიული ცნობა, რომ ქართველთა მონასტერი, რომელიც პეტრე ქართველმა ურიასტანის უდაბნოში ააშენა, სწორედ ეს არის¹. ქართული წერის ისტორიას ამ წარწერებით ვიწყებთ, რადგანაც ამაზე ადრინდელი ჯერ არ მოგვეპოვება (სურ. 1, 2).




სურ. 2. ბოლნისის წარწერა (V ს.),
თავში და ბოლოში ჩამოტეხილია

მოყვანილობა და საერთო შეხედულება ბეთლემ-ბოლნისის წარწერებისა და უძველესი ხელნაწერების ასოებისა, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, მრგვალია; სიმაღლით ისინი საზოგადოდ თანაბარია, მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოუდის ბოლოები ძირს (განსაკუთრებით ხელნაწერებში). ასეთ წერას მრგლოვანი დაერქვა. ამნაირი ასოებით

¹ გ წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან 1960.

არის შესრულებული ყველა ჰვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ენის ძეგლი V—IX საუკუნეებისა და, მათ შორის, უძველესი თარიღიანი ხელნაწერიც 864 წლისა, რომელიც საბა-წმიდის მონასტერშია გადაწერილი (იერუსალიმიდან 16-



სურ. 3. სინური მრავალთავი 864 წლისა

მარცხენა სვეტი მრგლოვანი ხელით არის ნაწერი (ორი სტრიქონის გარდა), მარჯვენა — ნუსხურით (სამი სტრიქონის გარდა).

ოდე კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით), ავზავნი-
 ლია სინას მთაზე და ახლაც იქ არის დაცული. სხვათა შორის,
 ამ წიგნის ბოლოს მოიპოვება მინაწერი, რომლიდანაც ირკვე-
 ვა, რომ ეს წიგნი მაკარი ლეთეთელს შეუწირავს სინას მთი-
 სათვის, სადაც ის-ის იყო ქართველები იწყებდნენ მოღვაწე-
 ობას. ეს მინაწერი 21 სტრიქონისაგან შედგება და იმ მხრი-
 ვაც არის საყურადღებო, რომ დაწერილია არა მრგლოვანი
 ასოებით, როგორც მთელი ხელნაწერი, არამედ იმ ასოებით,
 რომელთაც შემდეგში ნუსხური დაერქვა. ამ ასოების ხაზები
 დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ამას გარდა ხაზების გადაკ-
 ვეთის ადგილას კუთხეები კეთდება, რის გამოც ეს კურსივი
 შრიფტი შესახედავად კუთხოვანია. იგი მრგლოვნისაგან იმი-
 თაც განსხვავდება, რომ სიმაღლის მიხედვით ასოები ოთხ
 ჯგუფად იყოფა: ზოგი ასო შუაზე იწერება, ზოგი ზემოთ
 აღის, ზოგი ქვემოთ ჩამოდის, ზოგსაც მთელი სიმაღლე უჭი-
 რავს, როგორც ეს არის დღევანდელ ქართულ წერაში
 (სურ. 3). ეს ნუსხური შრიფტი ჩვეულებრივ სატექსტო
 შრიფტად იქცა და გაბატონდა X—XI საუკუნეებში. იმ
 დროიდან შემორჩენილი ხელნაწერების უმეტესობა ნუსხუ-
 რი ხელით არის ნაწერი. ამავე ხელნაწერებში მრგლოვანი
 იხმარებოდა სათაურებში და ინიციალებად. ამას გარდა,
 მრგლოვანი იყო თითქმის ერთადერთი ქართული შრიფტი,
 რომელიც წარწერებისთვის იყო გამოყენებული ამ საუკუ-
 ნეებში და მომეტებულად შემდეგაც, მე-18 საუკუნემდისაც
 კი.

ნუსხურისაგან მეთერთმეტე საუკუნეში წარმოიშვა და
 შემდეგ თანდათან გადაკეთდა ახალი ქართული წერა, რომე-
 ლიც იხმარებოდა ყოველგვარ საქმეში, ეკლესიის გარდა: სა-
 ხელმწიფო აქტების შედგენისას, სიგელ-გუჯრების ბოძები-
 სას, სასამართლოს დადგენილებათა გამოტანის დროს, საერო
 შინაარსის წიგნების დასაწერად, კერძო მიწერ-მოწერის დროს
 და სხვ. ძველი წერა (მრგლოვანი და ნუსხური) დარჩა ეკლე-
 სიას და მის მსახურებს, კერძოდ ხუცებს, და დაერქვა ხუ-
 ცური, ახალ ქართულ წერას კი დაერქვა მხედრული (სურ. 4).
 დავით აღმაშენებელს ძალიან უყვარდა მრგლოვანი და ნუს-
 ხური ხელით დაწერილი საეკლესიო წიგნების კითხვა,

მაგრამ თვითონ უფრო მხედრულად წერდა და მხედრულადვე აწერდა ბოძებულ სიგლებს ხელს.

XI საუკუნის მხედრული ჯერ კიდევ საკმაოდ ჰგავდა ნუსხურს, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ იგი თანდათან დაჰშორდა მას ასოთა მოხაზულობით, ასე რომ წარმოიქმნა თითქმის სრულიად ახალი სახე ქართული წერისა. ნუსხური ასოები დახრილი იყო და კუთხოვანი, მხედრულში ასოები გასწორდა, კუთხეები მოეშალა და ოთხ ხაზს შუა მოქცეული ნაწილები რგოლებად გადაუკეთდა, ძირს დაშვებული ხაზები კი მოუკაუჭდა. ერთი თვისება მაინც გამოჰყვა ამ ახალ ქართულ წერას ნუსხურისაგან: ასოები სიმაღლის მიხედვით ოთხი ზომისაა: შუაზე საწერი (ა, ი, ო, თ), საზედაო (ბ, ზ, მ, ნ და სხვ.), საქვედაო (გ, ე, ვ, კ, ლ და სხვ.) და მთელი სიმაღლის მქონე (ქ, წ, ჭ) (სურ. 4).

ქართული შრიფტის ასეთი განვითარების გამო არსებითად ორნაირი წერა გვაქვს: ძველი და ახალი. ძველს ამჟამად აღარავინ მისდევს, გარდა თითო-ორი პირისა, რომელნიც ჩვენს წარსულს იკვლევენ (ისტორიკოსები და სხვ.). საზოგადოდ, იგი მივიწყებულია და, სადმე რომ შეგვხვდეს ძველი ქართული წიგნი ან ძველი ქართული წარწერა, ვერ მივხვდებით, რომ იგი ქართულია. ამას გარდა, რადგანაც ქართული ნუსხური თავისი დახრილობითა და კუთხოვნებით რამდენადმე სომხურს მოგვაგონებს (თუმცა მასთან არაფერი საერთო არა აქვს ერთი კ ასოს გარდა), ამიტომ ძველი ქართული ასოებით, უფრო კი ნუსხური ხელით დაწერილი ქართული წიგნი ზოგს შეიძლება სომხური ეგონოს, როგორც ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს.

1924 წ. შემოდგომაზე თბილისში გამოიარა ავსტრიიდან სომხეთს მიმავალმა ვენელმა მხითარისტმა ნ. აკინიანმა, რომელმაც, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის სიტყვით, სამიოდე წელი დაყო ერევანსა და ეჩმიადინში იქაური სომხური ხელნაწერების ასაწერად. თბილისში მან იხაზულა პროფ. ი. ჯავახიშვილი, რომლისთვისაც უამბნია, რომ ევროპის წიგნთსაცავებში ზოგან ხელნაწერები მიჩვენეს და მითხრეს, რომ სომხური იყო, მაგრამ ნამდვილად ქართულები იყო.

მან: და კელ-ვყავ ხარკებით: საურავსა მათსა შევკრი-
ბენ: კარსა: დარბაზისა *ჩნისასა (ჩუენისასა) მღდელთ
მოძღუარნი:

*ენი (ერისთავთ ერისთავნი): *ენი (ერისთავნი): და
*ყლთა (ყოველთა) კვეთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი
მეცნიერნი საბჭოთა: საქმეთანი: და დავსხენით *წეწინა-
შე)*ჩნსა (ჩუენსა): და წავიკითხენით: მათნიცა: და მათნიცა:
დაწერი-
ლნი: და *რლი (რომელი) სიტყუის გეზაი იყო: მათ
შორის: მოვი-
სმინეთ: და სამართლად: ესე გავიგონეთ: *რლ (რომელ)
კელნი

ამათნი *მრვნი (მრავალნი) და მტკიცენი: იყუნეს: და *ჩნგან
(ჩუენგან) მათი:
გატეხაი: არა: ჯერ-იყო: და სულსა მათ პირველთა მეფე-
თასა: არა დავამძიმებდით: და თუმცა: ოპიზარნი უხუეგუმინს

ეს მე ი. ჯავახიშვილისაგან მაქვს გაგონილი. ახლა პირადი
გამოცდილებიდანაც მოგახსენებთ.

ერთხელ ხელში მეჭირა ერთი ასეთი ხელნაწერი უნივერ-
სიტეტის ერთ დარბაზში. შემოვიდა ერთი ფრიად ცნობილი
პროფესორი და, რომ დამინახა ხელში ძველი ხელნაწერი,
მკითხა: „აკაკი, შენ სომხურიც იციო?“ — სომხურიც ვიცი-
მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ ეს ხელნაწერი ქართულია და არა
სომხური-მეთქი.

1949 წ. მარტში საქ. მეცნიერებათა აკადემიამ სამეცნიერო
ექსპედიცია მოაწყო ბულგარეთში, სადაც უნდა გვენახა რო-
დოპის მთებში მდებარე პეტრიწონის ქართველთა მონასტერი
(პლოვდივიდან, ანუ ფილიპოპოლიდან 30-ოდე კილომეტრის
დაშორებით), რომელიც 1083 წელს დააარსა საბერძნეთის
დასავლური ნაწილის დიდმა დომესტიკოსმა ტაოელმა ქარ-
თველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ (ექსპედიციის შედგენილო-
ბა: ნ. ბერძენიშვილი, ო. გიგინეიშვილი და ამ სტრიქონების
დამწერი). იქ გამოირკვა, რომ ბულგარეთის დედაქალაქში,
სოფიაში, სახალხო ბიბლიოთეკას მოეპოვება პეტრიწონის
ქართველთა მონასტრის ტიპიკონის (წესდების) ქართული
ტექსტის ერთი ვადმონაწერი, რომელიც შესრულებულია

ნუსხური ხელით. აღნიშნული ბიბლიოთეკის დაბეჭდილ კატალოგში ამ ხელნაწერის შესახებ ნათქვამია: „ნაწერია სომხური ასოებით, შინაარსი კი უცნობიაო“. დიად, ასეა! ჩემი თვალთ მინახავს და წამიკითხავს. ამისი მოწმეც მყავს — ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი.

ეს ტიპიკონი გადმოწერილია ადრინდელი ხელნაწერიდან, რომელიც პეტრიწონის მონასტერში იყო დაცული წარსული საუკუნის 80-იან წლებამდე, როდესაც იგი იქედან მონასტრის წინამძღვარმა, ტომით ბერძენმა, გაიტაცა და გადასცა ბერძენთა საზოგადო მოღვაწის კორაის სახელობის ბიბლიოთეკას კუნძულ ხიოსზე. იქაური ბიბლიოთეკის კატალოგში ეს ქართული წიგნი სომხურად ყოფილა მიჩნეული და ერთი ბერძენი მეცნიერი იძულებული იყო, საგანგებო წერილი დაებეჭდა, რომ დაემტკიცებინა, ხელნაწერი ქართულია და არა სომხურიო.

მიუხედავად ამისა, როდესაც ჩვენ დაგვიძირდა მისი ფოტოსურათები და ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 1957 წ. მისწერა ხიოსის ბიბლიოთეკას, გამოგვიგზავნეთ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის ფოტოსურათებიო, იქიდან პასუხად მოიწერეს: „ეს ხომ სომხურია და რად გინდათო?“ აქედან უპასუხეს: „გადმოგვიგზავნეთ მაინც და ჩვენ როგორმე შევძლებთ მაგ სომხურის გარჩევასო“. ამის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღეთ ფოტოსურათები.

სხვა მაგალითი: ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაჰაში რომ ჩადიოდა ჩვენებური ხალხი, ეროვნული მწერლობის მუდმივ გამოფენაზე უჩვენებდნენ ხელნაწერს, რომელიც იქ აღნიშნული ყოფილიყო, როგორც სომხური. მის მნახველ ქართველთაგან არავინ დაექვევბულა მის სომხურობაში, მხოლოდ უდროოდ დაღუპულ მწერალს აკაკი ბელიაშვილს იქ ყოფნისას 1959 წლის შემოდგომაზე უცენია, რომ ხელნაწერი ქართულია, და მაშინვე უცნობებია პროფესორ იარომირ იედლიჩასთვის, რომელმაც ეს ძეგლი ამის შემდეგ შეისწავლა და დაბეჭდა კიდევ გამოკვლევა მის შესახებ ქართულად და გერმანულად (ქართულად „მნათობში“ 1961, ივნისი, გვ. 180). აკა-

კი ბელიაშვილი რომ არა, დღესაც არ გვეცოდინებოდა, რომ პრაქაში მოიპოვება ქართული ხელნაწერი X საუკუნისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგი ქართველი მოღვაწისათვის უჩვენებიათ და უთქვამთ, სომხურიაო.

ამას წინათ მივიღე წერილი მიუხსენიდან პროფ. დოქტორ ი. ასფალგისაგან, რომელიც მ. თარხნიშვილს ეხმარებოდა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის გერმანულად გადათარგმნაში. ასფალგი უკანასკნელ ხანს ადგენს კატალოგს ქართული ხელნაწერებისას, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქში მოიპოვება. იგი, სხვათა შორის, მწერდა: „მე კიდევ ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან მივიღე ხუთი ქართული ხელნაწერის ნაწყვეტები, რომლებიც კ. ტიშენდორფს წამოუღია აღმოსავლეთიდან (სინას მთიდან და იერუსალიმიდან). ხუთივე ქართულია (უმეტესად ნაწყვეტებია ლიტურგიკული წიგნებისა, როგორცაა: თვენი, სვინაქსარი, აგრეთვე ბიბლიის ნაწყვეტებიც, ზოგი რამ ასომთავრულითაც კი), თუმცა კი ოთხი მათგანი K. Vollers-ის კატალოგში სომხურად არის აღნიშნული“.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა უცნაური მდგომარეობა შეგვექმნა იმის გამო, რომ ქართულს ქართულად ვეღარ ვცნობთ ვერც ჩვენ და ვერც სხვები. როგორც აბრეშუმის პარკიდან გამოძვრალი პეპელი არ ჰგავს იმ ქიას, რომელმაც ეს პარკი გააკეთა, ისე ჩვენი დღევანდელი წერა არ ჰგავს იმ წერას, რომლისგანაც იგი წარმოიშვა. ქართულს ქართულად რომ ვერ ვცნობთ, ამის მიზეზია არა მარტო ქართული შრიფტის განვითარება და სხვაგვარი წერის შემუშავება, ვიდრე ძველად გვქონდა, არამედ უფრო მეტად ჩვენი მიძიმე ისტორიული პირობები: მტრების განუწყვეტელი შემოსევისა, ჩვენი ქვეყნის მუდმივი რბევისა და გაჩანაგების გამო ქართველი ერი ვეღარ წამოდგა ფეხზე და წელში ვერ გაიმართა იმდენად, რომ თავისი კულტურული მოთხოვნებიანი ნორმალურად დაეკმაყოფილებინა.


წერა-კითხვის მცოდნე სომეხ ბავშვს რომ უჩვენონ მეცხრე-მეათე საუკუნის სომხური წიგნი ან წარწერა, უთუოდ იცნობს, რომ სომხურია; წერა-კითხვის მცოდნე ქართველ

ბავშვს კი არ შეუძლია ძველი ქართული წიგნი ან წარწერა იცნოს და თქვას, რომ ქართულიაო. არა თუ ბავშვს, არამედ უმაღლესი განათლების მქონესაც არ შეუძლია წაკითხოს ძველი ქართული წიგნი. წაკითხვას ვინ ჩივის, ნეტავი გამოიკვნობდეს მაინც, რომ ქართულია!

საინტერესო ამბავი მოხდა 1867 წელს. მცხეთის ქვემოთ, შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა მხარეს გზა უნდა გაეფართოვებინათ და კლდეს აფეთქებდნენ. ერთი აფეთქების დროს წარწერიანი ქვა გადმოვარდნილა და გზაზე დაცემულა. მუშებში ერივნენ ახალციხელი ბერძნები და, რომ დაუხედავთ, უცვნიათ, რომ წარწერა ბერძნულია და მეტად გაკვირვებულან. წარწერა I საუკუნისაა და ეკუთვნის რომის იმპერატორს ვესპასიანეს (69-79 წ.წ.). ერთი მიბრძანეთ, რომელი ქართველი მუშა შეძლებდა იცნო, რომ შესწრებოდა, მაგ., იტალიელების გათხრებს 1953 წ. ბეთლემს ახლოს, სადაც აღმოჩნდა ქართული წარწერა, მრგლოვნით შესრულებული? — ვერავენ. ან კიდევ: რომ უჩვენო ქართველ მუშას შ. რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი და უთხრა: აბა წამიკითხე, რა აწერია თავზეო, შეძლებს კი წაკითხვას? ან ერთი კიდევ: საშუალო განათლების მქონე ქართველი კაცი პროვინციიდან (ვთქვათ, ყვარლიდან, ჩოხატაურიდან ან ჩხოროწყუდან) ან თუნდ თბილისელი, ქუთაისელი ან ბათუმელი მიიყვანო თბილისში, ვერის ბაზრის ახლოს მდებარე ლურჯი მონასტრის ეზოში და უჩვენო ტაძრის კარის თავზე მოთავსებული შოთა რუსთველის დროინდელი წარწერა და უთხრა: აბა გამოიკვანი, რა ასოებიაო, გამოიკვნობს კი? არა მგონია და ჩვენი უბედურებაც სწორედ ეგ არის.

1959 წლის ივლისის პირველ რიცხვებში აწ განსვენებულმა პროფესორმა კ. კეკელიძემ მოხსენება წაკითხა ბოლნისის ტაძრის იმ წარწერას შესახებ, რომელიც ტაძრის აღმოსავლეთის მხარეს არის მოთავსებული, სარკმლის თავზე. მოხსენება მოეწყო თვით ტაძრის ეზოში, წარწერასთან. მომხსენებელმა გაარკვია ამ უძველესი (V ს.) წარწერის ორი უკანასკნელი ასოს მნიშვნელობა, რაც მანამდე გაურკვეველი იყო. მოხსენებას დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ინტელიგენცია. მოხსენებამ დიდი ინტერე-

სი გამოიწვია მსმენელებში, მაგრამ ამოდენა ხალხში სამი-
ოთხი კაცი თუ ერია, რომელთაც შეეძლოთ ამოეცნოთ ამ
უძველესი ქართული ენით დაწერილი ტექსტის ქართული
ასოები. ისე უკუღმართად წარიმართა ჩვენი ისტორია, რომ
მრავლს მეტყველი წარწერა, რომელიც თითქმის 1500 წლის
წინათ არის ამოკვეთილი, უცხო აღმოჩნდა არა მარტო ადგი-
ლობრივი მოსახლეობისათვის, რომელიც დღეს უმთავრესად
სომხები და თურქებია, არამედ ტაძრის ეზოში შეკრებილი



სურ. 6. ვნების კვირიაკის სახარება (ქუთაისი, 1803 წ.)

ქართველებისთვისაც, რომელთა შორის ბევრი იყო ფრიად
განათლებული პირი.

როცა საქართველომ ცოტაოდნად წამოიხედა მეჩვიდმეტე
საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტეს დასაწყისში და დაიწყო

კულტურული აღორძინება, ვახტანგმა შემოიღო სტამბა და წიგნის ბეჭდვას მიჰყო ხელი ორივე ქართული შრიფტით, ძველით და ახლით: საეკლესიო წიგნების დიდი ნაწილი დაბეჭდა ძველით, „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგი სხვა — ახლით. ძველი შრიფტით ნაბეჭდ ქართულ წიგნში, საზოგადოდ, ყველგან გატარებულია მთავრული ასოების ხმარება, როგორც ამას გვიჩვენებს, მაგ., ქუთაისში 1803 წელს დაბეჭდილი ვნების კვირიაკის სახარება, სადაც, სხვათა შორის, მთავრული ასოები ნახმარია აგრეთვე საზოგადო სახელების თავშიც (სურ. 6). ეს მთავრული იყო მრგლოვანი, რომელსაც ამის გამო ასომთავრული ეწოდა. მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ვახტანგ VI-მ 1721 წ. თბილისში დაბეჭდა მხედრული ასოებით მის მიერ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი საბუნებისმეტყველო წიგნი „ქმნულების ცოდნა“ („აიათი“) რომელშიც მთავრულ ასოებად იხმარა მრგლოვანი¹. ვახტანგი მალე იძულებული შეიქმნა რუსეთს გადასახლებულიყო დიდი ამალით, მისი წამოწყებული საქმე შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა: მხედრულად ნაწერსა და ნაბეჭდ წიგნებში მრგლოვანი მთავრულების ხმარებას განაგრძობდნენ ანტონ კათალიკოსი, გაიოზი და სხვები.

ეს მოვლენა, საზოგადოდ, იმასთან არის დაკავშირებული, რომ დაიწყო წარსულის შესწავლა და მის მონაპოვართა გამოყენება. ცნობილია, მაგ., რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც კი გადაწერეს ძველი (ხუცური) ასოებით. მაგრამ ეს გადაჭარბება იყო. მშვენიერი მხედრულის შეცვლა არ გვჭირდება, ძველისა გვჭირდება მხოლოდ მთავრული ასოები, რომელთაც კარგად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებში. ასეთია, მაგალითად „კიტიის სიბრძნე ანუ სწავლა ქუეყანასა ზედა ბედნიერად ცხოვრებისა“, რუსულიდან თარგმნილი გაიოზის მიერ და დაბეჭდილი მოსკოვს 1777 წელს (სურ. 7). ამ წიგნის ნაწილების სათაურები და თავები მრგლოვანი ასოებით არის ნაბეჭდი.

ერეკლე მეფემ რომ პოლიტიკური ხელშეკრულება დადო რუსეთთან 1783 წ., მის ქართულ ტექსტში, რომელიც მხედ-

¹ ამის სურათი ნახეთ ამ წიგნის 197 გვერდზე.

სურათი 7. კიტაიის სიბრძნე

ანუ

სწავლა ქუჩისა და სწავლა
მეცნიერებად და სწავლა
და სწავლა

სურ. 7. კიტაიის სიბრძნე
(თავფურცელი)

რულად არის ნაწერი, მთავრულებად იხმარეს მრგლოვანი (სურ. 8 და 9).

გაიოზმა რომ ქართული გრამატიკა გამოსცა კრემენჩუკში 1789 წელს, შიგ ახალ შრიფტთან ერთად ძველიც გაურია და, რასაკვირველია, მისი მთავრულებიც.

მრგლოვანი შრიფტის მთავრულად ხმარებას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც მისდევდნენ. მაგ., „განწყება შინაგანისა საქართველომსა მართვისა“ (1801) იმგვარად არის დაბეჭდილი, რომ სათაური მთლად მრგლოვანით არის. ამას გარდა, წინადადების დასაწყისში და საკუთარ სახელებში იგივე შრიფტია ნახმარი. მაშასადამე, მრგლოვნის ხმარებას აქაც, როგორც 1783 წ. ტრაქტატში, ორთოგრაფიული დანიშნულება აქვს (სურ. 10).

თეიმურაზ ბაგრატიონი მხტრვალე მიმდევარი იყო მთავრულების ხმარებისა. მან ეს წესი თავის „ვეფხისტყაოსნის“

სამეფოებს შინაი რაზარობის ღ ხსენობს შენკეთიან. ისინი უფრო ღამაზე
 მან სამეფოებზე დაჰყარა. საყრდენებს შვედ თქმულის ზ.
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ

ღამა სეპარატის ურცხიულის შინაი რაზმდენი დაჰყარა. ისინი
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ

ქობულის დასახლებების დაჰყარა. შინაი რაზმდენი
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ

- სამეფოებზე (1)
- სამეფოებზე (2)
- სამეფოებზე (3)

ქობულის შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ
 შინაი რაზმდენი ათწიფი დაჰყარა. შინაი რაზმდენი ღ

სურ. 9. 1788 წლის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის (ბოლო)

საქართველოს სამეფოს მთავრობის განცხადება
 შინაგან საქართველოს შესახებ.

საქართველო განაწილების ხელ შეწყდა, რომელთაც სამი
 ძირითადი ჯგუფი: შინაგანი, შინაგანი და შინაგანი და ორი
 სახეობა შინა (შინაგანი და შინაგანი);

შინაგანი და შინაგანი აღიარებულნი მართლაც საქართველო
 ღირსი დაინიშნებიან შემდგომში;

შინაგანი საქართველო;

შინაგანი;

შინაგანი საქართველოს შინაგანი საქართველო, რომელიც
 გვიან უფროსი შინაგანი;

შინაგანი საქართველოს შინაგანი საქართველო განიყოფინ
 უმცირესად;

შინაგანი საქართველოს უმცირესად საქართველო
 შინაგანი;

შინაგანი შინაგანი საქართველოს შინაგანი საქართველო
 და ორი სახეობის ანუ შინაგანი, უფრო შინაგანი
 შინაგანი და შინაგანი საქართველოს შინაგანი;

შინაგანი საქართველოს შინაგანი და შინაგანი;

შინაგანი შინაგანი და ორი შინაგანი შინაგანი და ორი
 შინაგანი შინაგანი ანუ შინაგანი, უფრო საქართველო
 ღირსი შინაგანი, ორი შინაგანი და ორი სახეობის
 და საღებური სახეობის ანუ საღებური;

შინაგანი საქართველოს საღებურისა;

შინაგანი ანუ შინაგანი შინაგანი შინაგანი და ორი
 შინაგანი შინაგანი ანუ შინაგანი, უფრო საქართველო
 ღირსი შინაგანი;

შინაგანი საქართველოს საღებურისა;


შინაგანი ანუ შინაგანი შინაგანი შინაგანი და ორი
 შინაგანი შინაგანი ანუ შინაგანი, უფრო საქართველო
 ღირსი შინაგანი;

სურ. 10. განწესება შინაგანის საქართველოს მართვისა (1801).

მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდეგ ძველი
 ავრულების ხმარება არსებითად შეწყდა, მაგრამ იყო მაინც
 თო-ორთო ცდა ტრადიციის განგრძობისა. ერთ ასეთ
 დად შეგვიძლია დავასახელოთ „ცისკრის“ 1861 წლის თე-
 აკი შინიძე

ბერკლის ნომერი, სადაც ჟურნალის თავფურცელზე სამი სიტყვის პირველ ასოდ მრგოლოვანია გამოყენებული: ცისკარი, წოდება თხზულებათა და ტფილისს (სურ. 13).


სამოციან წლებში მთავრულების ხმარების საკითხში დიდი გარდატეხა მოხდა. 1866 წ. დაარსდა გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორი იყო გ. წერეთელი, გამომცემელი კი — ს. მელიქიშვილი. „დროების“ რედაქციამ გაბედული ნაბიჯი გადადგა: საპიროდ მიიჩნია, მთავრულების ხმარება გაეტარებინა სისტემებრ თავისი გაზეთის ფურცლებზე: მთავრული ასოებით უნდა დაბეჭდილიყო სათაურები და ახალ წინადადებათა და საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები, ე. ი. ქართულ ნაბეჭდ ტექსტში უნდა გატარებულიყო იგივე წესი, რაც



სურ. 11. თეიმ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხის ტყაოსნისა

დიდი ხანია გამტკიცებული იყო ევროპის ენებში: რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში, იტალიურში, ბერძნულში და სხვებში¹.

იდეა, რომელიც გ. წერეთელს და მის თანამოაზრეებს ამოქმედებდა, უთუოდ პროგრესული იყო, მაგრამ ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება არ გამოდგა ნაყოფიერი. საქმე ის გახლავს, რომ იმის ნაცვლად, რომ აეღოთ ლამაზი ხელით შესრულებული ძველი ხელნაწერებისა და წარწერების საუკეთესო ნიმუშები და მათი მიხედვით დაეხატვინებინათ ასოები და შემდეგ ამ ნახატების მიხედვით დაემზადებინათ ნამ-



სურ. 12. თეიმურაზ ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია (1848)

ღვილი ქართული მთავრული ასოები, გვერდი აუქციეს ქართული შრიფტის განვითარების ისტორიულ გზას, აიღეს მხედრული ბეჭდური შრიფტი და მისგან გააკეთეს მთავრულები. მხედრულში, როგორც ზემოთ ვთქვით, ისტორიულად ოთხი

¹ გერმანელები საზოგადო სახელებსაც მთავრულით იწყებენ, რომლის ნიმუში ქართულიდანაც ვნახეთ ზემოთ (სურ. 6), მაგრამ გ. წერეთელი ამ შემთხვევაში მათ შეხედულებას არ იზიარებდა.

ცისკარი

1861

თებერვალი.

ჩვიდწელი შესუთ.

როდებთ თხზულებათა:

- I. — მოძღვრება. ვაძრიელ ეპისკოპოსისა
შესსა, თქმული ვაძრიელ ეპისკოპოსისა
კობახის მისვლის ვახს ქართსა
სსმ. დეკ. ვიორგე ვამ.
რეველიოვისაგან.
- II. — სოლომონ ისკახ შეჯახუ-
შული. (რომანი) დავ. არდაზიანისა.
- III. — დეკსეია სსჯა & სსჯა შექრლებისა.
სოლომონის ურჯული. მოლოკებისა.
- IV. — რეველიოვი ახარ მესხელ კეჭის. ივ. კერესელიძისა.
- V. — სსჯა & სსჯა ანაგია. (ისილე შეორე აკრდსე).

რევილიოსს.

კერესელიძის კობოგრაფიში.

ზომის ასოები შემუშავდა: საზედაო, საქვედაო, შუაზე, მოსათავსებელი და მთელი სიმაღლისა: მაგ., ამ სიტყვებში „ქართული წერის საქმე“, სამი საზედაო ასოა ნახმარი (მ, რ, ხ), სამი საქვედაო (ე, ლ, უ), სამი შუაზე მოსათავსებელი (ა, თ, ი), ორი კი მთელი სიმაღლისა (ქ, წ). ახალი მთავრულების გაკეთებისას ყველა ასო ერთ სიმაღლეზე დააყენეს. ამიტომ შუა საწერი ასოები გაიწელა და დაგრძელდა. მთელი სიმაღლის მქონე ასოები დაიკვალა, საზედაოებს საქვედაოები ამოუდგა გვერდით. ერთი სიტყვით, ისტორიული პრინციპი დაირღვა და მშენებრი ქართული მხედრული ასოები დამახინჯდა და დაუშნოვდა. ამის მაგალითია იგივე სიტყვები, **ქართული წერის საქმე**, სადაც ყველა ასო ერთი სიმაღლისაა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ამნაირი ასოებით დაწერილი სიტყვები ძნელი საკითხავია. რომ ნათელი იყოს, თუ როგორ გამოიყურება ქართული ნაბეჭდი ტექსტი „დროების“ რეფორმის მიხედვით, მოვიყვანოთ ორი ნიმუში (სურ. 14 და 15).

აქედან ვხედავთ, რომ „დროების“ რეფორმას მთავრულე-



სურ. 14. დროების სათური.

ბის შემოღებით გარკვეული ორთოგრაფიული მიზნები ჰქონდა დასახული.

არ შეიძლებოდა, ამ რეფორმას თავის დროს ჩოჩქოლი არ გამოეწვია, რადგანაც მკითხველთა ფართო წრეები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ქართული ასოების დამახინჯებას. ამიტომ „დროების“ რედაქცია იძულებული გამხდარა, ხმა ამოეღო და პასუხი გაეცა. პასუხიდან ჩანს, თუ რას უსაყ-

ვედურებდნენ „დროებას“: „დროებას ზრახავდნენ, რომ ახალი ასოებით რათ იბეჭდებო. ჩვენებურს სტამბაში რომ ასომთავრული არა ყოფილა, „დროებამ“ საიღამ შემოგვაჩეჩაო. საზოგადოება სწყურებოდა ასომთავრულის შემოღებაზე, — ეს რა ასოებია, ინი ინს არა ჰგავს და ენი ენს. ამ გვარათ წერა, თქვენი ჰირიმეთ, ვის გაუგონია: ენსა და ვინს რომ მალლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი აწეულია, ზოგი დაწეულია, თითქო ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო. ამისთანა სჯაში ბევრჯერ იყვნენ ხოლმე გართულნი ჩვენი მოხუცებულები. მაგრამ „დროება“ ამისთანაებს ყურს არ უგდებდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩხირება, არ მოსწონს იმისთვის, რომ თვალი შეუჩვეველი აქვს: იმისი წინააღმდეგია, რადგანაც ჯერეთ იმისგან სარგებლობას ვერ ჰხედავს. ამასთანავე „დროება“ კარგად ხედავს ასომთავრულის სარგებლობას. იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარ სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე, ასე რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავათ რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები. ამას გარდა, ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ ანუ ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასომთავრულით იწყება ხოლმე. ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბა¹ მრავალგვარდება და მშვენიერდება. „დროება“ კარგათ გრძნობდა, რომ, როდესაც მკითხველებს ასომთავრულზედ თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსებათ ჩათვლიან იმ ნაკლულევანებს, რომელსაც პირველათ ხედავდნენ. ამ აზრის იყო „დროება“ და, ვგონებ, არც მოტყუებულა“ („დროება“, 1867, № 1).

ამ კამათს რომ 95 წლის შემდეგ ვეცნობით და მსჯელობის საგნად ვიხდით, უნდა ვთქვათ, რომ ერთი მხარეც მართალი იყო და მეორეც: „მოხუცებულები“ იმ მხრივ, რომ „ახალგაზრდებმა“ ასოების პროპორცია დაარღვიეს, „ახალგაზრდები“. კი იმ მხრივ, რომ მთავრულების შემოღებას, საზოგადოდ, დიდი უპირატესობა ჰქონდა და აქვს. იღეა „ახალგაზრ-

¹ ავტორს უნდოდა ეთქვა: ქართული სტამბის შრიფტიც. ა. შ.

ქახეთს, და აქედამ ის იწოდება ქახეთათ. მთე-
 ლი მხარე იმან დაჰყო რამდენსამე საერისთა-
 ვოთ; ორი დააწესა აღაზნის გავმა, რომელ-
 საც ეწოდა ზალმა-მხარი. წუქეთში იყო დი-
 დი გუმბათიანი ეკლესია და აქ იჯდა ეპის-
 კოპოზი, მწყემსი მლისენისა, წუხეთისა და
 შაკიხისა. ძველის გუჯრიდამ სჩანს, რომ ეკ-
 კლესიას ამ ადგილში ჰქონია ყმა და მამული,
 ესე იგი ლაგოდნში, მანუხში, ბახარში, ქუ-
 ნელიანში, წინ-უბანში და ბანგოთში (1). XV
 საუკუნეში, როგორც ვიცით. აღექსანდრე
 მეფემ საქართველო დაუყო თავის სამს შვილს;
 ჰერეთი ქახეთით არგუნა უმცროსს, ღვეთს.
 იმავე საუკუნის გასულს ღვეთის შვილმა ბი-
 ორგიმ საერისთავოები ქახეთში გააუქმა და
 იმათ ნაცვლათ დააწესა სამოურავოები; ზალმა-
 მხარში დასვა სამი მოურავი—მლისენში, წუ-
 ხეთში და შიაურში. ამ დროებში ლეკები,
 როგორც სჩანს, იშვიათათ აწუხებდნენ ქა-
 ხეთს და თვით ზალმა-მხარს: იმათ ხარკათ
 თურმე ედოთ ყინულის ზიდვა ძავეკასიის მთი-
 დამ. (2)

სურ. 15. „დროება“ 1866 წ. 22 დეკემბრისა
 (ნაწევები შეთავრიდან)

რდებისა“ სწორი იყო, მისი პრაქტიკული განხორციელება კი — მცდარი, როგორც ეს შემდგომში ამბებმა ცხადყო.

„დროება“ ყოველ ნომერში ატარებდა ახალ ორთოგრაფიას მხედრული „მთავრულის“ გამოყენებით ცალკეული წერილების სათაურებში და საკუთარი სახელების თუ წინადადებათა პირველ ასოებად. მიუხედავად გაზეთის რედაქტორების ცვლისა (გ. წერეთელი 1866-69, ს. მესხი 69-73, კ. ლორთქიფანიძე 73-74, ს. მესხი 74-80, ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი 80-81, ისევ ს. მესხი 82-83, ი. მაჩაბელი 83-85), ამ ორთოგრაფიულმა მიმდინარეობამ გასტანა „დროების“ არსებობის მთელ მანძილზე, ცხრამეტი წლის განმავლობაში (1866-86).

ცალკეულ პირთაგან, რომლებიც „დროების“ ორთოგრაფიას იზიარებდნენ, შეგვიძლია დავასახელოთ ი. გოგებაშვილი, რომელიც თავის სახელმძღვანელოებში მხედრულ მთავრულებს ხმარობდა სისტემებრ, როგორც ამას გვიჩვენებს მისი „ბუნების კარის“ 1876 წ. გამოცემიდან ამოღებული ერთი პატარა ლექსი. (სურ. 16).

საინტერესოა, შესწავლილ იქნეს სპეციალურად და გამოირკვეს დეტალურად, თუ ვინ, როდის და რა შემთხვევაში განაგრძობდა კიდევ „დროების“ შემოღებული წესების დაცვას. თვით გ. წერეთელი მთავრულებს ხმარობდა 1876 წ. ცალკე წიგნაკად გამოცემულს „არანკა“-ში, მაგრამ მერმინდელს ბელეტრისტულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ხელი აიღო მთავრულის ხმარებაზე (მაგ., „რუხი მგელი“, 1892, „ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა“, კვალი 1893, № 15). მაგრამ კარგად ცნობილია, რომ მთავრულების ხმარების წესებს თავგამოდებით იცავდა ქუთაისში სილოვან ხუნდაძე, რომელიც თავის ნაწერებში (გრამატიკებსა და ლექსებში) მთავრულებს ხმარობდა სისტემებრ და, გ. ახვლედიანის სიტყვით, მასვე მოითხოვდა თავისი მოწაფეებისგანაც და შეცდომად უთვლიდა, თუ ვინმე ამ წესებს დაარღვევდა.

გ. წერეთლის დაწყებულსა და გოგებაშვილ-ხუნდაძის მოძახილს არავინ მისცა ხანი და მხედრულმა მთავრულმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. იგი დარჩა ხმარებაში, მაგრამ გამოეცალა ორთოგრაფიული მიზნები, მისი ხმარება განისაზღვრა მარტოოდენ თვალსაჩინოებით: მას იყე-

ნებენ მხოლოდ წიგნისა და წერილების სათაურებში და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში, ვთქვათ, როცა შორიდან უნდა დაჩნდეს ნაწერი, მაგ., აფიშებში, ფირნიშებში და სხვ.

ამგვარად, „დროების“ ინიციატივამ, რომელსაც მიზნად ჰქონდა ევროპული ენების მსგავსად, კერძოდ რუსულისა, მთავრულების შემოღება ქართულშიც, თავის მიზანს ვერ მიაღწია. მან საბოლოოდ გაახმო მე-18 ს-ში გაღვივებული და მე-19-ის პირველ ნახევარში რამდენადმე ამოჯეჯლებული ორთოგრაფიული მიმდინარეობა, რომელიც მთავრულებად მრგლოვანს მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, მაინც იყო ცდა მრგლოვნის განედლებისა და გამოცოცხლებისა: დიმიტრი ყიფიანმა რომ 1882 წელს თავისი „ქართული გრამმატიკა“ დაბეჭდა პეტერბურგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მან შიგ მთავრულებად მრგლოვანი იხმარა. (სურ. 17).

მე-19 ს-ის ოციან წლებში იოანე იაღლუზიძე საჭიროდ მიიჩნევდა ოსურად ნათარგმნ სახარებაში, რომელიც თავიდან ბოლომდის ქართული ასოებით იყო ნაწერი, ცალკეული

პარული ბიჟი.

პარში ბიჟმა დაიკვება, წავალ ძახეთს დაფისწავლი.
ძახის ბიჟმა შეუთვალა: შენ ძახეთს გერ შეისწავლი,
ან წავილვებს ალაზანი, ან იორი—შაფი წვალი,
თუ იმასაც გაღურჩები, ჩემს ხმაღს ველარ მოურჩები.

სურ. 16. ლექსი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“ (1876)

თავები მრგლოვანი ასოებით გამოეყვანა და მრგლოვანივე ეხმარა საკუთარი სახელებისა და წინადადებათა თავში. 40 წლის შემდეგ თითქმის ფიქრადაც აღარავის მოსდიოდა, რომ ძველი ქართული შრიფტი არა თუ ოსურში (საეკლესიო წიგნების გარდა), არამედ ქართულ წიგნში ან ჟურნალ-გაზეთში გამოეყენებინა. სათვალავში არ არის ჩასაგდები, რა თქმა უნდა, ძველი შრიფტის ხმარება სპეციალური

დამსახურებულ ჰროფესსორს დ. ი. ჩუბინოვს.

ძოწყადეო ჩედწიფეე

შავით ეესესქევ!

ტქვენი რამმატიკა რომ აღარ იშოვებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გავუძახელდა, რომ დედა-ების სწავლებას ვეღარ ვახერხებდით; — მეტი ღონე აღარ იყო. ჩემი შვილებისათვის შევე უნდა შემეფან: რამმატიკა, როგორც მომიხერხებოდა და, აი, სტამბაში ვსხვნი კიდევ დასაბეჭდავად.

ღმ წლის ოკტომბრის დამდეგს რომ ჩემს სახლში ბძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვესც დამოყო ნება, რომ პირველად თქვენი პატივისცემათ სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობრობას ვუძახნა ეს წიგნი, ეტება თქვენ-მეგობრობით და თქვენი მაგალითით სხვებმაც ქართული ენის სიუფარულათ, მითხრათ ან შემომთხოვალათ, რასაც ეს სიუფარული ჩემთვის სათქმელად გავთხნებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ შავითა და ში დიდად დამაფალებთ.

თქვენი აღმატებულების

გულთადაი პატივისმცემელი

შმიტრი ყიფიანი.

სოფ. ქვიშხეთი,
12 დეკემბერი 1881.

სურ. 17. დ. ყიფიანის „ქართული გრამმატიკა“ (1882).

მიზნით გამოცემულ წიგნებში, როგორცაა, ვთქვათ, დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია (1846 წ.), სადაც „ივედიის“ წიგნი მთლად ძველი შრიფტით არის დაბეჭდილი (გვ. 343—377), ან ი. ყიფშიძის ძველი ქართული ქრესტომათია (პეტროგრადი, 1918), რომლის ძველი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები მთლიანად გადაბეჭდეს ნ. მარმა და მ. ბრიერმა ქართული ენის სახელმძღვანელოში (*La langue géorgienne*, პარიზი, 1931). მხედველობაში არაა მისაღები არც „სახის მეტყველი“, რომელიც მთლიანად მრგლოვანი შრიფტით დაბეჭდა ნ. მარმა (1904), ან კიდევ მარისავე გამოცემა სპევსიპეს, ელასიპეს და მელასიპეს ცხოვრების ტექსტ-სა, რომელიც დაბეჭდილია ნუსხური შრიფტით (1907), არც ვ. ბენეშევიჩის გამოცემული ორი თავი სახარებისა: მათესი (პეტერბ. 1909) და მარკოზისა (იქვე, 1911), რომლებიც მრგლოვანი შრიფტით არის დაბეჭდილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, კ. კეკელიძის იერუსალიმის განწესება-განჩინებას ტექსტი (ნუსხურად, თბილისი, 1912), მისივე „არქიერატკონი“ (თბ., 1912), რომელიც დაბეჭდილია იმ ხანებში ახლად ჩამოსხმული შრიფტით, არც ა. შანიძის „ძველი ქართული ქრესტომათია“ (1935), რომლის შრიფტი დ. შევარდნაძის ნახატების მიხედვით არის დამზადებული, და ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“ (1949, 1953), სადაც ერთ ნაწილში იგივე შრიფტია ნახმარი.

იგივე ითქმის წარწერების შესახებ, რომელთა გამოცემის დროს ძველ შრიფტსაც იყენებდნენ ხოლმე (მ. ბროსე, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი და სხვები).

ძველი შრიფტი კანტი-კუნტად სხვა გამოცემებშიც გვხვდება: საბრინის „სამოთხეში“ (გვ. 1—28), თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ (I, გვ. 12—26, 31—32, 39, 48, 49, 61, 62, 66, 69, 70, 73, 75, 190—192, II, გვ. 53—54, 62—66) და სხვაგან. ერთ ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ „ფსალმუნი“, რომელიც გამოიცა 1960 წ. აქ ძალიან გამოგუადგა ძველი შრიფტი: საჭირო იყო ფსალმუნთა მუხლების ორმაგი ნუმერაცია: ძველი და ახალი. ძველი დამუხლვა არ ემთხვევა ახალს. ამიტომ ახალი სათვალავი არაბული ციფრებით აღი-

ნიშნა, ძველი კი — ქართული ასოებით; მაგრამ, რომ ნათელი ყოფილიყო, თუ სად იწყება მუხლი ძველი დაყოფის მიხედვით, იქ წარგლოვანი ასოები დავსხით. ასე გამოვედით გაჭირებიდან.

ჩვენ რომ თანდათან ვშორდებოდით ძველ ისტორიულ ამბებს მე-19 ს.-ში და მის მეორე ნახევარში სულ მთლადაც მოვსწყდით წარსულს, ეს გასაკვირველი არ არის. ქართული სკოლა აღარ არსებობდა, თვითმპყრობელობის მოხელეებს ქართული კულტურისათვის არ ეცალათ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მტრულად ეპყრობოდნენ მას. მესტამბეებს კი არც ცოდნა ჰქონდათ, არც შეგნება, არც საკმაო შეძლება, რომ სტამბის საქმე მაღალ დონეზე დაეყენებინათ, შეექმნათ ახალ-ახალი შრიფტები დიდი ისტორიული ბედის მქონე ქართული წერის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. გრიგოლ ტატიშვილიც კი თავისი ბრწყინვალე ნიჭით ვერ გასცდა მხედრულ ასოებს.

მკითხველმა უთუოდ იცის (და თუ არ იცის, გრძნობს მაინც), რომ მთავრული ასოების გარევა შრიფტში მარტო გონებისთვის კი არ არის საჭირო, არამედ ესთეტიკური გრძნობის დასაკმაყოფილებლადაც; მის ხმარებას მარტო ორთოგრაფიული მიზნები კი არ აქვს საფუძვლად, (რომ, ვთქვათ, გაიჩრეს საკუთარი სახელი საზოგადოსაგან), არამედ მთელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი სასიამოვნო შესახედავი იყოს და წასაკითხავად მიმზიდველი.

მე-19 საუკუნემ გააერთიანა პოლიტიკურად დაქსაქსული ქართული ტომები, მაგრამ უკან დახია კულტურულად და, რაც მთავარია, წაართვა ხალისი თავისი სიმდიდრის მოვლისა და გამოყენებისა. ამიტომ ყველაზე მდიდარი ხელნაწერი შრიფტების მქონე ხალხი ყველაზე ღარიბი აღმოეჩნდით ბეჭდვისას და ისეთსავე ვითარებაში ჩაცვივდით, როგორშიაც არიან არაბები, სპარსელები და ყველანი, რომელნიც არაბულ წერას იყენებენ. არაბულს კი მთავრული ასოები არა აქვს და სათაურში ჩვეულებრივ უფრო დიდი ზომის ასოებს ხმარობენ, ვიდრე ტექსტში. ასეთივე ვითარებაა ებრაულსა და ასურულშიც¹. არც მათ აქვთ მთავრული ასოები. ქართული წე-

¹ ასურების ჩამომავლები დღევანდელი ასორები არიან.

რა კი ძირითადად განსხვავდება არაბულ-ებრაულ-ასურულისაგან: ჩვენ მარცხნიდან მარჯვნივ ვწერთ, აღნიშნული სემიტური შრიფტების მიმდევარნი კი — მარჯვნიდან მარცხნივ („უკუღმა“). სტრიქონთა მიმართულებით ჩვენცა და სომხებიც ბერძნებთან, რუსებთან და სხვა ევროპელებთან ვართ, რომლებიც ლათინურ შრიფტს ხმარობენ, მთავრული ასოების უქონლობის გამო კი სამხრეთის ერებთან ვართ: არაბებთან, სპარსელებთან, ებრაელებთან, ასურებთან.

სომხებმა თუ მთავრული ასოების ხმარება შემოიღეს, ამისი მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ მათი შრიფტი არ განვითარებულა ისე, რომ სხვა სახე მიეღო, როგორც ეს მოხდა ქართულში, არამედ ისიც, რომ ისინი გაფანტულნი არიან და მრავლად მოიპოვებიან სხვადასხვა ქვეყანაში და საშუალება აქვთ, თვალ-ყური ადევნონ სხვა ერების წერისა და ბეჭდვის საქმეს და მათი გამოცდილება გამოიყენონ.

ქართველმა ერმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვერ ისარგებლა ვერც თავისი ისტორიით და ვერც სხვა ერების გამოცდილებით, რომ ნამდვილი მთავრული ასოები გამოეყენებინა, რომლებიც მას ჰქონდა და აქვს, გვერდი აუქცია ისტორიული განვითარების გზას და დაიწყო ახალი სახის მთავრული ასოების ძიება. როგორც ვთქვით, ამას შედეგად მოჰყვა ლამაზი მხედრული ასოების პროპორციების დარღვევა და მათი დამახინჯება ახალი სახის მთავრულში. ეს ახალი ვითომცდა მთავრული ასოები მარტო ბეჭდვის დროს იხმარება, ხელით რომ ვწერთ, არავინ მათ არ ხმარობს. მაშასადამე, ისინი მარტო ნაბეჭდ ტექსტში შეიძლება შეგვხედეს, ისიც მხოლოდ სათაურებში. ეს კიდევ არაფერი. როდესაც გვჭირდება შემოკლებანი, მათ ვერ ვიყენებთ და ვარჩევთ სიტყვას სრულად დაწერას („გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ და არა ბმომ და სხვ.), რასაც ყურადღებას აქცევდა პროფ. პ. გუგუშვილი; მათ ვერ ვიყენებთ საკუთარ (პირთა და გეოგრაფიულ) სახელებში, წინადადების დაწყებისას და სხვა შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სასვენი ნიშნების საკითხში იმავე წესს მივსდევთ, რასაც რუსულში. მაშ, რაღა მთავრულია ასეთი მთავრული?

გამიგონია: ვილაცას ღვიძლი დედა დაპვიწყებოდა და დინაცვალს ფიცულობდაო. ასეა ჩვენი საქმეც: ნამდვილი და ლამაზი მთავრული ასოები გვაქვს, შემუშავებული და ხმარებული საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ისინი დავივიწყეთ და მათ ნაცვლად უწონ და ტლანქ ასოებს ვიყენებთ, ისიც მხოლოდ გარკვეული შემთხვევებისათვის. ნამდვილ მთავრულ ასოებს კი ვერ ვიყენებთ, რადგანაც გამოყენებას ცოდნა უნდა, ცოდნა კი არა გვაქვს.

უცნაური და სავალალო მდგომარეობა შეგვექნა. ქართულ საშუალო სკოლაში, რუსულის გარდა, ერთ-ერთ უცხო ენას სწავლობენ: ფრანგულს, გერმანულს ან ინგლისურს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოწაფეები სწავლობენ 26 ლათინურ ასოს, რომელთაც რამდენიმე განსხვავებული მთავრული მოეპოვება, არანაკლებ ცამეტისა (მაშასადამე, ნახევარი): Aa, Bb, Dd, Ee, Ff, Gg, Hh, Ll, Mm, Nn, Qq, Rr, Tt. ეს არის ბექედურ ანბანში. ხელნაწერში კი განსხვავებული ასოები გაცილებით მეტია. მაგრამ დავანებოთ თავი ხელნაწერებს და მარტო ბექედური ვიანგარიშოთ. 26 და 13 არის, 39. მაშასადამე, რომელიმე ევროპული ენის ტექსტის დასაძლევად ქართველ ბავშვს პირველ რიგში 39 ნიშნის დასწავლა სჭირდება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, დაუმატეთ ამას, რომ ზოგი ბგერის გადმოსაცემად ჯგუფების მნიშვნელობა უნდა ისწავლოს (მაგ., გერმანულში ch ხ, sch შ, sp შპ, st შტ, ფრანგულში ch შ, ou უ, au ო და სხვ. ინგლისურში sh შ, ch ჩ, oi უ და სხვ., ან იძულებულია, ასოს სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა გამოარკვიოს მდებარეობის მიხედვით. მაგალითისთვის მივამართოთ ფრანგულს, სადაც g ასო ზოგჯერ გ არის, ზოგჯერ ჟ, იმის მიხედვით, თუ რა მოსდევს: ga გა, მაგრამ gi ჟი; ასევეა c ასოც, ხან კ-დ გამოითქმის, ხან ს-დ: ca კა, მაგრამ ci სი და სხვ.). ახლა ეს ასო ვნახოთ: u. მისი გამოთქმა ჩვეულებრივ დავიწროებული უ არის, ი-საკენ გადახრილი: une. მაგრამ სხვაა მისი გამოთქმა un-ში, ხოლო eu-სა და au-ში მას, საკუთარი ბგერა არცა აქვს და წინამავალ ასოსთან ერთად სულ სხვა ბგერებს გადმოგვცემს. ეხლა ესეც გავსინჯოთ: i. ჩვეულებრივ იგი ი არის, მაგრამ სულ სხვა ბგერას გადმოგვცემს იგი in-ში და არაფერი საერთო აქვს ი-სთან oi ჯგუფში.

დაუმატეთ ამას სხვა სახის სიძნელებიც, რომლებიც ფრანგულ ორთოგრაფიას ახლავს. მაგ., ზოგი ნიშანი იწერება, მაგრამ არ გამოითქმის, ვთქვათ, il parl(e) „ლაპარაკობს“; il(s) parl(ent) „ლაპარაკობენ“, და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა მიძიმე ტვირთი აწევს ბავშვს თავზე.

ინგლისურში კიდევ მეტია წერა-კითხვის სიძნელები, რადგანაც წერა და გამოთქმა ძალიან დაშორებულია ერთმანეთისაგან. მაგრამ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ინგლისურზე აღარას ვიტყვი.

თითქო ადვილია გერმანული წერა-კითხვაო, მაგრამ ნამდვილად იქაც დიდი სიძნელების დაძლევა სჭირდება ქართველ ბავშვს, რადგანაც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის გადმოცემა ერთობ რთულ პრინციპზეა დამყარებული.

რუსული ორთოგრაფიის სიძნელები ხომ კარგად ცნობილია ყველასათვის. მაგ., სულ სხვაა e io я ასოების გამოთქმა სიტყვის თავში და სიტყვის შუაში ან ბოლოში. ამას გარდა, ძალიან რთულია რბილი თანხმოვნების გადმოცემის სისტემა და უმხავილო ხმოვნების გამოხატვის საშუალება; მაგ., იწერება „მოლოკო“ და გამოითქმის „მალაკო“ და სხვ.

კიდევ მეტი სიძნელებაა აფხაზურში. ჯერ ქართული ანბანით სწავლება ჭირდა აფხაზურისა და, რუსულ ანბანზე რომ გადავიდნენ, სიძნელებმა ერთი-ორად იმატა. აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უძევს სამხრული კილო, აბუუური, სადაც ბგერათა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე ჩრდილოურ კილოში, ბზიფურში. თუმცა აბუუურშიც სამოცზე მეტია ბგერა, მაგრამ სალიტერატურო მიზნებისათვის 56-ზე შეჩერებულან; ამ 56 ბგერათაგან ზოგი თითო ასოთია გადმოცემული, ზოგი — წყვილ-წყვილით. აი, მაგ., როგორ გამოიყურება აფხაზური ანბანი ა. ჭოჭუას სახელმძღვანელოს მიხედვით (სურ. 18 და 19).

აქ თვითეულ უჯრედში ჩასმულია თითო ბგერის გადმოცემა ერთი ან ორი ნიშანი. რუსული ანბანიდან ყველაა გამოყენებული გარდა ექვსისა (ѣ ѥ ѧ Ѩ ѩ Ѫ). მთავრულ ასოებთან ერთად ცხრილში მათი მცირე ასოებია მოთავსებული, პირველი (а) სამჯერ, სხვები კი ორჯერ ან ერთჯერ. გამოთქმის მიხედვით ახლოს მდგომი ბგერები დიაკრიტიკული (განმასხვავებ-

| | | | | | | | | | |
|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|
| А | а | а | а | Н. | н | н | М | м | м |
| И | и | и | Х | х | х | Ы | ы | С | с |
| с | З | з | З | Р | р | Р | Г | г | г |
| Б | б | б | У | у | у | Л | л | л | К |
| к | к | Т | т | т | Т | т | т | Д | д |
| д | Б | б | Б | П | п | п | О | о | о |
| Е | е | е | Ц | ц | ц | З | з | з | К |
| қ | к | К | к | к | Ч | ч | ч | Ч | ч |
| ч | П | п | п | Ц | ц | ц | В | в | в |
| Х | х | х | О | о | Ф | ф | Ш | ш | ш |
| Ж | ж | ж | Е | е | Е | е | Ц | ц | ц |
| Шь | шь | шь | Ць | ць | ць | Хь | хь | хь | Гь |
| гь | гь | Кь | кь | кь | Жь | жь | жь | Кь | кь |
| кь | Кь | кь | кь | Бь | бь | бь | Шә | шә | шә |
| Цә | цә | цә | Жә | жә | жә | Тә | тә | тә | Тә |
| тә | тә | Дә | дә | Цә | цә | Хә | хә | Зә | зә |

სურ. 18. აფხაზური ანბანი
(ა. კოჭუას წიგნიდან, 1961).

ლი) ნიშნებით არის გარჩეული: კუდებით, წინწკლებით, ხაზებით. განმასხვავებელ ნიშნებად გამოყენებულია აგრეთვე სიღბოს ნიშანი (ხ, მაგ., გь, კь, ჯь, шь) ან გადმობრუნებული e (Т-სთან, Д-სთან და სხვ.). მარტივი და დიაკრიტიკულ ნიშნებიანი ასოები 40-ია, წყვილ-წყვილი ნიშნით გადმოცემულ ბგერათა რიცხვი კი — 16, სულ 56. თუ ამას დავემატებთ სამ განსხვავებულ მთავრულ ასოს (Аа, Бб, Ее),

ივილებთ სულ 59 ნიშანს, ცალკეულს, თუ წყვილეულს. ეხლა იდევ თუ დავსძენთ, რომ რამდენიმე ასო განსხვავებულია ელნაწერში (r, n, m და სხვ.), ადვილია წარმოვიდგინოთ ფხაზი ბავშვის გაჭირვება წერა-კითხვის შესწავლის დროს. (სურ. 19).

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| А | а | Б | б | В | Г | Д | Е | е | Ж |
| З | И | К | Л | М | Н | О | П | Р | С |
| Т | У | Ф | Х | Ц | Ч | Ш | Ы | Э | Ю |
| Щ | К | Ь | Ъ | Ѡ | ѡ | Ѣ | ѣ | Ѥ | ѥ |
| Ѧ | ѧ | Ѩ | ѩ | Ѫ | ѫ | Ѭ | ѭ | Ѯ | ѯ |
| Ѱ | ѱ | Ѳ | ѳ | Ѵ | ѵ | Ѷ | ѷ | Ѹ | ѹ |

სურ. 19. აფხაზური ანბანი.

(ცალკეული ბგერების მიხედვით)

აფხაზურ ანბანს კიდევ რა უშავს! აფხაზებმა რამდენიმე ასო წარსული საუკუნის ბოლო ხანებში შემუშავებული ანბანიდან ამოიღეს. ამას გარდა, დიაკრიტიკულ (განმასხვავებელ) ნიშნებს მიჰმართეს, ამის წყალობით მათ მინიმუმამდე დაიყვანეს წყვილ-წყვილი ნიშნების ხმარება.

აბაზების ენა უახლოესია აფხაზურთან. ჯ. ლომთათიძე მას აფხაზურის დიალექტად თვლის, მაგრამ არაო, ცალკე ენაო, აიძახიან ზოგნი და თავისი მწერლობა შეუქმნეს ოცათაიან ხალხს. ბგერათა შედგენილობით აბაზური ბევრად არ განსხვავდება აფხაზურისაგან. მისი მწერლობა, აფხაზურსა-ით, რუსულ გრაფიკაზეა დამყარებული, მაგრამ განმასხვავებელ ნიშნებს იქ ადვილი არა აქვს და, რადგანაც რუსული სოები არ ჰყოფნის, იქ ზოგიერთი ბგერა სხვადასხვა ასოს

კომბინაციით არის გადმოცემული. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ერთი ბგერის გადმოსაცემად ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ასო იყოს გამოყენებული¹.

ჩერქეზულში, რომელიც იმავე ენათა ჯგუფს ეკუთვნის, რასაც აფხაზური, აგრეთვე რუსული ანბანია გამოყენებული, უწინწყლებოდ და ურამეოდ, და აქაც ერთი ბგერა ზოგჯერ სამი ან ოთხი ნიშნით არის გადმოცემული, მაგ. ХЪ, КХЪ, КХЪУ².

ვიტყოდი ორიოდე სიტყვას ქისტურისა (ჩაჩურისა) და დაღისტნის რომელიმე ენის ახალ შექმნილ ანბანზედაც, მაგრამ, რომ არ მოვაწყინო მკითხველი, მოკლედ მოვჭრი. ვიტყვი მხოლოდ ერთს: აფსუსი კია, რომ უმწერლობო კავკასიური ენების ანბანის შედგენის დროს დავიწყებულ იქნა პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა 100 წლის წინათ ამ ენების მკვლევარი პ. უსლარი. მრავალი საუკუნის წინათ მოხერხდა მშვენიერი ქართული და საუცხოო სომხური ანბანის შედგენა და ჩვენ დროს კი გაჭირდა სრულ-ყოფილი ანბანის შედგენა კავკასიის უმწერლობო ერთათვის! მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავსო და მოსწავლე ახალგაზრდობა ეძალება სწავლას და ამგვარი რთული და შეუფერებელი ანბანიტაც ახერხებენ, ავად თუ კარვად, წერასა და კითხვას.

დაილოცოს ქართული წერა და კითხვა! ყოველ ასოს მხოლოდ ერთი ბგერა შეესატყვისება და ყოველი ბგერისთვის ცალკეული ასო მოიპოვება. ამ მხრივ იგი სომხურზედაც მალლა დგას, რადგანაც სომხურს დღევანდლამდე შემოპჩრა ორი ნიშანი უ-ს გადმოსცემად. ამას გარდა, სომხურში იწერება რბ, რგ და რდ, გამოითქმის კი რფ, რქ და რთ (შესაბამისად). არის სხვა სახის სიძნელეებიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, სომხური წერა საერთოდ ძალიან კარგია, ყველა ევროპულს სჯობს და, მათ შორის, ახალ ბერძ-

¹ Русско-абхазинский словарь, М., 1956.

² Б. М. Карданов, Краткий грамматический очерк кабардино-черкесского языка (Приложение к «Русско-кабардинско-черкесскому словарю» Б. М. Карданова и А. Бичоева, М., 1955), стр. 997.

ნულსაც; სადაც წერა და გამოთქმა ძალიან დასცილდა ერთ-მანეთს.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რამდენი ნიშნის შესწავლაა საჭირო დღევანდელი სომხური წერა-კითხვისათვის? — არა ნაკლებ 48-ისა, ამათგან მცირე ასოები 38-ია, ამათ ემატება მთავრული ასოები, რომლებიც განსხვავებულია თავის მოხაზულობით. მაშასადამე, თავი რომ დავანებოთ ტელნაწერი ასოების განსხვავებას, სომეხმა ბავშვმა უნდა ისწავლოს 48 ბეჭდური ნიშანი.

ზემოხსენებული ენების წერასთან შედარებით ქართული წერა, მთავრულიანად, იმდენად ადვილია, რომ შედარებაც კი არ შეიძლება. თუ აფხაზმა ბავშვმა 60-ზე მეტი ნიშანი უნდა ისწავლოს, რომ ასე თუ ისე თავი გაართვას წერასა და კითხვას, ქართველ ბავშვს ვითომ გაუჭირდება რამდენიმე დამატებითი მთავრული ასოს შესწავლა? აბა რა ბრძანებაა! აბა სად ქართული ორთოგრაფია და სად აფხაზური ან ჩერქეზული, ან ბერძნული, ან თუნდ რუსული, ფრანგული და ინგლისური! ჩვენ არც წყვილ-წყვილი ან სამი თუ ოთხი ნიშანი გვაქვს ერთი ბგერის გადმოსაცემად, არც ასოს მდებარეობას ვაქცევთ ყურადღებას, არც რაიმე დიაკრიტიკული ნიშანი გვჭირდება (როგორც არაბულშია ან აფხაზურში), არც სხვა რამე ბერძნისა გამოყენებული სწორად დაწერისა და სწორად წაკითხვისათვის.

ეს შედარება ქართული წერა-კითხვის სისტემისა სხვა ენების სისტემასთან იმათთვის მოვიყვანე, რომელთაც შეიძლება საქმის გართულებად მოეჩვენოს მთავრულების შემოღება ქართულში. ჩვენ ვერ ჩამოვრჩებით ჩვენს მეზობელ სომეხებს, აზერბაიჯნელებს და ოსებს, რომლებიც მთავრულებს ხმარობენ. ჩვენ ფეხი კი არ უნდა ავუბათ არაბებსა და სპარსელებს, არამედ უნდა მივპყვეთ ევროპის ერების მაგალითს და მივსცეთ ქართულ ნაწერსა და ნაბეჭდს უნო და სილამაზე.

დღეს ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს, რა თქმა უნდა, ვერც საეკლესიო წიგნებში ხმარებული მთავრული ასოები, თუნდაც ვახტანგისეული, ვერც ერეკლეს დროინდელი ასოები, ვერც თეიმურაზისეული შრიფტი, რომელიც ბროსემ იხმარა

„ქართული ენის თვითმასწავლებელში“ (პარიზი, 1834), ვერც სინოდის სტამბისა (მოსკოვში), ვერც ე. ხელაძის სტამბისა (თბილისში). მთავრული ასოები უნდა გაკეთდეს ახლად, საუკეთესო ხელნაწერისა და ქვაზე ამოკვეთილი ნიმუშების მიხედვით და არა ერთი და ორი, არამედ სხვადასხვა გარნიტურისა და შეხამებული დღევანდელ ყველა სახის მხედრულთან.

ფრანგული ორთოგრაფიის მაგალითზე ზემოთ დავრწმუნდით, თუ რა მძიმე ტვირთი აწევს ქართველ ბავშვს უცხო ენების შესწავლისას. ამ ტვირთს ჩვენ ვურიგდებით, მაგრამ იმას უფრო ვურიგდებით, რომ სხვისას ვსწავლობთ და ჩვენსას კი არა. არ ვსწავლობთ იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მოვტყდით, მოვდუნდით, დავკარგეთ სწორი გზა და ავირჩიეთ მრუდი, ნამდვილი მივაგდეთ და ყალბი შემოვიღეთ. ნამდვილი მთავრული ასოების შემოღება კი გაგვიართავდა წელში, მისი გარევა ტექსტში ქართულ წიგნს, ყურნალსა და გაზეთს მისცემდა შნოს, დაამშვენებდა ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებს და ქართულ წიგნს გარეგნული გაფორმების მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში (ქალაღი, წამალი, ყდა, სურათები), აიყვანდა რუსული და ლათინური შრიფტით დაბეჭდილი წიგნის სიმაღლეზე. კაცს ოქრო-ვერცხლი ჰქონდეს და ვერ ხმარობდეს, მშვიერ-მწყურვალი იყოს და კონკეში დადიოდეს, აი რასა ჰგავს ჩვენი მდგომარეობა შრიფტის საქმეში.

არც ერთ ერს არ მოეპოვება ისეთი ფართო გასაქანი ნაირნაირი და ერთიმეორეზე ულამაზესი შრიფტების შესაქმნელად, როგორც ქართველ ერს. მაგრამ რა! ვერ მოგვიცლია ამისთვის, ვერ მივმხვდარვართ, ვერ ჩავპყვირებვიართ ჩვენს უმწურო მდგომარეობას და ნამდვილი საშუალება ვერ მოგვინახავს. საჭიროა გამოვიფშვნიტოთ თვალები და მძიმე მდგომარეობა გამოვასწოროთ.

რა არის საჭირო პრაქტიკულად? საჭიროა, დაწყებით სკოლებში შემოღებულ იქნეს ნამდვილი მთავრული ასოების სწავლება, როგორც ეს არის რუსეთისა და ევროპის სკოლებში. ფრანგულ სკოლაში ფრანგი ბავშვი სტრიქონის ასოსთან ერთად მის მთავრულსაც სწავლობს: Aa, Bb, Dd, Ee და სხვ.

აგრეა რუსულშიც, სომხურშიც და აგრე უნდა იყოს ქართულშიც. უნდა შემოღებულ იქნეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი მთავრული, რომელიც წარწერებში იხმარებოდა. ევროპულ ენათა მთავრულ ასოებს მხატვრები ძველი ლათინური წარწერების ასოების მიხედვით აკეთებენ. ამგვარადვეა ბერძნულშიც, სომხურშიც. ქართველმა ბავშვმა რა დააშავა, რომ მას სათანადო გონებრივ საზრდოს არ ვაძლევთ? გაძნელება საქმე? გართულება? ადვილი ფაფის ჭამაც არ არისო, მოგახსენებენ. ცოტა თუ არ შევწუხდით, არაფერი იქნება. თავის დინებაზე საქმის მიგდება არ ვარგა, არც მიყრუება ივარგებს. ჩარევა უნდა საქმეში, გამრუდებულს გამოსწორება უნდა. სახელმძღვანელო არ არის, ეს მართალია, მაგრამ სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს ან არსებული გადაკეთდეს და გამოიცეს. მასწავლებლები სათანადოდ უნდა მომზადდნენ. გამოცდილებით ვიცი (უნივერსიტეტის პრაქტიკიდან), რომ საშუალო ნიჭის მქონეთათვის 30-ოდე მთავრული ნიშნის დასწავლას ერთი კვირის ვარჯიში ჰყოფნის.

ხალხთა დაძაბულ კულტურულ ჭიდილში, რომლის მოწამენი და მონაწილენი დღეს ვართ, მხოლოდ ის ერი გადაჩება, რომელიც ყოველ მხრივ არის აღჭურვილი კულტურულად. კულტურის ერთი იარაღთაგანია (შეიძლება ითქვას, უმძლავრესიც) წერა და ბეჭდვა, რომელიც ყოველ მხრივ უნაკლო უნდა იყოს. ქართული წერა იდეალურია, მაგრამ მისი ნაკლი ის არის, რომ მთავრულებს არ ვხმარობთ. თუ გვსურს ნამდვილად გავაუმჯობესოთ ქართული წერა, უნდა გავიზიაროთ გ. წერეთლის „დროების“ საბუთიანობა და მთავრულს მივსცეთ ორთოგრაფიული დანიშნულება, ე. ი. იგი უნდა იხმარებოდეს არა მარტო სატიტულოდ და ცალკეული წერილების სათაურებში, არამედ ტექსტშიც.

მართალი იყო ის პროფესორი, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას შეპნიშნა, რომ ქართული შრიფტი კარგია, მაგრამ თვალს დაღლის, რადგანაც მთავრული ასოები არ გქონიათო. მართლაც, ერთფეროვანი ასოების კითხვა მთელი გვერდების მანძილზე თვალის დამღლელიც არის და დიდად მოსაწყენიც. ქართველ კაცს ამყამად საშუალება არა აქვს წიგნის ან გაზეთის კითხვის დროს ერთბაშად აღიქვას საკუ-

თარი სახელი, ქალაქისა და მდინარის სახელი, მთისა, ტბისა, სოფლისა და სხვათა საკუთარი სახელი. ამ მხრივ სწორად დააყენა საკითხი „დროების“ რედაქციამ და სცადა კიდევ, პრაქტიკულად განეხორციელებინა მთავრულების ხმარება. მართალნი იყვნენ ცნობილი პედაგოგები ი. გოგებაშვილი და ს. ხუნდაძე, რომელთაც გაიზიარეს „დროების“ დაწყებული საქმე. ოღონდ გ. წერეთელს და მის მიმდევრებს ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ტრადიცია დაარღვიეს და ისეთი სახის მთავრულები შექმნეს, რომლებიც ვერ გამოდგა პრაქტიკული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თუ რუსულ ანბანში, ლათინურში, ბერძნულსა და სომხურში ზოგიერთი მთავრული ასოა განსხვავებული სასტრიქონოსაგან (რუსულში 3, სომხურში 10, ლათინურში 13, ე. ი. ნახევარი, ბერძნულში ორი მესამედი, 24-იდან 16), ქართულში თითქმის ყველა მთავრული ასო (მრგლოვანი) იქნება განსხვავებული, გარდა ერთადერთი სანისა, რომელიც დღესაც ისე იწერება, როგორც მე-5 საუკუნეში. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში საერთოდ იხმარება 33 ასო, ამდენივე გვინდა მთავრულიც. ამათგან ერთი (ბ) უკვე ვიცით, რადგანაც მისი მთავრულის მოხაზულობა იგივე დარჩება, რაც დღეს არის. დამატებით შესასწავლი გვაქვს, მაშასადამე, 32 მთავრული ასო, რომელთაგანაც ოთხი (თ, მ, ნ, კ) ახლოს დგას თავისი მოხაზულობით დღევანდელ ასოებთან და ადვილი დასახსომებელია. გვრჩება; მაშასადამე, 28 ასო, რომლებიც სრულიად განსხვავებულია დღევანდელისაგან; მაგრამ ეს განსხვავება კიდევ მეტ ღირსებას ჰმატებს ჩვენს მთავრულებს, რადგანაც ისინი მკვეთრად გამოირჩევიან მცირე (სასტრიქონო) ასოებისაგან.

მთავრულებს შემოღებას მოითხოვენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, პ. გუგუშვილი, რომელთაც თავისი აზრი ამის შესახებ წერილობით გამოთქვეს გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ უეჭველია, ბევრია ისეთი პირები, რომელთაც იგივე უნდათ, მაგრამ საშუალება არა ჰქონდათ, წერილობით გამოეთქვათ თავისი აზრი. უკვე დადგა დრო, რომ შემოღებულ იქნეს საყოველთაო ხმარებისათვის მთავრულები და გატარებულ იქნეს ჟურნალ-გაზეთებ-


სა და წიგნებში. რაც საყოველთაოდ არ იხმარება, ის დავიწყებას მიეცემა ხოლმე.

ჩვენს საქმეს სხვა ვერ გააკეთებს და არც გააკეთებს. ჩვენს ტკივილებს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ. თუ მოვინდომებთ და მტკიცედ გადავწყვეტთ, ეს საქმე სულ მალე ბრწყინვალედ დაგვირგვინდება. საჭიროა მოდუნებიდან გამოვიდეთ, მოვიკრიფოთ ნებისყოფა, ჩვენი თავი და ჩვენი ღირსება დავიცვათ და გავაკეთოთ ის, რაც საჭიროა. თუ ასე მოვიქცევით, ერთი წლის შემდეგ ქართული წიგნი, გაზეთი თუ ყურნალი სულ სხვა იქნება, ვიდრე აქამდე იყო. ეს მცირეოდენი ცვლილება რომ გატარდება ცხოვრებაში, ბევრი სიხარულის გრძნობით, მაგრამ ოდნავ ნაღველ-გარეული ტონით წამოიძახებს: „ნეტავი, სად ვიყავით აქამდისო!“ — სადა და აქვე, საქართველოში, მაგრამ სხვები ფხიზლობდნენ, ჩვენ კი ტკბილად გვეძინა.

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო დღეს მეც ვიყავი სულხანის სოფელ ტანძიაში (ბოლნისის რაიონში). დიდძალი ხალხი შეიკრიბა მიტინგზე ორბელიანთ ეზოში, სადაც მათი სასახლე აღარ არის, მაგრამ კოხტა ტაძარი ისევ დგას. იყო დიდძალი ინტელიგენცია, ბევრი მათგანი თბილისიდან მისულები. ძალიან აღფრთოვანებული ვიყავ, რომ ღირსეულად დაფასდა დიდი აღამიანის ღვაწლი სამშობლოს წინაშე. მაგრამ ჩემს დიდ სიხარულს დიდი ტკივილიც დაჰყვა: ფრიალ განათლებული პირები მე მეკითხებოდნენ, რა აწერია ამ ტაძარსაო? წარწერა, საზოგადო წესისამებრ, მრგლოვანი ასოებით არის შესრულებული მე-17 საუკუნეში, სულხან-საბას სიცოცხლეში¹. ქართველი ინტელიგენტები იდგნენ სულხან-საბას ეზოში, შესცქეროდნენ ქართულ ძეგლს, უყუბრებდნენ მის ქართულ წარწერას და ვერ კითხულობდნენ. ზოგმა მათგანმა ინგლისურიც იცოდა. ერთს ვუხუბრე: ასე აწერია-მეთქი: „თვალი დაუდგეს იმ ქართველს, ვინც ვერ წამიკითხოსო“ (სურ. 20).

დროა გამოვფხიზლდეთ და ვიზრუნოთ, ნამდვილად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენი სიმდიდრე გამოვიყენოთ. მერმე

¹ ტაძარი ააშენა 1683 წ. ვახტანგ (ორბელ) მღვიანებეგმა, სულხანის მამამ.



სურ. 20. ორბელიანთ ტაძრის წარწერა ს. ტანძიაში (XVII ს.)

იკითხება:

+ წო ნკზ (წმიდაო ნიკოლაოზ)
 მეოზ ექვენ პტრნს (პატრონს) ორბელს

იციო, მკითხველო, რამდენ რამეში გამოგვადგებოდა ჩვენი ლამაზი მრგლოვანი და რამდენად ვიქნებოდით წელ-გამართული? როგორ უნდა მოდუნდეს და დაძაბუნდეს ერი, რომ მისი შვილები ლათინურ ასოებს გულმოდგინედ სწავლობდნენ და თავის ასოებს კი ვერა სცნობდნენ! და მერმე როგორ საჭიროა ჩვენთვის მრგლოვანი ასოები, ეს ჩვენი ნამდვილი მთავარული ასოები! ავიღოთ ერთი მაგალითი: ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიურმა განყოფილებამ შეადგინა და გამოსცა ვეფხის ტყაოსნის 48 ხელნაწერის ვარიანტების ნუსხა. ეს ხელნაწერები ლათინური ასოებით აღინიშნა: A, B, C, D, E, F და სხვ., მაგრამ რადგანაც ლათინური ასოები არ ეყო, იძულებული გახდნენ, დანარჩენი ხელნაწერები პრიმებით აღენიშნათ: A¹, B¹, C¹, D¹, E¹, F¹ და სხვ. ქართული მთავრული რომ გვქონოდა, ჯერ ამას ვიხმარდით და, როცა შემოგვაკლდებოდა, ლათინურს მოვიშველიებდით. აღარ იქნებოდა საჭირო პრიმები, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. მაგრამ ეგ სხვათა შორის. მთავარი მაინც ის იქნებოდა, რომ ასო-

ები, მათ შორის მთავრულები, სამკაულია წიგნისა. კარგი სამკაული სულ სხვა შნოს მისცემს ქართულ ხელნაწერსა და ბეჭდურ ნაწარმოებს. ლამაზი და მოხდენილი მთავრულები სიხალისეს შეიტანს კითხვაში, გაგვიადვილებს წანაკითხის გაგებას, საშუალებას მოგვცემს ადვილად ვიხმაროთ სხვადასხვა სახის შემოკლებანი და სხვა. მოდი, პრინციპულ დებულებაში მივწყვეთ მე-19 ს.-ის 60-იანი წლების „ახალგაზრდებს“, გაფორმების მხრით კი იმავე ხანის „მოხუცებს“, რომლებიც, როგორც ჩანს, მტკიცედ იცავდნენ ტრადიციას, ვისარგებლოთ მე-18 საუკუნის და მე-19 ს.-ის პირველი ნახევრის გამოცდილებით, შევქმნათ საუკეთესო წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული მხედრული და მისი მთავრულები და დავაყენოთ ქართული ორთოგრაფიის საქმე სწორ გზაზე.

ვინმე შეიძლება იფიქროს, რომ მე ძველი ქართული ენის აღდგენას მოვითხოვ. არა! მხოლოდ ყუყუჩი უნდა იყოს კაცი, რომ ნათქვამი სწორად ვერ გაიგოს, ან იყოს შურიანი, ღვარდიანი, ბორბტი და ქართული კულტურის მტერი, რომ გაგებით კი გაიგოს, მაგრამ სხვისი ნათქვამი გადაამრთლოს და ისეთი რამ მომაწეროს, რასაც არ ვფიქრობ და არც ვამბობ და რაც არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ჩემი წინადადებიდან. ენა, რა თქმა უნდა, იგივე დარჩება, რაც ამჟამად გვაქვს, ძირითად დღევანდელ შრიფტადაც მხედრული დარჩება, რაც ამჟამად გვაქვს, ოღონდ მთავრულების გარეგით ქართული ნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი დიდად შეიცვლება და შნოიანი გახდება. მთავრული ასოები ნაწერ-ნაბეჭდის საუკეთესო სამკაულია. ამას გარდა, იგი გარკვეულ ორთოგრაფიულ სამსახურსაც ეწევა.

1550 წელზე მეტია, რაც ქართული წერა გვაქვს. დროა, ჩვენი მშვენიერი წერა შევუფარდოთ დღევანდელი დღის მოთხოვნილებას და ყოველმხრივ უზადო და უნაკლო გავხადოთ იგი.

ამა წლის მაისის ბოლო რიცხვებში სომხებმა 1600 წლის იუბილე გადაუხადეს მესრობ-მამტოცს, რომელიც სომხური ანბანის გამომგონებლად ითვლება. ჩვენ არა ნაკლები ხნის მწერლობა გვაქვს, ვიდრე სომხებს, ამ მწერლობამ შემოგვი-

ნახა უძვირფასესი ძეგლები. იგი გვშველოდა მტრებთან ბრძოლაში. ჩვენც ვსცეთ იმდენი პატივი ჩვენს ძეგლებს, რომ მათი შექმნილი ქართული ასოები გონივრულად გამოვიყენოთ და გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ.

რა არის საჭირო პრაქტიკულად? — პირველ ყოვლისა, მტკიცე გადაწყვეტილება, შემოღებულ იქნეს ბუნებრივი მთავრული ასოები ქართულში. შრიფტის კომიტეტმა უნდა განაოცხადოს კონკურსი სასტამბო ასოების მთელი კომპლექტის დასახატავად, მხატვრებმა ასოები (მხედრული და მისი მთავრული) დახატონ საუკეთესო ხელნაწერებისა და წარწერების მიხედვით და ისე, რომ მთავრული ასოები კარგად შეწყობილი იყოს სასტრიქონო ასოებთან. შემდეგ ამ ნახატების მიხედვით უნდა გაკეთდეს პუნსონები და მატრიცები, ჩამონსხას ასოები და მომარაგდეს სტამბები. აუცილებელია, გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენი ზღაპრული სიმდიდრე ლამაზი შრიფტების შესაქმნელად. ეს ერთბაშად წაგვწევს წინ: აღდგება გაწყვეტილი ხაზი ჩვენი კულტურული განვითარების გზაზე და, რაც მთავარია, გაუუსწორდებით სომხებსა და სხვებს, რომლებიც მთავრულს ხმარობენ. ამის შედეგად გაიზრდება ჩვენი თვითცნობიერება, ქართული წიგნი, ყურნალი და გაზეთი გაუმჯობესდება და დამშვენდება.

აუცილებელია, რომ თვითმპყრობელობის დროს გაფუჭებული საქმე ლენინის იდეების გამარჯვების ხანაში გამოსწორდეს. მშვენივრად თქვა გენიოსმა შოთამ:

არას გარგებს სწავლულება,
თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი
საუნჯესა დაფარულსა?

მართლაც, რას გვარგებს დაფარული საუნჯე? — არაფერს. ჩვენ იგი უნდა გამოვაჩინოთ, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ, მოვიხმაროთ და სათანადოდ გამოვიყენოთ.

აი ეს არის დღევანდელი დღის მკაცრი მოთხოვნილება, რომელსაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს და, რაც შეიძლება, მალე.

24. შთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში¹

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართულ ენაზე დიდი ხანია შექმნილია მწერლობა. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, რომელთაც კი ჩვენამდე მოუღწევია, მე-5 საუკუნეს განეკუთვნება (ბეთლემის წარწერები პალესტინაში იერუსალიმის ახლოს და ბოლნისის წარწერები). იერუსალიმი შორსაა და იქ მისვლა ძნელია ჩვენ დროსაც კი, მაგრამ განთქმული ბოლნისის ტაძარი მე-5 საუკუნისა თბილისიდან რაღაც 80-ოდე კილომეტრის მანძილზეა და ადვილად შეუძლია ყველას მივიდეს და თავისი თვალთ ნახოს ქართული ენისა და ქართული წერის უძველესი ნიმუშები. ოღონდ ამ ნიმუშებს ცნობა უნდა, რომ ქართულია, და ასოებს ცოცხანა, რომ წაკითხოს კაცმა. ერთი გვიბრძანეთ, ბევრია განაღებული ვინმე ქართველ ინტელიგენტებს შორის, რომ ძველი წარწერების წაკითხვა შეეძლოს? არა, ცოტაა, ძალიან ცოტა! ამ ასოების წაკითხვა და გარჩევა მხოლოდ თითო-ორთა კაცს შეუძლია, იმათ, ვისაც საქართველოს წარსული აინტერესებს და საგანგებოდ შეუსწავლია ქართული წერა, რომელიც ჩვეულებრივი იყო ძველად ჩვენში. სხვანაირი წერა მაშინ არ იყო, მხოლოდ ის ქართული ასოები იყო, რომლებიც დღესაც ამშვენებს ბოლნისის ტაძრის კედლებს და ბევრ ძველ ხელნაწერს.

ბოლნისის წარწერების ამოკვეთის შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ბევრი რამ იცვალა ქვეყანაზე. იცვალა ქართული

¹ „ლიტ. საქართველო“ 30.6.1967, № 26.

ენაც და ქართული წერაც. ქართული ენა საგრძნობლად, ქართული წერა კი — მეტისმეტად. იქ რომ „შეხეწიე“ იკითხება, კაცი მიხვდება, რომ ეს დღევანდელი „შეეწიე“ არის, იქ რომ „შეხუბთ კარი ესე“ იკითხება, ეს არის დღევანდელი „შევაბთ ეს კარი“. მაგრამ იმდროინდელ ასოებს ბევრი ქართველი ვერ წაიკითხავს, რადგანაც ის ასოები შემდეგ სხვაგვარი მოხაზულობისა გახდა, თითქმის ყველა გადაკეთდა თანდათანობით და თანაც ისე, რომ დღევანდელი წერა სრულებით არ ჰგავს იმას, რაც მაშინ იყო. ერთად-ერთი ასოა **ხ**, რომელსაც ძველი მოხაზულობა შერჩა და ნაბეჭდ წიგნებში დღესაც ისეთივე სახე აქვს, როგორიც ჰქონდა მე-5 საუკუნეში. ამ **ხ** ასოზე თუ შეატყობს ჩვეულებრივი მკითხველი, რომ წარწერა ქართულია, თორემ სხვა ასოები სულ შეიცვალა, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად.

ქართული ასოების შეცვლა განგებ არავის მოუხდენია. ეს ხდებოდა თანდათანობით, შეუმჩნეველად საუკუნეთა მანძილზე. აქ არ გამოვუდგები ქართული წერის ისტორიას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ძველმა ასოებმა, რომლებიც გაბატონებული იყო წარწერებსა და წიგნებში მეხუთე საუკუნეიდან მეცხრემდე, ადგილი დაუთმო უფრო ეკონომიურ წერას, რომელიც ნუსხურის სახელით არის ცნობილი. ეს ნუსხურიც იცვალა და მე-11 საუკუნეში მისგან წარმოიშვა ახალი ქართული წერა, ეგრეთ წოდებული მხედრული, რომელზეც შემდეგ თანდათანობით გადავიდა ყოველგვარი საქმის წარმოება, გარდა საეკლესიოსი. ძველი ასოები სავსებით არ გადავარდნილა, მათ, საეკლესიო წიგნებს გარდა, იყენებდნენ აგრეთვე წარწერებისთვის მე-18 საუკუნემდისაც კი. ასეთებია, მაგალითად, შოთა რუსთველის დროინდელი წარწერა თბილისის ლურჯ მონასტერში, ტაძრის შესავალი კარის თავზე. ასეთია აგრეთვე მჭადიჯვრის ტაძრის წარწერა მე-17 საუკუნისა და ბევრი სხვა. ამ წარწერებს დღეს ქართველთაგანი ბევრი ვეღარ კითხულობს. კითხვას ვინ ჩივის! ვეღარც ცნობს, რომ ქართულია.

ბერძნულ-ლათინურ-სლავური წერისა და ბეჭდვის ისტორიიდან ვიცით, რომ მთავრული ასოები (მაიუსკული), ე. ი.

ძველი მოხაზულობის ასოები, წარწერებს შერჩათ, საერთო სახმარებლად კი მთავრულისაგან წარმოქმნილი მცირე ასოები (მინუსკული) შემოვიდა და საყოველთაოდ გაბატონდა. მინუსკულში ზოგი ასო ისეთივე მოხაზულობისაა, როგორც მთავრული, და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სიდიდით, მაგალითად, ლათინური Cc, Kk, Oo, და სხვა, მაგრამ ზოგი ასო მეტად განსხვავებულია, მაგალითად Aa, Bb, Dd, Ee, Gg და სხვა. ამიტომ, მაგალითად, თუმცა ფრანგულ ანბანში 26 ასოა, მაგრამ ფრანგული ნაბეჭდი წიგნის წასაკითხავად უნდა ვიცოდეთ არა 26 ასოს მოხაზულობა, არამედ 26 მცირე ასოსი და 13 განსხვავებული მთავრულისა, სულ 39. ფრანგული წიგნის საკითხავად სხვა სიძნელეებია კიდევ დასაძლევნი, რომლებზეც აქ აღარას ვაშბობ.

სხვადასხვა სახის სიძნელეებია აგრეთვე რუსულში, გერმანულში, ინგლისურში, ბერძნულსა და სომხურში. სხვათა შორის, სომეხ ბავშვს თავისი სომხური წიგნის წასაკითხავად სჭირდება 48 სხვადასხვა მოხაზულობის ასოს ცოდნა, რომელთაგანაც ათიოდეა მთავრული, რომლებიც თავის მოხაზულობით სათანადო მცირე ასოებისგან არსებითად განსხვავდებიან. მაგრამ სომეხ ბავშვს ის უპირატესობა აქვს ქართველ ბავშვთან, რომ იგი წამსვე იცნობს, რომ აჩვენო ძველი სომხური წარწერა ან ძველი სომხური წიგნი. იმიტომ რომ ის დღესაც კითხულობს იმდროინდელ ასოებს დღევანდელ სომხურ წიგნში. ქართველი ბავშვი კი ვერ იცნობს ვერც ძველ ქართულ წარწერას და ვერც ძველ ქართულ წიგნს, რადგანაც ძველი ქართული ასოები აღარც ისწავლება სადმე და აღარც იხმარება.

მე-18 საუკუნეში ევროპული ენების გავლენით, ჩვენშიაც შემოიღეს მთავრულის ხმარება. საამისოდ გამოიყენეს ძველი წარწერების ასოები, როგორც არის თვით ბერძნულისა, ლათინურისა, სლავურისა და სომხური დაწერილობის მიმდევარ ენებში. ეს წამოწყება ძალიან პროგრესული იყო და მას რამდენადმე მე-19 საუკუნის I ნახევარშიც მისდევდნენ. მაგრამ ამ დროს ძალიან შეფერხებული იყო ქართული კულტურის განვითარების საქმე ჩვენში; მაგალითად,

თოთხმეტითდღე წლის განმავლობაში (1801—1814 წ.წ.) თბილისში არაფერი დაბეჭდილა. ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე კერძო ინიციატივაზე იყო მიგდებული, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ ევალებოდა ზრუნვა მისთვის. სიღარიბემ, გაჭირვებამ და კულტურულმა ჩამორჩენილობამ თავისი ქნეს და გასაკვირველი არ არის, რომ კარგი წამოწყება თანდათანობით ჩაკვდა.

მთავრული ასოების ხმარების საკითხი მაინც არ მოხსნილა. როცა „დროება“ გამოვიდა 1866 წ., მისმა მესვეურებმა (გიორგი წერეთელმა, სტეფანე მელიქიშვილმა და სხვებმა) სცადეს შემოეღოთ ახლად შექმნილი მთავრულები, მხედრული ასოების სახისა, მაგრამ ამ წამოწყებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. მართალია, პირველ წანებში დიდი გულმოდგინებით მისდევდნენ ახალი მთავრულების ხმარებას (თვით იაკობ გოგებაშვილიც კი!), მაგრამ საერთოდ ამ წამოწყებამ ვერ იხერია და დღეს, მთელი საუკუნის მწარე გამოცდილების შემდეგ, კვლავ ისმის საკითხი, რომ მივხედოთ ევროპის ერთა მაგალითს (რუსების, ფრანგების, გერმანელების და სხვებისას) და შემოვიღოთ მთავრული ასოები, მაგრამ ისეთი მთავრულები, რომლებიც ყველგან გამოდგება, ტექსტშიც და ტექსტის გარეთაც, რომლებიც განსხვავებული იქნება მცირე ასოებისგან. ამით ბოლო მოეღება ჩვენს ჩამორჩენილობას ქართული წიგნის გაფორმების საქმეში. მართლაც, რა დამღლელია კითხვა, თუ ნაბეჭდი ერთფეროვანი ასოებისაგანაა შემდგარი მთელი გვერდების მანძილზე! საჭიროა ქართულ წიგნს მოვსცეთ შნო და ლაზათი, რომ იგი, სხვა თანაბარ პირობებში, წასაკითხავად ისევე მიმზიდველი იყოს, როგორც ევროპული წიგნი.

ძირითადი ამოცანა მთავრულების შემოღებისა, ნამდვილი ქართული მთავრულების შემოღებისა, ის არის, რომ ქართული ბეჭდვითი ნაწარმოები (წიგნი, ჟურნალ-გაზეთი) ორთოგრაფიულად გაუტოლდეს სომხურს, რუსულს, ბერძნულს და, საზოგადოდ, ევროპის ერთა ბეჭდვით ნაწარმოებს. ამის საშუალება რომ არ გვქონდეს (როგორც არა აქვს ზოგიერთ ერს, მაგალითად, არაბული წერის მიმდევრებს), კიდევ ჰო, მაგრამ საშუალება გვაქვს და მერმე როგორი! გულოს გამა-

ხარებელი მშვენიერი მთავრული ასოები, რომლებიც მივიწყებულია, გამოუყენებელია და უქმად არის, ათვალწუნებული და უკუგდებული. აფსუს, როგორ დაეცა ესთეტიკური გემოვნება ქართული წიგნის შემკობის საქმეში! აფსუს, რა მრუდი ვზით წარიმართა ქართული ბეჭდვითი სიტყვის საქმე! დიდი ხანია გაისმის ხმები, რომ გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენი სიმდიდრე, რომელიც მოგვეპოვება ქართული შრიფტის განვითარების საქმეში, საჭიროა ჩვენს უმწეო მდგომარეობას ჩავუფიქრდეთ და დროულად მივიღოთ ზომები საქმის გამოსასწორებლად, თორემ არ გვაპატიებს მომავალი თაობა ჩვენს აპათიას, დაუდევრობასა და გულგრილობას დიდ კულტურულ საქმეში.

გამოცდილებით ვიცი, რომ ოცდაათიოდე მთავრული ასოს შესწავლის საქმე ძნელი არ არის, სამი-ოთხი საღამოს ვარჯიშობაა საკმარისი, რომ საშუალო მომზადების ადამიანმა იგი ადვილად შეისწავლოს, მე ძველ რუსულ ორთოგრაფიაზე ვიყავი აღზრდილი. როცა დიდი ოქტომბრის შემდეგ რამდენიმე ასო ამოიღეს და ორთოგრაფია შეცვალეს, მე საგანგებოდ მომიხდა ვარჯიში, რომ ახალ წესებზე გადავსულიყავი.

ჩვენში ყოველმა ინტელიგენტმა იცის რუსული წერა და ლაპარაკიც. რუსულად წერის დროს მთავრულებს ვხმარობთ, ქართულად წერისას კი — არა. ქართულშიც რომ ისე მოვიქცეთ, როგორც რუსულში, ამას ცოტაოდენი შრომა დასჭირდება. ამ შრომას არ უნდა მოვერიდოთ, თუ გვინდა, რომ მომავალში უფრო აღჭურვილი ვიყოთ ქართული წიგნის გაფორმების საქმეში და უფრო მომზადებული — კულტურული მონაპოვარის დასაცავად.

ეს მცირე შენიშვნა შეიძლება არ იყოს საკმარისი, რომ კაცმა სათანადო ყურადღება მიაქციოს აქ აღძრულ საკითხს. ამიტომ მე ესთხოვ ყველას, გულდასმით გადაიკითხონ ჩემი წერილი „დაფარული საუნჯე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 9), სადაც მთავრულების შემოღების საჭიროება ვრცლად არის დასაბუთებული¹.

დღევანდლამდე იმგვარი მთავრულების ხმარება, რომლე-

¹ ეს წერილი ამ კრებულშიც არის გადმობეჭდილი (გვ. 145).

ბიც აქ არის ნაგულისხმევი, ორ წიგნშია გატარებული: ერთია ჩემი „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“, რომელიც 1966 წელს გამოვიდა შ. რუსთველის საიუბილეო დღეებში, ხოლო მეორეა კრებული „ორიონი“, რომელიც უნივერსიტეტმა ამას წინათ გამოსცა.¹ ამ წიგნების მაგალითზე მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ამგვარად წიგნების ბეჭდვა დიდად წინ წადგმული ნაბიჯი იქნება და ქართველი ერი არანაკლებ გაიხარებს, ვიდრე შარშან დიდებულად მოწყობილ ეროვნულ საზეიმო დღეებში რუსთველის იუბილეს გამო.

¹ საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. 1967.

შემდეგ კიდევ დაიბეჭდა ამგვარად სამი წიგნი: 1) ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. 1971. ბ) პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ. ა. შანიძის რედაქციით. 1974. გ) ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა. გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ. 1975.

25. ქართული ორთობრაჟიის ისტორიიდან¹


ქართული წერა ორნაირია: ძველი და ახალი. თითქო მათ შორის საერთო არაფერიაო, მაგრამ, თუ დააკვირდებით, აღვილად შეამჩნევთ, რომ ზოგი იმისი ასო ამისას ჰგავს, და ერთი კი (ბ) სულ ერთნაირია ორივეში. ეს მსგავსება იმით აიხსნება, რომ ახალი წარმოიშვა ძველისაგან თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე.

პირველად (IV—V სს.-ში) გვექონდა ერთი სიმაღლის ასოები, რომელთაც სახელად მრგვლოვანი ერქვა, უძველესი ქართული წარწერები და ხელნაწერი წიგნები მხოლოდ ამნაირი ასოებით არის შესრულებული. აი ნიმუში X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერი წიგნისა („დავითნი“ A-38), რომელიც მრგვლოვანი ხელით არის დაწერილი (სურ. 21).

მკითხველი ხედავს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი ძველები წიგნის მხატვრულ მხარეს², რომლის მთავარი სამკაული ლამაზად ჩამწკრივებული ასოები იყო; ამავე მიზანს ემსახურებოდა ინიციალებად გამოყვანილი მთავრული ასოები, რომლებიც ძველად მოხაზულობით იმავე სახისა იყო, რაც მომცრო ასოები, მაგრამ უფრო დიდი და ზოგჯერ

¹ „დროშა“ 1967, № 10, გვ. 13—16.

² თბილისში გამოვიდა რუსულ ენაზე მშვენიერი გამოკვლევა დიდად განსწავლული მეცნიერი ქალის რენე შპერლინგისა: „მხატვრული გაფორმება IX—XI საუკუნეთა ქართული ხელნაწერი წიგნებისა“ (სამწუხაროდ, ავტორი ამ წიგნის გამოსვლას ვერ მოესწრო). მკითხველი იქ იპოვის დიდძალ საყურადღებო მასალას ქართული ხელნაწერი წიგნის გამოკვლევების საკითხისათვის.



სურ. 21. მცხეთის დავითნი (X საუკ.).

წითურად დაწერილი ან სხვა ხერხით მხატვრულად შემკობილი¹.

მრგვლოვანისაგან შემდეგ ჩქარა წერაში შემუშავდა ნუსხური წერა, რომელსაც ასოები შუა წელში ოდნავ დახრილი აქვს მარჯვნიდან მარცხნივ. ნუსხურის ნიმუში პირველად IX საუკუნეში გვხვდება.

¹ წითლად ასოები აქ სურათზე მკრთალად არის გამოსული.

ნუსხური ასოებისაგან კიდევ შემდეგ განვითარდა ე. წ. მხედრული, რომლის ნიმუშები უკვე XI საუკუნიდან გვხვდება. შემდეგ და შემდეგ ეს მხედრული თანდათანობით იცვალა, დაშორდა ძველ მოხაზულობას და საბოლოოდ მივიღეთ ის ანბანი, რომელსაც დღეს საყოველთაოდ ვიცნობთ და ვხმარობთ. ეს არის ახალი ქართული ანბანი, რომლის გამოცალკევება ძველისაგან მე-11 საუკუნეში დაიწყო.

მხედრულის შემუშავების შემდეგ ძველი წერა ეკლესიამ დაისაკუთრა; საეკლესიო წიგნები იწერებოდა გაკრული ხელით (ნუსხური), სადაც ასოები სიმაღლით ოთხი ზომისა იყო. „ძველი მრგვლოვანი“ ასოების ჩმარება კი დარჩა წიგნის სათაურებში და წარწერებში, აგრეთვე ინიციალებად ნუსხური ხელით ნაწერ წიგნებში. ძველ ასოებს ხალხი ჩვეულებრივ დღეს „ხუცურს“ უწოდებს, რადგანაც უმეტესად მას ხუცები იყენებდნენ საეკლესიო საჭიროებისათვის, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, იგია ძველი ქართული. ასეთი დიდი ცვლილება სხვა ერების წერას, რომელსაც კი ვიცნობთ, არ განუცდია, მხოლოდ სლავებს ჰქონდათ ორგვარი წერა — გლაგოლიცა და კირილიცა, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით კირილიცას მიეცა უპირატესობა და გლაგოლიცა მიაფიწყდათ.

იყო ერთ დროს ჩვენში კამათი: ხუცურია უფრო ძველი, თუ მხედრული. ილია ოქრომჭედლიშვილი ამტკიცებდა, რომ უძველესია მხედრული, რომელიც ფარნავაზ მეფის დროს არის შემოღებული და მისგან წარმოიშვა ხუცურიო¹; მაგრამ დიმიტრი ბაქრაძემ ქართული წერის ისტორიულ-შედარებითი გზით უცილობლად დაამტკიცა, რომ უძველესია „ხუცური“².

მე შორს წამიყვანს, რომ შევუდგე ქართული წერის განვითარების ისტორიის მოთხრობას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართული ასოების მოხაზულობის ცვლა და განვითარება, ასე თუ ისე, შეწყდა სტამბური ასოების გაკეთების შემდეგ.

¹ ქართული ანბანის შემოღების გამო („შრომები V არქ. ყრილობისა თბილისში“), მოსკოვი, 1881, გვ. 221 (რუს. ენაზე).

² დ. ბაქრაძე, ქართ. პალეოგრაფია (რუს. ენაზე), იქვე, გვ. 207 — 211. ახლავს 11 ტაბულა.

თუმცა დღესაც არის ცდა, ასოებს სხვა მოხაზულობა მისცენ (წიგნის თავფურცელზე, მაღაზიების აბრებზე, ტროლეიბუსის სადგურებზე და სხვაგან).

ვახტანგ მეექვსემ რომ სტამბა დააარსა თბილისში, მან ძველი ასოების ყალიბებიც ჩამოუსხა მას და ახლისაც. პირველად დაბეჭდეს წიგნები ძველი ასოებით: სახარება, სამოციქულო და ფსალმუნი. ამ წიგნებში მთავრულების ხმარება სისტემებრ არის გატარებული. საზოგადოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ „ხუცური“ ასოებით ნაბეჭდ ქართულ წიგნში ყოველთვის და სისტემებრ მისდევდნენ მთავრულების ხმარებას. რაც შეეხება მხედრულად დაბეჭდილ წიგნებს, მათ პირველად მთავრული არ ჰქონიათ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაში, რომელიც 1712 წელს დაიბეჭდა, მთავრული ასოები არ არის ნახმარი. მაგრამ უკვე ცხრა წლის შემდეგ, 1721 წელს, იმავე ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა „ცნობა ქმნულებისა“ („აიათი“), რომელიც თვით ვახტანგმა თარგმნა სპარსულიდან. ამ წიგნში, რომელიც 148 გვერდისაგან შედგება, თავიდან ბოლომდეა გატარებული მთავრულიანი ორთოგრაფია, როგორც ამას აქ მოთავსებული ერთი გვერდის ფოტოსურათი გვიჩვენებს (სურ. 22).

მაშასადამე, მხედრულის მთავრულიც იგივეა, რაც ხუცურისა, ასე რომ მთავრული ასოები საერთოა ორივე სახის ასოებისათვის: ძველისა და ახლისთვის.

„ქმნულების ცნობის“ წიგნის „გამმართველი“ ყოფილა, როგორც თავფურცელზეა აღნიშნული, მროველი ნიკოლოზ ორბელის ძე, სულხან-საბა ორბელისძის (ორბელიანის) უმცროსი ძმა. უეჭველია, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმისას იგი თავის უფროს ძმას, განთქმულ ლექსიკოგრაფსა და მწერალს დაეთათბირებოდა, ორივე კი ნებართვას მიიღებდნენ ვახტანგისას, რომლის ნათარგმნი საბუნებისმეტყველო წიგნი იბეჭდებოდა. ამიტომ სავსებით ცხადია, რომ მხედრულ ტექსტში მთავრულების შემოღების ინიციატორები არიან: სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ორბელიანი (მროველი, შემდეგ ტფილელი) და ვახტანგ მეექვსე.

ნიკოლოზ მროველმა დაგვიტოვა ცნობა, რომ მრგვლოვანი

0.

ცხელი წყლის ძეგლი

ცხელი წყლის ძეგლის წყლის ძეგლია: ისეუ მოეწოდებოდა
 დად და მის მიუყვალა. ეს არა და არაუგონა.
 შეუქმნეს მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 ხედავს და მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი

მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი
 მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი

მთავრულების წერა მას სულხანმა ასწავლა, სულხანს კი — მამამ¹.

ვახტანგი მალე დიდი ამალითურთ რუსეთს გადასახლდა და მისი სტამბა განადგურდა. და, როდესაც გვიან მოხერხდა მისი აღდგენა და გადაკეთება, ორბელიანების ჩინებული იდეა წარმატებით იქნა გამოყენებული მხედრულად ნაბეჭდ წიგნებშიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან. კარგად შესრულებულ ხელნაწერებში კი მთავრულების ხმარება ჩვეულებრივი გახდა.

ასეთი ორთოგრაფიით არის შესრულებული, მაგ., ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებული ხელშეკრულება 1783 წლისა, რომელშიც მრავალი საკუთარი სახელი გვხვდება (პირისა და გეოგრაფიული). ხელშეკრულების ქართულ ტექსტში, რომელიც ლამაზი ხელით არის შესრულებული, საკუთარი სახელები ყოველთვის მთავრულით იწყება².

მთავრულითვე იწყება მრავალი ლექსის სტრიქონები დავით რექტორის 1821 წელს გადაწერილ ანთოლოგიაში და მათ შორის, ბესიკის „სევდის ბალიც“³ (სურ. 23).

ქართული წიგნის პოლიგრაფიული ბაზა თბილისში — სახელმწიფო სტამბა — განადგურდა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წ., მერმე სცადეს მისი აღდგენა, მაგრამ ამასობაში საქართველოს მიერთება მოხდა, სტამბამ დაკარგა დახმარება სახელმწიფოს მხრივ და ფაქტიურად გაუქმდა. მალე გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც (1811), მაგრამ ქრისტიანობა არ მოუხსპიათ და, რაკი საჭირო იყო ქართული ეკლესიისთვის წიგნები, მათი ბეჭდვა თბილისში კი არ განავრძეს, არამედ გადაიტანეს სინოდის სტამბაში მოსკოვს, რომელიც დაშორებული იყო თბილისიდან მრავალი

¹ ე. თაყაიშვილი, წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოებების ხელნაწერთა აღწერილობა (რუსულ ენაზე), II, 411.

² ამის ნიმუშს მკითხველი იპოვის ჩემს წერილში, რომელიც დაიბეჭდა „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1962, №9). იგი გადმობეჭდილია ამ კრებულში (სურ. 8 და 9, გვ. 159, 160).

³ პირველი სიტყვა („სევდის“) წითურად არის ნაწერი და ფოტოზე მკრთალად ჩანს.

72 ზ

სველი მადს შევად, შევადონებო.
 შთავრებოდ მსოფლია, ყანდს ყანებო.
 ქართლსა შევმბობა, თუ ვმნონებო.
 ესანი შევურსა, დასმებო.
 სიბოლდდ მიმბილი, აუ ვლი ღონებო.
 შთავრბა იგიქრუ, გულდ დაქებო.
 შამთვს იქმებო, დასაუფებო.
 ქრეს მივრუდი, მისულ ვანწონებო.
 შამთვს, შევქმენ, სრუმდოს თანებო.

სურ. 23. ბესიკის ლექსი

დღის საგალი გზით. თბილისში თუ რამე იბეჭდებოდა ქართულად (ისიც 1815 წლიდან!) მხოლოდ მხედრული შრიფტით¹. ამიტომ, თუ მე-18 საუკუნეში შემოღებულ მთავრულებს ვინმე იხმარდა ნაბეჭდ წიგნში, პეტერბურგისთვის უნდა მიემართათ, სადაც მეცნიერებათა აკადემიის სტამბას მოეპოვებოდა თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით პარიზს დაკვეთილი და ბროსეს მეშვეობით გაკეთებული ძველი ქართუ-

¹ ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა მოსაგები საქმეც იყო (წიგნები ყველა ეკლესიას სჭირდებოდა!). ამიტომ სინოდის სტამბა ხელიდან არ უშვებდა ამ საქმეს. მხოლოდ გვიან, 70-იან — 80-იან წლებში მოხერხდა მათი ბეჭდვის გადმოტანა თბილისში, ე. ხელაძის სტამბაში.

ლი შრიფტიც. ამიტომ მთავრულების გარევა მოხერხდა, მაგ., თეიმურაზის „საქართველოს ისტორიაში“, რომელიც მხედრულად დაიბეჭდა აკადემიის სტამბაში 1848 წ. ამ გამოცემაში ახალი წინადადებისა და საკუთარი სახელების წინ სისტემებზე ძველი მთავრულია ნახმარი. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ ძნელ ბეჭდვის პირობებში კარგი წამოწყება თანდათან მინელდა და შემდეგ სულ მიწყდა. და, როცა მაინც დიმიტრი ყიფიანმა, ცოტა გვიან, სცადა იგივე ორთოგრაფია გაეტარებინა თავის „ქართულ გრამატიკაში“, იძულებული გახდა, ხელნაწერი პეტერბურგს გაეგზავნა და იქ დაბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში (1882).

როცა 60-იან წლებში ოდნავ გაიზარდა მოთხოვნილება ქართულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებზე, „დროების“ მესვეურებმა (გ. წერეთელმა, სტეფანე მელიქიშვილმა) გადადგეს ნაბიჯი, რომელმაც სულ სხვა მიმართულება მისცა ქართულ ორთოგრაფიას. მათ შექმნეს ახალი მთავრულები ბეჭდური მხედრული ასოების მოხაზულობის მიხედვით და შეეცადნენ მის გატარებას „დროების“ ფურცლებზე და ცალკეულ გამოცემებში. მაგრამ წამოწყებამ ვერ იხიერა, როგორც ეს შემდეგდროინდელმა ამბებმა გვიჩვენა.

დღეს მარტო სათაურებში თუ იხმარება „დროების“ მხედრული ვენური შრიფტისა და მისებრ სხვა გარნიტურებისათვის დამზადებული მთავრული, თორემ ტექსტში იგი არსად არ არის. ამიტომ ქართულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს აკლია ის, რაც რუსულსა და სხვა ევროპული ენების წიგნს მოეპოვება. ჩვენი წიგნი ამ მხრივ მოგვაგონებს ებრაელების, ასურელების, არაბებისა და სპარსელების წიგნს, სადაც მთავრულებს არ ხმარობენ. ჩვენი მეზობელი სომხები კი კაი ხანია მისდევენ მთავრულების ხმარებას.

დღეს, როდესაც უკვე მთელი საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მხედრულის მთავრული შემოიღეს „დროებაში“, ისევ ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა, რომ ვიხმაროთ მთავრული ასოები, რომელთაც ორთოგრაფიული დანიშნულება უნდა ჰქონდეს ტექსტში? და თუ საჭიროა, რომელი და რა სახისა?

პირველი კითხვის პასუხი ადვილია: მთავრულების ხმა-

რება ტექსტში რომ საჭიროა, ეს უეჭველია. მართლაც, საჭირო რომ არ იყოს, ამაზე ჩვენში არც ვახტანგის დროს იფიქრებდნენ, არც ერეკლე მეფის დროს, არც მე-19 საუკუნის 20-იან წლებში და არც ასი წლის წინათ, როდესაც „დროების“ გამოცემას შეუდგნენ და საგანგებოდ ვენაში ჩამოასხმევენეს 1864 წელს მთავრულებიანი მხედრული შრიფტი.

მართო ერთი სახის მცირე ასოები (მინუსკული) რომ საკმარისი იყოს, მთავრულებს არ იხმარებდნენ არც ბერძნები, არც ლათინური შრიფტის მომხმარებელი ერები ევროპა-ამერიკაში (ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, ჩეხები, პოლონელები და სხვები), არც სლავურ-რუსული შრიფტის მიმდევრები (მათ შორის რუსები, ბულგარლები), არც სომხები. ესენი ხომ ყველანი ჩვენებრ მარცხნიდან მარჯვნივ წერენ!

კეთილი. შეიძლება შევთანხმდეთ, რომ მთავრულები ქართულში საჭიროა და სასურველი, რომ მათი ხმარების წესი ისეთი კი არ იყოს როგორც გერმანულშია (სადაც საზოგადო სახელებიც მთავრულით იწყება), არამედ ისეთი, როგორც ეს, მაგ., რუსულშია. საკითხავია მხოლოდ: რომელი მთავრული ვიხმაროთ? შეიძლებოდა მხედრულისტვის მიგვეცა უპირატესობა, რადგანაც იგი სათაურებში ახლაც იხმარება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მას ორთოგრაფიული დანიშნულება არა აქვს. მეორე მხრით, ცნობილი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის მოწაფეებს ახლაც ახსოვთ, როგორ დაჟინებით ასწავლიდა მათ იგი, რომ მთავრული ეხმარათ ორთოგრაფიული მიზნებით. ისიც ფაქტია, რომ დიდი ხნის გამოცდილებამ ვერ გაამართლა ამ მთავრულზე დამყარებული იმედები. ვერ გაამართლა იმიტომ, რომ მთავრული ასოები განსხვავებული უნდა იყოს მცირე ასოებისაგან თავის მოხაზულობით, ყველა თუ არა, გარკვეული ნაწილი მაინც. კიდევაც რომ დაბეჭდილ წიგნში გავატაროთ ასეთი მთავრულების ხმარება, ეს მაინც არ მოგვეცემს სასურველ შედეგს, რაც საჭიროა, და, სხვათა შორის, გავლენას ვერ მოახდენს ხელით ნაწერ ტექსტზე (ხელნაწერებშიც ხომ საჭიროა მთავრული!). ამიტომ სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

კაცმა რომ თქვას, საძიებელი არაფერია. ეს გზა დიდი ხანია მიგნებულა, მთავრულები გვაქვს და მათ წარმატებით იყენებდნენ, რამდენადაც შეეძლოთ ან ტექნიკურად მოსახერხებელი იყო, მე-18-სა და მე-19 საუკუნეში.

დღეს აღარა ვართ ისე ღარიბნი, რომ სტამბები ვერ მოვამარაგოთ ქართული შრიფტების ნაირ-ნაირი ასორტიმენტით. მეფის მთავრობის დროს ჩაკვდა კარგი წამოწყება და დიდი ოქტომბრის ეპოქაში უნდა გამოსწორდეს გამრუდებული საქმე.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო. ქართული მთავრულების საკითხში ცხადია, თუ რომელია ეს გზა. უნივერსიტეტმა შარშან გამოსცა ჩემი „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“, წელს კი კრებული „ორიონი“, რომლებშიც სწორედ ის ორთოგრაფიაა გატარებული, რომელზედაც აქ მოგახსენებთ¹. ამ წიგნების მაგალითზე მკითხველი დარწმუნდება, რომ ძველი ქართული მთავრული დღესაც მშვენივრად გამოდგება ქართულ წიგნსა და ქურნალ-გაზეთში.

კი, მაგრამ ეგ მთავრულიც ხომ არ გაამართლა ისტორიამო! — შეიძლება იკითხოს ღიწმემ. ამაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი ანბავი, რომელიც მგონია, ფართო საზოგადოებისთვისაც იქნება საინტერესო.

ისტორია ხშირად მრუდი გზით წარმართულა, კარგ წამოწყებას ზოგჯერ დიდი დაბრკოლება შეხვედრია და სწრაფად და ადვილად ვერ გაუკაფავს გზა, ვერ დამკვიდრებულა ცხოვრებაში. ამისი უეჭველი და ცხადად დამამტკიცებელი საბუთია ეგრეთ წოდებული „არაბული ციფრების“ გავრცელების ისტორია ევროპასა და ჩვენში.

არაბული ციფრები, როგორც ცნობილია, ინდოეთშია პირველად შექმნილი. არაბების ღვაწლი მხოლოდ ამ ციფრების გავრცელებით განსაზღვრება, მაგრამ ესეც დიდი საქმეა და გასაკვირველი არ არის, რომ ევროპაში მას „არაბულის“ სახელით იცნობენ.

უთუოდ გენიოსი იყო ის კაცი, რომელმაც პირველმა მიავნო, რომ საკმარისია ათი ნიშანი, რომ დაიწეროს ყოველგვარი რიცხვი, უდიდესიც კი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევა-

¹ ამჟამად დაბეჭდილი სხვა წიგნების შესახებ ნახეთ შენიშვნა 192 გვერდზე.

ში, თუ ნიშნების ადგილმდებარეობას მიექცევა ყურადღება და დაეთქვამთ, რომ პირველ ადგილზე ბოლოდან ერთეულის აღმნიშვნელი ნიშანი ზის, მეორეზე ბოლოდან — ათეულისა, მესამეზე ისევ ბოლოდან — ასეულისა, მეოთხეზე — ათასეულისა და ასე შემდგომ: თანაც, სადაც გვაკლია ერთ-ერთი რიგი (ერთეული, ათეული, ათასეული და სხვა), იქ ნული ჩაისვას, რომელიც არაფერს ნიშნავს. აბა რა შეედრება ამ მშვენიერ სისტემას, რომელიც დღეს საყოველთაოდ გავრცელებულია! რიცხვების გამოსახატავად კაცობრიობას ბევრი სხვადასხვა ხერხი გამოუგონებია, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი შეუქმნია. ნულის მოგონება და რიგის გამოყენება რიცხვების დასაწერად უბრწყინვალესი მომენტია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. განა შეიძლება შეედაროს რიცხვების გამოხატვის არაბულ სისტემას სხვა რომელიმე, ვთქვათ, რომაული? ვერა, ვერ შეედრება.

მართალია, რომაული სისტემითაც არ არის საჭირო ბევრი ნიშანი, იხმარება რამდენიმე (I, V, X, L, C, D, M, რომლებიც აღნიშნავენ შესაბამისად: ერთს, ხუთს, ათს, ორმოცდაათს, ასს, ოცდაათს, ათასს), მაგრამ რა რთულია მათი გამოყენების წესები, აი თუნდაც ოცის ფარგალში: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX. წლევანდელი წელი რომ დაიწეროს რომაული სისტემით, საჭიროა 8 ნიშანი (MCMLXVII), რომელთა მნიშვნელობა ასეთია: ათასი (M), ასი რომ აკლდეს ათასს (CM), ორმოცდაათი (L), ათი (X), ხუთი (V), ერთი (I) და ერთი (I). ყველა ესენი ჯუმლად, რა თქმა უნდა, ათას ცხრაას სამოცდა შვიდს გვაძლევს, მაგრამ აბა რა შედარებაა, რომ არაბული სისტემით მარტივად დაიწეროს იგივე რიცხვი 1967.

არაბული ციფრების ხმარება რომ ბევრად სჯობს რომაულს, ეს ცხადზე უცხადესია დღეს ჩვენთვის, მაგრამ აბა ერთი ჰკითხეთ პროფ. არჩილ ხარაძეს, ან სხვა ვინმეს, ვინც მათემატიკის ისტორიას კითხულობს რომელსაღმე უმაღლეს სასწავლებელში, და ის გიამბობს, თუ რა ბრძოლები გადახდა არაბულ ციფრებს ევროპაში! მაგრამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელსაც უწევდნენ რომაული სისტემის

მიმდევრები არაბულ სისტემას, უკანასკნელმა თანდათან გაიკაფა გზა და დამკვიდრდა საბოლოოდ.

ვამბობ, საბოლოოდ, მაგრამ რომაულ ციფრებს განა არ ვხმარობთ ჩვენც ხანდახან მაინც, მაგალითად, საუკუნეების აღსანიშნავად ან წიგნის ტომის დასასახელებლად? ვხმარობთ: XIX საუკუნეში, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომი და მისთ... ევროპაში დღესაც აქა-იქ ზოგჯერ წიგნის ბეჭდვის თარიღიც რომაულად გამოჰყავთ. რალა შორის წავიდეთ, მე მაქვს პროფ. ალფრედო ტრომბეტის წიგნი ეტრუსკული ენის შესახებ, რომელსაც თარიღად MCMXXVIII წელი უხს. აბა სად ცხრა-ნიშნის რიცხვი, სადაც ციფრებს გარკვეული, ყოველთვის ერთი და იგივე რიცხობრივი მნიშვნელობა აქვთ,



სურ. 24. არაბული ციფრები მცხეთის ღვინის (X საუკ.)


(იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. წინ კვარი უხის)

და სად ოთხიანი 1928, სადაც რიგი არკვევს, თუ რომელი ციფრი რამდენს ნიშნავს. მაგ., ნიშანი 2 თუ პირველ ადგილზეა ბოლოდან, ორია, მეორე ადგილზე თუა, ოცია (22), მესამეზე თუა, ორასია (222); მეოთხეზე თუა, ორი ათასია (2222) და ასე შემდგომ. აი ამ მარტივმა სისტემამ ძლივს გაიკაფა გზა ევროპაში, მაგრამ გაიკაფა მაინც.

ევროპას თავი დავანებოთ და საქართველოს მივხედოთ. არაბული ციფრები ჩვენში უკვე მე-10 საუკუნეში ყოფილა

გავრცელებული, როგორც ამას გვიჩვენებს ერთი ხელნაწერი („დავითნი“, A-38 ხელნაწერთა ინსტიტუტისა), რომელშიც არაბული ციფრებია ჩაწერილი (სურ. 24).

კიდევ უფრო მაჩვენებელია წარწერა ბაგრატის ტაძარზე ქუთაისში, სადაც თარიღი არაბული ციფრებით არის გამოყვანილი (სურ. 25).



სურ. 25 ბაგრატის ტაძრის წარწერა (1003 წ.)

აქ იკითხება:

+ ოდეს გ(ა)ნმტკიცნა იატ(ა)კი, ქ(რ)ონიკ(ო)ნი იყო 223. ეს ქრონიკონი უდრის 1003 წელს ($780+223=1003$): აქ, მაშასადამე, ციფრების პოზიციას მნიშვნელობა აქვს: პირველი ბოლოდან ერთეულს აღნიშნავს, მეორე — ათეულს, მესამე — ასეულს. რაკი არაბული ციფრებით აღნიშნეს ტაძრის იატაკის დაგების წელი, ე. ი. ტაძრის დასრულება, ეს ნიშნავს, რომ არაბული ციფრების ხმარება ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა მე-11 საუკუნის დასაწყისში. უთუოდ ძალიან სასიამოვნო ამბავია, მაგრამ ეს მშვენიერი წესი რიცხვის გამოხატვისა მალე შეწყდა ჩვენში და ისევ ასოების სისტემას მიუბრუნდნენ, რომელიც ჩვენმა ძველებმა, ალბათ, ბერძნებისაგან გადმოიღეს.

ასოებით რომ რიცხვები იწერებოდა, ყველა ასოს თავთავისი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს: პირველი ცხრა აღნიშნავს ერთეულს (ა 1, ბ 2, გ 3, დ 4, ე 5, ვ 6, ზ 7, ც 8, თ 9), მეორე ცხრა — ათეულებს (ი 10, კ 20, ლ 30, მ 40, ნ 50, ა 60, ო 70, პ 80, უ 90), შემდეგი ცხრა აღნიშნავს ასეულებს, კიდევ შემდეგი — ათასეულებს. რჩებოდა ოცდა მეჩვიდმეტე ასო, ოპი, ანუ ბერძნული უკანასკნელი ასოს (ომეგის) ქართული შესატყვისი, რომელიც ათი ათასს აღნიშნავდა (ეს ასო და რამდე-

ნიმე სხვა დღეს აღარ გვჭირდება. სალიტერატურო ქართულში გეყოფნის 33 ასო). ეს სისტემა ბევრად სჯობს რომაულს (წლებიანდელი წელი, მაგალითად, ასე დაიწერება: **ჩშან** 1967), მაგრამ იგიც ერთობ უსრულია და არაბულ ციფრებს ოდნავადაც ვერ შეეძლება. მიუხედავად ამისა, უარყვეს უფრო კარგი სისტემა, რომელიც ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ჩვენშიც და დაუბრუნდნენ ასოებს.

ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო, ალბათ, სარწმუნოება. ციფრების ხმარებაში ქრისტიანობის დამცველმა სამღვდლოებამ უთუოდ დაინახა მაჰმადიანური კულტურის გავლენა და შეეცადნენ მის ამოფხვრას. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და კვლავ ასოებით განაგრძეს რიცხვების წერა, რაც საუკუნეთა მანძილზე იყო გაბატონებული.

მხოლოდ სულხან ორბელიანმა ამოიღო ხმა თავის „ანბანის“ სახელმძღვანელოში: რად არ ვხმარობთ ნულასაო? მან ჩამოწერა ციფრები, მიუწერა მათ სათანადო ასოები, რომ ეს უცნობი ციფრები გასაგები გაეხადა ყველასათვის (1 ა, 2 ბ, 3 გ და შემდგომი) და მიაწერა: „ესე ნულა ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია. ყოველნი ქრისტიანენი, ანუ ჰურიანი, გინა წარმართნი ამის მიერ რიცხვენ. ქართველთა მიკვირან, რად არ დასჭვრიტეს, ანუ წმიდათა მამათა დაუტევსო“¹.

ნულა (იტალ. nulla) არის იგივე ნული (ლათ. nullus „არაფერი“), რომელსაც არაბულად ს ი ფ რ ი ჰქვია. ეს უკანასკნელი ის სიტყვაა, რომელმაც მოგვცა „ციფირი“ ანუ „ციფრი“.

სულხანის გაკვირვება და გულისწყრომა სამართლიანი იყო. მართლაც, როგორ მოხდა, რომ მე-11 საუკუნეში არაბულ ციფრებს ტაძრებზედაც კი ხმარობდნენ ჩვენში და სულხანის დროს კი აღარსად. სულხანის დროს ევროპაში დიდი ხნის განმტკიცებული იყო ნულას ხმარება (ე. ი. ციფ-

¹ ანბანი, პირველად სასწავლო ყრმათათვის: სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი 1969, გვ. 7.

რებისა) და ჩვენში კი რიცხვების გამოსახატავად ისევ ასოების ხმარებას მისდევდნენ.

სულხანმა არაბული ციფრების ხმარების საკითხი თეორიული მსჯელობის სფეროდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა და, როცა მან ქართული ბიბლიის წიგნები დამუხლა, მუხლების სათვალავად არაბული ციფრები გამოიყენა, როგორც ეს არის სომხურ ბიბლიაში, რომელიც ამსტერდამს (ჰოლანდიაში) დაიბეჭდა 1666 წელს. სულხან ორბელიანის ამ პროგრესულ საქმიანობაში შეუძლია ყველა დარწმუნდეს, თუ ჩახედავს მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს წინასწარმეტყველებისას, რომელიც თბილისში დაიბეჭდა ვახტანგის დროს, მაგრამ არ გამოსულა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამმა ცალმა (ერთი მათგანი დაცულია უნივერსიტეტში ამ ნომრით: F, 19578). მაგრამ შემდეგ, როცა ბაქარმა ქართული ბიბლია გამოსცა 1743 წ. მოსკოვში, იქ მუხლების სათვალავად ისევ ქართულ ასოებს დაუბრუნდნენ!

ასოებით რიცხვების აღნიშვნამ ჩვენში მოატანა თვით მეცხრამეტე საუკუნემდის, როდესაც მოხდა გარდატეხა ამ საკითხში და თანდათანობით არაბულ ციფრებზე გადავედით. მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ქართული ბიბლია რომ გამოიცა ორ ტომად თბილისში 1884 წ. მხედრული ასოებით, მასშიც ასოები იხმარეს თავებისა და მუხლების სათვალავად. ასე ძლიერი იყო ჩვეულება, რომელიც საუკუნეობით იყო განმტკიცებული!

საზოგადოდ ჩვეულება რომ ძლიერი ფაქტორია საზოგადოების ცხოვრებაში, ამას ბრძნული ანდაზაც ადასტურებს: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. ამასვე ჩივის დიდი რუსი პოეტი, როცა ამბობს:

К чему бесплодно спорить с веком?
Обычай — деспот меж людей.

(«Евгений Онегин»).

მაგრამ ნიშნავს ეს, თუ არა, რომ მუდამ ჩვეულების ტყვედ უნდა დავრჩეთ? რა თქმა უნდა, არა! იგი ცუდია, მავნებელია, ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, უნდა უკუვაგდოთ, მოვიშორეთ და უფრო პროგრესულს მივჰყვეთ.

ეს ამბავი არაბული ციფრების გავრცელების შესახებ იმით-
ტომ მოვიყვანე, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ როგორ
შეიძლება კარგი წამოწყება ვერ განხორციელდეს, ძირი ვერ
გაიდგას, უღროოდ დაჰქნეს და მოისპოს, თუ ძლიერი მოსაარ-
ჩლე არა ჰყავს.

ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ მე-18 საუკუნეში
კარგად მთაზრებელი და რიგიანად დაწყებული საქმე მე-19
საუკუნეში ვერ განვითარდა და თანდათანობით მივიწყებულ
იქნა იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკურისა, ეკონომი-
ურისა და კულტურული ვითარების გამო: არ იყო ქართული
სკოლები, არ იყო კარგი სტანბები, წიგნის გამოცემა და
გავრცელება ჭირდა, მცირე იყო ნასწავლი ხალხი, ინტელი-
გენტთა მცირე რიცხვიც ძალიან შეთხელდა 1832 წლის მცლად-
რი პოლიტიკური ნაბიჯის გამო. ამიტომ ქართული წიგნის
რიგიანად ბეჭდვის საქმე ძალიან შეფერხდა და არ იქნა და
არა მისი სათანადოდ წარმართვა და ფეხზე დაყენება. დაბ-
ნეულსა და სწორ გზას ამცდარ ხალხს, თანაც ეკონომიურად
წელში გატეხილს, რა შეუძლია? ასეთ პირობებში არა თუ
მცდარი, არამედ გზის ამრევიც კი აღმოჩნდა „დროების“
რედაქციის ცდა, შეექმნა ახალი სახის მთავრულები მხედრუ-
ლის მოხაზულობის მიხედვით, რადგანაც ამ ცდამ ძველს კი
ჩასწიხლა, მაგრამ ახალი ვერ დაამყარა.

მთავრული ასოები საზოგადოდ ხაზს ზემოთ იწერება და
იბეჭდება და ნაბეჭდში ყველა ერთი ზომისაა სიმაღლით. ჩვე-
ულებრივი მხედრული კი ბუნებრივად ოთხი ზომისაა სი-
მაღლით: შუაზე საწერი (ა, ი, თ), საზედაოები (მ, ნ, რ და
სხვა), საქვედაოები (გ, ე, ვ და სხვა), მთელი სიმაღლისა (ქ, წ,
ჭ). მთავრულად გადაკეთებამ მოითხოვა, რომ ოთხივე ზომის
ასოები ერთ ზომაზე დაეყვანათ. ამიტომ შუაზე საწერ ასო-
ებს სიმაღლე მოუმატეს, გაწელეს და საზედაოებს გაუსწო-
რეს, საქვედაოებს ადგილი უცვალეს და საზედაოებს ამოუყე-
ნეს გვერდში, მთელი სიმაღლის ასოები დატყლაპეს და სა-
ზედაოების ოდენა გახადეს. ამით მშვენიერი ქართული მხედ-
რული ასოების პროპორციები დაირღვა, ასოები დაუშნოვდა
და ძნელი საკითხავი გახდა. მაგალითად: ძიბა-ქება.

ამნაირი მთავრულებით იბეჭდებოდა „დროება“ და სხვა წიგნებიც, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარიც“ კი. მაგრამ ი. გოგებაშვილი მაინც მხედველობიდან არ უშვებდა ძველი ასოების ცოდნის საჭიროებას და „დღეა ენაში“ ათავსებდა მათ. ამანაც ვერ უშველა საქმეს და თანდათანობით ძველი ქართული ასოები დაავიწყდა ხალხს და მხოლოდ ხუცებს შეპრჩაით იგი საეკლესიო წიგნებისთვის. მაგრამ ეს ასოები ხუცების კუთვნილება კი არ არის, არამედ მთელი ქართველი ერისაა, იგი „ხუცური“ კი არ არის, არამედ ძველი ქართულია, ხუცებს უნდა გამოესტაცოთ უკანონოდ მითვისებული და ჩვენ მოვიხმართო ქართული წიგნის საჭიროებისთვის.

იყო დრო, როცა არ გვეცალა ძველი არქიტექტურული ძეგლების მოსაველეად, რის გამოც ზოგი ისტორიული ძეგლი, სამწუხაროდ, დაგვეღუპა. მაგრამ დღეს ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები აღრიცხულია სახელმწიფოს მიერ და ვუვლით, ვიცავთ და, შეკეთება თუ სკირდება, საამისო თანხასაც გვაძლევს სახელმწიფო. ამ მიმართულებით ბევრი კაი საქმე გაკეთდა; მაგ., ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებს ქუთაისში აქა-იქ გამოუშენეს სუსტი ადგილები, რათა ის მაინც შევუნახოთ მომავალს, რაც გადაურჩა ოსმალების ნგრევას და ადგილობრივი მოსახლეობის უგუნურ მტაცებლობას (დანგრეული ტაძრის ქვები მშენიერი საშენი მასალა იყო და მიეზიდებოდნენ!). ეს ზრუნვა სახელმწიფოსი დიდად დაფასებულია. ჩვენ ეს ტაძარი და ბევრი სხვა ასეთი გვეჭირდება ჩვენი ისტორიის უტყუარ საბუთად: მით ვეცნობით ჩვენს წარსულს და ვსწავლობთ ჩვენი ისტორიის გარკვეულ ნაკვეთს. თვით ამ ძეგლის ნახვა ბევრად მეტს გვეუბნება, ვიდრე მისი აღწერილობა და ფოტოსურათები და ვსაკვირველი არაა, რომ ექსკურსანტები ყოველი მხრიდან ეტანებიან. ვუტყურობთ მის მძლავრ კედლებს და მშენიერ სარკმლებს, ჩამოვარდნილ, იშვიათი ხელოვნებით მოჩუქურთმებულ სვეტის თავებს და ვტყბებით ჩვენი ძეგლებს გამჭრიახი გონებისა და მშრომელი ხელების შექმნილი ძეგლით, გვიხარიათ და თავი მოგვაქვს, მაგრამ ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე რომ წარწერა არის შემორჩენილი მე-11 საუკუნის დასაწყისისა, იმას კი ვერ ვცნობთ, თურმე ქართული ყოფილა! და ის ქარ-

თული წარწერა ხომ შემადგენელი ნაწილია თვით ამ ძეგლისა! და რანაირად დავაფასებთ მთლიანად ძეგლს, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილისა არაფერი გვესმის?

ჩვენ გვმართებს პატივისცემა ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურული სიმდიდრისა, რომელშიც ჩვენი ანბანი უბრწყინვალესი მარგალიტია. ჩვენ თავს ვიდრეკთ შოთას გენიალური ქმნილებების წინაშე, ვამაყოფთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“, მაგრამ რუსთველი ვერ წარმოიდგენდა, რომ შვიდიოდე საუკუნის შემდეგ ქართველ განათლებულ კაცს გაუჭირდებოდა ცნობა თბილისში მდებარე ლურჯი მონასტრის საყდრის კარის თავზე მოთავსებული მისდროინდელი ქართული წარწერისა და საკამათოდაც კი გახდებოდა საკითხი: რაშია გამოსადეგი ძველი ქართული ასოებიო! შოთას დროინდელმა ნასწავლმა ხალხმა ძველი ასოებიც კარგად იცოდა და ახალიც, საჭიროების მიხედვით იმასაც ხმარობდნენ და ამასაც. შოთა რუსთველი დიდად გაიხარებდა, რომ გაეგო, თუ რა დიდი ამბით გადავიხადეთ შარშან საყოველთაო ეროვნული დღესასწაული მისი დაბადების 800 წლისთავის გამო, მაგრამ ეწყინებოდა, რომ გაეგო, რომ წერა-კითხვის მცოდნე ქართველი კაცი ვერ კითხულობს მისი იერუსალიმური სურათის წარწერას, სადაც „რუსთველი“ იკითხება. ეს სურათი ხომ მასობრივად გავრცელდა ხალხში!

მთავრული ასოები უნდა განსხვავდებოდნენ მცირე ასოებისაგან თავისი მოხაზულობით. რამდენადაც უფრო განსხვავებულია მთავრული ასოები მცირეებისაგან, მით უფრო იდეალურია ანბანი: ლათინურში განსხვავებულია ასოების ნახევარი, ბერძნულში — ორი მესამედი (24-დან 16), ქართულში დიდი უმეტესობაა განსხვავებული, მაგრამ განა ჩვენი ბრალია, ასე რომ მოხდა? ეს ქართული წერის განვითარების ბრალია და ამის გამო ხომ ვერ ვიტყვით უარს მათ გამოყენებაზე!

სიყვარული და პატივისცემა ქართული განათლების ძირითადი საშუალებისა — ნაწერი და ნაბეჭდი წიგნისა — მიძღვლებს, ჩემი აზრი მოვახსენო ჟურნალ-გაზეთის მკითხველებს და ვურჩიო: „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი ნაწილი სრულიად მცდარი შეხედულებისაა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ მთავრულების საკითხში და არ მიკვირს, რომ ერთგვარი ჩოჩქოლია. ზოგს ეჩვენება, თითქოს ეს უკანდახევა იყოს, ზოგს კი — ვითომ ძნელი გასატარებელი იყოს ცხოვრებაში, ზოგსაც თითქო ვართულება იყოს ქართული ორთოგრაფიისა და ამიტომ შეუფერებელი. არა და არა! მე სინდისი როგორ მომცემს ნებას, ჩვენ ხალხს ცუდი რამ ვურჩიო! ამ საქმის ცოდნა და გამოცდილება მიკარნახებს, რომ საჭიროა ქართულ ორთოგრაფიაში მცირეოდენი სიახლე შევიტანოთ, რომელიც სიხალისეს შეჰმატებს ქართული წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის კითხვას და უფრო ადვილად გასაგებს განდის წაკითხულის შინაარსს, უფრო დაგვაახლოვებს სხვა კულტურულ ერებს. ამისთვის სულ მცირე შრომა დაგვჭირდება, საშუალო განათლების კაცს არა უმეტეს 5—6 საღამოს ვარჯიშობისა, რაც არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამით მოვიპოვებთ. დიდი მიზნისთვის არ უნდა მოვერიდოთ ასეთ მცირე შრომას და გარჯას, რომელიც მალე დაგვაფიწყდება, როგორც ვშობიარე დედას აფიწყდება საშინელი ტკივილები საყვარელი შვილის შეძენის შემდეგ, როდესაც უკვე დიდი სიხარული დაისადგურებს ოჯახში.

მე მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ მთავრულები უნდა შემოვიდნენ და, თუ შემოვიდნენ, უნდა შემოვიდნენ ის მთავრულები, რომლებიც ნამდვილად და ბევრ რამეში გამოადგება ხალხს. მათი შემოღება, უეჭველია, დიდად შეუწყობს ხელს ქართული ენისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას და ქართველი ერის გათვითცნობიერებას.

საჭიროა გაბედული ნაბიჯის გადადგმა, ამ საქმის საბოლოოდ მოგვარება და ქართული წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის მკითხველის გახარება. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ კარგი საქმე გავაკეთოთ და მოწინააღმდეგეთა თაობებთან პირშავად არ დავრჩეთ. მე მწამს, რომ ქართველ ერს შესწევს ძალა, თავისი კულტურული მონაპოვარი დაიცვას და განავითაროს. ასოები დაცული იქნება, თუ საყოველთაო ხმარებაში იქნება, და განვითარდება კიდევ ბეჭდვის ტექნიკურ პრობაათა შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ გამოიყენოს სხვადასხვა სახის დამხმარე ბროშურა და წიგნაკი მთავრულების ჩვენებით; ამას გარდა, აუცილებელია, ბევრად გაუმჯობესდეს ჩვენი სამრიფტო მეურნეობა სხვადასხვა საბჭოური შრიფტის შექმნით. დასაფარავი არ არის, რომ ქართული შრიფტების ასორტიმენტი მეტად ღარიბია და, რომ გამდიდრდეს, აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კონკურსი.

ამ საქმეში მაგალითი სომხებმა გვიჩვენეს: როცა ახლოვდებოდა სომხური მწერლობის ფუძემდებლის მესროპ-მამსტოცის დაბადების 1600 წლისთავი, რომელიც 1962 წელს უნდა გადაეხადათ (და გადაიხადეს კიდევ დიდი ზემით), მათ ოთხი წლით ადრე (1958 წ.) გამოაცხადეს კონკურსი ახალი შრიფტების შესაქმნელად. მოკლე ხანში მიიღეს 63 პროექტი. აღმოჩნდა, რომ კონკურსში მონაწილეობა მიუღოთ არა მარტო სომხეთის სსრ-ის სპეციალისტებს, არამედ აგრეთვე იმათაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და საზღვარგარეთ ცხოვრობენ (პარიზში, ნიუ-იორკში, ბუენოს-აირესში, კაიროში და სხვაგან), ამ პროექტთან ეიურბმ გადაარჩია 13 და კონკურსში მონაწილეთ მიენიჭათ ხუთი პრემია: ერთი პირველი, ორი მეორე და ორიც მესამე. მოწონებულ პროექტებს შორის ურეცია ლ. სადოიანისა და გ. მნაცაკანიანის ნამუშევრები. სომხური მთავრული შრიფტი, რომელსაც სახელად „პეტაკან“ ჰქვია, შექმნა ლიპარიტ სადოიანმა.

უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ ავტორი ამ შრიფტის შექმნის დროს სარგებლობდა ძველი წარწერებით, რომლებიც ჩვენს მეზობლებს ბლომად მოეპოვებათ მე-5 საუკუნიდან.

ამ სომხურ მთავრულებს არ ჩამოუვარდება ქართული მთავრულები, რომლებიც შექმნა მხატვარმა ა. დუმბაძემ ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით და რომლებიც გამოყენებულია „უნივერსიტეტის“ სახელით ცნობილ შრიფტში.

განსხვავება სომხურ მთავრულებსა და ქართულ მთავრულებს შორის ის არის, რომ სომხურ ასოებს ყველა ცნობს, ვინც კი სომხური წერა-კითხვა იცის, ქართულ მთავრულებს კი ჯერ ვერ ცნობენ ქართული წერა-კითხვის მცოდნენი და

იძულებული ვართ, მნიშვნელობა მივუწეროთ ქვეშ. დადგება დრო, როცა მნიშვნელობის მიწერა აღარ იქნება საჭირო, რადგანაც, იმედი მაქვს, ქართული მთავრულებიც ყველგან იქნება გამოყენებული ქართულად ნაწერსა და ნაბეჭდ წიგნში. უნდა ვეცადოთ, რომ ეს დრო რაც შეიძლება მალე დადგეს.

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ
 ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ
 ნ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ
 ნ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴟ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ

სურ. 26. ძველი და ახალი ქართული ასოები.

საყურადღებოა, რომ როცა სომხებმა კონკურსი გამოაცხადეს, „ჩვენი ამოცანა იყო, — წერს ე. ოპანესიანი, — მოგვეზიდა ინტელიგენტთა ფართო წრეები, რომ ეს სახელმწიფო და საყოველთაო ხალხური საქმე არ ჩაკეტილიყო რამდენიმე სპეციალისტის ვიწრო წრეში და არ გამხდარიყო მათი მონოპოლია“. ამის წაკითხვაზე არ შეიძლება კაცს არ მოაგონდეს, რომ ახალი ქართული შრიფტების შექმნის საქმე ჩვენში (სპეციალისტების ვიწრო წრეს ვინ ჩივის!) ერთი კაცის მონოპოლიად არის ქცეული წლების განმავლობაში!

26. მოკაპრეთა სავასუხოდ¹

ჩემი წერილი მთავრული ასოების შემოღების შესახებ, რომელიც სადისკუსიოდ დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (30.6.1967), სწორედ დროული აღმოჩნდა და კარგი შედეგიც გამოიღო. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რამაც გვიჩვენა, რომ ზოგი მომხრეა, მთავრულები ვიხმართ და საამისოდ მრგლოვანი გამოვიყენოთ; ზოგი იმ აზრისაა, რომ მხედრულ ტექსტში მრგლოვანი შეუფერებელია, მისი მთავრულიც მხედრულის სახისა უნდა იყოსო; ზოგი კი სულ უარყოფს მთავრულის საჭიროებას: ორთოგრაფია მშვენიერი გვაქვს, არ ღირს, გავართულოთ იგი მთავრულის შემოღებით. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ბ. გორდეზიანი, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს თავისი აზრი იმითაც, რომ ეს რეფორმა დიდ ხარჯებს გამოიწვევს და არეგ-დარეგასაც შეიტანს საშრიფტო მეურნეობაშიო. მე აქ არ გამოვუდგები უცნაური აზრების დარღვევასა და ყველაფერზე პასუხის გაცემას. მოგახსენებთ მხოლოდ უმთავრესსა და უსაჭიროესს.

ერთი გაუგებრობა წინასწარვეა ასახსნელი და თავიდან მოსაშორებელი: როგორც ჩანს, ზოგი სერიოზულად ფიქრობს, თითქო მრგლოვანი არ ეგუებოდეს მხედრულს, თითქო ის ნუსხა-ხუცურის მთავრული იყოს და არა მხედრულისა. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ პირვანდელ ქართულ ანბანს იმიტომ დაერქვა მრგლოვანი, რომ ასოთა უმეტესობის ძირითადი ნაწილი მრგვალია, მომრგვალოა, ან

¹ „ლიტერ. საქართველო“, 8 სექტემბ. 1967 წ.

რკალისებრი მოყვანილობა აქვს. ამას გარდა, რაც მთავარია, მრგლოვანის ასოები სწორად დგას, ნუსხა-ხუცურისა კი — დახრილად, რის გამოც ნუსხა-ხუცურს კურსივის შეხედულება აქვს. მხედრულში ასოები გასწორდა და ამ მხრივ პირვანდელ ასოებს ამოუდგა გვერდში. ამიტომ მრგლოვანი ასოები უფრო მხედრულის მთავრულია, ვიდრე ნუსხურისა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია იმათი მტკიცება, ვისაც ჭკუაში არ მოსდის მრგლოვანის მთავრულად ამოყენება მხედრულის გვერდით („კონტრასტულიაო“, ამბობენ). ეს იმით აიხსნება, რომ ეს პირები ან პირველად ხედავენ ასეთ ასოებს, ან ჩვენი საკუთარი ანბანი უცხო ჰგონიათ, ქართული წერის განვითარების შესახებ წარმოდგენა არა აქვთ, არც სურვილი აქვთ, ცოტა გაისარჯონ და უკეთ დაუკვირდნენ საქმის ვითარებას.

ეგების მათ ის აბრკოლებს, რომ მრგლოვანის ასოთა უმეტესობა მეტად განსხვავებულია მხედრულისაგან? მაგრამ ეს ხომ უფრო ღირსებაა, ვიდრე ნაკლი! რაც უფრო სხვაობს მთავრულების მოხაზულობა მცირე ასოების მოხაზულობისაგან, მით უფრო მკვეთრად ჩანს მთავრულების ორთოგრაფიული დანიშნულება: Aa, Bb, Dd, Ee, Gg და სხვა.

ბ. გორდუზიანის წერილში ისტორიული ვითარება არ არის სწორად წარმოდგენილი. ის ამტკიცებს: „მთავრულების საჭიროება არ უგრძძვნიათ მაშინაც კი, როდესაც პირველად ჩამოსხა მხედრული სატექსტო შრიფტი რომში (1629) და არც შემდეგ, როდესაც ვახტანგ მეექვსემ სტამბა დააარსა თბილისში, მხედრული სატექსტო შრიფტი ჩამოსხა და „ვეფხის ტყაოსანი“ გამოსცა (1712). თვით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ქართველ მოღვაწეთა წინაშეც კი, რომლებმაც თავის დროის შესაფერისად კარგი მხედრული შექმნეს (1840—45 წწ.), არ დამდგარა საკითხი მთავრული ანბანის შემოღებისა, რადგან არ ცნეს საჭიროდ, მხედრულ ანაწყობში მრგლოვანი ეხმარათ და ეკლექტიკური ნაბეჭდი შეექმნათ“ („ლიტ. საქ.“ 11.8.67). აქ სამი მცდარი დებულებაა, რომელთა გაბათილება აუცილებელია.

1) პირველი წიგნები რომ დაიბეჭდა რომში 1629 წ., შიგ, მართალია, მთავრულები არ არის ნახმარი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ქართული წიგნების გამოცემისას რომს აინტერე-

სებდა არა ქართული კულტურის ამბები, არამედ კათოლიკობის გავრცელება საქართველოში. ამისთვის კი მარტო მხედრულით დაბეჭდილი წიგნებიც საკმარისი იყო. მალე რომშიც გაჩნდა მთავრული შრიფტი. თვით ბ. გორდეზიანს მოჰყავს თავის წიგნში („ქართული სასტამბო შრიფტები“, 1961, გვ. 45, 46) ქართული მთავრული ასოების სურათი მაჯგოს ქართული გრამატიკიდან, რომლის პირველი გამოცემა 1643 წ. გამოვიდა, მეორე კი — 1670 წ. რატომ არ მოახსენა. ბ. გორდეზიანმა „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებსაც ამ მთავრული ასოების შესახებ?

2) ვახტანგის სტამბამ რომ პირველ წლებში წიგნები დაბეჭდა მხედრული შრიფტით (მათ შორის „ვეფხის ტყაოსანიც“ 1712 წ.), შიგ მთავრული არ ურევია, მაგრამ 1721 წელს ამავე სტამბაში დაიბეჭდა თვით ვახტანგის მიერ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი სამეცნიერო წიგნი „ქმნულების ცოდნა“¹ („აიათი“), რომელიც წარმოადგენს კოსმოგრაფიის სახელმძღვანელოს და რომელშიც მთავრულების ხმარება თავიდან ბოლომდის არის გატარებული, როგორც სურათიც გვიჩვენებს (ნახე სურათი 22, გვ. 197).

აღნიშნული წიგნის „განმარტველი“ იყო განთქმული ლექსიკოგრაფისა და დიდი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ძმა ნიკოლოზ (პირველად მროველი, შემდეგ ტფილელი, პირველი ნაბეჭდი წიგნების — სახარებისა და სამოციქულოს — გამმარტველი), რომელიც უფროსი ძმის დაუკითხავად ვერ იკადრებდა, მრგლოვანის მთავრული შეეტანა მხედრულად დაბეჭდილ წიგნში. ამას გარდა, წიგნის მთარგმნელი იყო ვახტანგი, რომელიც „ქმნულების ცოდნის“ ბეჭდვისას თბილისში იყო² და მისი თანხმობის გარეშე მრგლოვანი მთავრულების ხმარებას ვერავენ გაბედავდა მხედრულად დაბეჭდილ წიგნში. მაშასადამე, მრგლოვანი მთავრულების ხმარება 1721 წელს მხედრულად დაბეჭდილ საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნში პირველად განუხორციელებიათ ქართული კულტურის აღორძინების მესვეურებს: ვახტანგ VI-ს და მის

¹ წიგნის გვერდებზე „ქმნულების ცოდნა“ იკითხება.

² როცა „ვეფხის ტყაოსანი“ იბეჭდებოდა 1712 წ., ვახტანგი სპარსეთში იყო გაწვეული.

უახლოეს თანამშრომლებს სულხან-საბა ორბელიანს და მის უმცროს ძმას ნიკოლოზს. ამის შემდეგ განა დაიჯერებს ვინმე ბ. გორდეზიანის მტკიცებას, რომ ვახტანგის დროს საკითხი მრგლოვანი მთაერულების ხმარებისა მხედრულად დაბეჭდილ წიგნში თითქო არც კი მდგარიყოს? რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ეს ვერ მოესწრო და ვერ მოხერხდა; შემდეგ ხომ მალე გამოსწორდა მაინც საქმე!

3) რაც შეეხება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას 40-იან წლებში, ბ. გორდეზიანი ამტკიცებს, რომ მათთვისაც არ დამდგარა საკითხი მთაერულის შემოღებისათ. მე მზად ვარ ვირწმუნო ეს განცხადება, მაგრამ სხვები არ დაუჯერებენ, რადგანაც კარგად ცნობილია, რომ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში 1848 წელს დაიბეჭდა მხედრულად თეიმურაზ ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, რომელშიც მრგლოვანი მთაერულები თავიდან ბოლომდე გატარებული. რატომ ეს ფაქტიც არ მოახსენა ბ. გორდეზიანმა გაზეთის მკითხველებს? საზოგადოებას სწორი ცნობები უნდა მიეწოდოთ და მერმე ის თვითონვე გაერკვევა საკითხში.

ბ. გორდეზიანი საჭიროდ ცნობს, ამ საუკუნის 30-იანი წლების მაგალითი მოაგონოს მკითხველს. მაგრამ ეს მაგალითი არაფერი მოსატანია, იმიტომ რომ მაშინ ზოგ-ერთების ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ მხედრული ასოების მოხაზულობა შეცვლილიყო, რამაც ასოთა დამახინჯებამდე მიიყვანა საქმე. ასოთა დამახინჯებას აბა ვინ მოითმენდა? მე არც მხედრული ასოების გადაკეთებას და დამახინჯებას მოვითხოვ და არც მრგლოვანისას. ყველაფერი რჩება ისე, როგორც იყო და არის. ოღონდ აუცილებელია, რომ რომელიმე გარნიტურის შექმნისას მთაერულების ხაზის სისხო ეთანხმებოდეს მცირე ასოებისას.

მოსაგონარი უფრო ის არის, რომ იმავე 30-იან წლებში ზოგიერთ წვრილ ერში (ოსებში, აფხაზებში და არაბული წერის მიმდევრებში კასპიის ზღვის გაღმა თუ გამოღმა) გაჩნდა მიმართულება (მგონია, გარედან ნაკარნახევი), რომ ლათინურ ანბანზე გადასულიყვნენ. მაშინ ჩვენებური მეტიჩრებიც აპყვნენ სხვების ფეხის ხმას და მოითხოვეს, რომ ჩვენც ლათინ-

ნურ ანბანზე გადავსულიყავით. ერთხელ სხდომაც კი გამართა ამ საკითხის გამო თბილისში. აბა მაშინ ჰნახავდით ჩვენს სეირს, თუ რა „ბედნიერება“ გვეწეოდა, რომ უგნური წინადადების წინააღმდეგ არ გაგველაშქრა მაგრად და უციო ხალხის სულელური ზრახვები არ გაგვექარწყლებინა!

ბ. გორდეზიანი სწორად აღნიშნავს მაინც ერთ ფაქტს: „მთავრულის შექმნისთანავე „დროების“ მოღვაწენი გულმოდგინედ შეუდგნენ მის გამოყენებას ევროპული ტექსტების მსგავსად, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს წესი ქართულს არ გამოადგებოდა და ხელი აიღეს ამ სიახლეზე“. მაშასადამე, მათი მთავრულები არ გამოდგა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც შექმნეს. „სამაგიეროდო, — განაგრძობს გორდეზიანი, — ახლად შექმნილი მთავრულები საფუძვლიანად დაინერგა ტექსტის გარეთ, ხალხმა იგი მიიღო და სწრაფად გავრცელდაო“. დიახ, მეც იმას ვამბობ, რომ მხედრულის მთავრულები ტექსტში არ გამოდგა. და თუ ტექსტში არ გამოდგა, შეიძლება კი ეწოდოს მას მთავრული? რა თქმა უნდა, არა. იგია თავისებური შრიფტი, რომელშიც ყველა ასო ერთი სიმაღლისაა, და სხვა არაფერი. ნამდვილი მთავრული ასო ის არის, რომელიც ტექსტში იხმარება და გარკვეული ორთოგრაფიული დანიშნულება აქვს მცირე ასოებთან მიმართებით (მაგ., საკუთარი სახელების დაწერისას და სხვ.). მოხაზულობა მთავრული ასოებისა განსხვავებული უნდა იყოს სათანადო მცირე ასოთა მოხაზულობისაგან, ყველასი თუ არა, გარკვეული რაოდენობისა მაინც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რაც უფრო მეტია განსხვავებული მოხაზულობის მთავრულები, მით უფრო ემსახურება ასეთი ანბანი თავის დანიშნულებას. ამიტომ ბ. გორდეზიანი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა ამბობს, რომ „ჩვენ გვაქვს ნამდვილი მხედრული მთავრული ასოები, ეს ასოები სამოციანი წლების დიდმა მოღვაწეებმა შექმნეს. ამ მთავრულებს ფართოდ ვიყენებთ ნაბეჭდოში როგორც ტექსტში, ისე ტექსტს გარეთო“. მიბრძანეთ: აბა სად ვიყენებთ ტექსტში? აკი სთქვით (ზემოთ დამოწმებულ ნაწყვეტში): „საფუძვლიანად დაინერგა ტექსტის გარეთო“?

როგორც დავრწმუნდით, მხედრული მთავრული არ არის „ნამდვილი მთავრული“. მართალია, იგი ერთ დროს მართლაც

მთავრული იყო: „დროებაში“, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში, ს. ხუნდაძის ნაწერებში და სხვაგან, მაგრამ მან დიდი ხანია დაკარგა მთავრული ასოების დანიშნულება. რომ აგრეა, ამას შემდეგი ფაქტი ადასტურებს: „საბჭოთა საქართველოში“ წელს გამოსცა რუსულ ენაზე წიგნაკი „Печать в Грузинской ССР“ („ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოში“), სადაც იკითხება (მომყავს ქართული თარგმანი): „საგამომცემლო პროდუქციის მიხედვით (წიგნების სახელწოდებათა რაოდენობით) საქართველოს სსრ-ს მეოთხე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში რუსეთისა, უკრაინისა და ლიტოვეთის შემდეგო“ და აბა მიჩვენეთ თუნდაც ერთი ქართული წიგნი, გამოცემული საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომ შიგ მხედრული მთავრული გამოყენებული იყოს იმავე ორთოგრაფიული დანიშნულებით, როგორც ეს არის დასახელებული რესპუბლიკების ენებზე დაბეჭდილ წიგნებში (გარდა, რა თქმა უნდა, ს. ხუნდაძის ნაწერებისა, რომელთაც ძველი დროიდან გადმოჰყვა მთავრულების ხმარება, როგორც ეს ნიმუშიც გვიჩვენებს: „ღვუბრუნდეთ პრ. ახვლედიანის გამოკვლევას. მეცნიერების გზაზე ექსპერიმენტალური კვლევა-ძიება ფონეტიკის სფეროში მერობაშიც კი შედარებით ახალი საქმეა — და ჩვენში ხომ ბ. ახვლედიანი პირველი მერცხალია ქართული ფონეტიკის მეცნიერული გამოკვლევისა, განსაკუთრებით ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მხრით“¹.

ეროპის ზოგმა ერმა, რომლებიც ლათინურად მოუბარითომების ჩამომავლები არ არიან (მაგ., გერმანელები, უნგრელები და სხვ.), თავისი ეროვნული მწერლობა ლათინური ანბანის ბაზაზე შექმნა და განავითარა. ამიტომ არის, რომ, როცა სპეციალისტები შრიფტების ახალ-ახალ გარნიტურებს ქმნიან, ძველ ლათინურ ასოებს იყენებენ და საჭიროდ თვლიან, გამოკვლევებში და სახელმძღვანელოებში ძველის-ძველი ლათინური წარწერების საუცხოო ნიმუშები მოიყვანონ და შრიფტების დაპროექტებისას მათ მიჰბაძონ. ნახეთ, მაგ. Albert Kapr-ის Deutsche Schriftkunst (დრეზდენი, მეორე გამოც.) და დარწმუნდებით, რამდენად სერიოზულად უყუ-

¹ ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები. ქუთაისი 1927, გვ. 117.

რებენ ისინი სხვა ერის ძველი წარწერების გამოყენების საკითხს თავისი წიგნის შრიფტისათვის. ჩვენებს კი რა ღმერთი გაუწყრა, რომ აუთვალწუნებიათ თავისი ეროვნული ძველი ანბანი, რომელიც საფუძვლად დაედო დღევანდელ მხედრულს? რა ამბავია? სუნი უდის ამ ასოებს თუ? საძაგელი შესახედაობა აქვთ თუ? კარგად ვერ გადმოსცემენ ქართულ ბგერებს თუ? ძნელია დაწერა და შესწავლა თუ? აფსუს! რამდენი ერი ინატრებდა, რომ ჰქონდეს ასეთი სიძველისა და ასე სრულყოფილი საკუთარი ანბანი, როგორც ჩვენ გვაქვს, და ჰნახავდით, თუ რა სიხარულით და თავის მოწონებით გამოიყენებდნენ მას! არ იფიქროთ, თითქო ასეთი აზრისა მე ვიყო მარტო. არა, ასეთი სიტყვები გამიგონია სხვებისგანაც, მაგ., აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისაგან; ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ტყიბულელი მასწავლებლის გ. გვენეტაძის წერილში და სხვ.

როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ცარისტულ იმპერიალიზმს ისე კარგად მოუგვარებია თავისი შავ-ბნელი საქმე ქართული კულტურის განადგურებისა და ქართველი ერის გადაგვარებისა, რომ „დროების“ მესვეურთაც კი, რომელთაც კეთილი განზრახვა ამოქმედებდა, გზა აებნა და სხვებსაც მრუდი გზით წაუძღვნენ წინ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო. მართლაც, რომ ვერ იხეირა „დროების“ მთავრულმა, შეცდომა მაშინდა გამოჩნდა. ესეც კარგად არის ნათქვამი: პაპამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილი მოჰკვეთაო. „დროების“ შეცდომის გამოსწორება დღეს გვიხდება და ნუ ვიზამთ ისე, რომ გამრუდებული საქმე მომავალ თაობას დავუტოვოთ გამოსასწორებლად.

დღეს, დიდი ოქტომბრის წყალობით, სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს. არც ეკონომიკურად ვართ წელში გატეხილი, როგორც მე-19 საუკუნეში, კულტურულადაც საკმაოდ დაწინაურებულნი ვართ და ადვილად შევძლებთ საქმის მოგვარებას, თუ მოვინდომებთ.

მთავრულების შემოღების საკითხი სხვა დროსაც იყო დასმული და ცხოვრებაში გატარებული.

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში მოსკოვ-პეტერბურგის სტამბებიდან გამოსულ ქართულ წიგნებში მთავრულებად

იხმარებოდა იმავე მოხაზულობის მხედრული ასოები, რაც ჩვეულებრივი ტექსტისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მცირე ასოებთან შედარებით ისინი უფრო დიდი ზომისა და უფრო მსხვილ-ხაზიანი იყვნენ, ასე რომ მათი გამორჩევა მცირე ასოებისაგან ადვილი იყო. ეს მთავრულები, როგორც ჩანს, მცირე ასოების სასტამბო ზომაზე იყო ჩამოსხმული და ანაწყობში მკვეთრად განსხვავდებოდა სათანადო მცირე ასოებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ ხაზზე კი არ იყვნენ დაყენებული, როგორც ჩვეულებრივ მთავრულებს მოეთხოვება, არამედ, მცირე ასოების მსგავსად, ზოგი შუაზე იწერებოდა (ა თ ი ო), ზოგი ხაზს ზევით (ბ ზ მ ნ და სხვ.), ზოგი ხაზს ქვევით (გ დ ე ვ და სხვ.), ზოგსაც მთელი სიმაღლე ეჭირა (ქ წ ჰ). ასეთი ორთოგრაფიით არის დაბეჭდილი, მაგ., ტარასი მესხიშვილის ნათარგმნი 136 გვერდიანი წიგნი — ახალი აღთქმის „ლეოლრაფიული ლექსიკონი“ სანკტ-პეტერბურღს, 1824 წ., ოსებ იოანესოვის სტამბაში). მაგრამ ვერც ამ წამოწყებამ იხერია.

მაშასადამე, მთავრულების ხმარების საკითხი მხედრულად დაბეჭდილ წიგნში სულ იდგა: ვახტანგის დროსაც, ერეკლეს დროსაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც და 60-იან წლებშიც. ყველაზე კარგი გამოსავალი, რა თქმა უნდა, ვახტანგის დროს იყო მონახული, მაგრამ, თუ საკითხის პირველი ბრწყინვალე გადაწყვეტა საბოლოოდ ვერ დამკვიდრდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია, ეს იმის გამო, რომ მას ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ დიდი პოლიტიკური გარდატეხების გამო, რამაც, ეკონომიურ სიბეჩავესთან ერთად, ძირი გამოუთხარა საქართველოს კულტურის ისტორიის ბუნებრივ განვითარებას.

ნამდვილი ქართული მთავრულების აღდგენას, ბ. გორდენ-ზიანის თანახმად, იმდენი უბედურება მოჰყვება თურმე (მატრიცებისა და პუნსონების გადაკეთება, მონოტიპისა და ლინოტიპის მატრიცების გადახალისება, შრიფტის კასის რეკონსტრუქცია, საწერ მანქანაზე მომუშავეთა. თავ-სატეხი საქმეები¹, და სხვ.), რომ ზოგიერთი მკითხველი შეიძლება მართლაც

¹ დიად, ასეა ნათქვამი: „საწერ მანქანაზე მომუშავეებს უნდა გავუჩინოთ ახალი თავსატეხი“

შეყოყმანდეს და თქვას: ეგებ არც კი ღირდეს ამაზე ზრუნვაო. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთმა მსჯელობამ შეიძლება გულუბრყვილო და გამოუცდელი მკითხველი დააბნოს და არა პოლიგრაფიული საქმეების მცოდნე ან საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც პროგრესზე ფიქრობს და მომავლისკენ იცქირება.

ცნობილია, რომ იაფფასიან ხორცს კარგი წვენი არ გაუკეთდება და, რა თქმა უნდა, თანხების დაუხარჯავად არც სტამბის რიგიანად მომარაგების საქმე მოგვარდება, მაგრამ დიდი და საშვილიშვილო საქმისათვის ხარჯს არ უნდა მოვერიდოთ. საქართველო დღეს კახეთიდან შავ ზღვამდეა გადაჭიმული, მაშინ როდესაც ვახტანგ VI-ს არც ამისი მესამედი ემორჩილებოდა. და თუ მაშინ, ძნელ პირობებში, მოხერხდა სრულიად ახალი სტამბის შექმნა, ნუთუ დღეს, პოლიგრაფიული მრეწველობის ზღაპრული განვითარების ხანაში, სტამბის ნაწილობრივი გადახალისება არ შეგვიძლია, გადააალი-სება, რომელიც მხოლოდ ასოებს შეეხება და არა მანქანებს?

რეფორმა აი ისეთ ცვლილებას ჰქვია, რომელიც აფხაზურ ანბანს მოუვიდა: ჯერ იყო და აფხაზური წიგნები იბეჭდებოდა მთარგმნელთა კომიტეტის შრიფტით, რომელსაც საფუძვლად რუსული გრაფიკა ედო, შემდეგ ლათინურზე გადავიდნენ, ლათინურიდან — ქართულზე და ბოლოს ისევ რუსულ გრაფიკას მიუბრუნდნენ და ახლაც იმას მისდევენ. მრგლოვანის მთავრულად აღდგენა მონაგონიც კი არ არის ამასთან შედარებით. მცირე-რიცხოვანმა აფხაზებმა ამდენ ოპერაციებს გაუძლეს და ჩვენ ჩვენივე მრგლოვანის შემოღება უნდა გავვიჭიროდეს? და მერმე სად აფხაზურ ბგერათა რაოდენობა (შესაფერისად ასოთა რაოდენობაც) და სად ქართულისა!

მე არ შევჩერდები არც რუმინელთა მაგალითზე, რომელნიც მე-19 საუკუნეში სლავური ანბანიდან ლათინურზე გადავიდნენ (ჩვენ სლავები ხომ არა ვართ, სლავრად რომ ვწერთ და ვბეჭდავთ, ჩვენ რომაელთა ჩამომავლები ვართო!), არც ანატოლიის თურქების მაგალითზე, რომელთაც არაბული ანბანი მიატოვეს და ლათინურზე გადავიდნენ, და არც სხვა ერების ამგვარ ამბავს მოვიგონებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ

ცამდე მართალია პროფესორი გ. კოკოჩაშვილი, რომელიც ქუთაისიდან მწერდა¹:

„თავიდანვე თვალს ვადევნებ ასომთავრულის შემოღების საკითხს ქართულში და სავსებით ვიზიარებ თქვენს წინადადებას. იგი საჭიროა და, ასე მგონია, რაც მალე განხორციელდება, მით უკეთესი იქნება-თქო.

ჩემი სუსტი ხმა მინდოდა აქამდეც მომეწოდებინა თქვენთვის, მაგრამ მერიდებოდა, ახლაც კი, — მოგეხსენებათ, ქართულის არც მასწავლებელი და არც სწავლული გახლავარ, — გამაბედვინა მოწინააღმდეგეთა წერილებმა, რომლებიც უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. არგუმენტაციით ისინი, მეტი რომ არ ვთქვა, სუსტია და ანგარიშ-გასაწევი როდი უნდა იყოს. მათი სისუსტე, ალბათ, მომდინარეობს სხვადასხვა ენის (აგრეთვე ქართულის) დამწერლობათა ისტორიაში ჩაუხედაობიდან და სიბეცით იმ მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგის მიმართ, რომელიც ამ რეფორმას უნდა მოჰყვეს“. დიახ, სიბეცით, ჩემო მკითხველო, დიდი სიბეცით!

„და მერე რისთვისო?“ კითხვას სვამს ბ. გორდეზიანი პათეტიკურად, რისთვის უნდა მოვახდინოთ რეფორმა და დავხარჯოთ მილიონებიო? და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებს: იმისთვის, „რომ ვთქვათ: ჩვენც გვაქვს ევროპული წერისა და ბეჭდვის სისტემა, ჩვენც თვითეულ საკუთარ სახელსა და წინადადებას მთავრულით ვიწყებთო“. აი თურმე რა უბრალო დანიშნულება ჰქონია მთავრულების შემოღებას ბ. გორდეზიანის აზრით, იმ კაცის აზრით, რომელიც ქართული შრიფტის ლაბორატორიის გამგეა, რომელსაც წიგნებიც დაუწერია ქართული შრიფტების განვითარების შესახებ, ახალი გარნიტურიც შეუქმნია ქართული შრიფტისა, რომელიც მის სახელს ატარებს („გორდეზიანის შრიფტი“) და სხვა. თურმე ჩვენ იმისთვის ვზრუნავთ და ვცდილობთ, რომ კვებით განვაცხადოთ: „ჩვენც გვაქვს ევროპული წერისა და ბეჭდვის სისტემაო!“ არა, მთავრულებს ბევრნაირი მოვალეობა აკისრია:

¹ პროფ. გ. კოკოჩაშვილი (ქუთ. პედ. ინსტიტუტი, ბიოლოგი) თავის წერილში მრგლოვან მთავრულებს ხმაწობს.

პირველი. მთავრულები ქართულში საკვებხნად კი არ გვინდა, არამედ მოსახმარად, რომ ქართულად დაწერილთ სიტყვები ადვილად ასაქმელი იყოს და გაადვილდეს წაკითხულის გაგება და ეს არა ერთსა და ორს შემთხვევაში, არამედ მრავალ შემთხვევაში. მთავრულებს ისეთივე ორთოგრაფიული დანიშნულება აქვთ, როგორც სასვენ ნიშნებს: ოსინი გვშველიან წაკითხულის გაგებაში. ხომ შეიძლება სასვენ ნიშნები არ ვიხმართ და დაწერილის აზრი მაინც გავიგოთ? შეიძლება, მაგრამ ასეთ „გამართივებს“ არავინ მოგვიწონებს. სასვენ ნიშნებს ვერ მოვშლით, რადგანაც უამათოდ მრავალ გაუგებრობას წავაწყდებით. მთავრული ასოები დამატებითი საშუალებაა ორთოგრაფიის სრულსაყოფად. ამიტომ, რომ ბერძნულისა, სომხურისა, ლათინურისა და სლავურ-რუსული დაწერილობის მიმდევარი ერები ამ დამატებითი საშუალების გამოყენებას სასტიკად იცავენ.

მეორე. ბერს უთქვამს და დაუწერია, რომ მთავრულების ხმარებას სხვა დანიშნულება აქვს და ბევრად ჰშველის მკითხველს. აი, მაგ., რასა წერს ცნობილი მწერალი რ. ქორქია: „მთავრული ხალისს შეიტანს დღევანდელ ერთფეროვან დამწერლობაში; მთავრული თვალს ასვენებს და აადვილებს კიფხვას, ეხმარება მხედველობითს მეხსიერებას — იოლად ვიმახსოვრებთ ნაბეჭდის რა ადგილას გავჩერდით ან რა ადგილას შეგვხვდა ესა თუ ის სიტყვა თუ ტერმინი. მე ხშირად გამომიცდია, რომ ქართულში მთელი გვერდი უნდა გადავიკითხოთ ამა თუ იმ ტერმინის მოსაძებნად. რუსულში კი დრო არ მეკარგება: მთავრული თავისთავად ახდენს მეხსიერების ფიქსაციას“. ამას შეიძლება დავსძინოთ, რომ მთავრულის ხმარება ტექსტში აადვილებს სამეცნიერო წიგნის საძიებლების შედგენას, საკუთარი სახელების სწრაფად მონახვას და სხვა. ამიტომ, რომ ევროპის ენებში ასე მტკიცედ დამკვიდრდა მთავრულების ხმარება.

მესამე. სწავლა-განათლებას ქართულ ენაზე ვიწყებთ და ვასრულებთ. დიდებული საქმეა. მაგრამ მარტო ქართულის ცოდნა საკმარისი არ არის. დღევანდელ პირობებში რუსულის ცოდნა აუცილებელია. საშუალო სკოლაში ევროპულ ენებსაც ასწავლიან. რაკი ქართულ ენაზე გვექნება მიღებული

მთავრული ასოების ხმარების ჩვევა, იგი გადაგვეყვება რუსულისა და ევროპული ენების შესწავლისას, რაც, უთუოდ, ხელს შეუწყობს ამ ენების შესწავლას. არც ეს არის უმნიშვნელო ამბავი.

მეოთხე. მრგლოვანის მთავრულად ხმარებას მხედრულად ნაწერსა და ნაბეჭდ თხზულებაში სხვა დანიშნულებაც აქვს. უცოდინარობით ქონებას ვერ მოუვლი. ბავშვი რომ წიგნსა და ძვირფას სურათს ხეც, ან ძვირფას ნივთს აფუქებს (მაგ., საათს), ყველაფერი ეს მას იმიტომ მოსდის, რომ არ იცის ამ ნივთების მნიშვნელობა. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი რამ დაგვეკარგა მასების უწიგნურობის გამო! ცნობილია, რომ უძვირფასესი ძველი ქართული სახელმწიფო სამართლისა („ხელმწიფის კარის გარიგება“) ე. თაყაიშვილმა შემთხვევით გადაარჩინა დალუპვას, თვალი რომ მოჰკრა, ეს ხელნაწერი ნაგვისთვის უნდა გაეყოლებინათ. როცა ყველას მტკიცედ გვეცოდინება ჩვენი ძველი ეროვნული ანბანი (გვეცოდინება კი, თუ მას ვიხმართ საყოველთაოდ), მაშინ უფრო მოვუვლით. იმას, რამაც ჩვენამდე მოაღწია: ხელნაწერებს, წარწერებს და სხვ.

მარშან ზაფხულში, მარნეულის რაიონის მომიჯნავე სომხეთის სარაიონო ცენტრის (ნოემბერიანის) სასაფლაოზე აღმოჩნდა მრგლოვანით შესრულებული წარწერა. სომხები ადვილად მიხვდნენ, რომ ქართული იქნებაო, და შეგვატყობინეს. ენახეთ მეტად საინტერესო შინაარსის წარწერა შოთას ეპოქისა (დემიტრი მეფეა მოხსენებელი). ერთი მიბრძანეთ: ქართულ ინტელიგენტს რომ შემთხვევით გაეგლო ნოემბერიანის სასაფლაოზე და ეს წარწერა ენახა, მიხვდებოდა, რომ იგი ქართულია? რა თქმა უნდა, არა, გარდა იმ პირებისა, რომელთაც უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ან რომელსამე პედაგოგიურ ინსტიტუტში ძველი ქართული წერა-კითხვა სპეციალურად შეუსწავლიათ.

ამას გარდა, არ აგვერევა ზ და ლ ასოები, როგორც ამას ვხედავთ სპეციალური მიზნით შედგენილს ბ. გორდენიანის „ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარ-კატალოგში“ (1965, გვ. 46), და არ მივაწოდებთ მკითხველს ძველი ქართული

შრიფტით დაბეჭდილ ისეთ ნიმუშს, სადაც ლ ასოების ნაცვლად თავწაჭრილი ზენები იყოს ჩასმული (იქვე, გვ. 50).

ქართული ანბანის შემოღების ისტორია რომ სათანადოდ დაიწეროს, მას საშუალო მომზადების მკითხველი ვერ გაიგებს, რადგანაც უძველესი ჩვენი ასოების ცოდნა მას არ ექნება. რომ შემთხვევით წააწყდეს იგი მიწიდან ამოთხრილ ძველ წარწერას (მაგ., მშენებლობის დროს), იგი ვერ იცნობს მას და შეიძლება გადააგდოს კიდევ როგორც უვარგისი და გამოუღებარი.

მეხუთე. ცოდნა, საზოგადოდ, არასოდეს ყოფილა ზედმეტი ბარგი. ძველად რომ წერა-კითხვის უცოდინარმა მუშებმა ურბნისის ტაძრის ნანგრევებიდან ამოღებული წარწერიანი ქვა კი არ გადააგდეს ამ ტაძრის რესტავრაციის დროს, არამედ უკუღმა ჩასვეს კედელში, ეს მათ ებატიება და დღეს მათ საყვედურით კი არ ვიგონებთ, არამედ მადლობით, რადგანაც ამ გზით მათ მეტად მნიშვნელოვანი ძველის-ძველი წარწერა გადაარჩინეს დაღუპვას. მაგრამ როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომ ზემოთ დასახელებულს ამას წინათ გამოცემულ წიგნაკში (Печать в Грузинской ССР), სხვათა შორის, მოთავსებულია უძველესი ნიმუში ქართული წერისა და ამასთანავე ერთად უძველესი ნიმუში ქართული ენისაც — განთქმული ბოლნისის წარწერა მე-5 საუკუნისა, რომ უჩვენონ სხვებს, თუ რა ძველია ჩვენი ეროვნული მწერლობა. განზრახვა ჩინებულია, მაგრამ ვაი ამ ჩვენებას! მე სანაძლეოს დავდებ, თუ ათ განათლებულ ქართველში ერთი მაინც მიხვდება, რომ წარწერა გადმობრუნებულია! ვის მიუძღვის ბრალი მკითხველის ასე აბუჩად აგდებასა და ჩვენი საამაყო კულტურული მონაპოვარის ასე უკუღმართად ჩვენებაში? წიგნაკის შემდგენელს? მხატვრული გაფორმების ავტორს? რედაქტორს? ტექრედაქტორს? გამომცემლობას? — ყველა მათგანს! ასეთი მაგალითი შემთხვევითი მოვლენა ხომ არ არის! მე სხვაც ვიცი, რომ ქართული წარწერა უკუღმა იყოს დაბეჭდილი და ისიც სახელმძღვანელოში! მაშასადამე, მიზეზი რაღაც სხვაა. ეს არის საყოველთაო უცოდინარობა და წყვედიადი, რომელიც გარს ახვევია ჩვენს დიდებულსა და საამაყო მონაპოვარს — საუცხოო ქართულ ანბანს. არ-ცოდნა არ-ცოდვად, ამბობენ, მაგრამ ასეთი არ-ცოდნის ნაყოფი მია-

წოდო ხალხს, ეს დანაშაულია; კიდევ მეტი დანაშაულია „დასაბუთო“ ასეთი არ-ცოდნის სამერმისოდ დატოვება და საბოლოოდ დამკვიდრება, საითკენაც მიმართულია, არსებითად, ბ. გორდეზიანისა და მის მომხრეთა ცდა, შეზორკონ ბრწყინვალე ქართული შრიფტის განვითარების შესაძლებლობანი.

ვაი, უცოდინარობით და მოუვლევლობით დაღუპულო ძვირფასო განძო! ვაი, ქართული შრიფტების ბედო ზოგი კაცის თეორიული შეხედულებისა და პრაქტიკული განხორციელების მონოპოლისტურ ვითარებაში!

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება აღძრული საკითხის შესახებ, მაგრამ საგაზეთო წერილისათვის ესეც კმარა. თანაც ბოდიში უნდა მოვიხადო იმ პირთა წინაშე, რომელთაც საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს და ადგილის სიმცირის გამო საშუალება არ მაქვს, ვუპასუხო.

იმედია, რომ საქართველოს ზემდგომი ორგანოები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ აღდგეს მრგლოვანი მთავრულის ხმარება ქართულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთში, თანაც ისე, რომ, სადაც ტექნიკურად შესაძლებელია, იგი ეხლავე გატარდეს ცხოვრებაში. ამასთანავე მიღებულ იქნეს უახლოეს ხანში გადამჭრელი ზომები სტამბების სათანადოდ აღჭურვისათვის იმ ვარაუდით, რომ მათი გადახალისება დამთავრდეს სამი წლის განმავლობაში.

ეს იქნება დიდი ზეიმი მთელი ქართველი ერისთვის და მომავალი თაობა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს ქართული კულტურის აღმავლობის დიდ ახალ საფეხურს.

P. S. ეს წერილი მზად იყო რედაქციაში წარსადგენად, როცა მომივიდა „ლიტ. საქართველოს“ ახალი ნომერი (1. 9. 1967), სადაც ე. წივწივაძე ისეთ რამეს მომაწერს, რომელიც სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. მასაც მრუდედ გაუგია ჩემი წინადადების აზრი, რომელიც თითქო იმაში მდგომარეობდეს, რომ „ყველა ქართველს შეეძლოს ამოიკითხოს ძველი ასომთავრულით დაწერილი ან ამოკვეთილი ტექსტი ძეგლებზე და ხელნაწერებში“. არა, მთავრულების შემოღების ძირითადი მიზანია დღევანდელი ქართული ორთოგრაფიის დიდი ნაკლის გამოსწორება და თანაც ნაბეჭდი ტექსტის დამშვენება,

რომ იგი უფრო მიმზიდველი იყოს და სახალისო საკითხავი, ვიდრე დღეს არის. რაც შეეხება ძველი ნაწერების ამოკითხვას (ან უკეთ: როგორ იცნოს კაცმა, რომ წიგნი ან წარწერა ქართულია), ეს თავისთავად გამომდინარეობს იქიდან, თუ მრგლოვანს შემოვიღებთ და მთავრულად ვიხმართ. მე მხოლოდ მთავრულის შემოღებას მოვითხოვ და არა ნუსხურისას. მცირე ასოების რიცხვი 33-ია, ამდენივე იქნება მთავრულებიც. ძველად, როცა მე სოფლის სკოლაში არითმეტიკას მასწავლიდნენ, 33 და 33 იყო 66 და, მგონია, ახლაც 66-ია და საიდან მოუვიდა ე. წიგწივაძეს აზრად 100-ნიშნაანი ანბანი, რომელსაც თითქო მე მოვითხოვდე? არა, სად ამოიკითხა მან ასეთი უცნაური ამბავი ჩემს წერილში? ნუსხურის ცოდნაც, გაგიხარიათ, არ არის ცუდი საქმე, მაგრამ მე არ დამიყენებია საკითხი ნუსხური შრიფტის შესახებ, რომელიც მხოლოდ სპეციალური მიზნით გამოცემული წიგნისთვის იქნება საჭირო (ვთქვათ, სახელმძღვანელოში ძველი ქართულის შესასწავლად უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ქართ. ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტთათვის) და არა საყოველთაო ხმარებისათვის. ეს კიდევ რა დაუწერია: „შრომის ნაყოფიერების ერთი-ორად დაცემის შედეგად წარმოებიდან მივიღოთ ერთი წიგნი ნაცვლად ორისაო“? ეს რა კამათის წესია? განა სადაც მთავრულებიან ტექსტს აწყობენ, მაგ., რუსულად, იქ ერთი-ორად არის შემცირებული შრომის ნაყოფიერება? ყოველ შემთხვევაში ვურჩევ ე. წიგწივაძეს, მიბრძანდეს უნივერსიტეტის სტამბაში და ჰკითხოს ამის შესახებ ამწყობ ანზორ გოგინაშვილს, რომელმაც „ორიონი“ ააწყო. ან ვის უნდა აუხვიონ თვალები იმის მტკიცებით, თითქო „უნდა გადაიყაროს ყველა საამწყობო მანქანა და შრიფტ-კასები“? საიდან გამოიყვანა ე. წიგწივაძემ ასეთი უცნაური დასკვნა?

ვითომ ბნელა? ქვეყანა ვითომ ბრმაა?

ე. წიგწივაძის მიხედვით გამოდის, თითქო ყველაფერი წესსა და რიგზე გვქონდეს ქართული წიგნის დასაბეჭდად: ორთოგრაფია მარტივი გვაქვს, მთავრულებს არ ვხმარობთ და არც გვინდა, მით უმეტეს ასომთავრული, რომელიც „ამოვარდნილი იქნება საერთო ფონიდან, ვერ შეეგუება მხედრუ-

ლის მოხაზულობას და არ ჩაჯდება ხაზში“. რაკი ეგრეა, საზრუნავი არა გვექონია, მოდი და მრავალჯამიერი დავაგუგუნოთ და შემოვსძახოთ „საქართველოს გაუმარჯოს!“

თუ მართლა საქმეზე ვფიქრობთ, ამოვარდება არა ასო, არამედ უფიცობა და თანაც ბოლო მოელება ბევრ გაუგებრობას; როცა ახალი ორთოგრაფია დამკვიდრდება საყოველთაო სახმარებლად, მრგლოვანი არა თუ ხაზში ჩაჯდება, არამედ ყველას ჭკუაში დაუჯდება და მოეწონება, იმათაც კი, რომლებიც დღეს მისი მოწინააღმდეგენი არიან. ვახტანგი რომ არ გადასახლებულიყო რუსეთში, მისი სტამბა არ განადგურებულყო, ქართული სტამბის საქმე და ქართული წიგნის ბეჭდვა ასე თუ ისე ნორმალურად განვითარებულყო, მაშინ სულ სხვა ვითარება გვექნებოდა დღეს. ახლა კი რა ვქნათ? დავყაროთ ფარ-ხმალი? არ ვიზრუნოთ უკეთესისათვის? არ აღვადგინოთ კარგი? დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს? არა, ეგრე არ იქნება. ჩვენ მოვალენი ვართ, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და ის ვურჩიოთ და მივსცეთ საზოგადოებას, რაც უფრო წასწევს მას წინ. დიდი საქმე არასოდეს გაკეთებულა ადვილად. როგორც ბ. გორდენიანისა და ე. წიგწივაძის წერილებიდან ჩანს, „ციხე შიგნიდან გატყდება“, პოლიგრაფიაში ძალიან მძიმე მდგომარეობა გვექონია და „სასწრაფო დახმარება“ საჭირო.

1. 9. 1967.

27. ისევ მთავრული ასოების ხმარების გამო

(ვახტანგ VI-ის იუბილესთან დაკავშირებით)

როგორც გაზეთებიდან ვიცით („ლიტერატურული საქართველო“ 7 ნოემბერს 1975 წ.), ამ წლის დამლევს, 29 დეკემბერს 1975 წ., ჩვენი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართება ვახტანგ მეექვსის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელსაც, ზემდგომ ორგანოთა მითითებით, თაოსნობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის უნივერსიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი. ეს დიდად მოსაწონარი და სასიხარულო ამბავია. საიუბილეო ღონისძიებათა შორის ბევრი კარგი რამეა განზრახული და, სხვათა შორის, ვახტანგის თხზულებათა და ნათარგმნ ნაშრომთა გამოცემა. განზრახულია აგრეთვე, რომ გამოიცეს ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“.

ვახტანგ მეექვსე მეტად მსხვილი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული, სხვათა შორის, ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა სტამბის დაარსება თბილისში. ამ სტამბიდან გამოვიდა 1712 წელს მშვენივრად გაფორმებული „ვეფხის ტყაოსანი“, პირველი ბეჭდური გამოცემა ამ დიდებული პოემისა, რომელსაც ახლავს თვით ვახტანგის კომენტარი. ამ იუბილეს მთელი ქართველი ერი დიდი აღტაცებით შეხვდება.

ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველის ყურადღება შემდეგს მივაპყრო. ვახტანგ მეექვსის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე მთავრული ასოების ხმარება მხედრული ასოებით ნაბეჭდ წიგნებში. პირველად ეს მოხდა 1721 წელს, როცა გამოიცა ვახტანგის მიერვე სპარსულიდან ნათარგმნი

საბუნებისმეტყველო წიგნი, რომელიც მხედრული ასოებით დაიბეჭდა და რომელშიც მთავრული ასოების ორთოგრაფიული ხმარებაა გატარებული. მთავრულ ასოებად აქ ნახმარია ჩვენი მშვენიერი მრგვლოვანი ასოები, რომლებიც V საუკუნიდანაა ცნობილი წარწერებიდან და ხელნაწერი წიგნებიდან. ამ საქმეში მას რჩევას აძლევდა და ეხმარებოდა დიდი ქართველი მოღვაწე, განთქმული მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი.

ვახტანგს არ დასცალდა, რომ ფართოდ დაენერგა ბეჭდვით საქმეში თავისი ორთოგრაფიული განაზრახი. როგორც ვიცით, იგი იძულებული გახდა, რუსეთს გადასახლებულიყო დიდი ამალით 1724 წ., მაგრამ ამ სამწუხარო ამბის გამო მისი წამოწყებული საქმე არ ჩამკვდარა. იგივე ორთოგრაფიული წესი დაიცვეს ჩვენში დარჩენილმა მოღვაწეებმა: ანტონ I-მა და სხვებმა. ცნობილია, რომ გაიოზმა ქართული ენის ღრამმატიკა დაბეჭდა მოზდოკში და შიგ მთავრული ასოების ხმარება გაატარა. ასეთსავე ორთოგრაფიას მისდევდნენ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის მწერლები: ა. მესხიშვილი, გ. ავალიშვილი და სხვები. ეგვევ ორთოგრაფიას გატარებული რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ პოლიტიკური ხელშეკრულების ქართულ ტექსტში, რომელსაც 1783 წ. ხელი მოაწერეს გეორგიევსკში. ამ ტრაქტატმა ბოლოს და ბოლოს რუსეთის იმპერიაში ამოგვაცოფინა თავი და რად უნდა უარვყოთ მისი ორთოგრაფია დღეს, როდესაც გაერთიანებული ვართ საბჭოთა კავშირის ერთა დიდ ოჯახში!

საზოგადოდ, მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ მხედრულად დაწერილ ქართულ წიგნებში (მაგ., ა. მესხიშვილის 1820 წ. გადაწერილ ქართ. პოეზიის ანთოლოგიაში) მთავრულიანი ორთოგრაფიას გატარებული ვახტანგ მეექვსის მიერ შემოღებული წესის მიხედვით.

ეს ორთოგრაფიული წესი საბოლოოდ დაინერგებოდა ჩვენში და დღეს აღარაფერი გვექნებოდა საკამათო და სალაპარაკო, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს არ დასხმოდა თავს აღამაჰმად ხანის ურდოები, არ აეოხრებინათ თბილისი და არ გაენადგურებინათ ვახტანგ მეფის შექმნილი

და ერეკლე მეფის გადაკეთებული სტამბა, რომელშიც მრავალი წიგნი დაიბეჭდა თავის დროს. სტამბის განადგურება დიდი ხელის შეშლა იყო ქართული წიგნის ბეჭდვისათვის.

ამის შემდეგ მალე საქართველო რუსეთს შეუერთდა. მეფის მთავრობა ქრისტიანობის საყრდენს — ეკლესიას ვერ გააუქმებდა. ეკლესიას კი წიგნები ესაჭიროებოდა, რომლებიც ვახტანგისა და ერეკლეს დროს თბილისში იბეჭდებოდა. თბილისში ბეჭდვა უნდა განეგრძოთ შემდეგაც, მაგრამ ამის ნაცვლად აიღეს და ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა მოსკოვს გადაიტანეს, სადაც 1805 წელს ქსნის ერისთავის დავითის შვილმა არხიებისკოპოსმა ვარლამმა დიდი ტანის 802 გვერდიანი სადღესასწაულო დაბეჭდა, რომლის წყობასა და ბეჭდვას 4 წელი მოანდომა პაიჭაძე გიორგი მესტამბემ.

ჰო და ასეთ პირობებში როგორ უნდა განვითარებულიყო ქართული წიგნის ნორმალურად ბეჭდვა? აქი არც განვითარება და არსებითად შეწყდა კიდევ. თოთხმეტი წლის განმავლობაში თბილისში წიგნი არ დაბეჭდილა. ფაქტიურად ისეთი პირობები შეიქნა, რომ ვახტანგის წამოწყებული და ერეკლეს განგრძობილი საქმე ძლიერ შეფერხდა, შეწყდა ტრადიცია და სტამბის საქმე ვეღარ გასწორდა წელში.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში იყო ცდა, რომ მხედრულად ნაბეჭდ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთში მხედრულივე სახის მთავრული შემოედოთ და დაემკვიდრებინათ. ეს მიბაძვა იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთში დაბეჭდილი ზოგიერთი წიგნისა, მაგრამ მან ფეხი ვერ მოიკიდა. ერთი კი ქნა მან: ვახტანგისა და სულხან ორბელიანის შემოღებულ მთავრულებს დიდად შეუშალა ხელი, მაგრამ ვერც თვითონ იბოგინა დიდხანს და ისიც შეწყდა. ამის შესახებ მე მოთხრობილი მაქვს ჩემს წერილში, რომელიც 1962 წელს დაიბეჭდა ამ სათაურით „დაფარული საუნჯე“ (საბჭოთა ხელოვნება 1962, № 9, გვ. 49—61), სადაც მოკლედ მიმოხილულია ქართული ხელნაწერი და საბეჭდი შრიფტების განვითარება. მას ახლავს ილუსტრაციები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართული შრიფტის განვითარების შესახებ საუკუნეთა განმავლობაში. ამიტომ ამის შესახებ აქ არაფერს ვიტყვი, რადგანაც მთავრულების შემოღების განახლება ვახტანგ მეექვსის

მიერ ნაჩვენები გზით რომ აუცილებელია და მეტად საჭირო, ამის დასაბუთება მოყვანილია ზემორე ნაჩვენებ ჩემს წერილში და საკითხით დაინტერესებულ პირს შეუძლია ის წერილი წაიკითხოს და თვითონ დარწმუნდეს საბუთიანობაში და საქმის ნამდვილ ვითარებაში¹.

აქ კი ვიტყვი, რომ მრგვლოვანი მთავრულების შემოღება და მისი ორთოგრაფიის სისტემებზე გატარება ქართულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთში დიდი დღესასწაული იქნება ქართული კულტურისა, იგი ერთბაშად გააფართოვებს ჩვენს თვითცნობიერებას, ახალ სულს შთაბერავს ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებს და შნოს და ახალ აზრს მისცემს მას, დაუბრუნებს ქართულ წიგნს სიმშვენიერეს. ეს იქნება დიდი ზეიმი ქართველი ხალხისა. არ ვიცი, რას შევადარო თავის ღირებულებით ეს გარდატეხა და ზეიმი კულტურის დარგში. ცარიზმის მესვეურებმა ჩაკლეს ჩვენში კარგი წამოწყება, რომელიც ვახტანგ მეფისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელთან არის დაკავშირებული და რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში საკმაოდ დანერგილი იყო პრაქტიკაში, ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებში. დღეს, ლენინის დიდებული იდეების განხორციელების ხანაში, ქართული წიგნის ბეჭდვის გზის გამრუდება უნდა გამოსწორდეს. ქართული შრიფტი უფრო უნდა გამდიდრდეს და მრავლის მეტყველი გახდეს.

საქართველომ დიდი როლი შეასრულა იმით, რომ რუსეთს შეუერთდა და ამით დიდად შეუწყო ხელი, რომ დიდ რუსეთს მაგრად მოეკიდებინა ფეხი ამიერკავკასიაში, შედარებით ადვილად დაეპყრა ქისტეთ-დაღესტანი და ჩერქეზეთ-უბიხეთი, მძლავრ პოლიტიკურ ძალად ქცეულიყო კავკასიის მთების გადმოღმა და დიდი გავლენა მოეპოვებინა ახლო აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნებზე. ამიტომ ჩვენი ქვეყანა ნუთუ ღირსი არ არის, რომ გამოსწორდეს ცარიზმის დამკვიდრების დასაწყის პერიოდში ჩვენში მომხდარი არა სასურველი მოვლენები ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში? ეს გამოსწორება პატივისცემა იქნება იმ პირებისა, რომელთაც თავისი ძვლე-

¹ აღნიშნული წერილი ამავე კრებულშია გადმობეჭდილი (გვ. 145).

ბი რუსეთის მიწა-წყალს მიაბარეს (სულხან-საბა ორბელი-
ანმა მოსკოვში, ვახტანგ მეექვსემ ასტრახანში), ესე იმათიც,
რომლებიც ალტაცებულნი იყვნენ ვახტანგის შემოღებული
ორთოგრაფიით და ერთგულად მისდევდნენ მას, და იმათიც,
რომელთაც ხელი შეუწყვეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკ-
რულების დადებას გეორგიევსკში (1783 წ.), რომელმაც სა-
ბოლოოდ, იმპერიალისტური უღლის გადაგდების შემდეგ,
საბჭოთა კავშირში დაამკვიდრა საქართველო.

ამ საქმეში ყოყმანი არ გვარგებს, გაბედულად უნდა გა-
დავდგათ ნაბიჯი წინ ქართული ბეჭდვითი საქმისა და ქართუ-
ლი ორთოგრაფიის უკეთესი მომავლისათვის. ამ საქმეს რამ-
დენადმე ხარჯის გაღებაც დასჭირდება: მხატვრების მოწვევა
და არსებული გარნიტურებისათვის მრგვლოვანი მთავრულე-
ბის დახატვა. ახალი გარნიტურების შექმნა, ამ გარნიტურების
სათანადო დოკუმენტაციის შედგენა და შემდეგ მატრიცების
ჩამოსხმა მონოტიპისა და ლინოტიპისათვის.

ერთი გარნიტურის დამზადება ყველაფრიანად (ასოთა და
სხვა სასტამბო ნიშანთა დახატვა მხატვრის მიერ, ფოტოები,
სათანადო დოკუმენტაცია და ჩამოსხმა ლინოტიპისათვის) და-
ახლოვებით 12.000 მანეთზე მეტი არ უნდა დაჯდეს. ჰა, ვიან-
გაროშიათ მაქსიმუმი (15.000 მან.). ათი გარნიტურის დაზა-
დება 150.000 მანეთი. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რა
სარგებლობაც ამას უთუოდ მოჰყვება.

ზემოთ რომ ხარჯები მოგახსენეთ, ეს პირველ ხანებში აუ-
ცილებლად გასაღები ხარჯებია. შემდეგ და შემდეგ კი ხარ-
ჯები ჩვეულებრივი ნორმალური გზით წავა.

დღეს რომ მთავრული ასოებია (მხედრულის ბაზაზე შექმ-
ნილი), ის დარჩება გარკვეული შემთხვევებისათვის: აფიშე-
ბისა და ფირნიშებისათვის. მერმე და მერმე კი, 15—20 წლის
შემდეგ, როცა ვახტანგური ორთოგრაფია კარგად დამკვიდრ-
დება და მის კითხვაში ყველას თვალი კარგად გაუტყდება, შე-
იძლება ახალმა ორთოგრაფიამ აფიშებსა და ფირნიშებზედაც
იჩინოს თავი, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ამჟამად კი საჭი-
როა ქართული შრიფტის გარნიტურები გადახალისდეს, ვახ-
ტანგური მთავრულები გაუკეთდეს ოთხი სასტამბო ტექსტი-
სათვის საჭირო კვადრის ფარგლებში: კვადრი 8, 10, 12, 16.

თუ როგორი სახისა იქნება ქართული წიგნის აღნიშნული ორთოგრაფია, ეს შეიძლება ნათლად წარმოიდგინოთ რამდენიმე წიგნის მიხედვით, რომლებშიც გატარებულია აღნიშნული ორთოგრაფია; ესენია:

1. ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966.

2. „ორიონი“. კრებული, მიძღვნილი ა. შანიძის 80 წლის-თავისადმი. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967.

3. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971 (აქ მთავრულები გატარებულია მხოლოდ ტიპიკონში).

4. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.

5. ასტროლოგიური ტრაქტატი XII საუკუნისა „ეტლთა და შუდთა მნათობთათჳს“, გამოსცა ა. შანიძემ, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975. (მთავრულების ხმარება გატარებულია მხოლოდ ასტროლოგიურ ტექსტში).

საოპერო თეატრი დაგვეწვა თბილისში, მაგრამ მოინახა თანხები მის აღსადგენად. ქართული სასტამბო შრიფტის განვითარება უმართებულოდ შეწყდა მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ უნდა მოინახოს ყოველგვარი საშუალება მის აღსადგენად. მომავალი თაობა ამისთვის დიდ მადლობას გვეტყვის.

აღსანიშნავია, რომ მრგვლოვანი მოხაზულობის ორ ასოს (შ-ს და ღ-ს) მხედრული ასოები ყ და ი დაემსგავსა. მაგრამ განმასხვავებელი ხაზი რომ შემოვიღოთ მთავრულში, მსგავსება აღარ იქნება. შემდეგ კი ადვილად მოგვარდება პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ამასთან არის დაკავშირებული.

რუმინელები პირველად სლავურ შრიფტს ხმარობდნენ, მაგრამ წარსული საუკუნის სამოციან წლებში თქვეს: ჩვენ სლავების მოდემის ხალხი კი არა ვართ, არამედ ჩვენი ენა რომანული ენების ჯგუფს ეკუთვნისო, ადგნენ და ლათინურ ანბანზე გადავიდნენ.

ანატოლიის თურქები საუკუნეთა განმავლობაში არაბულ შრიფტს ხმარობდნენ, მაგრამ კაი ხანია, რაც ლათინურზე გადავიდნენ.

აზერბაიჯნელები და კასპიის ვალმა მდებარე ქვეყნების თურქული მოსახლეობა (თურქმენისტანსა, ყაზახსტანსა და ყირგიზეთში), აგრეთვე ირანული მოდგმის თაჯიკები საუკუნეთა მანძილზე არაბულ წერასა და ბეჭდვას მისდევდნენ, მაგრამ კაი ხანია ჯერ ლათინურ ანბანზე გადავიდნენ, მაგრამ, ლათინური რომ არ გამოდგა მათთვის, რუსული ანბანი არჩიეს.

ჩვენ სხვის ანბანზე გადასვლა არ გვჭირდება. ჩვენ, ისე როგორც ჩვენ მეზობლებს სომხებს, გვაქვს საკუთარი მშვენიერი ეროვნული შრიფტი, რომლის უძველესი ნიმუშები მე-5 საუკუნიდანაა ცნობილი და რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ჩინებულად ემსახურებოდა ქართული კულტურის საქმეს და მომავალშიც ემსახურება. საჭიროა მხოლოდ ვახტანგური ორთოგრაფიის აღდგენა, რომელიც ჩვენდა სავალალოდ უმართებულოდ შეწყდა. ეს ორთოგრაფია არსებითად იგივეა, რაც რუსული, ფრანგული და სხვა.

თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ადვილად მოგვარდება პრაქტიკული საკითხებიც, რომლებიც ამასთან არის დაკავშირებული.

16.11.1975

P. S. არ იქნება ურიგო, რომ ამასთანავე ვიზრუნოთ აგრეთვე მატრიცებს დასამზადებელი ქარხნის დაარსებისათვის თბილისში. მატრიცების ჩამოსხმის საქმეში იგი მოემსახურება უმთავრესად საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ერებს და აღარ იქნება ზოგი შეფერხება, რომელსაც ზოგჯერ ვხვდებით ამ საქმეში. ქარხნის ადგილად შეიძლება შეირჩეს კუკია, ახლად დაარსებული შრიფტის ჩამოსახმელი ქარხნის მახლობლად.

შინაარსი

წინასიტყვაობა

83
3

| | |
|---|-----|
| 1. ჰ და ს პრეფიქსების ხმარება ზმნებში (პროექტი ნიმუშებითურთ) | 5 |
| 2. ერთი სინტაქსური საკითხის გამო | 45 |
| 3. გემით „დალანდი“ | 54 |
| 4. სიტყვას „მტკვარი“ (კვლავ სინტაქსური წყობის გამრუდების შესახებ). | 62 |
| 5. დანართიანი სახელის სწორად ხმარებისათვის (მთარგმნელების, რედაქტორებისა და სტილისტების საყურადღებოდ) | 68. |
| 6. ორმაგი გვარის ბრუნებისათვის | 72 |
| 7. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის (მოხსენების თეზისები) | 75 |
| 8. სიტყვათა შეკუმშვის შესახებ | 77 |
| 9. დავუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში | 83 |
| 10. ვერიდოთ გარემოების წამოწევას წინადადებაში | 88 |
| 11. ალფა და ომეგა | 91 |
| 12. პაპა თუ ბაბუა | 95 |
| 13. ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები | 99 |
| 14. ჩამო თუ ამო | 103 |
| 15. ქართული ენის სიწმინდისათვის (საუბარი) | 106 |
| 16. საკუთარი სახელების სწორად ხმარებისათვის ისტორიული ხასიათის თხზულებაში | 108 |
| 17. წესები კომპოზიტების დაწერილობისათვის (პროექტი) | 111 |
| 18. სამგლოვიარო განცხადების შესახებ (წერილი „თბილის“ გაზეთის რედაქციას) | 117 |
| 19. ლურსმული თუ სოლისებრი | 119 |
| 20. სცემა იგი თუ სცემა მას | 122 |
| 21. სადგურებამდე | 123 |
| 22. გადაუღებელი საქმე (ათობითი თვლის სისტემაზე გადასვლის შესახებ) | 125 |
| 23. დაფარული საუნჯე (მთავრული ასოების ხმარების აღდგენის გამო) | 145 |
| 24. მთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში | 187 |
| 25. ქართული ორთოგრაფიის ისტორიიდან | 193 |
| 26. მოპაექრეთა საპასუხოოდ | 214 |
| 27. ისევ მთავრული ასოების ხმარების გამო (ვახტანგ VI-ის იუბილესთან დაკავშირებით) | 230 |

ИБ № 1138

რედაქტორი ვ. პაიკიძე
მხატვრ. რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გ. ბოკუჩავა
კორექტორი ნ. ქაფიანიძე
უფრ. კორექტორი ნ. ნადარაია
გამომშვები თ. მაკავარიანი

გადაეცა ასაწყობად 21/V-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
22/VIII-79 წ. ქალაღდის ზომა 84×108¹/₃₂. ღრმა ბეჭდვის ქალღდი.
ნაბეჭდი თაბახი 15 პირობ. ნაბეჭდი თაბახი 12,15; სააღრ-საღამომ-
ცემლო თაბახი 8,92;

ტირაჟი 3.000 უე 00433 შეეც. № 643

ფასი 1 ზან 35 კაპ.

ღამომცემლობა „ღანათღება“, თბიღისი, მარღანიშვიღის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

საქართველოს სსრ ღამსახკომის საღამომცემლო-პოღიღრაფიღული
ღაერთიანება „ღანათღების“ კომბინატი, თბიღისი, მარღანიშვი-
ღის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения
«Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР.
ул. Марджанишвили, 5.

Акакий Гаврилович Шанидзе
**ЗЛОБОДНЕВНЫЕ ВОПРОСЫ
ГРУЗИНСКОГО ЛИТЕРАТУРНОГО ЯЗЫКА**

(На грузинском языке)